

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო ტრენინგის პაკეტი უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლებისთვის

რედაქტირებულია
ცვეტელინა ჰარაკჩისკას მიერ
რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი

ეს პუბლიკაცია შეიქმნა Erasmus + პროგრამის, მეორე აქტივობის (თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში) ერთობლივი პროექტის, *Sustainable Learner-Centred Teaching – Advanced Recourse for Georgia and China (STAR)* ფარგლებში (ნომერი 5733777-EPP-1-2016-1-CS-EPPKA2-CBHE-JP), რომელსაც კოორდინაციას უწევს მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა) დანა ზამეჩნიკოვას ხელმძღვანელობით.

თანადაფინანსებულია ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის მიერ



ამ გამოცემაში აღწერილი ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის მათ ავტორებს და არ უნდა იქნას აღქმული ევროკომისიის ან ავტორთა ორგანიზაციების ოფიციალურ მოსაზრებად. არც ევროკომისია, არც ერთი ავტორი და არც ერთი პირი, რომელიც მოქმედებს მათი ინტერესების შესაბამისად, არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ქვემოთ მოცემული ინფორმაციის სხვა პირების მხრიდან გამოყენებაზე.

ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის არც ერთი ნაწილის გამოყენება არ შეიძლება გამომცემლობისგან წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, ნებისმიერი ფორმით ან ნებისმიერი

საშუალებით, ელექტრონული (CD-ROM, ინტერნეტი და ა.შ.) ან მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირების, ჩაწერის ან ინფორმაციის შენახვისა და მოძიების გზით.

მადლიერება:

ცვეტელინა ჰარაკჩისკა არის 1-ლიდან – მე-7 ნაწილების ავტორი (მათ შორის, ტრენინგის შინაარსი და მასალები) და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს რედაქტორი.

ტერეზა პესოა არის მე-8 დავალების – გაკვეთილის დაგეგმვა – და მე-10 სასწავლო მასალის ავტორი – გაკვეთილის გეგმის ფორმა, რომლებიც შესულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს პირველ მოდულში.

სახელმძღვანელოში შესული საინტერესო მაგალითების ავტორები არიან:

დანა ზამეჩნიკოვა, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
ივანა მაროვა, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
მარტა მოთელსონი, კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კოლეჯი, დანია
ჯონი ბალთზერენი, კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კოლეჯი, დანია
ტერეზა პესოა, კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია
ჯინგყუი იანგი, შანხაის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ჩინეთი
შუჯიე ქუ, ლინგნანის ნორმალური უნივერსიტეტი, ჩინეთი
ლიპინგ ლიუ, ლინგნანის ნორმალის უნივერსიტეტი, ჩინეთი
სურონგ ლი, ლაონინგის მეცნიერებისა და ინჟინერიის ინსტიტუტი, ჩინეთი
ცვეტელინა ჰარაკჩისკა, რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი

შინაარსი

1. შესავალი.....	6
1.1. სახელმძღვანელოს საჭიროება.....	6
1.2. სახელმძღვანელოს მიზანი	7
1.3. როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო.....	7
1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება.....	9
2. პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის	13
3. სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგია - სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების და მიდგომების მოკლე მიმოხილვა	20
4.1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)	20
4.2. დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (TBL)	22
4.3. აღმოჩენითი სწავლება.....	28
4.4. პროექტზე დაფუძნებული სწავლება.....	31
4.5. სასწავლო ხელშეკრულება	33
5. მეთოდოლოგიური მხარდაჭერა	38
5.1. საერთო ორგანიზება.....	38
5.2. მიზნობრივი აუდიტორია.....	38
5.3. მოდულის ორგანიზება	38
5.4. სასწავლო მასალა	38
6. ტრეინინგ მოდული	40
6.1. მოდული 1 - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიული საფუძველი 40	
6.2. მოდული 2 – პრაქტიკული გამოცდილება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაში.....	114
6.3. მოდული 3 - შეფასება.....	170
7. საინტერესო მაგალითები (INTERESTING PRACTICES)	187
7.1. უმაღლესი განათლების ცვალებადი კონტექსტი	188
7.2. საუკეთესო მაგალითი თუ საინტერესო მაგალითი?	190
7.3. რას გულისხმობს საინტერესო მაგალითები?	191
7.4. პროექტის ფარგლებში შეგროვებული <i>საინტერესო პრაქტიკის მაგალითები</i> ..	Error!

Bookmark not defined.

- 7. 4.1. საინტერესო პრაქტიკის მაგალითები პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში
Error! Bookmark not defined.
- 7. 4.2. საინტერესო პრაქტიკის მაგალითები დავალებაზე დაფუძნებულ სწავლებაში
Error! Bookmark not defined.
- 7. 4.3. საინტერესო პრაქტიკის მაგალითი აღმოჩენაზე დაფუძნებულ სწავლაში ... **Error!
Bookmark not defined.**
- 7. 4.4. საინტერესო პრაქტიკის მაგალითი პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას
Error! Bookmark not defined.
- 7. 4.5. კონტრაქტის მაგალითის საინტერესო პრაქტიკა**Error! Bookmark not defined.**
- 8. გამოყენებული მასალა.....**Error! Bookmark not defined.**
- 9. ტერმინთა განმარტება**Error! Bookmark not defined.**

1. შესავალი

ცვეტლინა ჰარაკჩისკა

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო წარმოადგენს ერაზმუს+ პროექტის “სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება” - მოწინავე კურსის შეცვლა ჩინეთისა და საქართველოსთვის (STAR) საერთო არქიტექტურის ძირითად ნაწილს. მისი უმთავრესი მიზანია ტრენინგის დიზაინისთვის საფუძვლის შექმნა ქართული და ჩინური უნივერსიტეტების ლექტორების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პრაქტიკის დანერგვას.

1.1. სახელმძღვანელოს საჭიროება

სახელმძღვანელოს შემუშავების იდეა წამოვიდა ჩინელი და ქართველი პარტნიორების საჭიროებების ანალიზისგან, რაც მიზნად ისახავდა ხაზი გაესვა ამ ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო კონტექსტის გაუმჯობესებისთვის, რათა ორიენტირებული ყოფილიყო ისეთი სტუდენტების განვითარებაზე, რომლებიც უკეთესად აღჭურვილი იქნებიან შრომის ბაზრის მოთხოვნისა და 21-ე საუკუნის გამოწვევების შესაბამისად, რაც დღევანდელი ახალგაზრდებისგან მოითხოვს შეეძლოთ:

- სხვადასხვა სიტუაციებსა და კონტექსტში მსჯელობის ფართო სპექტრის გამოყენება (მაგ. დედუქციური, ინდუქციური, კრიტიკული და ა.შ.);
- კომპლექსური სისტემების ანალიზი და საკუთარ შემადგენელ ნაწილებთან ურთიერთქმედების გზების პოვნა;
- ფაქტებსა და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება;
- შეხედულებებისა და რწმენის ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე არგუმენტებისა და პრეტენზიების ჩამოყალიბება და დაცვა;
- სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის კრეატიული გზების შეთავაზება;
- სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებით თანამშრომლობა და კომუნიკაცია;
- საკუთარი და თანაგუნდელების სწავლის გამოცდილების შეფასება და კრიტიკული გათავისება;
- იდეების, ფიქრებისა და გადაჭრის გზების წარდგენა სხვადასხვა მედიის გამოყენებით;
- გახდეს დამოუკიდებელი და ისწავლოს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ყოველივე ზემოთქმულის პასუხად, მიმდინარე სახელმძღვანელოს გვთავაზობს, როგორც თეორიულ საფუძველზე, ასევე სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვის პრაქტიკული იდეებს, STAR კონსორციუმის ევროკავშირის

პარტნიორების გამოცდილების გამოყენებით. სახელმძღვანელოს აქვს ორი ძირითადი ნაწილი:

- თეორიული ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კომპეტენციებზე, საკლასო ოთახში კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაძლიერებაზე; თავი ასევე მოიცავს სტუდენტზე ორიენტირებული შერჩეული მეთოდების მოკლე მიმოხილვას;
- პრაქტიკული ნაწილი ეხება საუნივერსიტეტო კონტექსტში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, სწავლისა და შეფასების განხორციელების გზებს.

1.2. სახელმძღვანელოს მიზანი

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც მზადაა დაწეროს სწავლების ის მეთოდები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე, აქტიურად იმონაწილეონ საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების შექმნაში და იყვნენ დარწმუნებული და ინოვაციური მოაზროვნენი და მომავალი პროფესიონალები.

1.3. როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო განკუთვნილია დაახლოებით 2,5 დღიანი ტრენინგ კურსისთვის, რომელიც მოიცავს 18 საკონტაქტო საათს. სამივე მოდულში შეტანილი ამოცანები შეიძლება ისწავლებოდეს 90-წუთიანი სესიის ფარგლებში, თუმცა თითოეული სესიის დრო შეიძლება შეიცვალოს ტრენინგის საჭიროებების მიხედვით.

თითოეულ მოდულში შეტანილი მასალები უზრუნველყოფს აღნიშნული სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას. იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი მეთოდი სასწავლო კონტექსტში. საინტერესო მაგალითების დამატებითი კომპლექტი, რომლებიც შეგროვებულია პროექტ STAR-ში ჩართული ევროკავშირის პარტნიორებისა და პარტნიორი ქვეყნების, ჩინეთისა და საქართველოს უნივერსიტეტების მიერ, ასახავს კონკრეტულ საგანმანათლებლო პირობებში თითოეული მეთოდის შესაძლო გამოყენების გზებს პრაქტიკაზე ორიენტირებულ მაგალითებს.

ლოგიკური თანმიმდევრობით ორგანიზებული ასამი მოდული, რომლებიც გულისხმობს, რომ ტრენინგი უნდა დაიწყოს პირველი მოდულიდან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიულ საფუძვლებს და იმ კომპეტენციებს, რომლებიც პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ ეფექტური და ეფექტიანი სწავლებისა და სწავლისთვის. შემდეგ უნდა გადახვიდეთ მეორე მოდულზე - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების პრაქტიკული გამოცდილება და მოდული 3 - შეფასება სტუდენტზე ორიენტირებულ საკლასო ოთახში. ვინაიდან, მოდულები შეიცავენ თეორიული მოსაზრებებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაციას, ისინი მოითხოვენ კრიტიკულ აზროვნებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებულ სესიებში მონაწილეთა აქტიურ ჩართულობას.

იქიდან გამომდინარე, რომ ტრენინგების მიზანია მონაწილეებმა უკეთ გააცნობიერონ სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, სასურველია ტრენინგმა თითოეული მოდულის ბოლოს დაარიგოს თვითშეფასების კითხვარები, რაც ხელს შეუწყობს მონაწილეთა გამოცდილების გათავისებობასა და ინდივიდუალიზაციას. ასეთი კითხვები შეიძლება მოიცავდეს:

- *რა ვისწავლე?*
- *რა აღმოჩნდა ჩემთვის ყველაზე სასარგებლო / საინტერესო / გამოყენებადი ჩემს საგაკვეთილო კონტექსტში?*
- *რა უნდა შევცვალო ჩემს სწავლებაში იმისთვის, რომ სტუდენტზე მეტად ორიენტირებული გავხადო?*
- *კიდევ რა მჭირდება იმისთვის, რომ ჩემს გაკვეთილზე დავნერგო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება? (მაგალითად, წავიკითხო მეტი სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდზე, ჩავატარო ექსპერიმენტები გაკვეთილის დაგეგმვისას, შევიმუშავო ახალი სასწავლო მასალები, გავაუმჯობესო ჩემი უნარები ...)*

1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

ცვეტელინა ჰარაკჩისკა

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ეს არის ფენომენი, რომელიც თარიღდება უძველესი საბერძნეთის დროიდან. მისი მახასიათებლების პოვნა შესაძლებელია პლატონის დიალოგებში, სადაც სოკრატე იყენებდა შეკითხვებს დისკუსიაში მონაწილეთა მორალურ ღირებულებებზე უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად. სოკრატეს მიერ გამოყენებული მიდგომა ძალიან ჰგავს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, ვინაიდან, იგი გულისხმობს კითხვების გენერირებას ახალი გაკვეთილის, მისი საკითხების შინაარსის გაგებისა და შესწავლის ხელშეწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება დაკავშირებულია საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდთან, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების თანამედროვე საწყისები სათავეს იღებს მე-18 საუკუნეში რომანტიული მოძრაობიდან. ეს იყო ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778), რომელმაც წამოაყენა იდეა, რომ განათლება უნდა ადაპტირებული იყოს სტუდენტის საჭიროებებთან, მათ ასაკთან და კოგნიტური განვითარების დონესთან. ამას გარდა, მას მიაჩნდა, რომ მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში.

“ნუ მიაწვდით მას [სტუდენტს] მზა ინფორმაციას, არამედ მიეცით იმის საშუალება, რომ თავად გამოიტანოს დასკვნები“ და უფრო მეტიც, არ ჩაუტაროთ თქვენს მოსწავლეს თეორიული გაკვეთილი, მან უნდა ისწავლოს მხოლოდ გამოცდილებიდან”.

[რუსო, 1974: 131 მაკკულოჩის და კრუკის მიხედვით, 2013]






მისი იდეები ჩანს იოჰან ჰეინრიხ პესტალოცის (1746 – 1847) და ფრედრიხ ვილჰელმ აუგუსტ ფრობელის (1782 – 1852) ნამუშევრებში, რომლებიც ასევე მხარს უჭერდნენ ჰიპოთეზას, რომ ბავშვები უკეთ სწავლობენ როდესაც ისინი იღებენ ცოდნას საკუთარი პირადი გამოცდილებიდან და აღმოჩენებიდან. მსგავს შეხედულებას იზიარებდნენ მარია მონტესორი (1870 – 1952) და ამერიკელი განმანათლებელი ჯონ დიუი (1859 – 1952), რომლებმაც ხაზი გაუსვეს სტუდენტისთვის ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების დონის შესაბამისი მეცნიერული დაკვირვების, ექსპერიმენტებისა და ფიზიკური აქტივობების განსაკუთრებულ როლს. ამას გარდა, აქტიური სწავლება ასევე წარმოადგენდა კონსტრუქტივიზმის თეორიული საფუძვლის ნაწილს, რომელიც დაფუძნებული იყო შვეიცარიელი ფსიქოლოგისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერის ჟან პიაჟეს (1896 – 1980) მიერ. კონსტრუქტივიზმი

ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სწავლება არის აქტიური პროცესი, რომელშიც სტუდენტი ატარებს სხვადასხვა აქტივობას თავისი გარემოს შესაცნობად, საკუთარი კონცეპტუალიზაციის შექმნითა და გააზრებით.. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სწავლებისას შეიქმნას სტუდენტებისთვის ისეთ აქტივობებში ჩართულობის საშუალება, რომლებიც მათ კვლევის, შემოქმედებითობისა და აქტიური კომუნიკაციის საშუალებას მისცემს.

ანალოგიური განცხადება შეიძლება მოიძებნოს სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიაში და მისი მთავარი მომხრის, ლევ ვაგოცკის (1896 - 1934) ნამუშევრებში. ის აცხადებს, რომ სოციალური ინტერაქცია (მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ან მოსწავლესა და მის თანატოლებს შორის) სწავლის მამოძრავებელი ძალაა. მან შეიმუშავა მიახლოებითი განვითარების ზონა (ZPD), რომელშიც მოსწავლეები ახალ ცოდნას ქმნიან "სოციალურად შუამავლობით ურთიერთქმედების გზით" [ბრაუნი, 2007: 287]. პროქსიმალური განვითარების ზონა არის ის სფერო, როცა მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად გააკეთოს ის, რაც მას შეუძლია მიიღოს მასწავლებლის დახმარებით ან ხელმძღვანელობით ან / და მასზე უფრო მცოდნე ან გამოცდილი თანატოლებისგან. ვიგოცკი ამტკიცებს, რომ ურთიერთქმედება ქმნის საყრდენს scaffolding - საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ერთი ადამიანი ეხმარება მეორეს, ვინც ვერ მოქმედებს დამოუკიდებლად. გარე საყრდენი scaffolding კი მოიცავს მოდელირებას, coaching, უკუკავშირს, ხოლო შიდა საყრდენი არის როდესაც მოსწავლე ჩართულია თვით მონიტორინგსა და უკუკავშირში (reflection).

ჯერომ ბრუნერი (1915 - 2016) არის ამერიკელი ფსიქოლოგი და კონსტრუქტივიზმის მიმდევარი, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სწავლა აქტიური პროცესია, რომელშიც მოსწავლეები ქმნიან ახალ წარმოდგენებს ან კონცეფციებს მათი ამჟამინდელი ან წარსულის ცოდნის გამოყენებით. ამ პროცესში ახალი ცოდნის ენის შესწავლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სიტყვიერი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა, რომელსაც სტუდენტები იღებენ მასწავლებლისგან, ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენას და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. ეს ხორციელდება მოსწავლეებისთვის კითხვების დასმის, "რეალურ და შინაარსობრივ კონტექსტში რთულ, ღია გამოკითხვაში მონაწილეობის ნების დართვა ... მრავალი შესაძლებლობის, როგორც დამაჯერებელი ასევე წინააღმდეგობრივი შესწავლა და გამოკვლევა" [ფოსნოტი, 1996: 29 ვაიმერის თანახმად, 2002: 13].

მიუხედავად იმისა, რომ თორიული აფუძველი არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პარადიგმის საფუძველი, სტუდენტზე ორიენტირებულობის ძირითადი მახასიათებლებია:

	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურ როლს ასრულებენ, ხოლო პროფესორ-მასწავლებელი არის მხოლოდ ხელმძღვანელი, აქტივატორი, სწავლის ხელშემწყობი;
	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტები ჩართულნი არიან მრავალფეროვან აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პრობლემის გადაჭრის, აღმოჩენითი სწავლის, იდეების გაზიარებას, ინფორმაციის ან / და მტკიცებულებების ანალიზის, დასკვნების გამოტანის, შედეგებისა და აღმოჩენების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების, სიმულაციების ა.შ დანერგვას;
	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტები არიან ავტონომიურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთ სწავლაზე, ისინი ირჩევენ თუ როგორ უნდა მიუდგეთ თემას, როდის გააკეთონ, რა ტემპითა და რომელ პარტნიორთან ერთად;
	<ul style="list-style-type: none"> • გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლა და თანატოლებთან თანამშრომლობა მისი არსებითი ნაწილია;
	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლისა და მასწავლებლის სახელით რეფლექსური მიდგომა გამოიყენება სწავლებისა და სწავლის პროცესის ხარისხთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადი მახასიათებლები შეესაბამება ადამიანის საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ზრდას, სოციალურ განვითარებასა და პიროვნულ კეთილდღეობას - კომპეტენციის, კავშირისა და ავტონომიის აუცილებლობას (რაიანი და დეკი, 2000). ეს ადამიანური საჭიროებები სტუდენტზე ორიენტირებული ფილოსოფიის შუაგულშია, რასაც სხვადასხვა მკვლევართათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან, იგი მჭიდროდ უკავშირდება ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას, ექსპერიმენტულ და კონსტრუქტივისტულ სწავლას, მათ შორის თვითმართვად სწავლებას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ჩვენთვის ნიშნავს:

სწავლების ისეთი ტიპი, რომელიც:

- ხორციელდება **სამოტივაციო კონტექსტში** - კონტექსტი, რომელშიც სტუდენტები გრძნობენ ცოდნის საჭიროებას, აქვთ არჩევანის გაკეთების უფლება და გარკვეულწილად აკონტროლებენ თავიანთ მიერ შესრულებულ ამოცანებს, იმ გზებს, რომლებშიც ითანამშრომლებენ, დავალებების ტიპებს, რომლებსაც ახორციელებენ;
- ქმნის **სტუდენტთა აქტიურობის** შესაძლებლობას - შერჩეული აქტივობები და ამოცანები ქმნიან პირობებს, რათა სტუდენტები ჩაერთონ საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში სხვადასხვა სახის სასწავლო პრაქტიკაში მონაწილეობის მიღებით, რაც უზრუნველყოფს პრობლემების სხვადასხვა გადაწყვეტილებების შესწავლას, ექსპერიმენტების ჩატარებას, კრიტიკულ აზროვნებას, სისტემურ ანალიზსა და სხვა შესაძლებლობებს;
- მოიცავს **სხვებთან ურთიერთობებს** - ინდივიდუალური, თანატოლებთან ან ჯგუფური მუშაობის ნიმუშები ეხმარება გაკვეთილისა და მისი დინამიკის ტემპის ცვლილებას, ხელს უწყობს სტუდენტების გუნდის ჩამოყალიბებას და სტუდენტთა პროდუქტიულობასა და მიღწევებს;
- შეიცავს კარგად სტრუქტურირებულ ცოდნის საფუძველს, რომელიც აერთიანებს სტუდენტების არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას ახალი მასალის ახსნაში, რათა სტუდენტები დაინტერესებული და მოტივირებული იყვნენ, რადგან ახალი მასალა შეესაბამება მათ წინა გამოცდილებას.
- სტუდენტს აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლისთვის, ხოლო მასწავლებელს განიხილავს როგორც ფასილიტატორს, რომელიც მოსწავლეებს დახმარებას უწევს ინდივიდუალური საჭიროებების, სწავლის სტილისა და სწავლის ტემპის გათვალისწინებით.

2. პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

ცვეტლინა ჰარაკჩისკა


ევროკავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებში პროფესორ-მასწავლებელზე ორიენტირებულიდან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლაზე გადასვლა განპირობებული იყო 2012 წელს, ბოლონიის ჯგუფის შეხვედრისას წამოყენებული იდეით ხელი შეეწყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისთვის, როგორც სტუდენტების პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გაზრდის საშუალებისთვის. პარადიგმის ეს ცვლილება ასევე იყო ECTS სისტემის (როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილის) დანერგვის ბუნებრივი შემდგომი განვითარება, რომელიც ეფუძნებოდა სწავლის შედეგებსა და განათლების ხარისხის, მისი გამჭვირვალობისა და აღიარების შედარებასა და კრიტერიუმების დანერგვას.

ვინაიდან, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება არის "სასწავლო გარემოში სტუდენტებისა და სხვა მოსწავლეებისთვის თვისობრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მათი ავტონომიისა და კრიტიკული უნარების გაძლიერებას შედეგზე დაფუძნებული მიდგომით" [Bologna follow-up group, 2014: 6], სტუდენტზე ორიენტირებულმა სწავლებამ საზოგადოებასა და, საგანმანათლებლო დაინტერესებული მხარეების სახელით, მასწავლებლებსა და ახალ მოლოდინებს ახალი გამოწვევები მოუტანა. უფრო მეტიც, ეს მოითხოვდა პროფესორ-მასწავლებლებისგან შეეძინათ და გაეთავისებინათ სწავლების ინოვაციური მეთოდები და ხელს უწყობდა მასწავლებლისა და სტუდენტების როლის ტრანსფორმაციას - პროფესორ-მასწავლებლები უნდა გახდნენ ფასილიტატორები, ხელმძღვანელები, მოსწავლეთა მხარდამჭერები, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა იყვნენ არა მხოლოდ აქტიური თანამშრომლები და სასწავლო პროცესის მონაწილეები, არამედ ასევე ავტონომიური მოსწავლეები, რომლებიც საკუთარ სწავლას უდგანან სათავეში.

იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლების კომპეტენციები და უნარები ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ნებისმიერი საგანმანათლებლო მიდგომის წარმატებული და გლუვი ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ცოდნასა და პრინციპების გააზრებას და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდების მდიდარი სპექტრის დანერგვის უნარებს. გარდა ამისა, საჭიროა შეიცვალოს მასწავლებელთა აღქმა მათი როლის შესახებ საკლასო ოთახში - ცოდნისა ავტორიტარული გადამცემისა და სასწავლო გარემოს მაკონტროლირებელიდან, სტუდენტებთან კონსტრუქციულ თანამშრომლებამდე. აღქმის ეს ცვლილება არ არის მარტივი პროცესი და მოიცავს არა მხოლოდ

პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ სასწავლო პროგრამებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საგანმანათლებლო პოლიტიკას, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მხარდაჭერას და მოცემულ საგანმანათლებლო კონტექსტში არსებულ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ვარიანტებს. ამ მხრივ კარგი დასაწყისია სასურველი კომპეტენციების განმარტება, რომელსაც 21-ე საუკუნის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები უნდა ფლობდნენ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მიზნით.

ამ კომპეტენციების სასარგებლო და ზუსტი იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია ორი ორგანიზაციის მიერ - "მომავლის სამსახურები" და "სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭოს" ნაშრომში *განმანათლებელთა კომპეტენციები პერსონალიზებული, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისათვის* (2015). მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი მიმართულია სკოლის პედაგოგებისკენ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების აღსაწერად,, რადგან მასში შემავალი დომენები - შემეცნებითი, ინტეპერსონალური, ინსტრუქციული - შეესაბამება მთლიანად მასწავლებლის პროფესიას (ნახატი 1).



ნახატი 1. მასწავლებლის კომპეტენციების დომენები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

შემეცნებითი განზომილება (ცოდნის საჭიროება)

ეს განზომილება გულისხმობს იმას თუ "მასწავლებლებმა რა უნდა იცოდნენ, რათა შეიქმნას პერსონალიზებული, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო. ეს მოიცავს როგორც საგნის შინაარსის ცოდნას, ასევე ადამიანურ და ტვინის განვითარებას, რაც საჭიროა სტუდენტთა შინაარსის შესწავლისა და მეტაკოგნიტური განვითარების ხელშეწყობისთვის (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციული წიგნიერება, მსჯელობა, არგუმენტაცია, ინოვაცია, თვით-მართვა და სწავლის ჩვევები)" [მომავლის სამსახურები და მთავარი სახელმწიფო სკოლის ოფიცერთა საბჭო, 2015: 8].

მაგალითი: უნივერსიტეტის ლექტორმა, რომელიც არის ფიზიკის სპეციალისტი და ასწავლის მატერიის მეცნიერებას იცის მატერიის სტრუქტურაც და ტრანსფორმაციაც და, ასევე, როგორ ასწავლოს მათ შესახებ. მან ასევე იცის კურსის შინაარსის რომელი ასპექტებია განსაკუთრებით ძნელი დაბალი ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტებისთვის. ახალი მასალის ათვისებისთვის ის შეიძენს ახალ ცოდნას შერეული უნარების მქონე ჯგუფთან მუშაობის გზების შესახებ.

წარმატებული განმანთლებლები, რომლებიც ეფექტურად და ეფექტიანად მუშაობენ იმისთვის, რომ შექმნან და შეინარჩუნონ სტუდენტზე ორიენტირებული კონტექსტი:

- იყენებენ შინაარსის სიღრმისეული გააზრებისა და სტუდენტთა ჩართულობის მეთოდს თითოეული სტუდენტის უკეთესი სწავლისთვის
- იცნობს იმ უნარებს, რომლებიც ჩართულია ეფექტურ კომუნიკაციაში და იყენებს მათ სწავლების სტრატეგიებში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ კომუნიკატორებად ჩამოყალიბებას
- აცნობიერებს და იყენებს სტუდენტთა მეტაკოგნიტური, თვითკონტროლის და თვითდაყინების უნარების გამოყენების ტექნიკებს.

[მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015:8-9].

ინტრაპერსონალური დომეინი (ანალიზის საჭიროება)

ზოგადი შესაძლებლობა მართოს ქცევები და ემოციები საკუთარი მიზნების მისაღწევად ან პირადი შესაძლებლობების პერსონალიზების მიზნით, სტუდენტზე

ორიენტირებულმა განმანათლებლებმა უნდა გაანალიზონ. იგი გულისხმობს გონების ჩვევებს, მოსწავლეთა მოლოდინს და სწავლების პროფესიის შესახებ მოსაზრებებს, რაც პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ "[მომავლის სამსახურები და მთავარი სახელმწიფო სკოლის დირექტორების საბჭოში, 2015: 10].

მაგალითი: უნივერსიტეტის ლექტორს ჰყავს ძალიან მორცხვი მოსწავლე, რომელიც იშვიათად იწევს ხელის მასწავლებლის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. მას ასევე ინდივიდუალურად მუშაობა ურჩევნია და ჩვეულებრივ მშვიდადაა, როდესაც თანატოლებთან ერთად გუნდში მუშაობს. ლექტორის მიერ დასმულ კითხვაზე, როგორც წესი, სწორი და მისაღები პასუხები აქვს. ერთ დღეს ის ხელს იწევს კითხვაზე საპასუხოდ,, რისთვისაც მასწავლებელი აქებს, რადგან რისკის გაწევა ღირებული გამოცდილებაა საკლასო ოთახში.

წარმატებული განმანათლებლები, რომლებიც ეფექტურად და ეფექტიანად ქმნიან სტუდენტზე ორიენტირებულ კონტექსტს:

- "არიან თითოეული მოსწავლის ერთგულნი - განსაკუთრებით ისტორიულად მარგინალიზებული და / ან საჯარო უმაღლესი განათლების ყველაზე ნაკლებად მოსარგებლენი - აღწევენ კოლეჯის, კარიერისა და სამოქალაქო მზადყოფნის მიზნებს.
- წარმოაჩენენ სწავლებისა და სწავლისათვის ინდივიდუალური, სტუდენტზე ორიენტირებული ხედვის მიმართ ორიენტაციასა და ერთგულებას.
- შეუპოვრობისა და პიროვნული ზრდისკენ მისწრაფების მიზანმიმართულად ადაპტირება და მოდელირება
- ხელი შეუწყოს და პრრიორიტეტი მიანიჭოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კულტურაზე გადასვლას და შენარჩუნებას.
- წარმოაჩენენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში პროფესიული სწავლის მიმართ ორიენტაციასა და მონდომებას
- პირადი გამოცდილების გასაუმჯობესებლად მტკიცებულებების ანალიზი "

[მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015: 10 – 12]

ინტერპერსონალური დომენი (კავშირის საჭიროება)

"აზრის გამოხატვის, მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და მასზე რეაგირების ზოგადი უნარი. ინდივიდუალური მიდგომის, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგების კავშირის საჭიროება, ეს დომენი მოიცავს სოციალურ, პიროვნულ და ლიდერულ უნარებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებთან, თანატოლებთან და ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობებს

[მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015: 12].

მაგალითი: უნივერსიტეტის ლექტორები მჭიდროდ თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა შეიმუშავონ კურსები, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამავდროულად, განმანათლებლები სწავლობენ სტუდენტთა საჭიროებებს და ცდილობენ მოარგონ კურიკულუმი და კურსის შინაარსი. იმისთვის, რომ სტუდენტებს დაეხმარებონ შესაბამისი და სათანადო სწავლის გამოცდილების მიღებაში, ლექტორები კურსის შინაარსის შემუშავებაში რთვენი ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და სტუდენტებს, რათა სამუშაო ბაზრის მონაწილენი პირადად შეხვდნენ და განიხილონ კურსის შინაარსი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები.

წარმატებული პედაგოგები, რომლებიც ეფექტურად და ეფექტიანად ქმნიან სტუდენტზე ორიენტირებულ კონტექსტს:

-
- "დადებითი სასწავლო გარემოს (კერძოდ, სკოლისა და საკლასო კულტურის) რომლებიც მხარს უჭერენ ინდივიდუალურ და ერთობლივ სწავლებას დიზაინი, გაძლიერება და მონაწილეობა'.
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების ხედვა.
- ძლიერი კავშირების განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ წარმატებას.
- კოლეჯისა და კარიერის ხელმისაწვდომობისა და წარმატების ხელშეწყობა ყველა სტუდენტისთვის, განსაკუთრებით ისტორიულად მარგინალიზებული და / ან საჯარო უმაღლესი განათლების ყველაზე ნაკლებად მოსარგებლენი წინა გამოცდილების, დემოგრაფიის, სწავლის სტილის ან კულტურის განსხვავებულობის გამო.
- შესაბამისი ინდივიდუალური ან ერთიანი მმართველი როლის ძიება, პროფესიული ზრდის, წინსვლისა და სტუდენტების მიერ სწავლასა და წინსვლაზე პასუხისმგებლობის გაზრდის წახალისება"

[მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015: 12 – 15]

ინსტრუქციონალური დომენი (კეთების საჭიროება)

"პროფესორ-მასწავლებელთა უნარი აღწერონ რა სჭირდებათ პერსონალიზებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ განმანათლებლებს იმისთვის, რომ თავიანთ საკლასო ოთახში დანერგონ სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიური ტექნიკა. ეს

მოიცავს ჩართულობის და შესაბამისი სასწავლო გეგმის შექმნას, საკლასო დინამიკის მართვისა და სწავლების მეთოდების გამოყენებას (მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015:13).

მაგალითი: კონკრეტული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში შემუშავებული და დანერგილი ელექტრონული სწავლების სისტემა საშუალებას აძლევს ლექტორებს თითოეული კურსის შემდეგ შეამოწმონ სტუდენტების შედეგები ავტომატურად გენერირებული ტესტების მიხედვით. ამგვარად, ლექტორებს საშუალება ექნებათ მისცენ უკუკავშირი ან რჩევა თითოეულ სტუდენტს ყოველკვირეულად ჩატარებული ონლაინ კონფერენციის დროს. ეს ასევე საშუალებას აძლევს პროფესორ-მასწავლებელს, შეიქმნას წარმოდგენა იმ საკითხების სირთულეების დონეზე, რომელიც შესულია კურსში და მისცეს დამატებითი დავალებები იმ სტუდენტებს, რომლებსაც დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ იმუშაონ მათ თანატოლებთან ამ დამატებით ამოცანებზე ან საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ კონსულტაცია კურსის პროფესორ-მასწავლებლისგან.

წარმატებული განმანათლებლები, რომლებიც ეფექტურად და ეფექტიანად მუშაობენ, რათა შექმნან და შეინარჩუნონ სტუდენტზე ორიენტირებული კონტექსტში ითვალისწინებენ შემდეგს:

- იყენებს განათლებისადმი ოსტატურ მიდგომას
- შეფასებას და მონაცემებს იყენებენ როგორც სწავლის ხერხებს;
- თითოეულ ადამიანს არგებენ სწავლის პროცესს;
- ხელს უწყობენ სტუდენტების მიერ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას;
- ნებისმიერ დროს და ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფენ რეალური სამყაროს შეცნობის შესაძლებლობებს სწავლის მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- ნერგავენ და ხელს უწყობენ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას;
- იყენებენ თანამშრომლობით ჯგუფურ სამუშაოებს
- სწავლის პროცესში იყენებენ ტექნოლოგიებს.

[მომავლის სამსახურები და სახელმწიფო სკოლების დირექტორების საბჭო, 2015:

16 – 19]

სახელმძღვანელოს მიმდინარე ნაწილში წარმოდგენილი უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის კომპეტენციები მოკლედაა მიმოხილული. სხვადასხვა ინდიკატორებზე უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ტრენინგ მოდულებში, სადაც განხილულია 7C-ს პრინციპები (იხ. მე-6 სასწავლო მასალა:

პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელოს პირველი მოდულიდან).

3. სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგია - სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების მოკლე მიმოხილვა

ცვეტელინა ჰარაკჩისკა

სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილში მოცემულია მოკლე ინფორმაცია სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების შესახებ, რომელიც შერჩეულ იქნა STAR-ის კონსორციუმის წევრების მიერ, როგორც სწავლებისა და სწავლის მაგალითი, რომელიც უნდა დაინერგოს ორ პარტნიორ ქვეყანაში - ჩინეთსა და საქართველოში.

4.1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა, რომელიც მაკმასტერის უნივერსიტეტში, კანადაში, წარმოიშვა. იგი დაარსდა 1966 წელს, როდესაც შეიკრიბნენ განათლების სპეციალისტები - ჯიმ ანდერსონი, ჰოვარდ ბაროუსი და ჯონ ევანსი ახალი სამედიცინო კურიკულუმზე სამუშაოდ.. მათი იდეა იყო საკლასო ოთახში რეალური პრობლემების პრეზენტაცია და "სტიმულირებადი პაციენტები საგანმანათლებლო მიზნებისთვის" [ვან ბერკელი, 2010: 6]. ეს ინოვაციური მიდგომა 1974 წელს დაინერგა მასატრიხტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების) სამედიცინო ფაკულტეტზე და შემდგომი წლების განმავლობაში კიდევ განვითარდა და ორი ძირითადი მიზნის მიღწევა დაიგეგმა - სხვადასხვა პრობლემებზე დაყრდნობით სპეციფიკური ცოდნის შეძენა და კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება.

პრობლემები წარმოადგენს ძირითად ელემენტებს, რომლებიც გულისხმობენ ცოდნის შეძენას და სწავლის პროცესში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. ისინი აკავშირებენ ერთმანეთს სტუდენტის ადრე მიღებულ ცოდნასა და ახალ მასალას, რადგან ისინი წარმოადგენენ რეალისტურ კონტექსტს, რომელშიც სტუდენტები პრობლემის გადაჭრისას შესაბამის ინფორმაციას შეისწავლიან და ასინთეზირებენ. ისინი მუშაობენ მცირე ჯგუფებში, რაც ეფექტური კომუნიკაციის, დამოუკიდებლად აღმოაჩენილი ინფორმაციის გაზიარებისა და სიტუაციის სავარაუდო შედეგების იდენტიფიცირების საშუალება აქვთ.

ვინაიდან, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება (PBL) შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დისციპლინაში, საკლასო ოთახში განხორციელებული პრობლემების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმებით (დუჭი, გროვი და ალენი, 2011):

- პრობლემა სტუდენტებისთვის უნდა იყოს რთული და მამოტივირებელი.

- პრობლემა, რომელიც შეიძლება იყოს თავსატეხის, ქეისის, შეკითხვის და ა.შ. სახით უნდა მოითხოვდეს სტუდენტებისგან კრიტიკულ აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღებას.
- პრობლემა დაკავშირებული უნდა იყოს კურიკულუმთან, სწავლებისა და სწავლის ზოგად მიზნებთან და იწვევდეს სტუდენტების საგნობრივი ცოდნისა და შესაძლებლობების გაღრმავებას კომუნიკაციისა და ტრანსფერული (soft) უნარების პარალელურად.
- პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისას სტუდენტი უნდა ჩაერთოს თანამშრომლობით სწავლაში, სადაც მათ უნდა მოიძიონ სხვადასხვა ცნებები და ინფორმაცია.
- პრობლემის გადაჭრის პირველი ნაბიჯები უნდა იყოს ღია ტიპის პასუხის, რათა სტუდენტებს ყურადღება მიიპყრონ, გაიღვიძონ მათი ცნობისმოყვარეობა და ჩართონ გადაწყვეტილების ძიების პროცესში.

PBL-ის სწავლების პროცესი მოიცავს ეტაპებს ან ნაბიჯებს, რომლებსაც სტუდენტები უნდა გაეყენონ იმისათვის, რომ პრობლემის გადაჭრის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიონ. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარებს შორის არ არსებობს შეთანხმება ეტაპების რაოდენობაზე (მაგალითად, შმიტი (1983) ვარაუდობს, რომ არსებობს 7 ეტაპი, ხოლო ბუდი და ფელეტი (1997) მხოლოდ 4 ეტაპს გამოყოფენ), PBL-ის ზოგადი პროცესი მოიცავს 3 ეტაპიან ციკლს (სურათი 2).



სურათი 2. PBL სწავლების ციკლი

PBL-ში ლექტორებს აქვთ ფასილიტატორის როლი. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სტუდენტი ჩართულია სწავლის პროცესში პრობლემის შესწავლისას მხარდაჭერის შეთავაზებითა და მათ თანატოლების ეფექტურად თანამშრომლობის

სტიმულირებით. მათ არ უნდა "გადასცენ ცოდნა სტუდენტებს [ვან ბერკელი, 2010: 14], არამედ უნდა ითანამშრომლონ მათთან, დასვან და უპასუხონ კითხვებს, ისწავლონ, **■** თუ როგორ უნდა მოიძიონ ინფორმაცია ინდივიდუალურად და მოახდინონ საკუთარი ცოდნის სტრუქტურირება და რესტრუქტურირება.

მეორე მხრივ, **სტუდენტები** თვითრეგულირებად სწავლებაში მიიღებენ მონაწილეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა დავალების შესრულებაში, არამედ მათ მიერ ხდება საკუთარი სწავლის პროცესის კონტროლიც. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ თვითრეგულირებული სტუდენტები თავიანთ ისწავლის მიზნებს განსაზღვრავენ, შესაბამის სასწავლო სტრატეგიებს შეარჩევენ, რომლებიც განსაზღვრულია მიზნების მისაღწევად, პრობლემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ძიებისას და ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზისას საკუთარი პროგრესის მონიტორინგს ახორციელებენ და აფასებენ შედეგებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თვითრეგულირებული სწავლება არის აქტივობა, რომელიც ავითარებს სტუდენტების მეტაკოგნიტურ, მოტივაციურ და ქცევითი უნარ-ჩვევებს (ზიმმერმანი და შუნკი, 2013).

სტუდენტები ასევე მონაწილეობენ ერთობლივ და შინაარსობრივ სწავლებაში, რადგან ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ, ინფორმაციის გაზიარებისას და ახდენენ ცოდნის ერთობლივად დაგროვებას შინაარსობრივ კონტექსტში წარმოდგენილი პრობლემების წინაშე.

4.2. დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (TBL)

დავალებაზე დაფუძნებული სწავლება არის მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ენის სწავლებასთან. ის წამოვიდა კომუნიკაციური ენის სწავლებიდან, რომლის საშუალებითაც განმანათლებლებმა გააცნობიერეს, რომ ენის სწავლება შესაბამისობაში უნდა იყოს სტუდენტების საჭიროებებთან და მათ უნდა უზრუნველყონ ენის გამოყენების შესაძლებლობა ლექციაზე.

დავალებაზე დაფუძნებული სწავლება ეყრდნობა შემდეგ თეორიულ პრინციპებს:

- დავალებები წარმოადგენს სილაბუსის ნაწილებს, რადგან ისინი განსაზღვრავენ, თუ რა შედეგებს უნდა მიაღწიონ ენის მეშვეობით და არა თავად ენობრივ საკითხებში.
- "სწავლა ეფექტური იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან და მოიცავს შესაბამის ფორმასა და მნიშვნელობას" [კარტერი და ნუნანი, 2001: 176]

არსებობს ტერმინის “დავალება” მრავალრიცხოვანი განმარტებები. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნება ეკუთვნის ლონგს (1985), რომელიც საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციას ახდენს იმაზე, თუ რაა დავალება: "დავალება საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის, თავისუფლად ან გარკვეული ჯილდოსთვის ნაკისრი სამუშაოს შესრულებაა. აქედან გამომდინარე, დავალების მაგალითებია: ღობეზე ხატვა, ბავშვის ჩაცმა, ფორმის შევსება, ფეხსაცმლის შექმნა, ავიაბილეთების დაჯავშნა, ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანა და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "დავალება" ნიშნავს ასეთ რამეს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამსახურში, დადგმასა და ა.შ." [ლონგი, 1985: 89]. ეს განმარტება არ ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მის გამოყენებას, რადგან ის უფრო ორიენტირებულია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ზოგიერთი განსაზღვრება, რომლებიც უფრო სასწავლო პროცესზე ფოკუსირებული და ორიენტირებულია ეკუთვნის რიჩარდს, პლატსა და ვებერს (1986) და პრაუჰუსს (1987). რიჩარდსი, პლატი და ვებერი (1986) "ამოცანაა ეს არის აქტივობა, რომელიც ხორციელდება ენის დამუშავების ან გაცნობიერების შედეგად" [რიჩარდსი, პლატი და ვებერი, 1986: 289], პრაუჰუსისთვის (1987) ეს არის "აქტივობა, რომელიც სტუდენტებისგან მოითხოვს მოცემული ინფორმაციიდან გარკვეული აზროვნების მეშვეობით მიაღწიონ შედეგს და რომელიც საშუალებას აძლევს ლექტორებს გააკონტროლონ და დაარეგულირონ ეს პროცესი" [Prabhu, 1987: 17]. მკვლევართა პირველი ჯგუფის განსაზღვრება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც, მაგალითად, ენის შემსწავლელი სტუდენტები ახორციელებენ საქმიანობას მითითებული ინსტრუქციების ან დავალებების მიხედვით; და რომ პრაკტიკა გულისხმობს, რომ სტუდენტები ყურადღება ამახვილებენ ინფორმაციის დამუშავებაზე, რათა მიაღწიონ დასახულ მიზანს. ანალოგიური მიდგომა გამოიხატება განმარტების კრუქსის (1986) ინტერპრეტაციაში, რომელიც გულისხმობს, რომ ამოცანები არის "დავალება ან საქმიანობა, როგორც წესი, განსაზღვრული მიზნით, განხორციელებული როგორც საგანმანათლებლო კურსის ნაწილი, სამსახურში , ან კვლევის მონაცემების მისაღებად"[Crookes, 1986: 1].

დავით ნუნანი (1989) გვთავაზობთ ტერმინის განსხვავებულად ხედვის გზას. მისი თქმით, ამოცანაა "საკლასო დავალება, რომელიც აიძულებს სტუდენტებს გამოიყენონ სამიზნე ენა გაგების, მანიპულირების, შექმნისა თუ ინტერაქციის დროს, ხოლო მათი ყურადღება ძირითად ფოკუსირებულია მნიშვნელობაზე, ვიდრე ფორმაზე" [ნუნანი, 1989: 10]. იგი უპირატესობას მნიშვნელობას ანიჭებს და არა ფორმას (მაგ. სიტყვის გრამატიკული და სინტაქსური სტრუქტურა), როდესაც ენის შემსწავლელი სტუდენტები ერთმანეთთან აუდიტორიაში სამიზნე ენაზე ურთიერთობენ.

ამოცანების დამახასიათებელი თვისებები შეაჯამა როდ ელისმა (2003). მისი თქმით, თითოეული ამოცანას აქვს შემდეგი მახასიათებლები [ელისი, 2013: 9 - 10]:

- (1) **"ამოცანა სამუშაო გეგმა"** - ეს არის გეგმა, რომელსაც სტუდენტი ახორციელებს პროფესორ-მასწავლებლის მიერ წინასწარი მომზადებული მასალების გამოყენებით.
- (2) **"ამოცანა პირველად აქცენტს მნიშვნელობას ანიჭებს"** - ამოცანების შესასრულებლად სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ სამიზნე ენა, რათა შეავსონ ინფორმაციული დანაკლისი. ამის გაკეთებისას ისინი სვამენ და პასუხობენ კითხვებს მნიშვნელობის და არა ფორმის გასაგებად. საკომუნიკაციო სიტუაციის მონაწილეები არჩევენ თუ რომელი ლინგვისტური და არა-ლინგვისტური რესურსი გამოიყენონ ამოცანების შესასრულებლად.
- (3) **"ამოცანა მოიცავს ენის გამოყენების რეალურ პროცესებს"** - ამოცანები შეიძლება წარმოადგენდეს რეალურ ცხოვრებას - მაგ. გზის (მიმართულებების) კითხვა და სწავლება, სურათში მსგავსებების და განსხვავებების პოვნა, შეხვედრის ადგილისა და დროის დაგეგმვა და ა.შ.
- (4) **"ამოცანა შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ოთხ უნარ-ჩვევას"** - მოსწავლეებს შეუძლიათ მოუსმინონ ტექსტს და უპასუხონ კითხვებს მის გარშემო იმისთვის, რომ გამოამჟღავნონ რამდენად კარგად გაიგეს იგი; სტუდენტებს შეიძლება სთხოვონ ტექსტის სხვადასხვა დასასრულის დაწერა ან ზეპირ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება.
- (5) **"ამოცანა გულისხმობს შემეცნებით პროცესებს"** - ამოცანის შესასრულებლად სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ კოგნიტური პროცესები - ჩამოთვალონ, დააღაგონ, დაახარისხონ, ჩაატარონ მოცემული ინფორმაციის კლასიფიცირება, ანალიზი ან / და შეჯამება. ეს პროცესები გავლენას ახდენს ენების იმ ტიპზე, რომლებსაც სწავლის პროცესში სტუდენტები გამოიყენებენ, მაგრამ ფორმების არჩევანი უშუალოდ მათზეა დამოკიდებული.
- (6) **"ამოცანას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული კომუნიკაციური შედეგი"** - ეს კომუნიკაციური შედეგი შეიძლება იყოს არა-ლინგვისტური, მაგრამ შედეგის მიღწევა სტუდენტებს მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების პროცესში რთავს.

ეს მახასიათებლები განსაზღვრავს როდ ელისის (2003) მიერ წარმოდგენილი ამოცანის უფრო საფუძვლიან და დეტალურ განმარტებას, რომელიც მიღებულ იქნა როგორც განმარტება ამ სახელმძღვანელოსთვის:

ამოცანა არის სამუშაო გეგმა, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან ენის პრაგმატულად დამუშავებას, რათა მიაღწიონ იმ შედეგს, რომელიც შეიძლება შეფასდეს თუ რამდენად სწორი ან სათანადო

შინაარსი იქნა გადმოცემული. ამ მიზნით, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ მნიშვნელობას და გამოიყენონ საკუთარი ენობრივი რესურსები, თუმცა ამოცანის დიზაინი შეიძლება კონკრეტული ფორმების შერჩევას მოითხოვდეს. ამოცანა მიზნად ისახავს ენის გამოყენებას, რომელიც ატარებს პირდაპირ თუ ირიბ მსგავსებას ენის რეალურ სამყაროში გამოიყენებასთან. სხვა ენობრივი აქტივობების მსგავსად, ამოცანას შეუძლია გამოიყენოს პროდუქტიული ან მგრძობიარე და ზეპირი ან წერილობითი უნარი, ასევე სხვადასხვა შემეცნებითი პროცესები.

[ელისი, 2003: 16]

TBL-ს პოპულარიზაციას ბანგალორში, ინდოეთში ბანგალორის/მადრას კომუნიკაციურ პროექტზე მუშაობისას პრაუჯუ უწევდა. მისი კვლევა ეფუძნებოდა დახმარებას, რომელსაც სტუდენტები იღებენ და კოგნიტურ პროცესზე, რომელსაც ისინი იყენებენ ენობრივი ამონაცის შესასრულებლად. მისი დასკვნის შედეგად, პრაუჰუ (1987) გვთავაზობს ამოცანების კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის ნაკლებობის პრინციპს - სტუდენტები მუშაობენ წყვილებში და წყვილში ერთ-ერთი სტუდენტი ფლობს ინფორმაციის ნაწილს, იმისთვის, რომ "შეავსოს ინფორმაციის ნაკლებობა", მან უნდა ითანამშრომლოს სხვა სტუდენტთან, რათა მიიღოს ინფორმაციის დარჩენილი ნაწილი. ენის გაკვეთილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას სამი ტიპის ამოცანები:

- ინფორმაციის შევსება - მაგ. სტუდენტებმა უნდა გადაიტანონ ინფორმაცია ტექსტიდან ცხრილში ან გააკეთონ დიალოგი, რომელიც უნდა შეავსონ ცხრილიდან მიღებული საჭირო ინფორმაციით;
- დასაბუთება - სტუდენტებმა უნდა გამოიტანონ დასკვნები მიცემული ინფორმაციის საფუძველზე (მაგალითად, ექიმის განრიგი პაციენტის ექიმებისგან მიღებული ინფორმაციის ან პრობლემის გადაჭრის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე);
- აზრის ჩამოყალიბება - მაგ. მოსაზრებების, ამბის მოყოლა და ა.შ.
- აზროვნება - სტუდენტებმა უნდა გამოიყანონ დასკვნები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (მაგალითად, ექიმის განრიგის შესახებ პაციენტებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თუ როგორ შეასრულა მისი ფუნქციები ან როგორ გადაჭრა გარკვეული პრობლემა);
- მოსაზრებების ჩამოყალიბება - მაგალითად, რაიმე საკითხზე საკუთარი აზრის გამოთქმა, ან რაიმე ისტორიის განსხვავებული დასასრულის მოფიქრება და ა.შ.

ჯეინ უილისი (1996) გვთავაზობს ამოცანების კატეგორიების უფრო თანმიმდევრულ კლასიფიკაციას:

- **ჩამონათვალის გაკეთება** (ნივთების, ადამიანების, ქმედებების, პროცესების და ა.შ.) - ეს მიიღწევა ტექსტის წაკითხვით, გონებრივი იერიშით, შესაბამისი მასალების გამოყენების და ა.შ.
- **დალაგება და დახარისხება** (მაგ. თანმიმდევრობით, რანჟირებით, კლასიფიკაციით და ა.შ.) - სტუდენტებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები დალაგებისა და დახარისხების პრინციპების შესახებ და მოიყვანონ მტკიცებულებები ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად;
- **მსგავსებების და განსხვავებების პოვნა** (მაგ. სურათების, დიაგრამების, ტექსტების და ა.შ.) - სტუდენტები იპოვნიან ორ მასალაში მსგავსებებსა და განსხვავებებს;
- **პრობლემის მოგვარება/ამოცანების ამოხსნა** (მაგ. ლოგიკური ამოცანების, ენობრივი თავსატეხების და ა.შ.) - ამ ამოცანების შესრულება მოიცავს ლოგიკურ აზროვნებას, ინფორმაციის ანალიზის უნარს, დასკვნების გამოტანას და ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას;
- **პირადი გამოცდილების გაზიარება** (მაგალითად, საკუთარი სახლისა და სკოლის პირველი დღის აღწერა, პირადი ისტორიის მოსმენა და რეაგირება, და ა.შ.) - სტუდენტი აზიარებს ზეპირ ტექსტს და მისი პარტნიორი ადარებს მას საკუთარ გამოცდილებას;
- **შემოქმედებითი ამოცანები და პროექტები** (მაგ. შემოქმედებითი წერა, კვლევის ჩატარება და ანგარიშგება და ა.შ.).

TBL-მა მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, რადგან მან წამოჭრა უამრავი კითხვა ენის სწავლების ტრადიციულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. ენის სწავლების ტრადიციული ლექტორები იყენებენ შემდეგ სამ ეტაპს, რომელიც ცნობილია როგორც PPP (პრეზენტაცია, პრაქტიკა და წარმოება)

ამოცანებზე დაფუძნებული სწავლის დროს, ეს ტრადიციული მეთოდოლოგია გადაიხედება. ჯეინ უილისი (1996) ვარაუდობს, რომ ენის გაკვეთილს უნდა ჰქონეს შემდეგი სამი ეტაპი:

1. *ამოცანამდელი* - თემის და ამოცანის შესწავლა;
2. *ამოცანის ციკლი* - ამოცანის მომზადება და შესრულება;
3. *ამოცანის შემდეგ* - ანალიზი და პრაქტიკა.

ამოცანამდელ ეტაპზე ლექტორი წარადგენს, თუ რა მოლოდინია სტუდენტებისგან ამოცანის ეტაპზე. იგი გაკვეთილის თემას განიხილავს და ხაზს უსვამს სასარგებლო ფრაზებს, ლექსიკურ მარაგს ან გრამატიკულ სტრუქტურებს. პროფესორ-მასწავლებლის გადასაწყვეტია, თუ რა ეტაპზეა აუცილებელი ენაზე მუშაობა. ამ ეტაპი თავის მხრივ ორ ეტაპს მოიცავს:

ამოცანის მოსამზადებელი ეტაპი გამოყოფილია ამოცანისწინანდელი ეტაპისგან, რადგან ის ეხმარება ლექტორს ამოცანისთვის ენის სტუდენტთა მოსამზადებლად. მაგალითად, თუ პირველ ეტაპზე სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გარკვეულ თემებზე გონებრივ იერიშში, ამ ეტაპზე მათ შეეძლოთ ჩართული ყოფილიყვნენ ამავე თემების მიმართ საკუთარი გრძნობების ან დამოკიდებულების გამოხატვით, ან მოემზადონ დებატებისთვის, ან მოამზადონ ანგარიში თემაზე.

ამოცანის ციკლში სტუდენტები აწარმოებენ / ასრულებენ / წარმოადგინონ თავიანთ ამოცანებს - მაგ. პლაკატის მომზადება, როლური თამაშის წარმოდგენა, პრეზენტაციის ჩატარება და სხვა. როგორც წესი, ამ ეტაპზე ლექტორს დამკვირვებლის ან მრჩევლის როლი აქვს.

ამოცანის შემდგომ ეტაპზე არსებობს რამდენიმე ვარიანტი:

- a. ენაზე ფოკუსირება - სტუდენტები ახორციელებენ დავალებას, ლექტორს შეუძლია ჩაინიშნოს შენიშვნები ენაზე: შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ლექსიკა? იყო თუ არა რაიმე სტრუქტურები, რამაც გაუგებრობა გამოიწვია? შეიძლებოდა სხვა ენის სტრუქტურები გამოყენებულიყო, რათა ენა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო? ამოცანის დასასრულს სტუდენტებს შეუძლიათ ისევ შეისწავლონ დავალება და უკეთ გაიაზრონ გამოყენებული ენა.
- b. უკუკავშირი და შეფასება - პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებელია სურდეს, განიხილოს დავალების რეალიზაციის წარმატება და წამოაყენოს მისი გაუმჯობესების წინადადებები. სტუდენტებმა შეიძლება ისაუბრონ იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობდნენ ერთად. ლექტორისთვის შეფასების შედეგი სასარგებლოა სხვა ამოცანების დაგეგმვისას.
- c. გააზრება დავალების რეალიზაციის დასრულებისას - სტუდენტებმა შეიძლება განიხილონ რამდენად სასიამოვნო იყო დავალებაზე მუშაობა ჯგუფში.
- d. ენის გააზრება - უზრუნველყოფს ენის შემდგომი გამოყენების ან პრაქტიკის შესაძლებლობას.

- e. თანატოლთა წინადადებები - სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორს სთხოვონ ამოცანებში გამოყენებული ენობრივი სტრუქტურების ზოგიერთი ახსნა-განმარტება;

ამონაცაზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ის სტუდენტზე ორიენტაციის და აუდიტორიაში მნიშვნელოვანი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. თუმცა, SLA-ის კვლევა გვიჩვენებს, რომ ენის სწავლება არის პროცესი, რომელიც არ არის **სწორხაზოვანი** - ეს არის განვითარების პროცესი, რომელიც შეგნებულად არ კონტროლდება. როგორც რონალდ კარტერი და დევიდ ნუნანი (2001) აღნიშნავენ ამოცანაზე დაფუძნებული სწავლება მიზნად ისახავს ენის სწავლების ბუნებრივი პროცესს და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ ენობრივ აქტივობებს, ის გამოწვევებს, რომლებიც მათ წინაშეა, უკავშირდება დავალების ფორმას, რომელმაც უნდა მიმართოს სტუდენტთა ყურადღება ენობრივი ფორმისკენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი აცხადებს, რომ დავალებაზე დაფუძნებული სწავლება არაეფექტურია დაწყებითი და ელემენტარული საფეხურის სტუდენტებისათვის. მიუხედავად ამისა, მას აქვს პრაქტიკული შედეგები, რომელთა იგნორირებაც არ შეიძლება.

4.3. აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლება


აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლება არის აქტიური სწავლის მიდგომა, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივიზმის თეორიას. იგი თავდაპირველად შემოთავაზებული იყო ჯერომ ბრუნერის მიერ (1915 - 2016 წწ.), როცა იგი მუშაობდა 1960-იან და 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მეცნიერების სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. ბრუნერი მიიჩნევდა, რომ რეალური სწავლება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც "სტუდენტი თავად ჭრის პრობლემას" [კონკლინი და სტიქსი, 2014: 179], რადგან ისინი უკეთესად იხსენებდნენ ცნებებს, მოდელებს ან ახალ ცოდნას, რომელიც მათ თავად შეიძინეს. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, სტუდენტები დაეყრდნონ თავიანთ მანამდე არსებულ ცოდნას სამყაროს შესახებ ახალი ინფორმაციის მისაღებად ობიექტების მანიპულირების, გარემოს შესწავლის და სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების გზით.

სტუდენტებისა და ტუტორების ურთიერთობა არის აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლების აუცილებელი ელემენტი. ლექტორი უზრუნველყოფს მასალას და ამოცანებს, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების მიერ კითხვების დასმას და მათზე პასუხების ძიებას, პრინციპების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრას ახალი ცოდნის შექმნისას. გამოსაყენებელმა სასწავლო მასალებმა პროვოცირება უნდა გაუკეთოს სტუდენტის მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავებას,

ცოდნის სტრუქტურირებას და გარე მოტივაციის(extrinsic) შიდად (intrinsic) გარდაქმნას. [See1, 2001: 490]

ძირითადი კონცეფცია, რომელიც შემოთავაზებულია ბრუნერის (1978) მიერ და რომელიც დაკავშირებულია აღმოჩენით სწავლებასთან არის ხარაჩოების მეთოდი. შენობის საყრდენის მსგავსად, პედაგოგი საჭიროების შემთხვევაში ხელს უწყობს სტუდენტებს რათა მათ "კონცენტრირება მოახდინონ რთულ უნარებზე ... რისი შეძენის პროცესშიც ისინი არიან" [ბრუნერი, 1978 დორნერის, გობელის, კიკმეაიერ-რუსტის, მასუჩის და ცვაიგის მიხედვით, 2016: 194]. მასწავლებლის მხარდაჭერა მდგომარეობს მინიშნებისა და / ან ბიძგის მიცემაში, მაგრამ არა მზა პასუხებსა ან მითითებებში თუ როგორ მიაგნონ პასუხებს. ხარაჩოების მეთოდის დანერგვის შედეგად ზოგიერთი მკვლევარი (ტობინი და ფრეიზერი, 1990; შამპანური და ბუნსი, 1991 და სხვა) ერთმანეთისაგან განასხვავებს აღმოჩენით სწავლებას და მართვად აღმოჩენით სწავლებას. სინამდვილეში ორი ტიპის სწავლების მსგავსებისა და განსხვავებების კვლევა (ვეიმერი, 2003, ჰოგანი, ნატაზი და პრესლი, 1999) მიუთითებს, რომ მართვადი აღმოჩენითი სწავლება უფრო პროდუქტიულია, ვიდრე წმინდა აღმოჩენითი სწავლება, რადგან სტუდენტები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამოცანას ლექტორების მიერ ხარაჩოების მეთოდის გამოყენებისას და უფრო თანმიმდევრულად მუშაობენ შესაბამისი პრობლემის გადასაჭრელად.

მართვადი აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლების არსებითი ფაზები არ განსხვავდება PBL- ის ფაზებისგან (ნახატი 3).



ნახატი 3. მართვადი აღმოჩენითი სწავლების ციკლი

ამ მსგავსების მიზეზი ისაა, რომ აღმოჩენითი სწავლა ხშირად გამოიყენება როგორც ერთიანი ცნება, რაც მოიცავს სწავლებისა და სწავლის ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა კვლევითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა [ფილიპსი, 2014: 236].

აღმოჩენითის სწავლის დანერგვა ხელს უწყობს სტუდენტებში დამოუკიდებლობის განვითარებას, რის შედეგადაც ისინი იძენენ ახალ ცოდნას პრობლემის გადაჭრაზე ერთად მუშაობისას. პროფესორ-მასწავლებელი მხოლოდ ხელშემწყობია, რომელიც ყოველთვის მზად არის უხელმძღვანელოს სტუდენტებს.

4.4. პროექტზე დაფუძნებული სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს სწავლების მეთოდს, რომელშიც სტუდენტები აწყდებიან „რეალურ სამყაროში არსებულ მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებსა და საკითხებს, განსაზღვრავენ, თუ როგორ **მოეკიდონ** მათ, შემდეგ კი იმოქმედონ ერთობლივად პრობლემის გადასაწყვეტად" [ზენდერი, 2012; 1]. ავთენტური პრობლემა, გამოწვევა ან შეკითხვა, რომელსაც სტუდენტები იკვლევენ, მჭიდროდაა დაკავშირებული კურიკულუმთან და კურსის ან კონკრეტული ლექციის შინაარსთან.

თავდაპირველად პროექტზე დაფუძნებული სწავლება იყო მეცნიერების ან მათემატიკის გაკვეთილების ნაწილი, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში მან თავისი ადგილი იპოვა ბევრი სფეროს კურიკულუმში - ინფორმატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსები, ენის სწავლება და სწავლა, ეკოლოგია, საექთნო საქმე, არქიტექტურა და ა.შ. ეს გამოწვეულია იმით, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლა აქცენტს სწავლის პროცესში სტუდენტების აქტიურ როლზე აკეთებს. სტუდენტები არიან პროექტის შემქმნელები და პრობლემების გადამჭრელები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებამდე განიხილავენ და აფასებენ უამრავ ვარიანტს და იყენებენ თავიანთ კრეატიულობას, ერთობლივად მუშაობის უნარს და საკუთარი არჩევანის და არგუმენტების დაცვის უნარ-ჩვევებს.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხშირად დაკავშირებულია **ავთენტური სწავლის** კონცეფციასთან, რომელშიც სტუდენტები რეალური პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობენ. სტივ რევინგტონი (2016) გვთავაზობს ავთენტური სწავლის შემდეგ განმარტებას: "რეალური ცხოვრების შესწავლა ... რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს, შექმნან ხელსაყრელი, სასარგებლო პროდუქტი თავიანთ სამყაროში" [რევინგტონი, 2016 ჩანგის, ჰუანგისა და კინშუკის მიხედვით, 2017: 5]. ეს პედაგოგიური მიდგომა აიძულებს სტუდენტებს „ისწავლონკეთებით“, რადგან ისინი ჩართულნი არიან ისეთ აქტივობებში, სადაც ისინი სვამენ კითხვებს, ფიქრობენ კრიტიკულად, ასრულებენ სამეცნიერო ექსპერიმენტებსა და დაკვირვებებს და ატარებენ კვლევას. ავთენტური სწავლის უპირატესობებია:

- გაზრდილი სტუდენტური მოტივაცია;
- სწავლის უკეთესი შესაძლებლობები;
- გაუმჯობესებული 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, რომელთა შორისაა კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, წარმოსახვა და ცნობისმოყვარეობა, ლიდერობა, თვით-დისციპლინა, პრობლემის გადაჭრისა და გუნდური მუშაობის უნარი და ა.შ.
- თეორიების ინტეგრირება სწავლისა და სხვადასხვა კონცეფციების გაგების ხელშეწყობის მიზნით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გეგმავენ, შეიმუშავებენ, განახორციელებენ და აფასებენ პროექტს. იგი მოიცავს პროექტის დიზაინის მნიშვნელოვან ელემენტებს (სურათი 4).

ამ ელემენტების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ლარმერის, მერგენდოლერისა და ბოსის მიერ (2015):

- 1) **ეტაპი 1: პრობლემა ან შეკითხვა** - მნიშვნელოვანი პრობლემა ან შეკითხვა, რომელიც შეიძლება დაებადოთ სტუდენტებს, რომლებმაც უნდა ამოხსნან იგი ან მიიღონ მასზე პასუხი.
- 2) **ეტაპი 2: მდგრადი გამოკვლევა** - სტუდენტები აგროვებენ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია პრობლემის მოსაგვარებლად ან კითხვაზე პასუხის გასაცემად. ისინი მოიძიებენ შესაბამის რესურსებს და იყენებენ მოძიებულ ინფორმაციას.



სურათი 4. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დიზაინის ძირითადი ელემენტები

- 3) **ეტაპი 3: ავთენტურობა** - პროექტი დაკავშირებულია რეალურ პრობლემებთან, რომელთა წინაშეც ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში დგებიან - მაგ. საბჭო, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რეგიონის რომელი ქარხანა აყენებს ყველაზე მეტად ზიანს გარემოს; სამშენებლო კომპანია, რომელმაც მდინარეზე სეისმოლოგიურ რეგიონში მყარი ხიდი უნდა ააშენოს. ზოგიერთი გამოწვევა სტუდენტებისთვის შეიძლება იყოს პირად ცხოვრების ან პრობლემის შესაბამისი.
- 4) **ეტაპი 4: სტუდენტური ხმა და არჩევანი** - პროექტის წარმატებით დასაგეგმად და შესასრულებლად, სტუდენტებმა უნდა გააკეთონ გარკვეული არჩევანი თავიანთი პროექტის დიზაინსა და განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგ. კითხვების დასმა, რესურსების შერჩევა, გუნდის სხვადასხვა წევრების როლები და მათი პასუხისმგებლობები, შედეგების მიღება).
- 5) **ეტაპი 5: გააზრება** - სტუდენტებმა და ლექტორებმა შეიძლება გაიაზრონ პროექტის ზოგიერთი ასპექტი მასზე მუშაობისას ან დასრულების შემდეგ. გააზრება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას (მაგ. სასწავლო პორტფოლიოები, შეფასების ფურცლები, დისკუსიები, შედეგების და მათი მიღების პროცესის პრეზენტაციები).
- 6) **ეტაპი 6: კრიტიკა და გადახედვა** - სტუდენტები და მათი თანატოლები მუშაობისას ერთმანეთს კონსტრუქციულ შენიშვნებს აძლევენ და იღებენ; უკუკავშირი გამოიყენება პროექტის დაგეგმვის უნარ-ჩვევების, მრავალფეროვანი სასწავლო მასალის შერჩევისა და გამოყენების შესაძლებლობების, გუნდური მუშაობის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად;
- 7) **საჯარო პროდუქტი** - სტუდენტები პროექტებს თავიანთ თანაკლასელებს წარუდგენენ.

ეს შვიდი ეტაპი უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების საკვანძო ცოდნას და უნარებს, რადგან პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიზანია ხელი შეუწყოს აქტიურ სტუდენტთა განვითარებას, რომლებიც იქნებიან ავტონომიურები და პასუხისმგებელი საკუთარი სწავალზე.

4.5. სასწავლო ხელშეკრულება / კონტრაქტი

სასწავლო ხელშეკრულება არის წერილობითი შეთანხმების ფორმა სტუდენტსა და მასწავლებელს შორის. ის განსაზღვრავს კონკრეტული მიზნების მიღწევისთვის სტუდენტის მიერ გასაწევ კონკრეტულ ღონისძიებებს. სასწავლო კონტრაქტების გამოყენება მალკოლმ შეფერდ ნოულსის (1913 - 1997) ზრდასრულების განათლებასა და მომზადებაზე თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარეობს. მისი თქმით, ზრდასრულ მოსწავლეებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- 1) **საჭიროება იცოდეთ** - ზრდასრულ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ რატომ უნდათ რომ ისწავლონ სანამ ისწავლიან. სწავლის სარგებლის გაცნობიერება სტუდენტების მოტივაციას ზრდის, რადგან ისინი შეგნებულად უთმობენ დროს და ძალისხმევას.
- 2) **სტუდენტთა თვით-კონცეფცია** - ზრდასრული სტუდენტები, რომლებიც არიან მოწიფულნი და აღიქვამენ საკუთარ თავს როგორც პასუხისმგებლიანს, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს და ვინმეს მართავს საკუთარ სიცოცხლეს.
- 3) **სტუდენტთა გამოცდილების როლი** - სტუდენტებს დაგროვილი გამოცდილების სწავლის პროცესში გამოყენება შეუძლიათ. ის ფაქტი, რომ ზრდასრული სტუდენტები უფრო დიდხანს ცხოვრობდნენ, ვიდრე მათი ახალგაზრდა კოლეგები საშუალებას აძლევს მათ ჰქონდეთ მდიდარი ცოდნა და უნარები სხვადასხვა სფეროში, მათი წინა გამოცდილებების საფუძველზე.
- 4) **სტუდენტთა მზადყოფნა** - ზრდასრულ სტუდენტებს აქვთ ნათელი წარმოდგენა იმისა, თუ რას უნდათ მიაღწიონ მათ ცხოვრებაში, შესაბამისად მათი მზადყოფნა ისწავლონ გადაჯაჭვულია მათივე პიროვნული განვითარების მიზნებთან.
- 5) **სწავლის ორიენტაცია** - საგნის ცოდნის შეძენა სწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია. თუმცა, ზრდასრული მოსწავლეები ინტერესდებიან სავარჯიშოს პრაქტიკული შედეგებით, ანუ მათი ორიენტაცია იცვლება საგანზე ორიენტირებისგან სწავლის გამოცდილებაზე ორიენტირებაზე.
- 6) **სწავლის მოტივაცია** - ზრდასრული სტუდენტები მოტივირებული არიან ისწავლონ, რადგან "ადამიანის მოტივაცია ისწავლოს მოდის შიგნიდან" [ნოულზი, 1984: 12].

ამ მახასიათებლების საფუძველზე მთავარ შემოთავაზება ისაა, რომ სტუდენტები არიან ავტონომიური მოსწავლეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთ პიროვნულ განვითარებაზე და საკუთარი ცოდნის მართვაზე მათი საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით. ეს არის ის, რის გამოც სწავლის კონტრაქტები ყველა პროგრამასა და კურსს შეესაბამება. საკლასო ოთახში ამ მეთოდის გამოყენების მთავარი სარგებლობა არის ის მოქნილობა, რასაც ის სტუდენტებს აძლევს, რადგან მათ საშუალებას აძლევს მოლაპარაკება მოახდინონ პედაგოგთან დავალების სტრუქტურაზე, შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე და ხარისხზე, შეფასებაში გამოყენებულ კრიტერიუმებზე. აქცენტი, რომელიც მოლაპარაკების პროცესზე კეთდება, არის მიზეზი რის გამოც სასწავლო ხელშეკრულებას ასევე უწოდებენ მოლაპარაკებულ სასწავლო შეთანხმებებს [ანდერსონი, ბუდი და სამფსონი, 2014: 3].

ანდერსონის, ბუდისა და სამფსონის (2014) მიხედვით მოლაპარაკებულ სასწავლო შეთანხმებები იწყება სტუდენტისა და ლექტორის როლების, მოვალეობების და მოლოდინის განხილვით. ტრადიციულად სტუდენტების აქტიური როლი ენიჭებათ, რადგან მათ უნდა დაასრულონ გარკვეული აქტივობები. პროფესორ-მასწავლებელს აქვს მრჩევლის, ხელმძღვანელის როლი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება, რომელიც აკვირდება სტუდენტებს და აფასებს რამდენად მიღწეულია

თავდაპირველი მიზნები და რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგების ხარისხი შეფასების კრიტერიუმებს.

სასწავლო ხელშეკრულების შედგენა და განხორციელება შედგება ოთხი ეტაპისაგან:

- *მომზადება* - ამ ეტაპზე სტუდენტმა უნდა იფიქროს თუ რისი სწავლა ან მიღწევა სურს მას კონკრეტული კურსის მოდულის, მთელი კურსის, სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში. მან უნდა მოამზადოს საკუთარი სასწავლო მიზნები რომლებიც დაკავშირებული იქნება შესაბამისი მოდულის, კურსის, პრაქტიკის ან კონკრეტული სასწავლო ღონისძიების სწავლების შედეგთან. თვითშეფასებას შეიძლება ჰქონდეს გადაწყვეტი როლი, რადგანაც მას შეუძლია ობიექტური უკუკავშირი მისცეს სტუდენტებს ცოდნისა და უნარების დონეზე და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდგომ განვითარებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.
- *მოლაპარაკებები* - პროცესები, რომელშიც სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი აღწევს შეთანხმებას ხელშეკრულების შინაარსზე და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასებაზე, ასევე სასწავლო პროცესის და საბოლოო შედეგების შესახებ.
- *უზრუნველყოფა* - სასწავლო ხელშეკრულების განხორციელების შემდეგ, პროფესორ-მასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტს რესურსებით, რჩევებით ან ხელმძღვანელობით.
- *შეფასება*

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი და ლექტორი ერთობლივად მუშაობდნენ სასწავლო ხელშეკრულების პირობების შედგენაზე. ურთიერთპატივისცემის არსებობა ასევე აუცილებელი პირობაა ვადების წარმატებით განსაზღვრისა და საქმიანობის დასრულებისათვის. მასწავლებლის მიერ სტუდენტისთვის სასწავლო ხელშეკრულების შექმნის თავისუფლება მასწავლებელთან ვადებისა და პირობების მოლაპარაკებებისას სასწავლო ხელშეკრულებას დამატებით ღირებულებას სძენს, რადგან სტუდენტი გრძნობს პასუხისმგებლობას და მოტივირებულია წარმატებით შეასრულოს.

წარმატებული სასწავლო ხელშეკრულების მთავარი მახასიათებლები შეჯამებულია ქვემოთ:



ნახატი 5. სასწავლო ხელშეკრულების მთავარი მახასიათებლები¹

მკაცრი სასწავლო ხელშეკრულებები განსხვავდება მათი **განლაგების** (layout) და ფორმატის თვალსაზრისით. სასურველია მას ჰქონდეს გარკვეული სტრუქტურული პარამეტრები. როგორც წესი, სასწავლო ხელშეკრულებას აქვს შემდეგი ნაწილები:

- **მიზანი** - სტუდენტის განაცხადი მისი მიზნების შესახებ. ეს არის ზოგადი მიზნები, რომელსაც სტუდენტი თავად უდგენს თავის თავს. მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტების საჭიროებებს, მაგრამ ასევე უნდა შეესაბამებოდეს საკვალიფიკაციო პროგრამის ან კურსის მიზნებსა და ფარგლებს. ეს შეიძლება იყოს ასევე შესაბამისი სამუშაო ადგილის კონტექსტში, როდესაც სწავლა ხელს უწყობს კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.
- **სტრატეგიები და რესურსები (აუცილებელი მიზნების მისაღწევად)** - ეს არის მასალები ან რესურსები, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეაგროვოს და შეისწავლოს; ის ადამიანები, რომლებსაც იგი უნდა შეხვდეს; კვლევა, რომელიც უნდა ჩატარდეს; ის ადგილები, რომლებსაც უნდა ეწვიოს და ა.შ.
- **მოქმედების გეგმა** – მიზნები მისაღწევად განსაზღვრული აქტივობები და ვადები.
- **მტკიცებულება** (შედეგი, რომელიც მიიღწევა) – მიზნის მისაღწევად ან შეძენილი უნარების საჩვენებლად გაწეული აქტივობების შედეგი (მაგ. ანგარიში, კვლევა, ესე და სხვა.)

¹ მთავარი მახასიათებლები ამოღებულია ბოუკიდან (1998), გვ. 30

- **შეფასების კრიტერიუმები** – კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულ იქნება დასრულებული სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად.
- **დასრულების თარიღი.**

ეს ნაწილები აუცილებელი არ არის, მაგრამ, რასაკვირველია, აუცილებელია სასწავლო ხელშეკრულებას ხელს აწერდეს სტუდენტი და კურსის ხელმძღვანელი. ამრიგად, მას ნამდვილად აქვს კონტრაქტის ფორმა და ავალდებულებს ორ მხარეს გააკეთონ ყველაფერი, რათა უზრუნველყონ, რომ სასწავლო პროცესი და მისი ზედამხედველობა წარმატებული იყოს.

5. მეთოდოლოგიური მხარდაჭერა

ცვეტელინა ჰარაკჩისკა

5.1. საერთო ორგანიზება

სახელმძღვანელოს მეთოდური დახმარების განყოფილება შედგება შემდეგი სამი ნაწილისგან:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიული საფუძველი
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შერჩეული მიდგომების პრაქტიკული გამოცდილება;
- შეფასების პროცედურები სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში.

5.2. მიზნობრივი აუდიტორია

ტრენინგის შინაარსობრივი მასალა გამიზნულია უნივერსიტეტის ლექტორებისთვის, რომლებსაც სურთ პროფესიული განვითარება და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კლასში დანერგვა.

5.3. მოდულის ორგანიზება

მოდული შედგება რამდენიმე მკაფიოდ განსაზღვრული ნაწილისგან - *მიზნები*, *შედეგები*, და *ლოგიკური დასაბუთება*. თითოეული მოდულის მიზანი მიიღწევა მთელი რიგი დავალებების მეშვეობით. დავალებები ორგანიზებულია ლოგიკურად და სისტემურად და მოიცავს *ლოგიკურ დასაბუთებას*, *საჭირო მასალებს/რესურსებს*, *ტრენერის მომზადებას*, *დროის განაწილებას* (დავალებების შესასრულებლად, რომელიც შესაძლებელია ადაპტირებული იყოს მსმენელთა საჭიროებების მიხედვით) და *პროცედურას*. *პროცედურა* გამიზნულია ტრენერზე, ვინაიდან ის განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომელსაც უნდა მიყვეს კონკრეტული დავალების ფარგლებში. პროცედურა ასევე მოიცავს *მოსალოდნელ პასუხების* და *სავარაუდო პასუხების ნიმუშებს*, იმისათვის რომ ხელი შეუწყოს ტრენერის მუშაობას.

5.4. სასწავლო მასალა

სავარჯიშო მასალა არის რესურსი, რომელიც შეადგენს თითოეული მოდულის დამატებით მასალას. ისინი შედის *მასალების/რესურსების* ნაწილში და მონაწილეებს საშუალებას აძლევს მიიღონ დამატებითი ცოდნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების არსებით მახასიათებლებზე, იმ კომპეტენციებზე, რომელიც უნდა ქონდეს მასწავლებელს და სტუდენტს სტუდენტზე

ორიენტირებულ კლასში წარმატებით მონაწილეობისთვის, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე და იმ ხერხების შესახებ თუ როგორ შეიძლება ეს მეთოდები გამოვიყენოთ სხვადასხვა სწავლა და სწავლების კონტექსტში. ვინაიდან შესაძლებელია სასწავლო მასალის გამრავლება, ისინი უნდა დავურიგოთ თითოეული მოდულის ტრეინინგის აღწერის შემდეგ. ტრენერს მარტივად შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ სასწავლო მასალა რომელი სესიის დამატებით ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან თითოეული სასწავლო მასალის დასახელების ქვეშ მითითებულია მოდული ან დავალება, რომლისთვისაც მას გამოვიყენებთ (მაგ. სასწავლო მასალა 1 - როგორ ვსწავლობთ?, მოდული 1, სესია 1).

6. ტრენინგ მოდული

ცვეტელინა ჰარაკჩისკა

6.1. მოდული 1 - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიული საფუძველი

ლოგიკური დასაბუთება:

ეს მოდული შექმნილია იმისათვის რომ გააუღეროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პარადიგმის მთავარი იდეები. ის საშუალებას აძლევს მონაწილეებს გააცნობიერონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლება და კლასში მისი გამოყენების უპირატესობა. მოდულის მიზანია განიხილოს სტუდენტების და პროფესორ/მასწავლებლების როლი სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში და ხაზი გაუსვას ძირითად კომპეტენციებს და უნარებს, რაც უნდა გააჩნდეთ იმისათვის რომ მიიღონ ეფექტური და ეფექტიანი მონაწილეობა სწავლა/სწავლების იმ პროცესში, რომელიც სტუდენტს აყენებს ცენტრალურ ადგილას. მონაწილეები ერთობლივად ითანამშრომლებენ აქტიურ სასწავლო პრაქტიკულ დავალებებში, რომელიც მისცემს საშუალებას გაიაზრონ თავიანთი სწავლის სტილი, ცოდნა, კომპეტენციები და საკლასო პრაქტიკა.

მოდულის მიზნები:

- ცნობიერების ამაღლება პარადიგმის ცვლილების მნიშვნელობაზე - მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებიდან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი მახასიათებლების შესწავლა;
- იდეების გაზიარების და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სწავლის შესაძლებლობის მიცემა;
- მონაწილეებისთვის სტუდენტების და პროფესორ/მასწავლებლების კომპეტენციების გაცნობა სტუდენტზე ორიენტირებულ კლასში;
- სწავლების სტრატეგიების გაცნობა და მათი კლასში გამოყენების შესაძლებლობების განხილვა
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობის გააზრება

შედეგები:

მოდულის დასასრულს მონაწილეებს ექნებათ:

- გააზრებული ის მიზეზები, თუ რატომ უნდა გამოიყენონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება უნივერსიტეტში;
- გააზრებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების უპირატესობა;
- გააზრებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საკუთარ საგანმანათლებლო კონტექსტში ინტეგრირების სირთულე;
- გაანალიზებული თავიანთი ამჟამინდელი მიდგომა სწავლების მიმართ და ის სფეროები რაშიც უნდა შეიტანონ ცვლილებები;

პირველი დავალება: როგორ ვსწავლობთ?

მიზნები:

- მონაწილეებმა გაიაზრონ თავიანთი, როგორც სტუდენტების გამოცდილება;
- მონაწილეებმა გაიცნონ ის გზები თუ როგორ ვსწავლობთ
- სწავლის პრინციპებზე დაფიქრება.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 1 - როგორ ვსწავლობთ

ვიდეო 1 - როგორ ვსწავლობთ

მომზადება:

პირველი სასწავლო მასალის ასლები (თითო თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 20 წუთი

პროცედურა:

1. გაყავით მონაწილეები წყვილებად. სთხოვეთ მოიფიქრონ ისეთი რამ, რისი კეთებაც კარგად ეხერხებათ - მაგ: საჭმლის მომზადება, ფეხბურთის თამაში, ქსოვა და ა. შ. თუ საჭიროა მიეცით მოსაფიქრებელი დრო და შემდეგ სთხოვეთ გაუზიარონ ჯგუფის წევრებს აქტივობა ან ის საქმიანობა, რისი კეთებაც კარგად გამოსდით.
2. სთხოვეთ მონაწილეებს განახორციელონ გონებრივი იერიში, როგორ ისწავლეს ის საქმიანობა, რომელიც კარგად გამოსდით. შეგიძლიათ დაწეროთ დამხმარე კითხვები. მაგალითად:
 - რაიმე სპეციალური კურსი გაიარეთ?
 - თავად ისწავლეთ წიგნების კითხვით, ვიდეოების ყურებით, ვინმეზე დაკვირვებით, თუ გამოცდების პრინციპით საკუთარ შეცდომებზე დაყრდნობით?
 - თუ მიიღეთ პრაქტიკული გამოცდილება მეგობრის დახმარებით ან მან გაჩვენათ როგორ გაგეკეთებინათ?

მონაწილეებმა უნდა გაცვალონ ინფორმაცია იმ გზების შესახებ, რითაც კონკრეტული აქტივობების შესწავლა მოახერხეს.

3. დასასრულს მონაწილეებს სთხოვეთ წარმოადგინონ მოკლე შეჯამება. გამართეთ მსჯელობა და მონაწილეებს სთხოვეთ განსაზღვრონ სწავლის მათთვის ყველაზე სასარგებლო გზები.
4. გააცანით მონაწილეებს შემდეგი გამონათქვამები და ანდაზები:
 - უნდა ისწავლო კეთებით; მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობ რომ იცი, მანამდე არ ხარ მის ცოდნაში დარწმუნებული სანამ თავად არ ცდი. (სოფოკლე)
 - იმას, რისი კეთებაც უნდა ვისწავლოთ, ვსწავლობთ კეთებისას. (არისტოტელე)
 - თქვენ ვერ ასწავლით ადამიანს რაიმეს: თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას მის აღმოაჩენაში (გალილეო)

- *მითხარი და დამავიწყდება.
მაჩვენე და დავიმახსოვრებ.
ჩამრთე და გავიგებ.
უკან დაიხიე და ვიმოქმედებ.* (ძველი ჩინური ანდაზა).

მონაწილეებს სთხოვეთ კომენტარები გააკეთონ ამ გამონათქვამების ქეშმარიტებაზე სწავლის იმ განსაზღვრულ გზებთან მიმართებაში, რომელზეც მანამდე ისაუბრეს.

5. მიეცით მონაწილეებს სასწავლო მასალა 1 და სთხოვეთ შეავსონ ინდივიდუალურად. როდესაც მზად იქნებიან მიეცეთ საშუალება შეადარონ პასუხები.
6. მონაწილეებს სთხოვეთ უყურონ ვიდეოს, რათა შეამოწმონ პასუხები.



<https://www.youtube.com/watch?v=ArCle6w-1nM&feature=youtu.be>

მოსალოდნელი პასუხები:

- | | | |
|-------------|-------------|--------------|
| 1. SA ან A; | 5. D ან SD; | 9. SA ან A; |
| 2. SA ან A; | 6. SA ან A; | 10. SA ან A. |
| 3. D ან SD; | 7. SA ან A; | |
| 4. SA ან A; | 8. SA ან A; | |

7. ხაზი გაუსვით რომ ამ თემის ირგვლივ განხილული იდეები არ არის ამომწურავი და დააკავშირეთ მომდევნო სესიასთან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სწავლის თეორიებზე.



სასწავლო მასალა 1: როგორ ვსწავლობთ?

მოდული 1, დავალება 1

რამდენად ეთანხმებით შემდეგ განცხადებებს? აღნიშნეთ (✓) შესაბამისი პასუხი (**SA** = აბსოლუტურად ვეთანხმები; **A** = ვეთანხმები; **NS** = არ ვარ დარწმუნებული, **D** = არ ვეთანხმები; **SD** = აბსოლუტურად არ ვეთანხმები)

განაცხადი	SA 	A 	NS 	D 	SD 
1) სწავლა არის გრძელვადიანი მეხსიერებიდან ინფორმაციის კოდირების, შენახვის და მოძიების პროცესი.					
2) სწავლა მოიცავს პიროვნების მთელ ბუნებას - აზრებს, გრძნობებს, ინტუიციას, რწმენას, ღირებულებებს, მოტივაციას და სტუდენტის პირად მიზნებს.					
3) ახლად შეძენილი ცოდნა არ არის აუცილებელი უკავშირდებოდეს იმ უნარებს, წარმოდგენებს ან წინა გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტები უკვე ფლობენ.					
4) ახალი ცოდნის გრძელვადიან მეხსიერებაში შესანახად, სტუდენტებს უნდა შეეძლოთ მისით რაიმეს კეთება, რათა მათმა ტვინმა შეძლოს შეინარჩუნოს შესწავლილი და განცდილი მოქმედება და იქცეს სტუდენტების საკუთრებად.					
5) სტუდენტები უკეთესად სწავლობენ მაშინ, როდესაც ესწრებიან ტრადიციულ ლექციებს, სადაც მასწავლებელი აწოდებს ახალ ინფორმაციას, იძლევა განსაზღვრებებს, დემონსტრაციას უკეთებს, განმარტავს და აჩვენებს მაგალითებს.					
6) რაც უფრო ეფექტურია სწავლა, მით უფრო ხშირად ხდება გრძელვადიან					

მეხსიერებაში შენახული ახალი ინფორმაციის მოძიება და გამეორება.					
7) სწავლა უნდა იყოს სტუდენტის და არსებული კონტექსტის შესაბამისი.					
8) სტუდენტებს უნდა ქონდეთ უფლება კურსის დაწყებისას მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სასწავლო მიზნების დაგეგმვაში და სასწავლო საკითხების შერჩევაში.					
9) სწავლებისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა სტუდენტის არამედ საკუთარ ძლიერ მხარეებზე.					
10) სტუდენტები უკეთესად სწავლობენ სხვებთან ურთიერთობით.					

მეორე დავალება: რა არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება?

მიზნები:

- მონაწილეებმა გაიცნონ სამი განსხვავებული სწავლების თეორია - ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი და კონსტრუქტივიზმი
- განსაზღვრონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი მახასიათებლები სწავლების სამი თეორიის შედარების გზით.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 2 - სწავლების თეორიები

სასწავლო მასალა 3 - მასწავლებელზე ორიენტირებული პარადიგმის შედარება სტუდენტზე ორიენტირებულ პარადიგმასთან

მომზადება:

მეორე სასწავლო მასალის ასლები (თითო ჯგუფის თითოეული მონაწილისთვის)

მესამე სასწავლო მასალის ასლები (თითო თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 40 წუთი

პროცედურა:

1. გაყავით მონაწილეები ოთხ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიეცით მეორე სასწავლო მასალის ასლი. (მაგ: თითოეულ ჯგუფში მონაწილეები მიიღებენ ჯგუფის შესაბამის ასლებს). სთხოვეთ ტექსტი წაიკითხონ ინდივიდუალურად და ცხრილები შეავსონ არსებული ინფორმაციით.
2. როდესაც მზად იქნებიან, სთხოვეთ შეადარონ პასუხები საკუთარ ჯგუფში.
3. მონაწილეებს სთხოვეთ შექმნან სამი ახალი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს წარმომადგენელი A, B და C ჯგუფიდან. ახალ ჯგუფებში მონაწილეებმა უნდა გაცვალონ ინფორმაცია სხვა სასწავლო თეორიების შესახებ და შეავსონ გამოტოვებული ინფორმაცია თავიანთ ცხრილებში. დააკვირდით ჯგუფის პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ.
4. დასასრულს სთხოვეთ უკუკავშირი და აჩვენეთ მაგალითი, თუ რა სახით შეიძლება იყოს ცხრილი შევსებული.

მაგალითად:

	ბიჰევიორიზმი	კოგნიტივიზმი	კონსტრუქტივიზმი	სოციალური კონსტრუქტივიზმი
შეხედულება სწავლაზე	სწავლა ეფუძნება სტიმულს და რეაგირებას	სწავლა ეფუძნება ცოდნის გადაცემასა და სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას	სწავლა ეფუძნება პირად აღმოჩენასა და ექსპერიმენტებს	სწავლა სოციალური ინტერაქციის შედეგია
სწავლის ტიპი	დაზეპირება, გამეორებით სწავლება, სტიმულზე რეაგირება	დაზეპირება და წესების გამოყენება	პრობლემის გადაჭრა, აღმოჩენით სწავლება, კვლევის ჩატარება	კოლაბორაციული სწავლება და პრობლემის გადაწყვეტა
სწავლების სტრატეგიები	მასწავლებელი აცნობს ახალ მასალას და სტუდენტებისგან მოითხოვს სწორ უკუკავშირს	მასწავლებელი სტუდენტებს ცოდნას გადასცემს მათ წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით. ის გაკვეთილს გეგმავს სტუდენტთა მიერ კოგნიტური სწავლების სტრატეგიების გამოყენების გათვალისწინებით	მასწავლებელი იძლევა აქტიური და თვითრეგულირებადი სწავლების შესაძლებლობას	მასწავლებელი ხელს უწყობს სწავლების პროცესს საჭირო დამხმარე საშუალებათა სისტემის შექმნით (სკაფოლდინგით)
ძირითადი ცნებები	განმტკიცება	რეპროდუქცია და შემუშავება	პირადი აღმოჩენა აქტიური სწავლება	დამხმარე საშუალებათა სისტემა (სკაფოლდინგი) პროქსიმალური განვითარების ზონა

მონაწილეებს ყურადღება გაამახვილებინეთ იმაზე, რომ ბიჰევიორისტული თეორია მასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებაში გამოიყენება, ხოლო კონსტრუქტივისტული თეორიის ორი ვერსია - კოგნიტური კონსტრუქტივიზმი და სოციალური კონსტრუქტივიზმი საფუძველს უდებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.

5. ჯგუფებს სთხოვეთ მოიფიქრონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განმარტება წაკითხული ტექსტის და ცხრილებში შეჯამებული ინფორმაციის

საფუძველზე. თუ ეს დავალება რთული აღმოჩნდება, მიეცით სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განმარტების მაგალითი:


სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - „სწავლების სისტემა, რომელიც ეფუძნება სტუდენტის ინდივიდუალურ არჩევანს, ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს, სწავლის სტილს და საგანმანათლებლო მიზნებს - ხელს უწყობს სტუდენტებს გაიაზრონ და შეიმეცნონ სწავლის პროცესის ყველა ეტაპზე.“ [იილმასი, 2009: 23 იილმასში, კ. (2009). "დემოკრატია სტუდენტზე ორიენტირებული განათლებით: თურქული პერსპექტივა". *ჟურნალის განათლების მიმოხილვა*, 55 (1), 21-37).]

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება "მოიცავს უნიკალური კოგნიტური სტრუქტურების და ცოდნის გააზრებას, რომელსაც სტუდენტები ამჟღავნებენ [საკლასო ოთახში და მასწავლებელმა უნდა] შეძლოს სტუდენტების არსებული ცოდნის, მათ შორის ნებისმიერი არასწორი წარმოდგენის გაგება ახალი ცოდნის ფორმირებისას.“ [ანდერსენი, 2008: 74 ანდერსენში, თ. (2008). *ონლაინ სწავლის თეორია და პრაქტიკა*. ათაბასკა უნივერსიტეტის პრესა.]

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება არის სწავლების ტიპი, რომელშიც "სტუდენტები ჩართული არიან კომპლექსურ, პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც საშუალებას აძლევს შეიმეცნონ მათ გარშემო არსებული სამყარო ავთენტური კვლევის, ექსპერტებთან ურთიერთობის, ან გააზრების ... [საშუალებით]." [იანუსცევსკი, 2008: 401 იანუსცევსკში, ა. (2008). *განათლების ტექნოლოგია: განმარტება კომენტარებთან ერთად*. ABC-CLIO].

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლების მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს სტუდენტებზე და მათ განვითარებაზე, ვიდრე შინაარსის გადაცემაზე; ის ყურადღებას ამახვილებს სწავლებისა და სწავლის ძალის დაბალანსებაზე, სტუდენტებს მოუწოდებს საკუთარი ცოდნის ფორმირებაში აქტიურად ჩართვისკენ და სწავლაზე პასუხისმგებლობას თავად მათ აკისრებს [<https://www.igi-global.com/dictionary/learner-centered-teaching/40896> – მოძიებულია 20/01/2018]

7. მონაწილეებს სთხოვეთ შეხედონ ორ გრაფიკს, რომელიც გამოსახავს მასწავლებელზე ორიენტირებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას.



მასწავლებლის სთხოვეთ აღნიშნონ ამ ორ სასწავლო გარემოში მასწავლებლის როლის მთავარი განსხვავება. ხაზი გაუსვით რომ მასწავლებელზე ორიენტირებულ კლასში მასწავლებელი არის სწავლების დირექტორი და სტუდენტებისთვის ცოდნისა და გამოცდილების მიწოდების ძირითადი წყარო. სწავლება ხდება ლექციების ფორმით, გამეორებით და უნარ-ჩვევებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის პრაქტიკით. სტუდენტზე ორიენტირებულ საკლასო ოთახში კი მასწავლებელი არის გიდი, ფასილიტატორი ვიდრე დირექტორი. მასწავლებელი აქცენტს აკეთებს სტუდენტების საჭიროებებზე და სწავლის შესაძლებლობას უქმნის პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის საშუალებით.

8. მონაწილეებს მიეცით მესამე სასწავლო მასალა. სთხოვეთ შეავსონ გამოტოვებული ინფორმაცია. თავდაპირველად ისინი იმუშავებენ ინდივიდუალურად, მაგრამ როცა მზად იქნებიან გაუზიარებენ იდეებს პარტნიორს.
9. დასასრულს შეაჯამეთ ცხრილი და დაამყარეთ კავშირი მომდევნო სესიასთან, რომელიც იკვლევს იმ უნარებს და კომპეტენციებს, რაც უნდა განვავითაროთ სტუდენტებსა და მასწავლებლებში.

სავარაუდო პასუხები:

	მასწავლებელზე ორიენტირებული პარადიგმა	სტუდენტზე ორიენტირებული პარადიგმა
შეხედულება ცოდნაზე	სტუდენტს ცოდნა გადაეცემა მასწავლებლისგან.	სტუდენტები ცოდნას იღებენ ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გამოყენების საშუალებით. ახალი ინფორმაციის მიღებისას სტუდენტები იყენებენ თავიანთ კვლევით, საკომუნიკაციო, პრობლემების გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს.
სტუდენტების როლი	სტუდენტები არიან ცოდნის პასიური მიმღებლები.	სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ცოდნის ფორმირებაში.
მასწავლებლის როლი	მასწავლებელი არის ცოდნის ძირითადი წყარო და სტუდენტების ცოდნის მთავარი შემფასებელი.	მასწავლებელი არის გიდი, ფასილიტატორი და სტუდენტების სწავლის ხელშემწყობი.
როგორ ვსწავლობთ?	სწავლება ხდება ლექციების და პირდაპირი ინსტრუქტაჟის საშუალებით. სტუდენტები იძენენ ცოდნას, რომელსაც გამოიყენებენ კლასის მიღმა.	სტუდენტები ცვლიან ცოდნას ერთმანეთთან და მასწავლებელთან ურთიერთობისას და კომუნიკაციის პროცესში ცდილობენ პრობლემების ან სხვა არსებული საკითხების რეალურ კონტექსტში გადაჭრას.
სწავლებასა და შეფასებას შორის დამოკიდებულება	სწავლება და შეფასება დამოუკიდებელი აქტივობაა	სწავლება და შეფასება ერთმანეთთანაა დაკავშირებული
შეფასების მიზანი	შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლისა და სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისთვის	შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლის დიაგნოსტიკისთვის და მის ხელშესაწყობად.
შეფასების ინსტრუმენტები	ობიექტურად შეფასებული ტესტები	პროექტები, კვლევითი სამუშაოები და ნაშრომები,

		პორტფოლიოები, პერფორმანსები და ა.შ.
შეცდომების მიმართ დამოკიდებულება	სტუდენტებს შეცდომები არ ეპატიებათ. აქცენტი კეთდება სტუდენტების სწორ პასუხებზე.	სტუდენტებს შეცდომები ეპატიებათ და ის განიხილება როგორც სწავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მნიშვნელოვანია შეცდომებზე სწავლა
კავშირი სხვა დისციპლინებთან	აქცენტი კეთდება მხოლოდ ერთ დისციპლინაზე	აქცენტი კეთდება ინტერდისციპლინაზე
სწავლის კულტურა	კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური	თანამშრომლობითი, კოლაბორაციული, ხელშემწყობი სწავლა
ვინ არის სტუდენტი საკლასო ოთახში?	მხოლოდ სტუდენტები განიხილებიან მოსწავლეებად	მასწავლებელიც და სტუდენტებიც არიან მოსწავლეები, რომლებიც ერთად სწავლობენ




სასწავლო მასალა 2: რა არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება?

მოდული 1, დავალება 2

A ჯგუფი - წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი არსებული ინფორმაციით.

ბიჰევიორისტული თეორია მე-20 საუკუნის დასაწყისში წამყვანი ფსიქოლოგიური თეორია იყო. ბიჰევიორიზმი სწავლას აიგივებს წარმოდგენილი მოქმედების სიხშირის ან ფორმის ცვლილებასთან. სწავლა მიიღწევა მაშინ, როდესაც სათანადო პასუხს ვიღებთ კონკრეტულ გარემოს სტიმულზე. მაგალითად, როდესაც ვაჩვენებთ მათემატიკურ სავარჯიშოს "2 + 4 = ?" მოსწავლე პასუხობს - "6." სავარჯიშო არის სტიმული და სწორი პასუხი - შესაბამისი რეაგირება. ძირითადი ელემენტებია სტიმული, რეაგირება და ამ ორს შორის არსებული კავშირი. უმთავრესი საზრუნავი არის სტიმულისა და რეაგირების დაკავშირება, მისი განმტკიცება და შენარჩუნება.



გრაფიკი 1. ბიჰევიორისტული თეორია

ბიჰევიორისტისთვის სწავლების მიზანია სასურველი რეაქციის მიღება სტუდენტისგან, რომელზეც მიმართულია გამიზნული სტიმული. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტმა უნდა იცოდეს, თუ როგორ გასცეს სათანადო პასუხი. ასევე, ის პირობები, რომლებშიც ეს პასუხი უნდა მომზადდეს. აქედან გამომდინარე, სწავლება სტრუქტურირებულია სამიზნე სტიმულებით და გარემოთი, რომელშიც სტუდენტები პრაქტიკის საშუალებით განამტკიცებენ

შესაბამის რეაქციას. სტიმული-რეაგირების წყვილების დასაკავშირებლად სწავლება ხშირად იყენებს მინიშნებებს (რათა თავდაპირველად მიიღოს რეაქცია) და განმტკიცებას (რათა განამტკიცოს სწორი რეაქცია გამიზნული სტიმულის წარდგენისას).

ბიჰევიორული თეორიები გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელმა/დიზაინერმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (1) განსაზღვროს, რომელ მინიშნებას შეუძლია მიიღოს სასურველი რეაქცია;
- (2) შექმნას პრაქტიკული გარემო, სადაც ხდება რეაგირების გამიზნულ სტიმულთან დაკავშირება, რომელსაც თავდაპირველად არ აქვს რაიმე ძალა, მაგრამ რომლისგანაც საბოლოოდ მივიღებთ რეაქციას "ბუნებრივ" გარემოში;
- (3) შექმნას გარემო პირობები, რათა სტუდენტებმა შეძლონ სწორი რეაგირება წარდგენილ სამიზნე სტიმულებზე და განამტკიცონ რეაქცია.

ერტმერიდან, პ. ა. და თ. ჯ. ნიუბი (2013). "ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი, კონსტრუქტივიზმი: კრიტიკული თვისებების შედარება ინსტრუქციული დიზაინის პერსპექტივიდან". *შესრულების გაუმჯობესების კვარტალური ანგარიში*, 26 (2), გვ. 48-49

	ბიჰევიორიზმი	კოგნიტივიზმი	კონსტრუქტივიზმი	სოციალური კონსტრუქტივიზმი
შეხედულება სწავლაზე		სწავლა ეფუძნება ცოდნის გადაცემასა და სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას		
სწავლის ტიპები				კოლაბორაციული სწავლება და პრობლემის გადაწყვეტა
სწავლების სტრატეგიები			მასწავლებელი ქმნის აქტიური და თვითრეგულირებადი სწავლების შესაძლებლობას	
ძირითადი ცნებები				



სასწავლო მასალა 2: რა არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება?

მოდული 1, დავალება 2

B ჯგუფი - წაკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი არსებული ინფორმაციით.

1950-იანი წლების ბოლოს სწავლის თეორიამ ბიჰევიორისტული მოდელებიდან გადაინაცვლა მიდგომაზე, რომელიც ეყრდნობოდა სწავლის თეორიებსა და მოდელებს კოგნიტური მეცნიერებებიდან. ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა დაიწყეს თვალსაჩინოდ გამოხატული ქცევის მნიშვნელობაზე ყურადღების შემცირების აღნიშვნა და ნაცვლად ამისა წინ წამოსწიეს უფრო რთული კოგნიტური პროცესების მნიშვნელობა, როგორცაა: ფიქრი, პრობლემის გადაწყვეტა, ენა, კონცეფციის ფორმირება და ინფორმაციის აღქმა.

კოგნიტური თეორიები ხაზს უსვამს ცოდნის შექმნას და შინაგან მენტალურ სტრუქტურებს. სწავლა შეესაბამება არსებულ ცოდნას შორის ცალკეულ ცვლილებას, ვიდრე ცვლილებას სავარაუდო რეაქციაში. კოგნიტური თეორიები აქცენტს აკეთებს სტუდენტთა სწავლის პროცესების კონცეპტუალიზაციაზე და განიხილავს საკითხებს, თუ როგორ ხდება გონების მიერ ინფორმაციის მიღება, ორგანიზება, შენახვა და მოძიება. სწავლა დამოკიდებულია არა იმდენად იმაზე, თუ სტუდენტები რას აკეთებენ, არამედ იმაზე, რაც მათ იციან და როგორ იღებენ ამ ცოდნას. ცოდნის შექმნა აღწერილია როგორც ფსიქიკური ქმედება, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ შიდა კოდირებასა და სტრუქტურირებას. სტუდენტი განიხილება, როგორც სასწავლო პროცესის ძალიან აქტიური მონაწილე.

კოგნიტური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სტუდენტის მენტალურ აქტივობებზე, რომლებიც იწვევს რეაქციას და აღიარებს მენტალური დაგეგმვის პროცესებს, მიზნის დასახვასა და ორგანიზაციულ სტრატეგიებს. სტუდენტები კოდირებას უკეთებენ, გარდაქმნიან, იმეორებენ, ინახავენ და იღებენ ინფორმაციას. სწავლის პროცესზე ზეგავლენას ახდენს ასევე სტუდენტთა აზრები, წარმოდგენები, დამოკიდებულება და ღირებულებები. კოგნიტური მიდგომა რეალურ აქცენტს აკეთებს სტუდენტის მიერ სათანადო სასწავლო სტრატეგიების გამოყენების ხელის შეწყობაზე.

მენტალურ სტრუქტურებზე აქცენტირებიდან გამომდინარე, კოგნიტური თეორიები, როგორც წესი, უფრო შესაფერისად განიხილება სწავლის რთული ფორმების ასახსნელად (მსჯელობა, პრობლემის გადაწყვეტა, ინფორმაციის დამუშავება), ვიდრე ბიჰევიორისტული მიდგომა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების რეალური მიზანი ორივე ამ მიდგომისთვის ხშირ შემთხვევაში ერთნაირია: სტუდენტებს მაქსიმალურად ეფექტურად მიაწოდოს ან გადასცეს

ცოდნა. შედეგის მისაღებად სწავლება უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის არსებულ მენტალურ სტრუქტურებს ან სქემას. მასწავლებელმა ისე უნდა შეძლოს ინფორმაციის ორგანიზება, რომ სტუდენტებმა მოახერხონ ახალი ინფორმაციის არსებულ ცოდნასთან ლოგიკურად დაკავშირება.

ასეთი კოგნიტური მიდგომა გულისხმობს იმას, რომ მასწავლებლის/დიზაინერის ძირითადი ამოცანაა:

- (1) გააცნობიეროს, რომ ინდივიდუალურ პირებს აქვთ სხვადასხვა სასწავლო გამოცდილება, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე;
- (2) განსაზღვროს ახალი ცოდნის ორგანიზების და სტრუქტურირების ყველაზე ეფექტური გზა, რომელიც დაშენდება სტუდენტების ადრე შეძენილ ცოდნაზე, უნარებსა და გამოცდილებაზე;
- (3) უკუკავშირის მიღებით ხელი შეუწყოს პრაქტიკას, რათა სტუდენტის კოგნიტურ სტრუქტურაში ეფექტურად და ეფექტიანად მოხდეს ახალი ინფორმაციის ასიმილაცია და აკომოდაცია.

ერთმერიდან, პ. ა. და თ. ჯ. ნიუბი (2013). "ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი, კონსტრუქტივიზმი: კრიტიკული თვისებების შედარება ინსტრუქციული დიზაინის პერსპექტივიდან". *შესრულების გაუმჯობესების კვარტალური ანგარიში*, 26 (2), გვ. 50-54

	ბიჰევიორიზმი	კოგნიტივიზმი	კონსტრუქტივიზმი	სოციალური კონსტრუქტივიზმი
შეხედულება ა სწავლაზე			სწავლა ეფუძნება პირად აღმოჩენასა და ექსპერიმენტებს.	
სწავლის ტიპი				
სწავლების სტრატეგიები				
ძირითადი ცნებები	განმტკიცება			დამხმარე საშუალებათა სისტემა (სკაფოლდინგი) პროქსიმალური განვითარების ზონა



სასწავლო მასალა 2: რა არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება?

მოდული 1, დავალება 2

C ჯგუფი - წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი არსებული ინფორმაციით.

"**კონსტრუქტივიზმი** არის თეორია, რომელიც სწავლას უკავშირებს ცოდნის გამოცდილებიდან მიღებას. კონსტრუქტივისტები არ იზიარებენ კოგნიტივისტების და ბიჰევიორისტების მოსაზრებას, რომ ცოდნა დამოუკიდებელია გონებისგან და შეიძლება განთავსდეს სტუდენტში. კონსტრუქტივისტები არ უარყოფენ რეალური სამყაროს არსებობას, მაგრამ ამტკიცებენ, რომ სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნა ჩვენივე გამოცდილების ჩვენებური ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. ადამიანები ქმნიან და არა იძენენ მნიშვნელობას. ვინაიდან ნებისმიერი გამოცდილებიდან შეიძლება მივიღოთ ბევრი შესაძლო მნიშვნელობა, ჩვენ ვერ მივიღებთ წინასწარ განსაზღვრულ, "სწორ" მნიშვნელობას. სტუდენტების მეხსიერებაში ცოდნის მიღება არ ხდება გარე სამყაროდან; ისინი იქმნიან სამყაროს შესახებ პირად წარმოდგენებს ინდივიდუალური გამოცდილებისა და ურთიერთობის საფუძველზე. ცოდნა ჩნდება შესაბამისი კონტექსტიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმისათვის რომ გავიგოთ როგორ ისწავლა სტუდენტმა, უნდა განვიხილოთ მისი რეალური გამოცდილება" [ერთმერი და ნიუბი, 2013: 55].

"არსებობს ორი ტიპის კონსტრუქტივიზმი - კოგნიტური კონსტრუქტივიზმი და სოციალური კონსტრუქტივიზმი.

კოგნიტური კონსტრუქტივიზმი თავის გენეზისს დიდწილად პიაჟესგან იღებს და ყურადღებას ამახვილებს ფიქრსა და სწავლაზე. პიაჟეს აზრით, სწავლა თვითრეგულირებადი საქმიანობაა, რომელიც გამოცდილებიდან გამომდინარეობს. სტუდენტი აქტიურად აშენებს ცოდნას ახალი გამოცდილების მუდმივი ორგანიზებით, რეორგანიზებით, სტრუქტურიზებით და რესტრუქტურიზებით. ამგვარად, სტუდენტი ახალ ცოდნას და გამოცდილებას შეუსაბამებს არსებულ სქემას, ცოდნასა და კონცეპტუალურ სტრუქტურებს ასიმილაციის პროცესის საშუალებით (ცოდნის მიღება და არსებული ცოდნის სტრუქტურებში განთავსება), აკომოდაციის გზით (სწავლის და ახალი ცოდნის შედეგად აზროვნების შეცვლა) და ახალი რეალობის შესაბამისად ცდილობს გაწონასწორებას - დაბალანსება ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის.

სოციალური კონსტრუქტივიზმის ფუძემდებელია ლევ ვიგოცკი. ის აცხადებს, რომ "სწავლა სოციალური, ერთობლივი და ინტერაქტიული ქმედებაა, რომელშიც ძნელია კონკრეტულად "ასწავლო." მასწავლებელი ქმნის სასწავლო სიტუაციას და

იძლევა სწავლის შესაძლებლობას დამხმარე საშუალებების სისტემით (სკაფოლდინგი). ვიგოცკი მასწავლებლებს ურჩევს, რომ უზრუნველყონ აუცილებელი დახმარე სისტემების შექმნა, რათა სტუდენტებს ჩამოყალიბდეთ აზროვნების უნარ-ჩვევები, აკონტროლონ და პასუხისმგებელი იყონ თავიანთ სწავლაზე. ხარაჩო (სკაფოლდინგი) შენობის აუცილებელი ნაწილია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ შენობის დასრულების შემდეგ მოიხსნას ის. სასწავლო თვალსაზრისით, ეს გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელი არა მარტო ეხმარება სტუდენტს სწავლაში, არამედ ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ მოსწავლეებად, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი თავით აზროვნება.

მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა (სკაფოლდინგი). მაგალითად: შეკითხვების დასმა, დაზუსტება, გამოკვლევა, შეხსენება, ნაბიჯ-ნაბიჯ მკაფიო ინსტრუქციების მიცემა ან დემონსტრირება.

დახმარების გაწევა (სკაფოლდინგი) ხდება არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ. მცირე ჯგუფებს [სტუდენტებს] ასევე შეუძლიათ ერთმანეთის დახმარება (სკაფოლდინგი). ეს ხაზს უსვამს ვიგოცკის მოსაზრებას, რომ სწავლა როგორც სოციალური, ასევე ინდივიდუალური აქტივობაა. კოლაბორაციული სწავლება აძლიერებს სწავლას, ვინაიდან სტუდენტები საუბრობენ არსებულ საკითხებზე როგორც ერთმანეთთან, ასევე - მასწავლებელთან.

„პროქსიმალური განვითარების ზონა“ განსაზღვრავს მანძილს მოსწავლის რეალურ და პოტენციურ განვითარებას შორის, რომელიც მიიღწევა ზრდასრულთა ხელმძღვანელობით ან უფრო მცოდნე თანატოლებთან თანამშრომლობით. სწავლამ უნდა გაზარდოს სტუდენტების შესაძლებლობები.

სოციალური კონსტრუქტივიზმის სწავლაში მნიშვნელოვანია საზოგადოება (მაგ., მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სხვა უფროსები სკოლაში და სკოლის გარეთ) და გაცილებით ნაყოფიერია სწავლა - თეორიის ძირითადი ელემენტი" [კოენი, მანიონი და მორისონი, 2004: 168-169].

ამ თეორიული პლატფორმის გავლენამ სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე წინ წამოსწია იდეა, რომ მასწავლებლებმა თავიანთ სტუდენტებს უნდა შეუქმნან სათანადო პირობები და უზრუნველყონ შესაძლებლობებით, რათა მათ გადაჭრან სხვადასხვა პრობლემა, ჰქონდეთ ერთმანეთთან ურთიერთობა, შეაფასონ და გამოიყენონ ინფორმაცია, რომელიც არ ითვალისწინებს მის გამეორებას" [კოენი, მანიონი და მორისონი, 2004: 168-169].

ერთმანედან, პ. ა. და თ. ჯ. ნიუბი (2013). "ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი, კონსტრუქტივიზმი: კრიტიკული თვისებების შედარება ინსტრუქციული დიზაინის პერსპექტივადან". *შესრულების გაუმჯობესების კვარტალური ანგარიში*, 26 (2), გვ. 55 და კოენი, ლ., მანიონი, ლ. და მორისონიდან, კ. (2004). *სწავლების პრაქტიკის გზამკვლევი*. ფსიქოლოგიის პრესა, გვ. 168-169.

	ბიჰევიორიზმი	კოგნიტივიზმი	კონსტრუქტივიზმი	სოციალური კონსტრუქტივიზმი
შეხედულება სწავლაზე	სწავლა ეფუძნება სტიმულს და რეაგირებას.			
სწავლის ტიპი		დაზეპირება და წესების გამოყენება		
სწავლების სტრატეგიები				
ძირითადი ცნებები			პირადი აღმოჩენა აქტიური სწავლა	



**სასწავლო მასლა 3: მასწავლებელზე ორიენტირებული
სწავლების შედარება სტუდენტზე ორიენტირებულ
სწავლებასთან**

მოდული 1, დავალება 2

წაიკითხეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია და შეავსეთ. გაუზიარეთ თქვენი აზრი პარტნიორს.

	მასწავლებელზე ორიენტირებული პარადიგმა	სტუდენტზე ორიენტირებული პარადიგმა
შეხედულება სწავლაზე	სტუდენტებს ცოდნა გადაეცემათ მასწავლებლისგან.	
სტუდენტების როლი		სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ცოდნის შექმნაში.
მასწავლებლის როლი	მასწავლებელი არის ცოდნის ძირითადი წყარო და სტუდენტების ცოდნის მთავარი შემფასებელი.	
ცოდნა და უნარები, რომლებიც უნდა განვითარდეს სწავლებისა და სწავლის შედეგად	ცოდნის შექმნა იმ კონტექსტის გარეთ, რომელშიც იქნება გამოყენებული.	
სწავლასა და შეფასებას შორის კავშირი		სწავლება და შეფასება ერთმანეთთანაა დაკავშირებული.
შეფასების მიზანი	შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლისა და სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისთვის.	
შეფასების ინსტრუმენტები	ობიექტურად შეფასებული ტესტები	
შეცდომების მიმართ დამოკიდებულება		სტუდენტებს შეცდომები ეკატიებათ და ის განიხილება, როგორც

		სწავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მნიშვნელოვანია შეცდომებზე სწავლა.
კავშირი სხვა დისციპლინებთან	აქცენტი კეთდება მხოლოდ ერთ დისციპლინაზე.	
სწავლის კულტურა	კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური	
ვინ არის სტუდენტი საკლასო ოთახში?	მხოლოდ სტუდენტები განიხილებიან მოსწავლეებად.	

ადაპტირებულია ჰუბა, მ. ე. და ფრიდიდან, ჯ. ე. (2000). *სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება კოლეჯის კამპუსებზე: ფოკუსის გადატანა სწავლებიდან სწავლაზე*. ალლინი და ბეკონი.

მესამე დავალება: სტუდენტთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში

მიზნები:

- მონაწილეთა ყურადღების გამახვილება სტუდენტების იმ კომპეტენციებზე, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში წარმატებით ჩართვისთვის სჭირდებათ;
- იმის გააზრება, თუ როგორ შეიძლება ეს კომპეტენციები გამოყენებული იქნას კლასში.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 4 - სტუდენტთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში

სასწავლო მასალა 5 - შემთხვევები

მომზადება:

მეოთხე სასწავლო მასალის ასლები (თითო თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 30 წუთი

პროცედურა:

1. სესია დაიწყეთ მონაწილეებისთვის მოკლე ისტორიის წაკითხვის თხოვნით.

"ტყეში ორი ბიჭი მიდიოდა. პირველი ბიჭი მიჩნეული იყო, როგორც ძალიან ჭკვიანი; ის საუკეთესო ნიშნებს იღებდა სკოლაში, გამოცდებში ჰქონდა მაღალი ქულები და ყველანაირი საფუძველი უმაღლეს განათლებაში წარმატების მისაღწევად. მეორე ბიჭი საკმაოდ განსხვავებული იყო. მას ცუდი ნიშნები ჰქონდა და გამოცდებშიც ვერ იღებდა კარგ ქულებს. ზოგადად, ის მიჩნეული იყო, როგორც მარჯვე და მოხერხებული. როდესაც მიდიოდნენ, გზად შემოხვდათ დიდი, მშვიერი დათვი. პირველი ბიჭი პანიკაში ჩავარდა, რადგან გამოითვალა, რომ დათვი მათ დაეწეოდა 17,3 წამში. შეხედა თავის თანამგზავს, რომელიც მშვიდად იხდიდა სალაშქრო ფეხსაცმელს და სირბილისთვის შესაფერის ფეხსაცმელს იცვამდა. პირველმა ბიჭმა უთხრა: "შენ ალბათ გიგიჟდი. არ არსებობს იმის შანსი, რომ ამ დათვს გავუსწრობთ!" მეორე ბიჭმა უპასუხა: "მართალია, მაგრამ მთავარია შენ გაგისწრო!"

[სტერნბერგი და სპირ-სვერლინგი, 1996: 5 - 6]

მონაწილეებს სთხოვეთ კომენტარი გააკეთონ ამ ამბის შესახებ და სცადეთ გაიგოთ მათგან, თუ რატომ არის მეორე ბიჭი უფრო წარმატებული პრობლემის გადაჭრაში, ვიდრე პირველი.

სავარაუდო პასუხი:

მეორე ბიჭს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, არის შემოქმედებითი და პრაქტიკული. მას არ მოსწონს სხვის მითითებებზე სიარული. უფრო მეტიც, ურჩევნია საკუთარი იდეების გენერირება. ის უპირატესობას ანიჭებს პრობლემების გადაჭრას მათი გაანალიზების, მისი ელემენტების იდენტიფიცირების გზით და იმის აღმოჩენით, თუ როგორ მუშაობს ის.

პირველი ბიჭი შესანიშნავი მოსწავლეა, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან ყურადღებიანია კლასში და ურჩევნია მიიღოს მითითებები დავალებაზე მუშაობისას. ვინაიდან ის სხვის იდეებს იყენებს, ექმნება პრობლემა, როდესაც თვითონ უწყევს მათი გენერირება. ის შესანიშნავად ახერხებს სხვისი იდეების გაანალიზებას და მათ გახსენებას, მაგრამ უჭირს გამოიყენოს ეს იდეები სხვადასხვა პრობლემის პრაქტიკული გზით გადაწყვეტის დროს.

აქცენტი გააკეთეთ იმ ფაქტზე, რომ პირველი ბიჭი არის მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლის პროდუქტი და მეორე ბიჭი კარგად ისწავლის სტუდენტზე ორიენტირებულ კლასში.

2. გააგრძელეთ აქცენტის გაკეთება 21-ე საუკუნის უნარების გამომუშავებაზე, რომელიც სტუდენტებს სჭირდებათ საზოგადოებაში და სამუშაო ბაზარზე წარმატების მოსაპოვებლად. მონაწილეებს შეახსენეთ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპები:

- სწავლა არის **პერსონიზებული** (მაგ., ის ორიენტირებულია სტუდენტის საჭიროებებზე, ინტერესებზე, ძლიერ მხარეებზე და ა.შ.);
- სწავლა არის **კომპეტენციებზე დაფუძნებული** (მაგ., ის მოითხოვს უნარ-ჩვევების განვითარებას);
- სწავლა ხდება **ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას** (მაგ., ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით);
- სტუდენტებს საკუთარ სწავლის **სააგენტო და საკუთრება** (მაგ., სტუდენტები უნდა იყვნენ თავიანთი ცოდნისა და სწავლის პროცესის შემქმნელები და მენეჯერები).


[ბრეი და მაკკლასკი, 2016: 1]

დააკავშირეთ ეს პრინციპები 21-ე საუკუნის სწავლის უნარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან განმარტებასთან. მაგალითად:

"ეს უნარები მოიცავს რთული პრობლემების გადაჭრის უნარს, კრიტიკულად აზროვნებას, სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებთან ეფექტურ კომუნიკაციას და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენებას მათთან თანამშრომლობისას, ამოცანების შესრულებისას სწრაფად ცვალეზად გარემოსა და პირობებში ადაპტირებას, საკუთარი სამუშაოს ეფექტურად მართვას და ახალი უნარების შეძენისა და ინფორმაციის მიღების უნარს."

[ეროვნული აკადემიის ეროვნული სამეცნიერო საბჭო, (2001: 1)

ახსენით, რომ ეს უნარები შეიძლება მიეკუთვნოს სამ ძირითად დომენს - კოგნიტური დომენი, ინტერპერსონალური დომენი და ინტერკულტურული დომენი. მონაწილეებს ყურადღება გაამახვილებინეთ სპეციფიკურ უნარებზე, რომლებითაც წარმოდგენილია თითოეული დომენი:




უნარები და დომენები ადაპტირებულია ეროვნული აკადემიის ეროვნული სამეცნიერო საბჭოსგან, 2001, გვ. 2

საჭიროების შემთხვევაში ახსენით თითოეული დომენის მნიშვნელობა.



3. მონაწილეებს აუხსენით, რომ ყურადღებას გაამახვილებთ სტუდენტთა კომპეტენციებზე სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში 4კ-ს მიდგომის გამოყენებით. სთხოვეთ ჯგუფებს, რომ გონებრივი იერიშის გზით მოიფიქრონ, რას შეიძლება გულისხმობდეს 4კ (ახსენით, რომ თითოეული ტერმინი იწყება კ ასოთი). მიეცით 5 წუთი დისკუსიისთვის და კონსესუსის მისაღწევად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა გაუზიაროს იდეები სხვებს და განმარტოს, თუ რატომ აირჩია კონკრეტული ტერმინები.
4. არ გაამჟღავნოთ პასუხი, მაგრამ უთხარით მონაწილეებს, რომ აყურებინებთ ვიდეოს, რომელიც მისცემს უკუკავშირს მათ მოსაზრებებზე.



<https://www.youtube.com/watch?v=QrEEVZa3f98>

5. მიეცით მონაწილეებს მეოთხე სასწავლო მასალა და განუმარტეთ, რომ განიხილავთ სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციას, კოლაბორაციასა და კრეატიულობას.
6. მონაწილეებს სთხოვეთ იმუშაონ ინდივიდუალურად და როდესაც მზად იქნებიან, შეადარონ პასუხები პარტნიორის პასუხებს.
7. დასასრულს შეამოწმეთ პასუხები ინდივიდუალური მონაწილეების წარმოდგენილი ანგარიშით. აღნიშნეთ თითოეულის წვლილი.

სავარაუდო პასუხები:

კრიტიკული აზროვნების უნარი:

- დასკვნების გამოტანა ანალიზის საფუძველზე;
- იდენტიფიცირება და მნიშვნელოვანი კითხვების დასმა, რომლებიც განმარტავს სხვადასხვა თვალსაზრისს და მიჰყავს საუკეთესო გადაწყვეტილებამდე;

კომუნიკაციის უნარი:

- სხვადასხვა მედიატექნოლოგიების გამოყენება და იმის ცოდნა, თუ როგორ შეაფასო მისი გავლენა და ეფექტურობა.

კრეატიულობა და ინოვაციის უნარი:

- იდეების გენერირების ფართო სპექტრის ტექნიკის გამოყენება (მაგ., გონებრივი იერიში);
 - ახალი და სასარგებლო იდეების შექმნა (როგორც ინკრემენტული, ისე რადიკალური ინოვაციები);
 - გააზრება იმისა, რომ კრეატიულობა და ინოვაცია არის მცირე წარმატებების მიღწევის და ხშირი შეცდომების დაშვების გრძელვადიანი ციკლური პროცესის ნაწილი.
8. მონაწილეებს მიეცით მეხუთე სასწავლო მასალა. სთხოვეთ წაიკითხონ ოთხი შემთხვევა და სცადონ მიუთითონ თითოეული მათგანი რომელ 4კ-ს ასახავს. მონაწილეებმა უნდა იმუშაონ ინდივიდუალურად, მაგრამ პარტნიორებთან შეადარონ პასუხები.
9. შეამოწმეთ პასუხები მთელ ჯგუფთან. წახალისეთ, რომ გააკეთონ კომენტარები და გაიგეთ თითოეული 4კ-ს არჩევის მთავარი მიზეზი.

სავარაუდო პასუხები:

შემთხვევა 1 - კრეატიულობა;

შემთხვევა 2 - კომუნიკაცია;

შემთხვევა 3 - კრიტიკული აზროვნება;

შემთხვევა 4 - კოლაბორაცია.

შენიშვნა: შემთხვევების პასუხები შეიძლება განსხვავდებოდეს, ვინაიდან 4კ, შინაგანად უკავშირდება სტუდენტზე ორიენტირებულ კლასს. მიიღეთ განსხვავებული პასუხები, თუ მონაწილეებს შეუძლიათ აზრის არგუმენტებით განმტკიცება.




სასწავლო მასალა 4: სტუდენტების კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში

მოდული 1, დავალება 3

შეხედეთ 4კ-ს. შეუსაბამეთ დომენებზე მოცემულ უნარებს.

- | | |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> • გამოიყენეთ სიტუაციისთვის შესაფერისი სხვადასხვა ტიპის მსჯელობა (ინდუქციური, დედუქციური და ა. შ.); • ინფორმაციას გაუკეთეთ ანალიზი და სინთეზირება და დააკავშირეთ ინფორმაცია და არგუმენტები ერთმანეთთან; • გადაჭერით სხვადასხვა სახის უცნობი პრობლემები როგორც ტრადიციული, ისე ინოვაციური გზებით; • შეხედეთ კრიტიკულად (მათ შორის, სწავლის გამოცდილებას და პროცესებს). | <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ფორმასა და კონტექსტში ეფექტურად ჩამოაყალიბეთ ფიქრები და აზრები ზეპირი, წერილობითი და არავერბალური კომუნიკაციის უნარების გამოყენებით; • გამოიყენეთ კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნებისთვის (მაგ., ინფორმირებისთვის, ინსტრუქციის მისაცემად, მოტივაციის ასამაღლებლად და დასარწმუნებლად); • გქონდეთ ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა გარემოში (მათ შორის, მრავალენოვან და მულტიკულტურულ გარემოში). |
|---|--|



- | | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ჯგუფებთან ეფექტურად და პატივისცემით მუშაობის უნარი; • საერთო მიზნის მისაღწევად საჭირო კომპორმისებზე წასვლისთვის მზადყოფნის და მოქნილობის უნარი; • საერთო პასუხისმგებლობის გააზრება თანამშრომლობითი მუშაობის დროს და | <ul style="list-style-type: none"> • ორიგინალური იდეების შემუშავება, დახვეწა, ანალიზი და შეფასება შემოქმედებითი ძალისხმევით გასაუმჯობესებლად და მაქსიმალური ეფექტის მისაღებად; • გააზრება, რომ კრეატიულობა და ინოვაცია არის მცირე წარმატებების |
|--|--|

თითოეული ჯგუფის წევრის მიერ შეტანილი წვლილის დაფასება.

მიღწევის და ხშირი შეცდომების დაშვების გრძელვადიანი ციკლური პროცესის ნაწილი;

- მიიღო და უპასუხო ახალ და მრავალფეროვან პერსპექტივებს;
 - მუშაობაში ორიგინალურობის და გამომგონებლობის დემონსტრირება და იმის გააზრება, რომ რეალური სამყარო ზღუდავს ახალი იდეების მიღებას.
- გამოიყენოს იდეების შექმნის ფართო სპექტრის ტექნიკა (მაგ., როგორცაა გონებრივი იერიში);
 - შეხედოს წარუმატებლობას, როგორც სწავლის შესაძლებლობას;
 - გამოიტანოს დასკვნები ანალიზის საფუძველზე;
 - გამოიყენეს სხვადასხვა მედიატექნოლოგიები და ესმოდეს, როგორ შეაფასოს მისი გავლენა და ეფექტურობა;
 - განსაზღვროს და დასვას მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც განმარტავს სხვადასხვა თვალსაზრისს და მიჰყავს საუკეთესო გადაწყვეტილებამდე;
 - შექმნას ახალი და სასარგებლო იდეები (როგორც ინკრემენტული, ისე რადიკალური ინოვაციები).

ადაპტირებულია ეროვნული განათლების ასოციაციიდან. 21-ე საუკუნის სტუდენტების მომზადება გლობალური საზოგადოებისთვის: "ოთხი კ-ს" მასწავლებლის სახელმძღვანელო (ონლაინ)



სასწავლო მასალა 5: შემთხვევები

მოდული 1, დავალება 3

წაიკითხეთ შემთხვევები. გადაწყვიტეთ, რომელ 4 კ-ს მიეკუთვნება და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

შემთხვევა 1: კომპიუტერულ მეცნიერებათა კლასში სტუდენტები ერთიანდებიან ჯგუფებში. მათ უნდა შექმნან ისეთ რობოტი, რომელიც გაკონტროლდება ადამიანის ხმის საშუალებით, მას გამოიყენებენ დასუფთავებისა და საჭმლის მომზადებისთვის. თითოეული გუნდი ავითარებს საკუთარ იდეას ხმის კონტროლირებადი რობოტის აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ და ქმნის სქემატურ დიაგრამას. გუნდები ასევე ქმნიან რობოტის პირველად დიზაინს.

მომდევნო კლასში ჯგუფები ქმნიან სქემატური დიაგრამების და რობოტის დიზაინის შეფასების კრიტერიუმებს. კრიტერიუმებს მთელ კლასში განიხილავენ და დებენ საბოლოო ვერსიას. გუნდები აძლევენ სქემატურ დიაგრამას და დიზაინს სხვა გუნდს, რომელიც, თავის მხრივ, უწევს რეკომენდაციებს არსებული დიაგრამის და დიზაინის გაუმჯობესებაზე. შემდეგ სტუდენტები განიხილავენ თავიანთ გამოცდილებას შეფასების პროცესში და განსაზღვრავენ იმ კურსებს, რომლებიც გამოიყენეს სქემატური დიაგრამის და რობოტის დიზაინის შესაქმნელად (მაგ., ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთქმედება, პროგრამული და აპარატურის დიზაინი, მობილური ტექნოლოგიები, კომპიუტერული არქიტექტურა და ა.შ.). სტუდენტები ასევე აკეთებენ კომენტარს იმ გზებზე, სადაც კომპიუტერული ინჟინერია მოითხოვს შემოქმედებითი იდეების გამოყენებას რეალური პრობლემების გადასაჭრელად. ისინი ასევე იძლევიან რეკომენდაციებს, თუ რომელი ექსპერტები ჩართონ საპროექტო პროცესში, თუ ამ რობოტს გამოიყენებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

შემთხვევა 2: ინგლისურენოვან კლასში სტუდენტებს ეძლევათ შემდეგი სახის პრობლემა: თქვენ მუშაობთ სწრაფი კვების რესტორანში ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ბევრი საოფისე შენობაა. ყოველდღე სადილის დროს უამრავი ადამიანი, რომლებიც მუშაობენ ახლომდებარე ოფისებში, მოდიან, რომ ისადილონ. ცოტა ხნის წინ ახალი სწრაფი კვების რესტორანი გაიხსნა თქვენთან ახლოს. როგორ შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ კლიენტების დაკარგვა? სტუდენტები ქმნიან ჯგუფებს, რომელთაც უნდა შეიმუშაონ კლიენტთა შენარჩუნების გეგმა. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს პრობლემის გადაჭრის სამი გზა. ჯგუფები განიხილავენ ამ სამი შესაძლო სცენარის დადებით და უარყოფით მხარეებს და შეთანხმებას აღწევენ საუკეთესო ვარიანტზე. შემდეგ ჯგუფმა უნდა აღწეროს ის ნაბიჯები, რომლებიც გადაწყვეტილების განხორციელებისთვის არის აუცილებელი და მოიფიქროს პროცესის განხორციელების მონიტორინგის გზები.

შემთხვევა 3: შუასაუკუნეების ისტორიის კლასში სტუდენტები ქმნიან ჯგუფს, რათა კვლევა ჩაატარონ შუა საუკუნეების ხელოვნებასა და არქიტექტურაზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ კონკრეტული არქიტექტურული სტილის ან მხატვრის ნამუშევრების

პრეზენტაცია. ჯგუფები თავიანთ პრეზენტაციებს აჩვენებენ დანარჩენ კლასს. სტუდენტები აგროვებენ მოძიებულ ინფორმაციას და ამზადებენ ელექტრონულ წიგნს, რომელიც წარმოაჩენს სხვადასხვა პერსპექტივას. ელექტრონული წიგნი მოიცავს სტუდენტების დაწერილ ტექსტებს და მათ მიერვე შექმნილ აუდიოჩანაწერებს.

შემთხვევა 4: სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და აწარმოებენ კვლევას სასურველი ციფრული საშუალებების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა ასაკის ადამიანები იყენებენ ინფორმაციის მოსაძიებლად და სხვებთან კომუნიკაციისთვის. სტუდენტები ამზადებენ ინტერვიუს კითხვებს და განსაზღვრავენ რესპონდენტების ოთხ სამიზნე ჯგუფს - მოზარდები, უნივერსიტეტის სტუდენტები (19-25 წელი), ზრდასრულები (25-დან 45 წლამდე) და ზრდასრულები (45 წლის და ზემოთ). თითოეული მცირე ჯგუფის წევრი ინტერვიუს ატარებს ოთხივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთან. აკეთებენ ზოგიერთი ინტერვიუს ვიდეოჩანაწერს, რადგან მას გამოიყენებენ ბიზნესგეგმის პრეზენტაციებში, რომელთა მომზადებაც მათ ევალებათ. როდესაც დაასრულებენ ინტერვიუს ჩაწერას თითოეული სამიზნე ჯგუფის 30 რესპონდენტთან, გაანალიზებენ ინფორმაციას და მოამზადებენ პრეზენტაციებს, რომლებიც მოიცავს გრაფიკებსა და ციფრებს. თითოეული ჯგუფი თითოეული ოთხი სამიზნე ჯგუფისთვის ამზადებს სხვადასხვა მობილური აპლიკაციის ბიზნესგეგმას. ისინი საკუთარ ბიზნესგეგმას წარუდგენენ ნაციონალური მობილური კომპანიის წარმომადგენელს და მიიღებენ უკუკავშირს თავიანთი იდეების შესახებ.

მეოთხე დავალება: მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მიზნები:

- სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში სტუდენტის კომპეტენციების დაკავშირება იმასთან, თუ რისი გაკეთება სჭირდება მასწავლებელს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განსახორციელებლად;
- მონაწილეების სტიმულირება, დაფიქრდნენ იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც უნდა განახორციელონ მასწავლებელზე ორიენტირებულიდან სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასასვლელად.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 6 - მასწავლებელთა კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მომზადება:

მეექვსე სასწავლო მასალის ასლები (თითო თითოეული წევრისთვის)

დრო: 40 წუთი

პროცედურა:

1. სესია დაიწყეთ მონაწილეთა ყურადღების გამახვილებით იმ ფაქტზე, რომ მასწავლებლებს აქვთ ბევრი სხვადასხვა როლი. დაასახელეთ მასწავლებლის რამდენიმე როლი:
დიზაინერი | ლიდერი | ინოვატორი | კომუნიკატორი

სთხოვეთ მონაწილეებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ჭრილში დაფიქრდნენ უფრო მეტი როლის შესახებ. მონაწილეებს საშუალება მიეცით იმუშაონ მცირე ჯგუფებში და სთხოვეთ თითოეული მათ მიერ მოფიქრებული როლისთვის დახატონ ლოგო.

2. სთხოვეთ მონაწილეებს წარადგინონ თავიანთი ლოგოები და ისაუბრონ წარმოდგენილი როლის შესახებ.
3. აჩვენეთ მონაწილეებს 7კ-ს ლოგოები, რომლებიც გამოსახავს 21-ე საუკუნის უწყვეტ განათლებას და აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლებაზე, დაკავშირებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პარადიგმასთან.



კრიტიკული აზროვნება

კომუნიკაცია

კოლაბორაცია

კრეატიულობა



კომპიუტერიზაცია

კარიერა/თვითრეგულირება

კროსკულტურული გაგება

აღნიშნეთ, რომ წინა სესიაში განიხილეთ პირველი 4კ, როდესაც საუბრობდით სტუდენტების უნარებზე სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში. სთხოვეთ განიხილონ, თუ რატომ დაემატა დანარჩენი 3 კომპეტენცია თავდაპირველ ოთხს.

მოსალოდნელი პასუხები:

კომპიუტერიზაცია - ციფრული ტექნოლოგიებისა და უნარების გამოყენება - სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ სულ უფრო და უფრო ციფრული ხდება; ჩვენ ვასწავლით ციფრულ სტუდენტებს; ციფრული ტექნოლოგიები ჩვენი კლასის ნაწილია;




კარიერა/თვითრეგულირება - სტუდენტები საკუთარი სწავლის მენეჯერები არიან; სწავლა არის უწყვეტი და სტუდენტები მზად უნდა იყვნენ ცვლილებების სამართავად; ასევე, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სწავლის ფორმებში და შეძლონ თავიანთი მიზნებისა და კარიერული გეგმების შეცვლა.

კროსკულტურული გაგება - საზოგადოებები დღეს მრავალფეროვანია და შედგება სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისგან, განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა თუ სქესობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანებისგან და ა.შ.




4. გაყავით მონაწილეები სამ ჯგუფად - A, B და C. მიეცით სასწავლო მასალა 6 და სთხოვეთ შეავსონ ცხრილები.
5. როდესაც ჯგუფები მზად იქნებიან, შექმენით სამი ახალი ჯგუფი, რომლებშიც შევა თითოეული წინა ჯგუფის წევრი. ახალ ჯგუფებში მონაწილეები წარადგენენ, თუ როგორ შეავსეს ცხრილები და დაამატებენ მასწავლებელთა კომპეტენციებს.
6. დასასრულს ჯგუფები გააკეთებენ მოხსენებას.


სავარაუდო პასუხები:

დომენი	ამ უნარების გამომუშავების სწავლის სტრატეგიების დაგეგმვისას მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:
--------	--

 <p>კრიტიკული აზროვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუქმნას სტუდენტებს შესაძლებლობა, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ; • მისცეს ისეთი დავალებები, რომლებიც სტუდენტებისგან მოითხოვს მსჯელობასა და ანალიტიკურ აზროვნებას რეალური პრობლემის გადასაჭრელად; • სტუდენტებს მისცეს დრო ინფორმაციის დასამუშავებლად სხვებთან მუშაობის დაწყებამდე; • გაითვალისწინოს სტუდენტის წინასწარი ცოდნა ახლის მიწოდებისას; • დაუსვას კითხვები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს პრობლემის გადაჭრის პროცესში; • დაუსვას კითხვები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს დაფიქრდნენ, თუ რამდენად შესაფერისია მათი გადაწყვეტილებები; • სტუდენტებს სთხოვოს სხვადასხვა პერსპექტივების გამოყენება პრობლემაზე მუშაობისას; • ხელი შეუწყოს სტუდენტებს მოტივაციის და თვითშეფასების გაზრდაში გადაწყვეტილებების მიღებისას ან საკუთარი იდეების დაცვისას; • აღნიშნოს სტუდენტების წვლილი, მაგრამ ამავე დროს წაახალისოს, იმსჯელონ კრიტიკულად დადგენილი კრიტერიუმებზე დაყრდნობით.
 <p>კომუნიკაცია</p>  <p>კროსკულტურული გაგება</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაადგინოს კომუნიკაციის მკაფიო წესები წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისას (მაგ., სტუდენტებმა აქტიურად უნდა მოუსმინონ; სტუდენტებმა პატივი უნდა სცენ სხვების წვლილს; სტუდენტები უნდა დაელოდონ, სანამ მათი თანატოლი დაასრულებს სიტყვას და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბრონ და ა.შ.); • დააკვირდეს კომუნიკაციის წესებს და დარწმუნდეს, რომ ის ვრცელდება მათზეც; • ჩართოს სტუდენტები საკომუნიკაციო აქტივობებში, რომლებიც ავითარებს მათ უნარებს; დაგეგმონ თავიანთი შეტყობინება, შეიმუშაონ მისი სტრუქტურა, განიხილონ და შემდეგ გადასცენ; • მოახდინოს იმ აქტივობების ინტეგრირება, რომლებიც სტუდენტებს გამოუმუშავენ პრეზენტაციის უნარს; • სთხოვოს სტუდენტებს დაფიქრდნენ შეტყობინების იმ შესაძლო ეფექტზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პირებზე, რომელთათვისაც ის არის განკუთვნილი; • მისცეს სტუდენტებს საშუალება, რომ გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც შეესაბამება ამოცანასა და მიზანს და ხელს შეუწყობს შეტყობინების უკეთესად მიწოდებას;
	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს იმ დავალების მკაფიო განმარტება, რომელიც მოითხოვს ჯგუფურ მუშაობას, რათა სტუდენტებმა შეძლონ სწარაფად და მარტივად ორგანიზება;



 <p>კოლაბორაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • გამოიყენოს სხვადასხვა სახის ურთიერთობის სტილი და იქონიოს წარმოდგენა წყვილსა და ჯგუფში მუშაობის უპირატესობებსა და უარყოფით მხარეებზე; • ერთად მუშაობის დროს მისცეს სტუდენტებს საშუალება ორგანიზება გაუწიონ და მართონ თავიანთი თავი; • ითანამშრომლოს კოლეგებთან და გაკვეთილების დასაგეგმად ეფექტურად იმუშაოს ჯგუფებში სხვა მასწავლებლებთან ერთად; • გამოიჩინოს სტუდენტებს შორის, ასევე კოლეგებთან ან სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას კონფლიქტების მოაგვარების უნარი; • ისწავლოს სხვებისგან (მათ შორის - სტუდენტებისგან); • წახალისოს სტუდენტები, რომ მონაწილეობა მიიღონ წყვილებს შორის ან ჯგუფურ მუშაობაში და წვლილი შეიტანონ სამუშაოს თანაბარ განაწილებაში;
 <p>კომუნიკაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს დავალებები, რომლებიც სტუდენტებს დააფიქრებს პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტებსა და გზებზე; • გამოიყენოს ისეთი დავალებები, რომელთა გადასაჭრელადაც სტუდენტებს მოუწევთ ექსპერიმენტების ან კვლევის ჩატარება; • ახალი შემოქმედებითი დავალების შექმნისას დაეყრდნოს სტუდენტის წინა საგნობრივ ცოდნას და არსებულ უნარებს (ნუ იქნებით ზედმეტად ამბიციური!); • მკაფიოდ განსაზღვროს სტუდენტების საჭიროებები, რაც აუცილებელია ინოვაციური იდეების გენერირებისთვის; • სტუდენტებს მიეცით საშუალება მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აკუმულირდება არსებულ ცოდნასთან და დაეხმარება კრიტიკულ აზროვნებაში; • შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც სტუდენტები დაცულად იგრძნობენ თავს, თავისუფლად გააჟღერებენ საკუთარ იდეებსა და ისწავლიან შეცდომებზე.
 <p>კომპიუტერიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცოდეს სტუდენტების ციფრული უნარების დონე და სწავლის პროცესში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების უნარი; • გამოიყენოს ციფრული ტექნოლოგიები, რათა შექმნას სტუდენტებისთვის საინტერესო კონტენტი; • გამოიყენოს სოციალური ქსელი სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის, როდესაც ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად ან ჩართოს ახალი ინფორმაციის აღმოჩენასა და გამოყენებაში; • შექმნას ციფრული სასწავლო მასალები სტუდენტების აქტიური სწავლების უნარების განვითარების ხელშესაწყობად; • ჩართოს სტუდენტები მათ მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო მასალის ხარისხის განხილვაში;

	<ul style="list-style-type: none"> • გამოიყენოს ციფრული შეფასების შესაძლებლობები კლასში;
<div data-bbox="252 295 539 448" style="text-align: center;">  <p>career / self-reliance</p> </div> <p>კარიერა/თვითრეგულირება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხელი შეუწყოს სტუდენტებს საკუთარი სასწავლო მიზნების დასახვაში; • ხელი შეუწყოს სტუდენტებს რეალისტური და მიღწევადი მიზნების დასახვაში; • განავითაროს სტუდენტთა უნარები, დაგეგმონ აქტივობები შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით: "სად ვარ ახლა," "სად მინდა წასვლა" და "როგორ მივიდე იქ?" • სტუდენტებს შეუქმენას შესაძლებლობება, გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, დააკვირდნენ და შეაფასონ თავიანთი ცოდნა და უნარები; • გამოიყენოს ისეთი დავალებები, რომლებიც სტუდენტებისგან მოითხოვს კონსტრუქციული უკუკავშირის როგორც მიღებას, ისე გაცემას; • გამოიყენოს ისეთი დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს განსაზღვრონ თავიანთი ინტერესები, უნარების დონე, მოტივაცია, ღირებულებები; • გამოიყენოს ისეთი დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაფიქრდნენ საკუთარ და სხვის სწავლაზე (საკუთარ და სხვის შეცდომებზე სწავლა); • გაიზარდოს პროფესიულად.


7. სთხოვეთ მონაწილეებს, დაუბრუნდნენ მასწავლებლის იმ როლებს, რომლებიც დასაწყისში იყო შეთავაზებული. ჰკითხეთ, ამ როლებიდან რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად იმ განხილულ საკითხებს, რომლებიც მასწავლებელს სჭირდება სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.
8. შეაჯამეთ დისკუსია და დააკავშირეთ მომდევნო სესიასთან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთ ძირითად ტერმინთა განმარტებაზე.



სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი A – განიხილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

სფერო	განსაზღვრება
 critical thinking კრიტიკული აზროვნება	<p>მრავალმხრივი უნარი² მოიცავს პრობლემების მოგვარებას ცუდად განმარტებული ინფორმაციის პირობებში. იგი შედგება 4 უნარისგან:</p> <ol style="list-style-type: none"> სისტემის ანალიზი: უნარი, განსაზღვროს ურთიერთკავშირი სხვადასხვა ცვლადებსა და სისტემებში; არგუმენტის ანალიზი: უნარი, გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები არსებული მონაცემებიდან და საჩივრებიდან; შექმნა: უნარი, შეადგინოს სტრატეგია, თეორია, მეთოდი ან არგუმენტი, სამხილების სინთეზიდან გამომდინარე (შექმნილი არტეფაქტი, რომელიც ხელთარსებული ინფორმაციის მიღმაა); შეფასება: უნარი, შეაფასოს პროცედურების ან გადაწყვეტილებების ხარისხი. შეფასება მოიცავს სამუშაო პროდუქტის კრიტიკას რიგი სტანდარტების გამოყენებით კონკრეტულ ჩარჩოში.
სტუდენტთა კომპეტენციები	
<ul style="list-style-type: none"> • განმარტე და დაიმახსოვრე თემასთან დაკავშირებული ძირითადი დეტალები; • იცოდე, ახალი ინფორმაცია რას ნიშნავს (მიმართოს დედუქციურ და ინდუქციურ აზროვნებას); • აქვს უნარი გამოიყენოს ინფორმაცია (დაგეგმოს პროექტი ან ჩამოაყალიბოს მიზნები); • შეუძლია იდეების შედარება და განსხვავება, ასევე, მათი კლასიფიკაცია, დალაგება და თანმიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობის გამორკვევა; • შეუძლია შეაფასოს იდეები კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამისად; • შეუძლია თავი მოუყაროს იდეებს ორგანიზებულად; 	

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____



² http://www.p21.org/storage/documents/Skills_For_Today_Series-Pearson/Educators_-_Critical_Thinking_Executive_Summary.pdf (ნანახია 20-01-2018)



სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი **A** – განიხილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

სფერო	განსაზღვრება
 <p>communicate</p>  <p>cross-cultural understanding</p>	<p>კომუნიკაცია მოიცავს დაკავშირებული იდეების წარმოდგენას, სხვადასხვა კომუნიკაციის მეთოდების (ვერბალური, არავერბალური, წერილობითი, ინტერპერსონალური და ციფრული) და ინსტრუმენტების (შეტყობინება, ბლოგი, ინერნეტფორუმები, ჩატის ოთახები, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ვიდეო-კონფერენციები, მაუწყებლობა და ა.შ.) გამოყენებით, რათა მოხდეს კარგად სტრუქტურირებული და თანმიმდევრული შეტყობინებების გადაცემა.</p> <p>კულტურათაშორისი კომუნიკაცია მოიცავს ცნობიერების ამაღლებას იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული სხვადასხვა კულტურები, როგორ ურთიერთობენ ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთთან და როგორ აღიქვამენ ისინი სამყაროს.</p>
<p>სტუდენტთა კომპეტენციები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • აზრების ჩამოყალიბება მეტყველების აპარატის გამოყენებით, წერითი და არავერბალური კომუნიკაციის უნარების გამოყენებით სხვადასხვა ფორმასა თუ კონტექსტში; • მოუსმინე ყურადღებით, რათა გაიაზრო მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს ცოდნას, ღირებულებებს, დამოკიდებულებას და განზრახვას; • გამოიყენე კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნებისთვის (ინფორმირება, ინსტრუქტაჟი, მოტივაცია და დარწმუნება); • გამოიყენე სხვადასხვა მედია და ტექნოლოგიები, იცოდე მათი ეფექტურობის დონე და ასევე შეაფასე მათი გავლენა; • ეფექტური კომუნიკაცია მრავალფეროვან გარემოში (მოიცავს მრავალენოვან გარემოს); 	

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:


- _____
- _____
- _____
- _____
- _____



სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი B – განხილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

სფერო	განსაზღვრება
	<p>ეფექტურად მოშაობის უნარი წყვილებში ან ჯგუფურად საერთო მიზნის მისაღწევად (იდეის განხილვის შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის ან რაიმეს შექმნის შემთხვევაში)</p>
<p>სტუდენტთა კომპეტენციები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ეფექტურად მოშაობის უნარი წყვილებად ან ჯგუფურად; • მოახდინე კომპრომისზე წასვლის უნარის დემონსტრირება; • გამოიყენე მოქნილობა და აჩვენე მზაობა, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება ან საერთო გადაწყვეტილება; • შეაფასე ინდივიდის, წყვილის ან ჯგუფის წვლილი შესრულებულ ნამუშევარში; • აქტიურად მიიღე მონაწილეობა და გაიზიარე წყვილის ან ჯგუფის მიერ შესრულებული ნამუშევრი; • იმუშავე ეფექტურად ჯგუფთან ერთად როგორც ჯგუფის ლიდერი ან როგორც გუნდის წევრი. 	

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____




**სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის**

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი B – განიხილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:

სფერო	განსაზღვრება
	<p>კრეატიულობა - არის სიახლის ან საჭირო იდეის მოფიქრების უნარი. პიროვნების კრეატიულობის პოტენციალი დამოკიდებულია შემდეგზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოცდილებაზე მოცემულ სფეროში; • უნარზე, ჩართოს არატრადიციული ან განსხვავებული აზროვნება; • ინსტიქტური მოტივაცია ჩაერთოს კრეატიულ აქტივობებში; • პერსონალური ფაქტორები, როგორებიცაა: გაურკვევლობის მიმართ ტოლერანტობა და რისკისთვის მზაობა.
<p>სტუდენტთა კომპეტენციები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • შემუშავება, დახვეწა, გაანალიზება და საწყისი იდეის შეფასება, რათა გაუმჯობესდეს ან მაქსიმალურად მოხდეს კრეატიული ქმედებების ხელშეწყობა; • გააზრება იმისა, რომ კრეატიულობა და ინოვაცია წარმოადგენს მცირედი წარმატებისა და ხშირი შეცდომების გრძელვადიანი ციკლური პროცესის ნაწილს; • იყავი ღია და რეაგირება მოახდინე ახალ და მრავალფეროვან პერსპექტივებზე; • მოახდინე ორიგინალურობისა და გამომგონებლობის დემონსტრირება საქმის პროცესში და გააცნობიერე რეალური ლიმიტი ახალი იდეების ათვისების პროცესში; • მგრძნობიარობა ახალი პერსპექტივების მიმართ, რომლებიც ჩართულია გუნდის მუშაობის პროცესში. 	


- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____



სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი C – გახიზილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

სფერო	განსაზღვრება
	<p>ციფრული წიგნიერება - ტექნიკასთან სიახლოვე „მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების თვითდაჯერებულ, კრიტიკულ და პასუხისმგებლობით გამოყენებას სწავლის, მუშაობის თუ საზოგადოებაში სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის დროს. ეს ასევე მოიცავს ინფორმაციისა და მონაცემების ცოდნას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, ციფრული მასალის შექმნას (მოიცავს პროგრამირებას), უსაფრთხოებას (მოიცავს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოებასა და კომპეტენტურობას კიბერუსაფრთხოების საკითხებში) და პრობლემის მოგვარებას.“</p>
<p>სტუდენტთა კომპეტენციები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოიძიოს საჭირო ინფორმაცია და ციფრული მასალა ინტერნეტსივრცეში; • მოახდინოს ციფრული მასალის, ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია; • დააღაგოს, განათავსოს, მოახდინოს ინფორმაციისა და მონაცემების მენეჯმენტი ციფრულ გარემოში; • აწარმოოს ურთიერთობა სხვებთან სხვადასხვა ტიპის ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით; • წყვილებად თანამშრომლობა, კურსის დამრიგებლის ან სხვა ადამიანების მიერ ინფორმაციის შექმნა და ცოდნის გამოყენება, რათა შეიქმნას ციფრული რესურსი; • შეუძლია ინტერნეტის ადეკვატურად გამოყენება; • დაიცვას პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა ინტერნეტსივრცეში; • ცოდნა იმ ჯანმრთელობის საფრთხეებისა, რომელსაც ციფრული ტექნოლოგიები შეიცავს; • გამოიყენოს ციფრული ტექნოლოგიები, რათა შესთავაზოს პრობლემის გადაჭრის კრეატიული გზები; • იცოდეს მისი (პიროვნების) ცოდნის ლიმიტი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხში. 	

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:


- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____



სასწავლო მასალა 6: მასწავლებლის კომპეტენციები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის

მოდული 1, დავალება 5

ჯგუფი C – განიხილეთ ცხრილი. შეავსეთ მასწავლებლთა კომპეტენციები.

სფერო	განსაზღვრება
	<p>მანევრირების უნარი რთულ ცხოვრებისეულ თუ სამუშაო გარემოში გლობალურ კონკურენტუნარიან ინფორმაციულ ხანაში.</p>
<p>სტუდენტთა კომპეტენციები</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ადაპტირება და ვარაუდი სხვადასხვა როლებისა და პასუხისმგებლობების; • ეფექტური უკუკავშირი და გაცნობიერება მეწყვილეების ან კურსის ხელმძღვანელის მხრიდან; • კონსტრუქციული კრიტიკის მიღების უნარი და შეფასების მიმართ პოზიტიური რეაგირების უნარი; • მიზნების დასახვა შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით; • დაგეგმოს დრო და დატვირთვა ეფექტურად; • იმუშავეს ავტონომიურად (პირდაპირი დაკვირვების თუ ზედამხედველობის გარეშე), რათა განსაზღვროს და მოახდინოს ინიციატივის სრული დემონსტრირება იმისათვის, რომ გააუმჯობესოს ცოდნისა და უნარების დონე; • მოახდინოს ცოდნისა და ვალდებულების დემონსტრირება, რომ სწავლა არის უწყვეტი პროცესი. 	

ამ უნარების სწავლებისას მასწავლებლებს სჭირდებათ:

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

დავალება ხუთი: სწავლა სწავლისთვის განსაზღვრა

მიზნები:

- კონცეფციის წარდგენა: *სწავლა სწავლისთვის*;
- გააცნო მონაწილეებს კავშირი „სწავლა სწავლისთვის“ და „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ სწავლებას შორის.

მასალები / რესურსები:

თავი 7 - *სწავლა სწავლისთვის განმარტება*

მომზადება:

მე-7 თავის ფოტოასლები (თითო ერთ მოსწავლეზე)

დრო: 45 წუთი

პროცედურა:

1. ლექცია იწყება მონაწილეებისთვის შემდეგი ტექსტის ჩვენებით:

კომპაქტური, ადვილად გაწმენდადი, სწრაფი და უსაფრთხო, ბრევილის მოდელი, რომელიც 1981 წელსაა დაარსებული, დემოკრატიული დიზაინის აპოგეა. მე ცხრა ცხოვრება განვვლე საკუთარ თავთან ერთად, როდესაც სასწავლებლად ლონდონში წავედი და სახლი დავტოვე. დედაჩემმა ბრევილი შეფუთა (ვფიქრობ, რომ მისი ცრემლები ჩემთვის იყო). დილით, შუადღისას თუ ღამე ჩემს სტუდენტურ ოთახში, ადღვებილი ბრევილი მიღში მიედინებოდა და ყველში იჭედებოდა. ის გაასქელებდა ყველაზე თხელ, მუყაოსავით დაჭრილ თეთრ პურსაც კი.

(„კიტჩის მეფე - უეინ ჰემინგუეი სხვადასხვა რეტრო გზების შესახებ“, ჟურნალში: ფინანსური დროება, 23-24 ივლისი. 2005 ცვეტკოვა და სხვები (2006). *ინგლისური ენის სწავლება დაწყებით სკოლაში* (მასწავლებლის სატრენინგო სახელმძღვანელო), ბრიტანული საკონსულო ბულგარეთში)

სთხოვეთ ჯგუფს, რომ პატარ-პატარა ჯგუფებში განიხილონ ის, თუ რაზე იყო საუბარი ტექსტში.

2. მოიწვიეთ მონაწილეები, რათა მათ საკუთარი იდეები გაგვიზიარონ. თუ ისინი ვერ შეძლებენ სწორ პასუხამდე მისვლას, უთხარით მათ, რომ ეს ელექტრო-მოწყობილობაა - ტოსტერი;
3. სთხოვეთ მონაწილეებს, რომ დარჩნენ პატარა ჯგუფებში. გააცანით მათ კითხვები და მოიპატიჟეთ მონაწილეები მათ განსახილველად:
 - როგორ მიუდევით ამ აქტივობას?

- რა სტრატეგია თუ სტრატეგიები გამოიყენეთ ამ „გამოცანის“ ამოსახსნელად?
- რა დაგეხმარათ გადაწყვეტილების მიღებაში?
- რამდენად წარმატებულები იყავით პრობლემის ამოხსნის პროცესში?

4. სთხოვეთ ჯგუფს, მოგახსენონ საკუთარი პასუხები პლენარულად. დაპატიჟეთ მონაწილეები, რათა მოახდინონ პერსპექტივების ცვლილება და „დაიხურონ საკუთარი სასწავლო ქუდები“. შეეცადეთ აჩვენოთ მათ თავიანთი მუშაობის მეთოდი, რათა ამან გავლენა მოახდინოს მათი სწავლების სტრატეგიაზე.
5. ახსენით აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებოდა იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ აითვისეს მათ აქტივობები; აჩვენეთ მათ ძლიერი მხარეები და საჭიროებები, რათა დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს მეტაკოგნიციის (შემეცნება) გამოყენებით.
6. მიეცით მე-7 თავი მონაწილეებს და აუხსენით მათ, რომ ისინი უფრო ღრმად გაიაზრებენ „სწავლა სწავლისთვის“ კონცეფციას. დაყავით ისინი ორ ჯგუფად - ა და ბ ჯგუფებად. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, რომ შეასრულონ შესაბამისი დავალება.

პასუხები:

ჯგუფი ა: (1) ქოლგა; (2) მეტაკოგნიცია; (3) როგორ; (4) პარამეტრები; (5) წახალისება; (6) დამოუკიდებელი.

ჯგუფი ბ: ა - 3; ბ - 2; გ - 1

7. შეადგინეთ ახალი წყვილები ა და ბ ჯგუფებიდან. მიეცით მათ 5 წუთი, რათა გაიაზრონ ინფორმაცია, რომელიც მოიპოვეს წინა დავალებიდან. მოიწვიეთ ისინი, რათა მოგცენ შეჯამება იმის შესახებ, თუ რა არის „სწავლა სწავლისთვის“:
 - მიზეზები რაიმეს სწავლისთვის;
 - მათი მიზეზები იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა სწავლის პროცესის შესახებ;
 - საჭიროება მოსწავლეებისთვის, რათა მოახდინონ საკუთარი სწავლის მენეჯმენტი;
 - საჭიროება, რომ მოახდინონ საკუთარი სწავლის შეფასება და მონიტორინგი.
8. სთხოვეთ მონაწილეებს მოგახსენონ, თუ რა არის „სწავლა სწავლისთვის.“ აუხსენით, რომ ამ ტერმინის მრავალი დიფერენციაცია არსებობს. მაგალითად:

„სწავლა სწავლისთვის“ არის უნარი, მისდით სწავლას, მოახდინო სწავლის ორგანიზება, რომელიც გულისხმობს დროის და ინფორმაციის ეფექტურ მენეჯმენტს როგორც ჯგუფურ, ისე - ინდივიდუალურ დონეზე. ეს კომპეტენცია გულისხმობს პროცესების სწავლის პროცესის საჭიროების გაცნობიერებას, მოახდენს პოტენციური შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და შეძლებს დაბრკოლებების გადალახვას წარმატებულად სწავლისთვის. ეს გულისხმობს ახალი ცოდნის მიღებას, დამუშავებასა და ასიმილაციას, ასევე ხელმძღვანელის მოძიებასა და ეფექტურად გამოყენებას. „სწავლა სწავლისთვის“ რთავს მოსწავლეებს პროცესში, რომელიც გულისხმობს სწავლის დაწყებამდე პროცესს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რათა გამოიყენონ ცოდნა და უნარები სხვადასხვა კონტექსტში: სახლში, სამსახურში, სწავლასა თუ ვარჯიშში. მოტივაცია და თავდაჯერებულობა გადამწყვეტია ინდივიდის კომპეტენციაზე.

[განათლების საბჭო, 2006 დანართი, პარაგრაფი 5]

„სწავლა სწავლისთვის“ არის აღმოჩენის პროცესი სწავლის შესახებ. ის მოიცავს პრინციპებისა და უნარების ნაკრებს, რომელთა გაცნობიერებისა და გამოყენების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეს ისწავლოს უფრო ეფექტურად და შესაბამისად ჩამოყალიბდეს, როგორც ცხოვრების სწავლული. გულით ირწმუნოს, რომ სწავლა სწავლებაა.

[კამპანია სწავლებისთვის, 2007]

იგი შეიძლება მიღწევადი იყოს სხვადასხვა გზით, რომელთაგანაც ზოგიერთი მოიცავს შემდეგს:

- *ინდივიდის საკუთარი სწავლის მიზეზის ჩამოყალიბება (მოსწავლე გადაწყვეტს ამ კვირაში რა ისწავლოს/თვის ბოლოსთვის/კურსის განმავლობაში და ა.შ.);*
- *სწავლის პროცესის გააზრება (მოსწავლე აცნობიერებს, რა სჭირდება გაკვეთილის მოცემულ დონეზე/რისი გაუმჯობესება შეუძლია საკუთარი მეხსიერებისთვის/კრიტიკული კითხვის უნარი და ა.შ.);*
- *სწავლასა და გრძნობებს სწავლასთან დაკავშირებით უწევს მენეჯმენტს (მოსწავლე უსვამს საკუთარ თავს შემდეგ კითხვებს: როგორ ვაპირებ საკუთარი მიზნების მიღწევას? რას ვფიქრობ ამ აქტივობასთან დაკავშირებით, ამოცანასა თუ კურსთან დაკავშირებით და რატომ?);*
- *პროცესების სწავლის მონიტორინგი და შეფასება (მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სწავლის თვითშეფასება და აცნობიერებს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს).*

9. თავი მოუყარეთ დისკუსიას იმ ფაქტზე ფოკუსირებით, რომ სწავლა სწავლისთვის დაკავშირებულია მოსწავლეზე ორიენტირებულ პარადიგმაზე, რადგან მოსწავლეზე ორიენტირებული ინსტრუქცია ახალისებს მოსწავლეს, რათა დაინახოს, თუ რას და როგორ სწავლობს. ის ასევე ახდენს მოსწავლის მოტივირებას და საშუალებას აძლევს აკონტროლოს სწავლის პროცესი.



ჯგუფი A. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ქვემოთ მოცემული სიტყვებით.

დამოუკიდებელი უპირატესობები წახალისება ქოლგა მეტაკოგნიცია როგორ

სწავლა სწავლისთვის, ასევე გულისხმობს სასწავლო ტრენინგს, რომელიც (1) _____ ტერმინს ფართო რაოდენობის აქტივობებისთვის, რომელიც შექმნილია (2) _____ სასწავლო სტრატეგიების გაცნობიერებისთვის. მიზანია ფოკუსირების მოხდენა ... [მოსწავლეები] ყურადღების გამახვილება (3) _____ სწავლობენ იმასთან დამატებით, რაც ისწავლეს. ეს მოიაზრებს იმასაც, რომ სხვადასხვა მოსწავლეს სწავლის განსხვავებული მეთოდი აქვს (4) _____ აქტივობებისა და სასწავლო მასალის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, მისი მიზანია (5) _____ მოსწავლეები გახდნენ გათვითცნობიერებულნი და სწავლის საკუთარი სტრატეგია შეიმუშაონ, რათა გახდნენ უფრო ეფექტური და (6) _____ მოსწავლეები.

ელისი და ბრიუსტერი (2014). *გვითხარი კიდევ ერთხელ! ამბის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის*, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42

ჯგუფი B. ტერმინების შესაბამისობა და მათი განმარტებები

ზოგადად, სწავლის სტრატეგიებია ის, რაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ზოგიერთი სასწავლო სტრატეგია განსხვავებული იქნება, რაც დამოკიდებულია ელემენტების სხვადასხვა რაოდენობაზე, როგორებიცაა: სასწავლო დავალება, უპირატესობა და მოტივაცია. ზოგჯერ მათ შეგნებულად იყენებენ. ამ შემთხვევაში მოსწავლე მიზანმიმართულად და შეგნებულად გამოიყენებს კონკრეტულ სტრატეგიას. სხვა დროს მათი გამოყენება ქვეცნობიერად ხდება. არსებობს სწავლების სტრატეგიის სამი ძირითადი სახე:

- A. მეტაკოგნიტური სტრატეგია (რეგულარული სწავლა);
- B. კოგნიტური სწავლა (შედარებით სპეციფიკურ დავალებებს მოიცავს და მოითხოვს საგანზე მანიპულაციას, რათა მოხდეს მისი შესწავლა);
- C. სოციალური მედიაციის სტრატეგია (გამოიყენება, როდესაც მოსწავლეები ერთგვებიან სოციალურ ან ჯგუფურ აქტივობებში);

- (1) მოსწავლეების მიერაა განვითარებული ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით. მისი შესაძლებლობები გულისხმობს წყვილებად ან ჯგუფურად მუშაობას, პროექტზე მუშაობას, ინტერვიუს, მიმოხილვას და ა.შ.
- (2) მოიცავს ფიქრს სწავლასთან დაკავშირებით: დაგეგმვას, მოტივაციას და სწავლის შეფასებას. ასევე შეიძლება მოიაზრებდეს ბავშვების ჩართულობას; ზემოქმედებენ სწავლის პროცესის ასპექტებზე ჰიპოთეზების მომზადებით, შედარებით, საკუთარი თავისთვის შეკითხვების დასმით, თვითშესწორებით და აქტივობების შერჩევით.
- (3) მაგალითად, მოიცავს სორტირებას, კლასიფიკაციას, შეხამებას, პროგნოზს, ვიზუალური და აუდიოსამხილების გამოყენებას, რათა გამოარკვიონ აზრი, კლასის ბიბლიოთეკის ან ლექსიკონის დახმარებით. სტუდენტებისთვის საჭიროა აქტივობების გაკეთება საკუთარი ენითა და სასწავლო მასალებით, რომლებიც დაკავშირებული იქნება სპეციფიკურ აქტივობასთან, სპეციფიკური უნარების არენასთან, როგორცაა: მოსმენა ან კითხვა (პროგნოზი, რისკი) და ა.შ.

ელისი და ბრიუსტერი (2014). *გვითხარი კიდევ ერთხელ! ამბის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის*, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42-43

დავალება ექვსი: მასწავლებლის როლი სწავლა სწავლისთვის პროცესში

მიზნები:

- მონაწილეთა მგრძობიარობის ამაღლება მასწავლებლის როლზე „სწავლა სწავლისთვის“ პროცესში

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 8 – მასწავლებლის როლი „სწავლა სწავლისთვის“ პროცესში

მომზადება:

მე-8 თავის ფოტოასლები (თითო ერთ მოსწავლეზე)

დრო: 20 წუთი

პროცედურა:

1. დააკავშირეთ ეს სესია წინა სესიასთან; ჰკითხეთ მათ, სწავლაზე ორიენტირებული კლასი მოითხოვს თუ არა „სწავლა სწავლისთვის“ სტრატეგიის განვითარებას მათი სტუდენტებისთვის. დაწერეთ დაფაზე, ვინ უპასუხა „დიახ“ და ვინ - „არა.“ არ ახსნათ რისთვის გჭირდებათ ეს ციფრები;
2. მიეცით მე-8 თავი და ამუშავეთ მონაწილეები ინდივიდუალურად. უთხარით, რომ 5 წუთი აქვთ დავალების შესასრულებლად;
3. დავალების დასრულების შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს ჩამოაყალიბონ 4 ჯგუფი და შეადარონ პასუხები. ჯგუფის წევრებმა უნდა ახსნან თავიანთი პასუხის მიზეზი. განსაზღვრეთ დროის ლიმიტი 10 წუთით;
4. ჯგუფები წარადგენენ მოხსენებას საკუთარი წარმომადგენლის არჩევის მეშვეობით. წარმომადგენელი წარადგენს პასუხებს, არგუმენტებს, თუ რატომ აირჩიეს მათ ესა თუ ის პასუხი. სხვა ჯგუფებს შეუძლიათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ შემოთავაზებულ პასუხებს, ან შეუძლიათ დაამატონ არგუმენტი მოსაზრების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

მარტივი პასუხები მარტივი მიზეზებით:

არა (მასწავლებლის როლი არაადეკვატურია და არ უზრუნველყოფს შესაძლებლობებს სტუდენტებისთვის, რათა განავითარონ საკუთარი ისწავლე სწავლისთვის უნარები).

- (4) *გაკვეთილების შინაარსის რეპროდუქცია არ მოიცავს ამ შინაარსის გააზრების გზებსა და შესაძლებლობას, რომ მოხდეს ინფორმაციის გამოყენება განსხვავებულ კონტექსტში. სწავლაზე ორიენტირებული სწავლება ეხმარებათ სტუდენტებს განავითარონ პრობლემების გადაჭრის საკუთარი უნარები.*

- (5) სწავლაზე ორიენტირებული სწავლება და „სწავლა სწავლისთვის“ ძირითადად ფოკუსირებულია იმაზე, რომ ბიძგი მისცენ სტუდენტებს გახდნენ დამოუკიდებელი მოსწავლეები. მაგალითად, მათ უნდა შეეცადონ გააკეთონ რამე მასწავლებლის დახმარების გარეშე.
- (13) ყველა მოსწავლე განსხვავებულია და ჩვენ ყველანი განსხვავებულად ვსწავლობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავებული სწავლის სტილი გვაქვს. უმჯობესი იქნება შევეცადოთ და ვიპოვოთ სტუდენტის სწავლის მეთოდი და განსხვავებული ტექნიკისა და აქტივობების გამოყენება, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა სწავლის სტილზე კლასში. სცადეთ ურჩიოთ თქვენს მოსწავლეებს ის სწავლის სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე უკეთ ერგება მათ სწავლის სტილს და ყველაზე ეფექტურია.
- (14) მნიშვნელოვანია ახსნა, თუ რა მოითხოვო სტუდენტებისგან და მათ რა უნდა გააკეთონ დავალების შესასრულებლად. თუ სტუდენტებს კითხვები ექნებათ დავალებასთან დაკავშირებით, უნდა იყოს დრო გამოყოფილი კითხვებისა და პასუხებისთვის.

დიახ (მასწავლებლის როლი ადეკვატურია და ის აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას განავითარონ საკუთარი „სწავლა სწავლისთვის“ უნარები)

- (1) სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ აკეთონ დავალებები დახმარების გარეშე, რათა ჩამოყალიბდნენ ავტონომიურ, თვითრეგულირებად მოსწავლეებად, რომლებიც აცნობიერებენ, რომ შეცდომები სწავლის შემადგენელი ნაწილია.
- (2) სტუდენტებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ გამოიყენონ სხვადასხვა კითხვები, რათა მათ არა მარტო დამატებითი ინფორმაცია მიიღონ, არამედ ისწავლონ, რა არის საჭირო გეგმის კვლევის, შექმნის, გაუმჯობესების მისაღწევად, რომელსაც ისინი კლასგარეშე ასრულებენ.
- (3) სტუდენტებმა უნდა იცოდნენ გაკვეთილის მიზანი რა არის - ეს მათ საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ, იყვნენ თუ არა წარმატებულნი მიზნის მიღწევაში კლასის დასრულების შემდეგ.
- (6) სტუდენტებმა სწავლაზე ორიენტირებულ საკლასო ოთახში უნდა განავითარონ პრობლემების მოგვარებისა და კრეატიული აზროვნების უნარები, რაც ხელშეწყობილი უნდა იყოს ჰიპოთეზის ფორმულირებით და მათი ტესტირებით.

- (7) განმარტებები ეხმარება სტუდენტებს გაიაზრონ იდეა, მათგან რას ელოდებიან. ასევე მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაიაზრონ სხვადასხვა ნაბიჯი რამის გაკეთებისას.
- (8) სტუდენტები მოტივირებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ თვით-შეფასებაში, რათა უკეთესად განავითარონ თავიანთი სწავლის მეთოდი და მისი უპირატესობები.
- (9) მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რატომ აკეთებენ აქტივობებს, რათა გაცნობიერებული ჰქონდეთ სწავლის მიზნები.
- (10) ორმხრივი ნდობის ატმოსფეროს შექმნა და პატივისცემა მნიშვნელოვანი ასპექტებია სწავლაზე ორიენტირებული კლასისთვის, რომელიც ასევე მოიაზრებს ურთიერთთანამშრომლური გარემოს ჩამოყალიბებას.
- (11) ეხმარება სტუდენტებს განავითარონ ინტერპერსონალური უნარები, რაც მათ ჯგუფურად სწავლის საშუალებას აძლევს.
- (12) სტუდენტებს შეუძლიათ იფიქრონ იმაზე, თუ რა იციან, რა უნდათ რომ ისწავლონ საკითხიდან გამომდინარე და როგორ გააკეთებენ ამას. სწავლაზე ფიქრიდან გამომდინარე, მათ უნდა ჩამოაყალიბონ სასწავლო ობიექტები, რომლებიც რელევანტური, რეალისტური და მიღწევადია.
- (15) ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიაზრონ სწავლის გზები თავიანთი შესრულებული აქტივობითა და შეტანილი წვლილით კლასში, ასევე კლასგარეშე მუშაობის პერიოდშიც.
- (16) ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეარჩიონ აქტივობები, საკუთარი შესრულების უნარიდან, ინტერესიდან, საჭიროებიდან და გეგმიდან გამომდინარე.
- (17) მასწავლებელს შეუძლია მიიღოს ყველა შესრულებული აქტივობა, რომელიც დამაჯერებელია.
- (18) სტუდენტებს უნდა შეეძლოთ კითხვების დასმა, რათა მიიღონ ინფორმაცია და შეისწავლონ სხვადასხვა პერსპექტივები. ურთიერთპერსონალური კომუნიკაცია მოიცავს უნარს, დასვა კითხვა წარმატებით.
- (19) სტუდენტებმა უნდა განავითარონ ინფორმაციის მოძიების საკუთარი უნარი, ასევე - სხვადასხვა ტიპის ინფორმაციასთან მუშაობის უნარი, რომელიც განსხვავებულ ფორმატშია მოწოდებული (წიგნი, ლექსიკონი, ინტერნეტგვერდი და ა.შ.).

- (20) სტუდენტებმა უნდა მიიღონ დახმარება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დააღწიონ ინფორმაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულად, ასევე, როგორ გააერთიანონ ეს ნაწილები ერთ მთლიანობად (გამოიყენება კრიტიკული აზროვნებისას და შემოქმედებითი პროცესის დროს).
4. სესიას მოვუყაროთ თავი პირველ კითხვაზე დაბრუნებით. კიდევ ერთხელ ვკითხოთ მონაწილეებს, არის თუ არა განსხვავებები პასუხებში. მოსალოდნელია, რომ ვინც თავდაპირველად უპასუხა „არა,“ შეიცვლიან აზრს სესიის დასასრულისთვის.



სასწავლო მასალა 8: მასწავლებლის როლი სწავლა სწავლისთვის პროცესში

მოდული 1, დავალება 6

წაიკითხეთ ფორმულირებები. მონიშნეთ სიმბოლოთი (✓), რომელსაც განიხილავთ, როგორც მასწავლებლის როლის მაგალითს, როცა ის ეხმარება მოსწავლეებს სწავლისას და უხსნის, თუ როგორ უნდა ისწავლონ.

1. საშუალებას აძლევს სტუდენტებს რისკის გაკეთების (შეეცდებიან გამოიცნონ უცნობი სიტყვების მნიშვნელობა);
2. დაუსვით კითხვები სტუდენტებს მათი სწავლის შესახებ;
3. გაუზიარეთ სტუდენტებს გაკვეთილის მიზანი;
4. საჭიროებს სტუდენტებისგან გაიმეორონ ყველაფერი, რაც თქვით ან დაწერეთ;
5. მოითხოვთ, რომ სტუდენტებმა არ სცადონ რამის გაკეთება თქვენი დახმარების გარეშე;
6. წახალისეთ სტუდენტები გააკეთონ პროგნოზები (როგორ მუშაობს ზოგიერთი მოწყობილობა, როგორ მუშაობს ენა, როგორ გრძელდება ტექსტი და ა.შ.);
7. ახსენით, როგორ კეთდება აქტივობა;
8. მოიწვიეთ სტუდენტები გამოხატონ გრძნობები აქტივობასა ან დავალებაზე მუშაობის დროს;
9. ახსენით მიზანი დავალების ან აქტივობის;
10. გამოიყენეთ სხვადასხვა ინტერაქციის ნიმუში კლასში - ინდივიდუალური დავალება, წყვილებისთვის, ჯგუფური ან მთლიანი კლასისთვის;
11. შეცვალეთ წყვილების ან ჯგუფის შემადგენლობა;
12. უფლება მიეცით სტუდენტს დაგეგმოს საკუთარი სწავლა (დაგეგმოს, თუ როგორ მოაგვაროს საკუთარი პრობლემა);
13. მოსთხოვეთ სტუდენტებს გამოიყენონ თქვენი სწავლის სტრატეგიები, რათა წარმატებით აითვისონ ახალი მასალა და უნარები;
14. ზარის დარეკვამდე მიეცით სტუდენტებს დავალება სახლში შესასრულებლად;
15. წახალისეთ სტუდენტები შეაფასონ საკუთარი სწავლა;

16. უფლება მიეცით სტუდენტებს აარჩიონ რომელიმე აქტივობა სხვადასხვა შესაძლებლობიდან;

17. მიიღეთ ყველა ნამუშევარი მოსწავლეებისგან, ისეთებიც კი, რომლებიც მოულოდნელი ან უცნაურია;

18. წახალისეთ სტუდენტები დასვან სხვადასხვა შეკითხვები (როგორ გამოიყენონ იდეა, როგორ შეაფასონ რამე, დასვან კითხვები ფაქტებზე);

19. გამოიყენეთ დავალებები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებმა უნდა მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან;

20. დაეხმარეთ სტუდენტებს ისწავლონ, თუ როგორ მოახდინონ ინფორმაციის ნაწილების ლოგიკურად ორგანიზება და როგორ შექმნან საერთო სტრუქტურა ინფორმაციის ნაწილებიდან (დაწერონ ესე, შექმნან პრეზენტაცია საკითხზე და ა.შ.).

დავალება შვიდი: სწავლის სტრატეგიის შემუშავება

მიზნები:

- გავაცნოთ მონაწილეებს „სწავლა სწავლისთვის“ სტრატეგიები;
- წავახალისოთ მონაწილეები, რომ იფიქრონ საკუთარ კლასსა და „სწავლა სწავლისთვის“ სტრატეგიის ღირებულებაზე.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 9 – სწავლის სტრატეგიის განვითარება

სასწავლო მასალა 9 – სწავლის სტრატეგიის განვითარება (დასრულებული)

მომზადება:

მე-9 თავის ფოტოასლები (თითო ერთ მოსწავლეზე)

მე-9 თავის ფოტოასლები (დასრულებული, თითო ერთ მოსწავლეზე)

დრო: 30 წუთი

პროცედურა:

1. დაყავით მონაწილეები სამ დიდ ჯგუფად - ა, ბ, გ. მიეცით თითოეულ ჯგუფს შესაბამისი მასალა და სთხოვეთ შეავსონ ცხრილი. მიეცით 10 წუთი დრო დავალების შესასრულებლად;
2. შეადგინეთ ახალი სამი ჯგუფი ა, ბ და გ ჯგუფებიდან. სთხოვეთ მათ გაცვალონ ინფორმაცია და განიხილონ იდეები სწავლების სტრატეგიებთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია მათ მასალაში;
3. მიეცით კლასს მე-9 თავი მთლიანად. სთხოვეთ მონაწილეებს შეადარონ იდეები; მიეცით დრო დისკუსიისა და წინადადებებისთვის. თავი მოუყარეთ დისკუსიას „სწავლა სწავლისთვის“ სტრატეგიაზე კონცენტრირებით, რაც ადვილად კომბინირებული იქნება კლასისთვის.



სასწავლო მასალა 9: სწავლის სტრატეგიის შემუშავება

მოდული 1, დავალება 7

ჯგუფი A. შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი. პარტნიორებთან ერთად განიხილეთ თქვენი წინადადება.

სტრატეგიები		აღწერა	ღირებულებების სწავლების სწავლა	მაგალითები
მეტაკოგნიტური სტრატეგიები	სწავლა დაგეგმვა	სტუდენტები ადგენენ შესაბამის მიზნებს კურსისა ან თემისთვის, ცოდნიდან და იქიდან გამომდინარე, თუ რისი მიღწევა სურთ.	სტუდენტები ასახავენ, რა იციან და რა უნდათ რომ გაარკვიონ. ასევე, რა ფორმით უნდათ მისი გაკეთება.	
	გადახედვა	სტუდენტებს შეგვიძლია ვასწავლოთ სისტემატური გადახედვა, რათა განსაზღვრონ, რა იციან და რა არა; ასევე იმისათვის, რომ გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები.	სტუდენტები აცნობიერებენ დასრულებული საქმის იდეას, პროგრესს. ცოდნა და უნარი გამომუშავებულია და ასევე აცნობიერებენ თავიანთი ცოდნისა და უნარების ხარვეზებს.	
	აქტივობების შერჩევა	სტუდენტები ირჩევენ აქტივობებს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად, რათა გადაწყვიტონ რა გააკეთონ და როგორ დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა.	სტუდენტებმა გააცნობიერეს საკუთარი ინტერესები და ძლიერი მხარეები, როგორც მოსწავლეებმა; გახდნენ უფრო დამოუკიდებლები.	
შემეცნებითი სტრატეგიები	ცნობარის გამოყენება	სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ, როგორ გამოიყენონ ინდექსები ცნობარში, ლექსიკონში, სკოლის ბიბლიოთეკასა ან წიგნების კუთხეში, გამოიყენონ ინტერნეტი ინფორმაციის ეფექტური მოძიების მიზნით.	სტუდენტები ავითარებენ საკუთარ დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობას, როგორც მოსწავლეები.	

სოციო-ექსტერი სტრატეგები	ურთიერთ თანამშრომლობა	სტუდენტები ერთად თანამშრომლობენ (წყვილებად ან ჯგუფურად), როდესაც მუშაობენ აქტივობებზე.	სტუდენტებს გადაეცათ პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის, ერთობლივი დისკურსის მეშვეობით.	
-----------------------------	--------------------------	--	---	--

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: ელისი და ბრიუსტერი (2014). *გვითხარი კიდეც ერთხელ! ამბის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის*, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42-44



სასწავლო მასალა 9: სწავლის სტრატეგიის შემუშავება

მოდული 1, დავალება 7

ჯგუფი B. შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი. პარტნიორებთან ერთად განიხილეთ თქვენი წინადადება.

სტრატეგიები		აღწერა	ღირებულებების სწავლების სწავლა	მაგალითები
მეტაკოგნიტური სტრატეგიები	შეკითხვები საკუთარ თავთან	სტუდენტები უსვამენ საკუთარ თავს შეკითხვებს მათი სწავლის შესახებ.	მოსწავლეები ასახავენ კურსის შინაარსს, კონკრეტულ გაკვეთილებსა თუ სწავლის პროცესში.	
	თვით შეფასება	მოსწავლეებს შეუძლიათ შეავსონ თვითშეფასების ფურცელი, სწავლების შინაარსის ასახვის მიზნით, როგორ სწავლობენ, გაკვეთილზე როგორ წარმოაჩენენ საკუთარ თავსა და მათ წვლილს კლასში.	სტუდენტები სწავლობენ დააკვირდნენ საკუთარ პროგრესს და შეინარჩუნონ მოტივაცია, ასევე მკაფიოდ დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.	
	თვით შესწორება	სტუდენტები ამოწმებენ საკუთარ ნამუშევარს ინდივიდუალურად ან წყვილებად.	სტუდენტები პასუხისმგებელი არიან საკუთარ სწავლასა და მუშაობენ საკუთარ შეცდომებზე.	
შემენებითი სტრატეგიები	რისკი	სტუდენტებს ხდებიან თვითდაჯერებული და სურვილს გამოთქვამენ, აიღონ რისკი და გააკეთონ რამე მასწავლებლის დახმარების გარეშე.	ავტომატურად უქმნის სტუდენტებს თავდაჯერებულობას, როგორც მოსწავლეებს.	

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: ელისი და ბრიუსტერი (2014). გვითხარი კიდეც ერთხელ! ამბის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42-44



სასწავლო მასალა 9: სწავლის სტრატეგიის შემუშავება

მოდული 1, დავალება 7

ჯგუფი C. შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი. პარტნიორებთან ერთად განიხილეთ თქვენი წინადადება.

სტრატეგიები		აღწერა	ღირებულებების სწავლების სწავლა	მაგალითები
მეტაკოგნიტური სტრატეგიები	პრობლემის გადაჭრა ჰიპოთეზის ფორმირება	სტუდენტები წახალისებულნი არიან მიხვდნენ, თუ როგორ განსხვავდება სამუშაოები, ახდენენ ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას, რათა იპოვონ გამოსავალი, მოახდინონ ცოდნის კონსოლიდაცია ან ჩამოაყალიბონ რამე მასწავლებლის დახმარების ან ახსნის გარეშე.	გახდენენ დამოუკიდებელნი, შეუძლიათ ორგანიზება გაუწიონ საკუთარ სწავლას.	
	შედარება	სტუდენტები წახალისებულნი არიან გააანალიზონ და შეადარონ განსხვავებები და მსგავსებები (ხალხი, პროცესები, ადგილები, ენა და ა.შ.).	სტუდენტები ავითარებენ საკუთარ ცნობისმოყვარეობას და აცნობიერებენ მრავალ პერსპექტივას.	
შემეცნებითი სტრატეგიები	კლასიფიკაცია და შეკვეთა	სტუდენტები განასხვავებენ საგნებს კრიტერიუმების მიხედვით.	ხელს უწყობს საბაზისო კონცეფციის გახსენებას, რაც შესაძლოა სასარგებლო დახმარება აღმოჩნდეს სწავლის პროცესში.	

ვარაუდი	სტუდენტები წახალისებულნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა სამხილი ან გამოიციონ შესაძლო შინაარსი, პროცესი და ა.შ.	სტუდენტები აქტიურად და პერსონალურად ჩართული არიან სწავლის პროცესში და შეუძლიათ განავითარონ თვითდაჯერებულობა.	
---------	---	--	--

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: ელისი და ბრიუსტერი (2014). *გვითხარი კიდეც ერთხელ! ამის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის*, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42-44



სასწავლო მასალა 9: სწავლის სტრატეგიის შემუშავება (დასრულებული)

მოდული 1, დავალება 7

ჯგუფი A. შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი. პარტნიორებთან ერთად განიხილეთ თქვენი წინადადება.

სტრატეგიები		აღწერა	ღირებულებების სწავლების სწავლა	მაგალითები
მეტაკოვნიტური სტრატეგიები	დაგეგმა სწავლა	სტუდენტები ადგენენ შესაბამის მიზნებს კურსისა ან საკითხისთვის იქიდან გამომდინარე, რა იციან და შეუძლიათ რომ გააკეთონ ან უნდათ, რომ მიაღწიონ.	სტუდენტები ასახავენ, რა იციან და რა უნდათ, რომ გაარკვიონ, ასევე, რა ფორმით უნდათ მისი გაკეთება.	იფიქრე იმაზე, თუ რა იცი თემასთან დაკავშირებით, დამატებით რა გინდა ისწავლო, როგორ გინდა ამის მიღწევა, რას გააკეთებდი და რა პერიოდში.
	გადახედვა	სტუდენტებს შეგვიძლია ვასწავლოთ სისტემატური გადახედვა, რათა განსაზღვრონ, რა იციან და რა არა; ასევე ის, რომ გაცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები.	სტუდენტები აცნობიერებენ დასრულებული საქმის იდეას. პროგრესი, ცოდნა და უნარი გამომუშავებულია ისევე, როგორც მათი ცოდნისა და უნარების ხარვეზები.	რა ისწავლე ამ/წინა გაკვეთილიდან?
	აქტივობების შერჩევა	სტუდენტები ირჩევენ აქტივობებს, საკუთარი ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად, რათა გადაწყვიტონ, რა	სტუდენტებმა გაცნობიერეს საკუთარი ინტერესები და ძლიერი მხარეები, როგორც	აირჩიე მოცემული წერითი დავალებებიდან მაგალითი და გააკეთე სახლში.

		გაკეთონ და როგორ დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა.	მოსწავლეებმა და გახდნენ უფრო დამოუკიდებლები.	
შემეცნებითი სტრატეგიები	ცნობარის გამოყენება	სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ, როგორ გამოიყენონ ინდექსები ცნობარში, ლექსიკონში, სკოლის ბიბლიოთეკასა ან წიგნების კუთხეში, გამოიყენონ ინტერნეტი ინფორმაციის ეფექტური მოძიების მიზნით.	სტუდენტები ავითარებენ საკუთარ დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობას, როგორც მოსწავლეები.	მოიძიე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ შეუტია რომმა ბრიტანეთს, შეჭრისა და დაპყრობის ეტაპები.
სოციო-აქტიური სტრატეგიები	ურთიერთ თანამშრომლობა	სტუდენტები ერთად თანამშრომლობენ (წყვილებად ან ჯგუფურად), როდესაც მუშაობენ აქტივობებზე.	სტუდენტებს გადაეცათ პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის, ერთობლივი დისკურსის მეშვეობით.	განიხილეთ თქვენს ჯგუფში როლური თამაშები/დიალოგები.

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: ელისი და ბრიუსტერი (2014). *გვითხარი კიდეც ერთხელ! ამბის მოყოლის სახელმძღვანელო დაწყებითი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის*, III გამოცემა, ბრიტანული საბჭოები, გვ. 42-44



სასწავლო მასალა 9: სწავლის სტრატეგიის შემუშავება (დასრულებული)

მოდული 1, დავალება 7

ჯგუფი B. შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი. პარტნიორებთან ერთად განიხილეთ თქვენი წინადადება.

სტრატეგიები		აღწერა	ღირებულებების სწავლების სწავლა	მაგალითები
მეტაკოვანტური სტრატეგიები	შეკითხვები საკუთარ თავთან	სტუდენტები უსვამენ საკუთარ თავს შეკითხვებს მათი სწავლის შესახებ.	მოსწავლეები აისახებიან კურსის შინაარსში, კონკრეტულ გაკვეთილებსა თუ სწავლის პროცესში.	მოგეწონათ აქტივობა? რატომ? რატომ არა? გაკვეთილის/კურსის რომელი ნაწილი მოგეწონათ? მოიძიეთ ესე. რთულია? რატომ? რისი გაკეთება შეგიძლია, რათა უკეთესად ისწავლო?
	თვით შეფასება	მოსწავლეებს შეუძლიათ შეავსონ თვითშეფასების ფურცელი, სწავლების შინაარსის ასახვის მიზნით, როგორ სწავლობენ, გაკვეთილზე როგორ წარმოაჩენენ საკუთარ თავსა და მათ წვლილს კლასში.	სტუდენტები სწავლობენ, როგორ დააკვირდნენ საკუთარ პროგრესსა და შეინარჩუნონ მოტივაცია, ასევე მკაფიოდ დაინახონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები.	რა ისწავლე? რამდენად კარგად გააკეთე ეს? რას გადახედავდი? რას გააუმჯობესებდი?
	თვით შესწორება	სტუდენტები ამოწმებენ საკუთარ ნამუშევარს ინდივიდუალურად ან წყვილებად.	სტუდენტები პასუხისმგებელი არიან საკუთარ სწავლასა და მუშაობენ თავიანთ შეცდომებზე.	მოახდინეთ თემასთან დაკავშირებული თქვენი წერილობითი კომპოზიციის რედაქტირება წყვილებად/ჯგუფურად. მოახდინეთ თქვენი კომპოზიციის რედაქტირება.

შემცნობითი სტრატეგიები	რისკი	სტუდენტებს ხდებიან თვითდაჯერებული და სურვილს გამოთქვამენ აიღონ რისკი და გააკეთონ რამე მასწავლებლის დახმარების გარეშე.	ავტომატურად უქმნის სტუდენტებს თავდაჯერებულობას, როგორც მოსწავლეებს.	გამოიცანით უცნობი სიტყვების მნიშვნელობა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ ადამიანები დედამიწაზე აღარ გამოიყენებენ ელექტროენერგიას? როგორ ფიქრობთ, აქვთ ადამიანებს მომავალი ციფრულ სამყაროში?
---------------------------	-------	---	---	---

დავალეზა 8: გაკვეთილის დაგეგმვა

ტერეზა პესოა

მიზნები:

- მსმენელს გააცნოს გაკვეთილის (ლექციის) დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინები, მათი მნიშვნელობა;
- გააცნოს გაკვეთილის გეგმის ტიპური ნიმუშები, გაარკვიოს გაკვეთილის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაში

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 10 – გაკვეთილის გეგმის ნიმუში

მომზადება:

მე-10 სასწავლო მასალის ფოტოასლები (თითო ეგზემპლარი ყოველი მონაწილისათვის)

დრო: 40 წუთი

პროცედურა:

1. იმუშავეთ მონაწილეთა ერთიან ჯგუფთან. მიყევით გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ქვემოთ მოცემულ მითითებებს.

მითითებები:

დაგეგმვა (ზოგადი საკითხები)

დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც მომავლის განჭვრეტის, გააზრებისა და აგების შესაძლებლობას გვაძლევს; პროცესი, რომელიც გულისხმობს მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრას, მითითებების ჩარჩოდოკუმენტის შეფასებას, როგორც მოქმედების გზამკვლევის: პროცესი, რომელიც ორიენტირებულია მოქმედებაზე.

დაგეგმვა სხვადასხვა პროფესიისათვის გამჭოლი კომპეტენციაა და „მოქმედებამდე ფიქრს“ გულისხმობს. დაგეგმვის თანამდევია გადაწყვეტილებების ნაკრები, რომელიც პრობლემების წინასწარ განჭვრეტას და მათ გადაწყვეტას გულისხმობს. ის ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება და ცოდნა-გამოცდილებას, აგრეთვე, სხვადასხვა მეთოდებისა თუ პროცედურების ფლობას მოითხოვს.

მასწავლებლის პროფესიაში დაგეგმვა ნიშნავს შემდეგს: სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შინაარსისა და სტრუქტურის გააზრებას სასწავლო გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის შემთხვევაში, ხოლო კონკრეტული ლექციის დაგეგმვისას დაგეგმვა მასწავლებელს ეხმარება თვალნათლივ წარმოაჩინოს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო.

გაკვეთილის გააზრება ასევე რთული და კომპლექსური აქტივობაა და მოითხოვს იმ მეცნიერულ ცოდნას, რაც სცილდება იმ შინაარსის ფარგლებს, რომლის სწავლებაც ხორციელდება.

დაგეგმვამ უნდა დაადგინოს შინაარსის თანმიმდევრობა; შეარჩიოს განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის საჭირო აქტივობები; გაითვალისწინოს სტუდენტთა კოგნიტური უნარების დონე, შეარჩიოს და დაანაწილოს საგანმანათლებლო რესურსები და მასალა; განსაზღვროს სივრცე, ვადები და რიტმი.

დაგეგმვის აქტივობა მასწავლებლის ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი ეპიზოდია (შულმანი, 1986, 24), როგორც ჯექსონმა აღნიშნა, ჩვეულებისამებრ, მასწავლებლების ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, როდესაც (როცა/სადაც) მათი სამუშაო (მუშაობა) „უაღრესად რაციონალურად გამოიყურება“ (1990, 151). თუმცაღა, ეს ამგვარად არ უნდა იყოს!

დაგეგმვა: გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი გეგმები

დაგეგმვა შეიძლება განხორციელდეს ქვემოთ დასახელებულ ნებისმიერ ერთ ან რამდენიმე დონეზე:

- ა) გრძელვადიანი გეგმა ან წლიური გეგმა, როდესაც თქვენ გაიაზრებთ და გეგმავთ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს;
- ბ) საშუალოვადიანი გეგმა, მოდულის/ბლოკის გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია მთელ სემესტრსა ან სასწავლო გეგმის ცალკეულ საგანზე (ნაწილზე);
- გ) მოკლევადიანი გეგმა ცალკეული მეცადინეობისა ან გაკვეთილისათვის.

დაგეგმვის მოდელები

გეგმის შემუშავების სხვადასხვა მოდელი არსებობს ზოგადი თვალსაზრისით:

- მასწავლებელს შეუძლია გადაწყვიტოს დაწყება მიზნების დასახვით (ტაილერის მოდელი), ასე ვთქვათ, საწყის ეტაპზე მკაფიოდ გაიაზროს, თუ საით უნდა წარმართოს სწავლების პროცესი და რას უნდა მიაღწიოს, როგორ უნდა შეარჩიოს გაკვეთილის თემა, საკვანძო საკითხები და სტრატეგია, აგრეთვე, სახელმძღვანელო/გამოსაყენებელი რესურსები;
- საწყის ეტაპზე შესაძლებელია დაწყება საკვანძო თემებისა და განსახილველი საკითხების შინაარსის შერჩევით (სტენჰაუზის მოდელი), შემდგომ კი უკვე განსახორციელებელ ქმედებათა თანმიმდევრობის დადგენა და მათი შეფასება;


- შესაძლებელია, აგრეთვე, დაწყება იმ აქტივობათა და დავალებების გააზრებით (ვეიკის მოდელი), რომლითაც შემდეგომ სწავლის შედეგები უნდა განსაზღვროს.

დაგეგმვა: სპეციფიკური საკითხები

გაკვეთილის დაგეგმვა, რომელიც მოცემული დროითა და სივრცითაა შემოფარგლული, გაშინაარსებულია (კონტექსტუალიზებულია) სასწავლო გეგმის იმ ცალკეულ ნაწილში/ბლოკში, რომელშიც არის ჩასმული. თუ სასწავლო კურსის სტრუქტურა/საგნის სილაბუსი მასწავლებელს და სტუდენტს ზოგად პერსპექტიულ ხედვას აძლევს, გაკვეთილის გეგმა უქმნის ობიექტურ და სტრუქტურირებულ ხედვას იმის თაობაზე, თუ რა ხდება გაკვეთილის მიმდინარეობისას მისთვის გამოყოფილი დროს/კონკრეტულ მონაკვეთში.

დაგეგმვა - სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესია. დაგეგმვა იმ მიმართულებას, განზრახვას და მოლოდინს გულისხმობს, რისი გაკეთებაც გვსურს და რატომ გვსურს. ჩვენ გვჩვევია იმის თქმა, რომ „გაკვეთილის დაგეგმვა კარგ მასწავლებლად ყოფნის გულია.“


გაკვეთილების გეგმის დაწყებისას, მასწავლებელი არჩევს თემას, შინაარსს კურსის მიხედვით (რა); მეთოდოლოგიების, სტრატეგიებისა და აქტივობების გარკვეული კომბინაციით აქცევს მას მასალად (როგორ); ფიქრობს სტუდენტების მახასიათებელზე (ვინ) და წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენებით (როგორ?) ისე წარმოაჩენს მათ მოცემულ დროსა და სივრცეში (როდის?), რომ სტუდენტი სწავლობს რაღაც მნიშვნელოვანს და ეფექტურს ან იძენს გარკვეულ კომპეტენციას (რისთვის).



ნახატი 1 - დაგეგმვის საწყისი საკითხები

გაკვეთილის გეგმა არის დინამიკური პროცესი, რომელიც მოითხოვს ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას (ნახატი 1). ეს კითხვები ხშირად პრობლემების სახით იჩენს თავს და მასწავლებელმა იგი უნდა გადაჭრას, რადგან მისი მოფიქრებული და დაგეგმილია გაკვეთილი.

ჩვეულებრივ, დაგეგმვა შეესაბამება მასწავლებლის ხედვას, მის შეხედულებას გაკვეთილის ჩარჩოს შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩამოყალიბდეს მაშინ, როდესაც გაკვეთილის გეგმა იწერება, რადგან ის საშუალებას იძლევა ვიფიქროთ და წარმოვიდგინოთ, თუ რა იქნება პირველი, მეორე და ასე შემდეგ გაკვეთილის დასასრულს; ის სტუდენტს აძლევს საშუალებას მიხვდნენ/გაიგონ და ორგანიზაცია გაუწიონ თავიანთ სწავლას.



ნახატი 2: დაგეგმილის ძირითადი განზომილებები

უმეტესწილად დაგეგმვა მოიცავს გეგმის დაწერას, რომელიც გაკვეთილის მომზადების შემთხვევაში (ნახატი 2) მოიაზრება, გარკვეული მიზნების ფორმულირების თვალსაზრისით, როგორც შინაარსის განსაზღვრა და შერჩევა ლოგიკურ და მნიშვნელოვან თანმიმდევრობაში. მისი განვითარება და დანერგვა მოითხოვს გარკვეული სტრატეგიებისა და რესურსების შერჩევას, დროის განსაზღვრასა და შეფასებას.

დაგეგმვის ეტაპები

მასწავლებლის გეგმები შეესაბამება და მოიცავს კლარკისა და პეტერსონისეულ (1986) აქტივობამდელ და აქტივობის შემდგომ აზრებს/იდეებს, რაც გულისხმობს იმ იდეებსა და

გადაწყვეტილებებს, რომლებიც კლასში მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ინტერაქციამდე და ინტერაქციის შემდეგ გამოიკვეთა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ეხება შემდეგ საკითხებს:

- ✓ მასალის არჩევა ;
- ✓ მეთოდოლოგიები;
- ✓ სასწავლო აქტივობები: თითოეულმა მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმ დავალებებზე, რომელთა შესრულებაც მათ მოუწევთ გაკვეთილის მსვლელობისას. ეს აქტივობები უნდა ითვალისწინებდეს გაკვეთილის მიზნებს, კლასის ტიპს, გაკვეთილის ხანგრძლივობას, იმ საკომუნიკაციო რესურსებს, რომლებიც განვითარებას საჭიროებს. ასევე, იმ სტუდენტებს, რომლებსაც ეს აქტივობები მიემართება.
- ✓ თითოეული ფაზისთვის საჭირო დრო;
- ✓ პედაგოგიური მასალები, საკომუნიკაციო რესურსები;
- ✓ სასურველი სასწავლო შედეგები;
- ✓ ასევე, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღება იმ მოდალობებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დაგეგმილი სასწავლო ელემენტების შესაფასებლად.

ხუთეტაპიანი გაკვეთილის გეგმა

http://www.teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_2011.pdf

დასაწყისი	გაკვეთილის გახსნა/დაწყება
შუა ნაწილი (გაკვეთილის ბირთვი)	დამოუკიდებლად მუშაობა მასწავლებლის მითითებებით მუშაობა
დასასრული	გაკვეთილის დახურვა/დასრულება

ნახატი. 3 - ხუთეტაპიანი მოდელი

http://teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_Ch5_2011.pdf

დასაწყისი - გაკვეთილის დასაწყისი ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივირების, მათი ყურადღების მიპყრობისა და გადვივების კუთხით, რათა ისინი უფრო მეტად ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. ამისათვის საჭიროა შემდეგი:

- „უთხარით მოსწავლეებს, რას ისწავლიან ისინი;“
- „უთხარით მოსწავლეებს, თუ რატომაა მნიშვნელოვანი ამ მასალის სწავლა;“
- „უთხარით მოსწავლეებს, რა კავშირშია ახალი მასალა განვლილთან;“
- „უთხარით მოსწავლეებს, როგორ განხორციელდება სასწავლო პროცესი.“

(http://teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_Ch5_2011.pdf (გვ.80))

შუა ნაწილი - გაკვეთილის ბირთვი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ახალი მასალის შესავალი:

1. რა სახის ინფორმაცია უნდა გადავცეთ;
2. როგორ მივაწვდით ინფორმაციას და რა მიდგომებს/მეთოდებს გამოვიყენებთ ახალი მასალის ასახსნელად;
3. რას გააკეთებენ მოსწავლეები;
4. როგორ შევამოწმებთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა მასალა.

მასწავლებლის მითითებით მუშაობა:

1. ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ჩაერთოს ამ სამუშაოში;
2. უნდა არსებობდეს პრაქტიკის მრავალი საშუალება;
3. უწყვეტი უკუკავშირი;
4. შემოწმება იმისა, თუ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა: გამოკითხვა, დაკვირვება და ა.შ.“

(http://teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_Ch5_2011.pdf | გვ.85-93)

დამოუკიდებლად მუშაობა

1. აქტივობის ძირითადი დანიშნულება უნდა იყოს მიზნის მიღწევა;
2. ყველა მოსწავლემ უნდა შეიძინოს ახალი უნარი ან ცოდნა დამოუკიდებლად;
3. მიეცით საშუალება ცოდნის გასაღრმავებლად.

(http://teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_Ch5_2011.pdf | გვ.86-97)

დასასრული - გაკვეთილის ბოლო ნაწილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ:

1. აძლიერებდეს გაკვეთილის მიზანს;
2. ხაზს უსვამდეს, გამოკვეთდეს მოსწავლეების მიერ ნასწავლს;
3. ხაზს უსვამდეს მიზნის მნიშვნელობას;
4. იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ შემოწმდეს, რამდენად გაიგო მოსწავლემ მასალა;
5. აფასებდეს სტუდენტის დასწავლის დონეს ან პროგრესს მიზანთან მიმართებით.

(http://teachingasleadership.org/sites/default/files/Related-Readings/IPD_Ch5_2011.pdf | გვ.100)

I - საიდენტიფიკაციო მონაცემები

ზოგადი დახასიათება

კურსი:

თავი/თემა:

გაკვეთილის დასახელება

გაკვეთილის ხანგრძლივობა:

ნახატი 4 - საიდენტიფიკაციო მონაცემები

II - სპეციფიკური ელემენტები (გაკვეთილის ბირთვი)

- **შინაარსი**, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნაცნობია და ფორმულირებულია, როგორც გაკვეთილის „თემა“, მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდოლოგიით მიეწოდებათ და განსხვავებული დავალებებითა და აქტივობებით სრულდება.

სწავლის შედეგები	შინაარსი	მეთოდები	აქტივობები	რესურსები	შეფასება

ნახატი 5 - სპეციფიკური ელემენტები

- **მიზნები/სწავლის შედეგები**

მასწავლებლის პროფესიაში ძალიან მნიშვნელოვანია გეგმის შედგენა კარგად გაწერილი/გააზრებული სასწავლო მიზნებით. ეს ეხმარება მოსწავლეებს ისწავლონ, ხოლო მასწავლებლებს - ასწავლონ და იმსჯელონ თავიანთ პრაქტიკაზე. **მიზნების** განმარტება დღეს რთულია, არა მხოლოდ იმიტომ რომ ის მოიცავს დეტალურ მსჯელობას კლასში, ხედვას იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, არამედ იმიტომაც რომ ის მოითხოვს რთული და სპეციფიკური ტერმინოლოგიის ცოდნას.

იმისათვის, რომ განვმარტოთ „სწავლის შედეგების“ ცნება ჩვენ ვიყენებთ Cedefop-ის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიას (2010, 22). „სწავლის შედეგია ის, რაც მოსწავლემ იცის, რასაც ის იგებს და რაც მას შეუძლია გააკეთოს სასწავლო პროცესის დასასრულს. ყოველივე ეს განისაზღვრება, როგორც ცოდნა, უნარები და

კოგნიტიური დონე ზმნები

კონკრეტული დავალებები

კომპეტენციები.“

სწავლის შედეგები არის კომპეტენციის მსგავსი ცნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ სწავლის შედეგები უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე კომპეტენციები და, მაშასადამე, ტერმინი „სწავლის შედეგი“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ერთგვარი ქოლგა ტერმინისა „კომპეტენცია(ები)“, მაშინ, როცა პირიქით შეუძლებელია. კომპეტენცია ამ კონტექსტში გულისხმობს მოცემულ სიტუაციაში მოქმედებას, ე.ი. უნარს გამოიყენო ცოდნა და უნარები შესაბამისად. ამ გაგებით, კომპეტენცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც კონტექსტური სწავლის შედეგები.

(Cedefop, 2010, 23).

სწავლის შედეგები არის **სწავლის მიზნების** მსგავსი ცნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ „სწავლის შედეგები მოსწავლის მიღწევებთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე მასწავლებლის განზრახვებთან/გეგმებთან (რაც ნაჩვენებია მოდულის ან კურსის მიზნებში). მათ მრავალი ფორმის მიღება შეუძლია და შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო ბუნებით. სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის ხშირადაა გაურკვეველობა. ბევრი ადამიანი მათ ერთი და იმავე ცნებად თვლის და ამ ტერმინს სინონიმურად იყენებს. მიზნები დაკავშირებულია სწავლებასა და მასწავლებლის განზრახვებთან, მაშინ, როცა სწავლის შედეგები დაკავშირებულია სწავლასთან.“

(Cedefop, 2010, 24).

აქედან გამომდინარე, თქვენ:

- a) ა. უნდა იცოდეთ განსხვავება მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. ამისათვის წაიკითხეთ შემდეგი ტექსტები [**დანართი 1 და 2**].
 - i. **დანართი 1** – Cedefop (2010) სწავლის შედეგების მიდგომები პროფესიულ კურიკულუმში. ცხრა ევროპული ქვეყნის შედარებითი ანალიზი, ევროკავშირის საგამომცემლო ოფისი, 2010. http://www.cedefop.europa.eu/EN/Files/5506_en.pdf#
 - ii. **დანართი 2** - სწავლის შედეგების ჩამოწერა <https://www.nottingham.ac.uk/teaching/documents/guidance/lo-guidance.pdf>
- b) უნდა იცოდეთ, რომ არსებობს სასწავლო შედეგების განსასაზღვრი ისეთი მნიშვნელოვანი საშუალება, როგორცაა ბლუმის ტაქსონომია (ნახატი 6).

დაბალი დონე	ცოდნა	ჩამოთვლა, დაკავშირება, მოყოლა, მონიშვნა, დასახელება, განთავსება, დამახსოვრება, გამეორება	გაიხსენეთ ან ამოიცანით ინფორმაცია, ჩვეულებრივ იმავე გზით, როგორც ისწავლეთ.
	გაგება	აღწერა, ახსნა, შეჯამება, გადახედვა, აღმოჩენა, თარგმნა	თარგმნეთ ან განმარტეთ, სანამ სწავლას დაიწყებთ.
მაღალი დონე	მიმართება	აღმოფხვრა, კლასიფიცირება, დემონსტრირება, დრამატიზება, მანიპულირება	დამოუკიდებლად გამოიყენეთ მიღებული ცოდნა ან შექმნილი უნარები.
	ანალიზი	მსჯელობა, შედარება, განსხვავება, განცალკევება, დაჯგუფება, გამოკვლევა	დაყავით, გადაამოწმეთ და გამოიტანეთ დასკვნა ახალი ინფორმაციიდან.
	სინთეზი	შექმნა, წარმოება, რეკონსტრუქცია, გადაწყობა, მტკიცება, ორგანიზება, შერევა, გენერირება	შეაჯერეთ ინფორმაცია და გამოიყენეთ იგი ახალ სიტუაციაში პრობლემის გადასაჭრელად.
	შეფასება	შეფასება, გასამართლება, გადახედვა, დადგენა, დაცვა, მხარდაჭერა, პრიორიტიზირება	გააკეთეთ თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასებები სპეციფიკური კრიტერიუმის გამოყენებით.

ნახატი 6 - ბლუმის ტაქსონომია

- **მეთოდები/მეთოდოლოგიები** გაკვეთილის განვითარებისთვის, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პედაგოგიურ მეთოდსა და ტექნიკას. მეორე მხრივ, თითოეულ შერჩეულ მეთოდსა ან ტექნიკაზე სტუდენტმა უნდა შეასრულოს ერთი ან რამდენიმე აქტივობა და დავალება, რათა ბოლომდე გაითავისოს ის.
- **საკომუნიკაციო რესურსები, როგორც ადამიანური, ასევე ტექნოლოგიური:** ვიდეოები, სურათები, პრეზენტაციები, ინტერაქტიული დაფები და ა.შ.
- **შეფასება, ინსტრუმენტები და მოდალობები:** შემაჯამებელი, განმავითარებელი ან ორივე და უკუკავშირის ტიპოლოგია.

III - გაკვეთილის შემდეგ

მნიშვნელოვანია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შესრულდა როგორც გეგმა, ასევე გაკვეთილი: შესაძლოა SWOT ანალიზი დაგვეხმაროს თითოეული მეთოდის ძლიერი მხარეების, სისუსტეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებით. მნიშვნელოვანია სამომავლოდ დავეგეგმოთ გასაუმჯობესებელი სტრატეგიები.

სამუშაო მასალა 10: გაკვეთილის გეგმის ფორმა
მოდული 1, დავალება 8

ძირითადი მახასიათებლები

კურსი:
გაკვეთილი

თავი/თემა c:
გაკვეთილის ხანგრძლივობა:

სწავლის შედეგები	შინაარსი	მეთოდები	აქტივობები	რესურსები	შეფასება

<i>სწავლის შედეგები</i>	<i>შინაარსი</i>	<i>მეთოდები</i>	<i>აქტივობები</i>	<i>რესურსები</i>	<i>შეფასება</i>

6.2. მოდული 2 – პრაქტიკული გამოცდილება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაში

აღწერილობა:

ეს მოდული მონაწილეებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა მთელ რიგ მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდთან დაკავშირებით (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, დავალებაზე დაფუძნებული სწავლა, აღმოჩენითი სწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლა და სასწავლო კონტრაქტები) და განივითარონ ის უნარებიც, რომლებიც ამ მეთოდების კლასში დასაწერად დასჭირდებათ. მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას გაკვეთილის დაგეგმვაში, რომელიც აერთიანებს ჩამოთვლილ მეთოდებს და შეიქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სწავლისა და სწავლების ორგანიზება მოსწავლეზე ორიენტირებულ კლასებში.

მოდულის მიზნები:

- გავეცნოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდებს;
- ვიმსჯელოთ, თუ როგორ შეიძლება ამ მეთოდების დანერგვა კლასში;
- მივიღოთ პრაქტიკული გამოცდილება გაკვეთილის დაგეგმვაში, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული მეთოდის დანერგვაზე.

შედეგები:

მოდულის ბოლოს მონაწილეებს

- ეცოდინებათ სწავლაზე ორიენტირებული მთელი რიგი მეთოდების მახასიათებლები;
- გააზრებული ექნებათ ის სარგებელი, რომელსაც მათ ამ მეთოდების კლასში გამოყენება მოუტანთ;
- მიღებული ექნებათ პრაქტიკული უნარები ისეთი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას.

დავალეზა 1 : პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა

მიზნები:

- მიაპყროს მონაწილეების ყურადღება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ძირითად მახასიათებლებს.

მასალა/რესურსები:

მასალა 1 – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა

მომზადება:

მასალა 1-ის ასლები (თითო მასალა თითო მონაწილისთვის)

დრო: 20 წუთი

მიმდინარეობა:

1. შეხვედრა დაიწყეთ მონაწილეებისთვის იმის თქმით, რომ ისინი გაეცნობიან მთელ რიგ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისას. დაყავით მონაწილეები თანაბარი რაოდენობის მოთამაშეთა ორ დიდ გუნდად და მიეცით თითოეულ გუნდს თანაბარი რაოდენობის სპაგეტი. უთხარით გუნდებს, რომ მათ უნდა ააგონ რაც შეიძლება მაღალი კოშკი 7 წუთში.
2. სთხოვეთ გუნდებს ისაუბრონ იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მათ გაიარეს კოშკის აგების პროცესში. სთხოვეთ, რომ ასევე იმსჯელონ მასწავლებლისა და „მოსწავლეების“ როლზე ამ აქტივობაში. მოუწოდეთ მათ იფიქრონ შემდეგ კითხვებზე:
 - რისი გაკეთება დაგავალეს?
 - როგორ მიუდექით პრობლემას?
 - როგორ იპოვეთ გამოსავალი?
 - როგორ ააგეთ კოშკი? გქონდათ თუ არა გუნდში როლები გადანაწილებული?
 - რატომაა აუცილებელი წარუდგინოთ თქვენი მოდელი სხვა მონაწილეებს?
 - რა არის მასწავლებლისა და მოსწავლეების როლი?
3. გუნდები პასუხობენ მომხსენებლის არჩევით და ადარებენ და ცვლიან იდეებს. უთხარით მონაწილეებს, რომ ისინი თავიანთი პასუხების სიზუსტეს მომდევნო დავალებებში მონაწილეებისას გაიგებენ.
4. დაურიგეთ მასალა 1 მონაწილეებს და სთხოვეთ წაიკითხონ კითხვები.

5. ჩართეთ ვიდეო. ვიდეოს ყურების შემდეგ მიეცით დრო კითხვებზე პასუხის გასაცემად. საჭიროების შემთხვევაში, ჩართეთ ვიდეო ხელახლა.
6. მოუწოდეთ მონაწილეებს საპასუხოდ სხდომაზე.

პასუხები:

1. C (ეხება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის განმარტებას);
2. B – მასწავლებლის როლი ისაა, რომ წამოჭრას პრობლემა, დასვას კითხვები და ხელი შეუწყოს სტუდენტების ერთმანეთთან ეფექტურ კომუნიკაციას პრობლემაზე მუშაობისას;
3. D – სტუდენტებს აქტიური როლი აქვთ და მათგან მოელიან პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას, ახსნას და დაცვას;
4. A – შესაძლოა პრობლემა სულაც არ იყოს კარგად განსაზღვრული და მკაფიო. ის შეიძლება იყოს დამაბნეველი, რადგან გაურკვევლობის გრძნობა აღვიძებს სტუდენტების ცნობისმოყვარეობას და ითრევს მათ გამოკითხვაში;
5. B – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არ შექმნილა იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ზეპირი სწავლის, დამახსოვრების და ინფორმაციის გადმოცემის განვითარებას.

მასალა 1: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

მოდული 2, დავალება 1

უყურეთ ვიდეოს და აირჩიეთ სწორი პასუხი.

1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა არის:

- a) განათლების მოდელი, რომელიც ეფუძნება ლექციებისა და შენიშვნების გამოყენებას;
- b) განათლების მოდელი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ზრდასრულებთან;
- c) განათლების მოდელი, რომელიც სვამს სტუდენტების წინაშე კითხვას, წამოჭრის მათ წინაშე პრობლემას ან გამოწვევას და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას შესაძლო გამოსავლისა თუ პასუხების ძიების პროცესში;
- d) განათლების მოდელი, რომელსაც უძღვება მასწავლებელი და ეყრდნობა ინფორმაციის დამახსოვრებას, მის შემდგომ შემოწმებას.

2. პრობლემაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოში მონაწილეთა როლები შემდეგნაირია:

- a) მასწავლებელი ცოდნის წყაროა. რომელიც გადასცემს ამ ცოდნას მოსწავლეებს. მოსწავლეები პასიური ადრესატები არიან;
- b) მასწავლებელი არის შუამავალი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და იმსჯელონ პრობლემაზე, მაშინ, როცა მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული გამოკითხვაში;
- c) მასწავლებლის როლი ისაა, რომ ის არჩევს ისეთ თემებს, რომლებშიც ექსპერტის ცოდნა აქვს. ის წარუდგენს მას მოსწავლეებს, რომელთაც ჩანაწერების გაკეთება ევალებათ;
- d) მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ისინი უნდა მიყვებოდნენ, რათა გადაჭრან მითითებული პრობლემა. მოსწავლეები მუშაობენ ერთად და მიჰყვებიან გეგმას.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი არა არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის უპირატესობა?

- a) სტუდენტები თანამშრომლობენ, რათა იპოვონ რეალური ცხოვრებისეული პრობლემებიდან გამოსავალი;
- b) ისინი იუმჯობესებენ თავიანთ ადრინდელ ცოდნას და უნარებს;
- c) სტუდენტები პასუხისმგებელი არიან თავიანთ სწავლაზე და ეუფლებიან მას;
- d) სტუდენტებს მოეთხოვებათ მინიმალური სამუშაოს შესრულება.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა კარგი პრობლემური სიტუაციის კრიტერიუმი?

- a) ის უნდა იყოს ნათლად სტრუქტურირებული და განსაზღვრული;
- b) დაკავშირებული უნდა იყოს კურსის კურიკულუმთან;
- c) უნდა იყოს რეალური;
- d) უნდა ჩართოს სტუდენტები ინფორმაციის თანამშრომლობით კვლევაში.

5. ჩამოთვლილთაგანი რომელი არ არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ინსტრუქციული შედეგი?

- a) მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარების სწავლა;
- b) საჭირო აკადემიური ინფორმაციის დამახსოვრება და გადმოცემა;
- c) გამოკითხვის უნარების სწავლა;
- d) წყვილებში მუშაობის სწავლა.

დავალემა 2 : პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესი

მიზნები:

- აამაღლოს მონაწილეთა ცნობიერება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ეტაპებზე;
- დაეხმაროს მოსწავლეებს იფიქრონ შეცდომებზე, რომლებიც შესაძლოა დაუშვან კლასში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის განხორციელების პროცესში.

მასალები / რესურსები:

მასალა 2 – პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი (1)

მასალა 3 – პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი (2)

მომზადება:

მასალა 2-ის ასლები (თითო ფოტოასლები თითო მონაწილისთვის)

მასალა 3-ის ასლები – პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი (2)

დრო: 25 წუთი

მიმდინარეობა:

1. უთახრით მონაწილეებს, რომ მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ეტაპებზე. მიეცით მათ მასალა 2 და სთხოვეთ იმუშაონ ინდივიდუალურად;
2. როცა მზად იქნებიან, მოუწოდეთ მონაწილეებს შეადარონ თავიანთი პასუხები პარტნიორთან;
3. შეამოწმეთ პასუხები მთელ ჯგუფთან და მიეცით დრო კითხვებისთვის.

პასუხები:

პრობლემის აღმოჩენა – F

არსებული ცოდნის კვლევა – C

ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და შესაძლო მექანიზმები – E

სასწავლო საკითხების იდენტიფიცირება – D

თვითსწავლა – G

ხელახლა შეფასება და ახალი ცოდნის დაკავშირება პრობლემასთან – B

სწავლის შეფასება და რეფლექსია – A

4. აუხსენით მონაწილეებს, რომ შემდეგი დავალება შედარებით ვიწროდ ფოკუსირდება ეტაპზე და მათ მოუწევთ წაიკითხონ სამოდელიო გაკვეთილის აღწერა; ეცადონ აღმოაჩინონ თითოეულ ეტაპზე არსებული შეცდომები. მონაწილეებმა უნდა შემოგვთავაზონ გამოსავალი იდენტიფიცირებულ საკითხზე. დაარიგეთ მასალა 3 და დაინიშნეთ დრო 10 წუთი;
5. როცა მზად იქნებიან, სთხოვეთ მონაწილეებს შექმნან 4-კაციანი ჯგუფები და იმსჯელონ თავიანთ იდეებზე;
6. შეამოწმეთ პასუხები სხდომაზე.

პასუხები:

(1) პრობლემის იდენტიფიცირება – პრობლემა არაა კარგად ფორმულირებული. ის მეტისმეტად ზოგადია იმისათვის, რომ ვიპოვოთ გამოსავალი. სტუდენტებს მოუწევთ მრავალი სხვადასხვა სფეროს გამოკვლევა (მაგ., უმუშევრობა, ზოგადი მდგომარეობა შრომით ბაზარზე, დასაქმების შესაძლებლობები, უმუშევრობის უპირატესობები, სქესობრივი საკითხები და ა.შ.)

(2) შემოთავაზებული გამოსავალი: პრობლემის ხელახლა ფორმულირება. მაგალითად:

ავიაკომპანია EasyJet მოდის – რას გააკეთებს ავიაკომპანია Adria? Adria Airways არის სლოვენის ეროვნული გადაყვანი, ჩარტერული და გეგმიური ფრენების განხორციელების დიდი გამოცდილება აქვს, მაშინ, როცა EasyJet არის დაბალბიუჯეტური ევროპული ავიახაზი. ლონდონში გაფრენა და უკან ლუბლიანაში დაბრუნება Adria Airways-ით დაახლოებით 400 ევრო დაგიჯდებათ, მაშინ, როცა EasyJet-ით იგივე მარშრუტი სულ რაღაც 20 ევრო ღირს. როგორ გადაურჩება Adria Airways ასეთ ძლიერ კონკურენციას?

(რეფორმულირებული ამოცანა ამოღებულია შემდეგი რესურსიდან - იურკოვიჩი (2005).

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გზამკვლევი - PBL ESP-ის კონტექსტში.

ლუბლიანა: სლოვენის LSP მასწავლებელთა ასოციაცია. გვ.18)

(3) არსებული ცოდნის კვლევა – მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს მოსწავლეთა დისკუსიაში და არ უნდა მოახვიოს მათ თავს თავისი ცოდნა პრობლემასთან დაკავშირებით.

შემოთავაზებული გამოსავალი: ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი კლასში ისაა, რომ უზრუნველყოს ყველას ჩართულობა დისკუსიაში და რელევანტური კითხვების დასმით დაეხმაროს მათ მსჯელობის სწორი ხაზის შენარჩუნებაში;

(4) ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შესაძლო მექანიზმები – მასწავლებელი არ რეაგირებს ერთ-ერთი სტუდენტის პასიურობაზე.

შეთავაზებული გამოსავალი: მასწავლებელი საჭირო დახმარებას უწევს, რათა სტუდენტმა ღიად გამოხატოს თავისი იდეები ჯგუფში.

(5) სასწავლო საკითხების იდენტიფიცირება – სტივენს მოუწევს ისეთი საკითხის კვლევა, რომელიც არაა რელევანტური გუნდის სასწავლო მოთხოვნებთან. მათ არ სჭირდებათ ინფორმაცია ავიაციის გავლენაზე გარემოსთან მიმართებით, რომ გადაჭრან ის პრობლემა, რომელიც ეხება ორ ავიაგადამყვანს შორის არსებულ კონკურენციას.

შეთავაზებული გამოსავალი: გუნდების მუშაობის შემოწმებისას მასწავლებელს შეუძლია განიხილოს ჯგუფის წევრებში ამოცანების გადანაწილების საკითხი, რომელიც მიგვიყვანს სტუდენტის მიერ შესრულებულ ახალ ამოცანამდე.

(6) თვითსწავლა – მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს აუცილებლობის გარეშე. ყოველდღიურად შეტყობინებების გზავნა და მათი წინსვლის შემოწმება არ აძლევთ მათ საშუალებას ჰქონდეთ საკუთარი ავტონომია.

შეთავაზებული გამოსავალი: თუ მასწავლებელს სურს შეინახოს თავისი მოსწავლეების წინსვლის ჩანაწერები, მას ამის გაკეთება უფრო მოკრძალებულადაც შეუძლია. მაგალითად, სთხოვოს ერთ-ერთ მოსწავლეს, აღწეროს გუნდის წინსვლა და არსებული პრობლემები.

(7) ხელახლა შეფასება და ახალი ცოდნის დაკავშირება პრობლემასთან – ერთ-ერთ ჯგუფში უთანხმოება მოულოდნელი რამაა, თუმცა, შესაძლებელი.


შეთავაზებული გამოსავალი: მასწავლებელმა თვალი უნდა ადევნოს გუნდებს და ჩაერიოს. ის ეხმარება მათ კონფლიქტის მოგვარებასა და შეთანხმების მიღწევაში.

(8) სწავლის შეფასება და რეფლექსია – ამ ეტაპის მთავრი მიზანია, სტუდენტებს მისცეს საშუალება იფიქრონ საკუთარ სწავლაზე, როგორც პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შედეგზე.

შეთავაზებული გამოსავალი: სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული შეფასებაში. ისინი ავსებენ თვითშეფასებისა და წყვილების შეფასების კითხვარებს. ისინი აფასებენ თითოეული ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზენტაციების ხარისხს პრეზენტაციის შეფასების ფორმის გამოყენებით. ახალი მასალის შეჯამება ხელს უწყობს ცოდნის გაერთიანებას მომავალი გამოყენებისთვის

მასალა 2: პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი 1

მოდული 2, დავალება 2



გადახედეთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების საფეხურებს და აღწერეთ ისინი. ეცადეთ დააკავშიროთ ისინი.

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: უოლში (2005), ტუტორი პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში: დაშფეებთა სახელმძღვანელო, მაკმასტერის უნივერსიტეტი

მასალა 3: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესი (2)

მოდული 2, დავალება 2

წაიკითხეთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესის თითოეული საფეხურის აღწერა. გადაწყვიტეთ, რა გაკეთდა არასწორად თითოეულ მაგალითში. შესთავაზეთ გამოსავალი.

(1) პრობლემის იდენტიფიცირება

მოსწავლეები პირველად ეცნობიან პრობლემას. მასწავლებელი მათ აცნობს შემდეგ პრობლემას: *ადრიალოვენიის ეროვნული გადაწყვეტილება და მას დიდი გამოცდილება აქვს ჩარტერულ და გეგმიურ ფრენებში. მას უწევს სხვა ავიაკომპანიების ძლიერ კონკურენციასთან გამკლავება. რა უნდა გააკეთოს კომპანიამ?*

მოსწავლეები ემნიან 5-კაციან ჯგუფებს და ფიქრობენ იმ კითხვებზე, რომლებიც მათ დაეხმარებათ პრობლემის მარტივ დავალებებად დანაწევრებაში (მაგ., რომელი კომპანიაა ადრიას კონკურენტები? რა გამოწვევები დგას ადრიას წინაშე? რა ასპექტებია

გასაუმჯობესებელი? რას ფიქრობენ მომხმარებლები ადრიას მომსახურებასა და ფასებზე და ა.შ.), მაგრამ ეს კითხვები მეტისმეტად ზოგადია და ვერ მიგვიყვანს ძირითად პრობლემამდე.

(2) არსებული ცოდნის კვლევა

სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას, რომელსაც პრობლემის შესახებ ფლობენ. ერთ-ერთი მათგანი მდივნის როლს ასრულებს და იწერს შეთავაზებულ იდეებს. მასწავლებელი აწყვეტინებს მათ დისკუსიას და იწყებს ამ ცოდნის გაზიარებას.

სტუდენტები თვისობრივად ალაგებენ თავიანთ იდეებს. იდეების დასაკავშირებლად და თავიანთი ცოდნის ორგანიზებისთვის ისინი იყენებენ ლოგიკურ აზროვნებას.

(3) ვარაუდებისა და შესაძლო მექანიზმების შემუშავება

სტუდენტები გამოთქვამენ ვარაუდებს პრობლემის არსთან დაკავშირებით. წერილობით გამოხატავენ იმ სხვა მიზეზებს, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს ლუბლიანადან ლონდონში 20 ევროდ მიმავალი მგზავრებისთვის და როგორ ახერხებს იზიჯეტი 20 ევროდ ღირებული ფრენების შეთავაზებას. ამ პროცესში ყველა სტუდენტი აქტიურადაა ჩართული, მაგრამ ერთი სტუდენტი უბრალოდ უსმენს და არაფერს ამბობს. მასწავლებელი არაფერს აკეთებს.

(4) სასწავლო საკითხების იდენტიფიცირება

სტუდენტები ფიქრობენ შემდეგ კითხვებზე:

- *რა უნდა შევქმნათ?*
- *რისი სწავლაა საჭირო იმისთვის, რომ შევძლოთ ამგვარი შედეგის მიღება?*
- *როგორ უნდა წარვადგინოთ ჩვენი კვლევის შედეგები?*
- *რა სახის ინფორმაცია გვჭირდება დავალების შესასრულებლად?*

სტუდენტები განსაზღვრავენ თავიანთ სასწავლო მიზნებს შედეგებიდან გამომდინარე და თანხმდებიან სამომავლო როლებზე. მაგალითად: პიტერი ჩაატარებს კვლევას ორი ავიაკომპანიის ისტორიის შესახებ და მოიძიებს ინფორმაციას ევროპაში არსებული დაბალბიუჯეტისანი გადამყვანების ისტორიის შესახებ. მარგარეტი შეაგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას ამ ორი ავიაკომპანიისა და იმის შესახებ, თუ რა შეთავაზებებს უკეთებენ ისინი თავიანთ მგზავრებს. სილვია გამოიკვლევს ავიაკომპანიების ხარჯებს. სორენი დაუკავშირდება ადრიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და გაესაუბრება მათ ავიაკომპანიის დაბეგვრის შესახებ. რობერტი გამოიკვლევს ავიაციის ზეგავლენას გარემოზე.

(5) დამოუკიდებელი სწავლა

სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ თავიანთ დავალებებზე და პრობლემის წინასწარ შეთანხმებულ, სპეციფიკურ ასპექტებს იკვლევენ. მასწავლებელი ყოველდღიურად ამოწმებს, ხომ არ აქვთ სტუდენტებს რაიმე პრობლემა კითხვარებთან დაკავშირებით. ამგვარად, იგი ამოწმებს სტუდენტების პროგრესს.

(6) ახალი ინფორმაციის გადასინჯვა და მისი დაკავშირება პრობლემასთან

ჯგუფის წევრები იკრიბებიან და ერთმანეთს წარუდგენენ თვითნაირ ანკეტების შედეგებს. ისინი მსჯელობენ მოპოვებულ ცნობებზე, შემოთავაზებულ გამოსავალზე, მაგრამ ერთ-ერთ ჯგუფში უთანხმოებაა და ვერ თანხმდებიან, რომელია საუკეთესო გამოსავალი.

ჯგუფები თავიანთ გადაჭრის გზებს კლასს წარუდგენენ. მთელი კლასი მსჯელობს გამოსავალზე. განიხილავენ თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეებს, კენჭს უყრიან წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

(7) სწავლების შეფასება

მასწავლებელი აფასებს ჯგუფების მუშაობას და თითოეულ სტუდენტს კრიტერიუმების მიხედვით. ის აწვდის მათ კომენტარებს და რჩევებს შემდგომი განვითარებისთვის.

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: იურკოვიჩი (2005). *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გზამკვლევი - PBL ESP-ის კონტექსტში*. ლუბლიანა: სლოვენის LSP მასწავლებელთა ასოციაცია. გვ.18-45

დავალება 3: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის დაგეგმვის
გამოცდილება

მიზნები:

- განუვითაროს მონაწილეებს დაგეგმვის უნარები პრობლემაზე დაფუძნებული გაკვეთილისთვის, რომელიც მოერგება თავიანთ სასწავლო კონტექსტს.

მასალები/რესურსები:

მასალა 10 - გაკვეთილის გეგმის ფორმა (პირველი მოდულიდან)

მომზადება: -

დრო: 20 წუთი

პროცესი:

1. მონაწილეები მუშაობენ ჯგუფებში და ამზადებენ გაკვეთილის მონახაზს, რომელიც აერთიანებს დავალებებზე დაფუძნებულ მეთოდს კლასში.
2. ტრენერი სთხოვს თითოეულ ჯგუფს წარადგინონ გაკვეთილის გეგმის პოზიტიურ ასპექტებთან დაკავშირებული იდეები და კომენტარები, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს.

საკლასო ოთახში პრობლემური სწავლების მეთოდის ინტეგრირების გზების შემდგომი ილუსტრაციისათვის იხილეთ საინტერესო პრაქტიკის სექცია.

დავალება ოთხი: დავალებებზე დაფუძნებული სწავლება

მიზნები:

- მისცეს საშუალება სტუდენტებს გაეცნონ დავალებებზე დაფუძნებულ გაკვეთილს;
- გაამხნევოს მონაწილეები, რათა იმსჯელონ დავალებებზე დაფუძნებული გაკვეთილის გამოცდილებაზე და მოახდინონ მისი თვისობრივი ელემენტებისა და ძირითადი საფეხურების იდენტიფიცირება;
- გაამახვილოს მონაწილეთა ყურადღება დავალების მახასიათებლებსა და ტიპებზე;
- შეისწავლონ დავალებებზე დაფუძნებული სწავლების საფეხურები.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 4 – დავალებებზე დაფუძნებული სწავლება

სასწავლო მასალა 5 – დავალებათა ტიპები

სასწავლო მასალა 6 – დავალებებზე დაფუძნებული გაკვეთილის საფეხურები

მომზადება:

სასწავლო მასალა 4-ის ფოტოასლები (თითო ერთი მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 5-ის ფოტოასლები (თითო ერთი მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 6-ის ფოტოასლები (თითო ერთი მონაწილისთვის)

დრო: 30 წუთი

პროცესი:

შენიშვნა: ამ შეხვედრაზე სტუდენტები პირველად მიიღებენ მონაწილეობას დავალებებზე დაფუძნებული სწავლებაში. ისინი ამ გამოცდილებას გამოიყენებენ დავალებებზე დაფუძნებული გაკვეთილის შექმნისთვის საჭირო მიდგომების თვისობრივი მახასიათებლებისა და გარკვეული საფეხურების იდენტიფიცირებისთვის.

1. დაიწყეთ შეხვედრა მონაწილეთათვის იმის თქმით, რომ მათთვის თქვენი 10 წლის წინანდელი ფოტოსურათის ჩვენებას აპირებთ. სთხოვეთ მათ, ჩამოთვალონ სავარაუდო განსხვავებები. შემდეგ აჩვენეთ ფოტო. მოუწოდეთ, რომ გიპასუხონ შემდეგ კითხვებზე: „თქვენი აზრით, კიდევ რა იყო ჩემს მაშინდელ ცხოვრებაში განსხვავებული?“ წახალისეთ მონაწილეები, რათა დაასახელოთ უფრო მეტი ვარაუდი და კომენტარი,

თუმცა არ უთხრათ, მცდარია თუ მართალი მათი იდეები. უთხარით, რომ ამას მოგვიანებით შეიტყობენ.

2. სთხოვეთ მონაწილეებს შექმნან 3-კაციანი ჯგუფები და იფიქრონ, როგორი იყო მათი ცხოვრება 10 წლის წინ. ჩამოწერეთ შემდეგი კითხვები დაფაზე:

- როგორ გამოიყურებით?
- რა იყო განსხვავებული შენს ცხოვრებაში?
- გქონდა განსხვავებული ინტერესები? სხვა ჰობი?
- არის თუ არა დიდი განსხვავება მაშინდელ და ახლანდელ შენს თავს შორის?

კითხვებზე მსჯელობისთვის მიეცით მონაწილეებს 3-5 წუთი. დააკვირდით ჯგუფების მუშაობას და მოუსმინეთ მათ პასუხებს.

3. როცა გამოყოფილი დრო ამოიწურება, შეაწყვეტინეთ მათ მუშაობა. უთხარით მონაწილეებს, რომ უნდა იმუშაონ ერთად, რათა შეაჯამონ თავიანთი მსჯელობა კლასის წინაშე წარსადგენად. დასკვნაზე მუშაობისას მათ უნდა გააკეთონ ჩანაწერები, თუმცა კლასს ვერბალურად უნდა წარუდგინონ.

4. როცა სტუდენტები მზად იქნებიან, თითოეული გუნდიდან ერთი მომხსენებელი გამოდის. მოხსენებების ბოლოს მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელი ჯგუფის წევრები შეიცვალნენ ყველაზე მეტად ბოლო 10 წლის განმავლობაში.

5. მიმართეთ სტუდენტების ყურადღება თქვენი ფოტოსკენ და უთხარით, რომ მათ თქვენი შეჯამების მოსმენა მოუწევთ. წაიკითხეთ ტექსტი, ან თუ წინასწარ გაქვთ ჩაწერილი, ჩართეთ. შეეკითხეთ სტუდენტებს მოსმენილთან დაკავშირებით (მაგ., რა ვთქვი ჩემს სამსახურთან დაკავშირებით? მეგობრებთან დაკავშირებით და ა.შ.).

6. აარჩიეთ 2 ან 3 წინადადება თქვენი ტექსტიდან, რომელიც მოიცავს „ხოლმეს“ და დაწერეთ დაფაზე. მაგალითად:

- *მე ვიყავი მასწავლებელი;*
- *ყოველ პარასკევს საღამოს მეგობრებთან ერთად ვსეირნობდი ხოლმე;*
- *ტყავის შარვალი მეცვა ხოლმე.*

შეამოწმეთ, გაიგეს თუ არა მონაწილეებმა ამ წინადადებების მნიშვნელობა. ამისათვის გამოიყენეთ „კი-არა“ ტიპის კითხვები - სეირნობდი ყოველ პარასკევს საღამოს მეგობრებთან ერთად? (კი); ვსეირნობ ყოველ პარასკევს საღამოს მეგობრებთან ერთად? (არა)

გამოავლინეთ წესი „ხოლმეს“ გამოყენებასთან დაკავშირებით და აუხსენით მონაწილეებს - მაგ.: *used to + infinitive/didn't use to + infinitive*

(ამ სესიის 1-6 საფეხური დავალებაზე დაფუძნებული გრამატიკის სწავლების სატესტო გაკვეთილის ნაწილია.)³

7. მოუწოდეთ მონაწილეებს, იფიქრონ ამ შეხვედრაზე მიღებულ გამოცდილებაზე და მასწავლებლის თვალით შეხედონ ყველაფერს. მათ მონაწილეობა მიიღეს დავალებებზე დაფუძნებულ მინიგაკვეთილში. დაურიგეთ მათ სასწავლო მასალასაწავლო მასალა 4 და სთხოვეთ შეასრულონ დავალება ინდივიდუალურად.
8. შეამოწმეთ პასუხები მთელ ჯგუფთან ერთად. საჭიროებისამებრ მიაწოდეთ ახსნა-განმარტებები და არსებობის შემთხვევაში, უპასუხეთ შეკითხვებს.

პასუხები:

დავალება:	✓
• არის დაგეგმილი (სტუდენტები დავალებას აკეთებენ და/ან ასრულებენ მათ ხელთარსებული ან მასწავლებლის მიერ მიწოდებული ენობრივი რესურსით).	✓
• აღვივებს მოსწავლის ინტერესს.	✓
• აქვს ნათელი შედეგი მოსწავლეებისთვის.	✓
• მოიცავს კოგნიტურ პროცესებს (დავალების შესასრულებლად სტუდენტები იყენებენ თავიანთ კოგნიტურ უნარებს - ჩამოთვლიან, ალაგებენ, აანალიზებენ, ახარისხებენ ან/და აჯამებენ ინფორმაციას.)	✓
• კონცენტრირებულია მნიშვნელობაზე (სტუდენტები იყენებენ თარგმანის ენას, რათა შეამცირონ ინფორმაციული შუალედი)	✓
• მოიცავს ენის გამოყენების რეალურ პროცესებს (ასახავს რეალურ, ცხოვრებისეულ აქტივობებს - მიმართულების ჩვენება/მიცემა, სურათების შედარება/კონტრასტირება, შეხვედრის დაგეგმვა და ა.შ.)	✓

საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ მონაწილეებს შემდეგი კითხვებიც გაუზიაროთ:

- *გააღვივებდა ეს აქტივობა მონაწილეთა ინტერესს?*
- *არის თუ არა საწყისი ფოკუსი მნიშვნელობაზე?*
- *აქვს თუ არა მკაფიოდ განსაზღვრული შედეგი, რომელსაც მონაწილეებმა უნდა მიაღწიონ?*
- *განისაზღვრება თუ არა წარმატება შედეგით? შესრულება არის თუ არა პრიორიტეტი?*
- *არის თუ არა კავშირში რეალურ მსოფლიო მოვლენებთან?*

³ <http://www.onestopenglish.com/grammar/grammar-teaching/task-based-grammar-teaching/> (ნახვის დრო 09-01-2018)

იმისათვის რომ დავალება იყოს ეფექტური, საჭიროა, ყველა ამ კითხვაზე პასუხი იყოს „დიახ“.

1. დაურიგეთ მონაწილეებს სასწავლო მასალა 5. აუხსენით დავალება და მიუთითეთ, რომ დავალების ინდივიდუალურად შესასრულებლად აქვთ დაახლოებით 5 წუთი;
2. როცა მზად იქნებიან, სთხოვეთ შეადარონ პასუხები;
3. შეასწორეთ პასუხები მთელ ჯგუფთან.

პასუხები:

1. ჩამოთვლა;
2. დალაგება და დახარისხება;
3. შედარება;
4. პრობლემის გადაჭრა;
5. პირადი გამოცდილების გაზიარება;
6. კრეატიული დავალებები/პროექტები.

4. მონაწილეთა ყურადღება შეხვედრის დასაწყისისკენ მიმართეთ. უთხარით, რომ დავალებაზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის ეტაპების მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს, თუმცა თქვენ გააცნობთ მხოლოდ ერთ-ერთს. დაურიგეთ მათ სასწავლო მასალა 6 და სთხოვეთ იმუშაონ ინდივიდუალურად.
5. მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაასრულებენ დავალებას, მოუწოდეთ მათ შექმნან 4-კაციანი ჯგუფები და გაუზიარონ ერთმანეთს აზრები.
6. მოუხმეთ მომხსენებელს ჯგუფში წარმოთქმული აზრების გადმოსაცემად. დანარჩენი ჯგუფები ადარებენ და ამატებენ თავიანთ იდეებს. ასევე, შეგიძლიათ თქვენი იდეებიც მიაწოდოთ დავალებებთან დაკავშირებით.

შესაძლო პასუხი:

- **დავალების მომზადება**
მასწავლებელი სვამს საკითხს: მოიფიქრეთ ამბავი სათაურით - კატის გმირობა. მოსწავლეები ფიქრობენ იმ სიტყვებზე, რომლებიც მათ დასჭირდებათ. ასევე, ისინი ინდივიდუალურად გეგმავენ/ადგენენ ამბავს.

- **დავალების განხორციელება**

სტუდენტები წერენ თავიანთ ისტორიებს, შემდეგ 4-კაციან ჯგუფებში ცვლიან და საბოლოოდ ქმნიან ჯგუფის ერთ საერთო ისტორიას.

- **მოხსენება**

ჯგუფები წარუდგენენ თავიანთ ისტორიებს კლასს. კლასმა ყურადღებით უნდა მოუსმინოს და უპასუხოს კითხვას: გაქვთ თუ არა მსგავსი თემა თქვენს ისტორიაში?

7. დაასრულეთ/შეაჯამეთ შეხვედრა იმის აღნიშვნით, რომ მონაწილეებს ექნებათ შანსი მომდევნო გაკვეთილზე თავად დაგეგმონ დავალებაზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილები.



სასწავლო მასალა 4: საკითხზე დაფუძნებული სწავლება

მოდული 2, საკითხი 4

წაკითხე ტექსტი!

საკითხზე დაფუძნებული სწავლება არის მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ენის სწავლასთან. ეს გამომდინარეობს საკომუნიკაციო ენის სწავლებიდან, როგორც შედეგი განმანათლებლების ცნობიერებისა, რომ ენის სწავლება უნდა იყოს რელევანტური სტუდენტების საჭიროებებთან და აძლევდეს მათ კლასში ენის გამოყენების შესაძლებლობას.

პდს მოიცავს შემდეგ თეორიულ პრინციპებს:

- საკითხები არის ორგანიზაციის სილაბუსის ერთეულები, რადგან ისინი განსაზღვრავს, თუ რა შედეგები უნდა იყოს მიღწეული ენის საშუალებით, ვიდრე ენობრივი ინსტრუმენტებით.
- „სწავლება იქნება ეფექტური მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან და მოიცავს ფორმებისა და მნიშვნელობების თხრობას“ [კარტერი და ნუნანი, 2001 გვ. 176].

საკითხის ერთ-ერთი შესაძლო განსაზღვრება როდ ელისის მიერაა შემოთავაზებული (2003):

საკითხი არის სამუშაო გეგმა, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან ენის პრაგმატულ დამუშავებას, რათა მიღწეული იყოს შედეგები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს სწორი ან შესაბამისი წინადადების გადატანად. დასასრულს, ეს მეთოდი სტუდენტებისგან მოითხოვს ყურადღებას, რათა გამოყენებული იყოს მათი ლინგვისტური წყაროები, თუმცა საკითხის ნიმუშმა შეიძლება შეუქმნას წინასწარი განწყობა ერთი რომელიმე ფორმის ასარჩევად. არსებული საკითხის მიზანია, განსაზღვროს ის შედეგი, რომელიც აქვს ენის გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი მსგავსებით ისე, როგორც რეალურ, ფუნქციურ ენას. სხვა ენობრივი აქტივობების მსგავსად, საკითხი შეიძლება მოიცავდეს პროდუქტიულ ან ათვისებად, ორალურ ან წერით უნარებს და ამავდროულად სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ პროცესებს [ელისი, 2003 გვ. 16].

აღნიშნეთ შემდეგი სომბოლოთი (✓) ფრაზის გასწვრივ, რომელიც მიუთითებს დავალების თავისებურებას.

საკითხი:		
• არის სამუშაო გეგმა (მაგ., ეს არის რაღაც, რასაც მოსწავლეები აკეთებენ ან ახორციელებენ, იყენებენ მათ ხელთარსებულ ენობრივ რესურსებს ან ლექტორის მიერ მიწოდებულს).		
• ეხმარება მოსწავლეებს დაინტერესებაში.		

<ul style="list-style-type: none"> • აძლევს ნათელ შედეგებს მოსწავლეებს მიღწევისთვის. 		
<ul style="list-style-type: none"> • ეწევა შემეცნებით პროცესებს (საკითხის დასასრულებლად სტუდენტები იყენებენ შემეცნებით პროცესებს – ადგენენ სიას, იძლევიან ბრძანებებს, ახარისხებენ, ალაგებენ, ანალიზებენ ან/და აჯამებენ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.). 		
<ul style="list-style-type: none"> • ახდენს მნიშვნელობაზე ფოკუსირებას (მაგ., მოსწავლეები იყენებენ მიზნობრივ ენას, იმისთვის რომ აღმოიფხვრას ზოგიერთი ინფორმაციული ნაკლი.). 		
<ul style="list-style-type: none"> • მოიცავს ენის გამოყენების რეალურ პროცესებს (მაგ., ის წარმოადგენს ცხოვრებისეულ აქტივობებს – სწორი მიმართულების მიცემა, სურათების შედარება და შეპირისპირება, დაგეგვმა, როდის და სად უნდა შეხვდეს და ა.შ.). 		
<ul style="list-style-type: none"> • ენის გამოყენების ასახვის შესაძლებლობას იძლევა. 		



სასწავლო მასალა 5: დავალებების ტიპები

მოდული 2, საკითხი 4

წაიკითხეთ ექვსი სახის დავალების ტიპების მაგალითები და განმარტებები. ეცადეთ ამოიცნოთ დავალებები.

1. _____ - ეს დავალებები შეიძლება ჩანდეს წარმოუდგენელი, მაგრამ აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მხრიდან ენობრივ კომუნიკაციას:
 - a) გონებრივი იერიში – სტუდენტები ქმნიან თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, როგორც ინდივიდები და როგორც ჯგუფი;
 - b) ფაქტების ძებნა – სტუდენტები ეძიებენ ფაქტებს კითხვების დასმისა და კითხვებზე პასუხის გაცემის გზით სხვა ადამიანებთან უერთიერთქმედებით.

მაგალითი: ოჯახში არსებული ყველა ადამიანის სია.

2. _____ - ეს საკითხები მოიცავს ოთხ ძირითად პროცესს:
 - დაალაგეთ ქნოლოგიური თანმიმდევრობით საგნები, ქმედებები და მოვლენები;
 - დაანაწილეთ საკითხები სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით;
 - საკითხების კლასიფიცირება ჯგუფების მიხედვით;
 - სხვადასხვა გზით საკითხების კლასიფიცირება.

მაგალითები: შეხედეთ მეოთხე სურათს. ისინი არეულია. იმუშავე წყვილად. ოთხივე სურათი დაალაგე ისე თანმიმდევრულად, რომ ჰქონდეს ისტორიის სახე. მოამზადე ისტორია, რათა მოუყვე სხვა ჯგუფს.

3. _____ - ეს საკითხი მოიცავს ინფორმაციის შედარებას სხვადასხვა წყაროდან, რათა განისაზღვროს საერთო მახასიათებლები ან განსხვავებები.

მაგალითები: შეადარე შენი ისტორიები; შეადარე ცნობილი ადამიანების სიასთან, რომელიც მოამზადე. გყავს ვინმე, ვისთანაც გაქვს საერთო? მოუყევი სხვებს, რატომ აირჩიე თითოეული მათგანი.

4. _____ - ეს საკითხი მოიცავს ინტელექტუალურ და მსჯელობის უნარებს და დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა ხდება გამოწვევის და ჩართულობის გზით.

მაგალითები: წარმოიდგინე, რომ შენ ცხოვრობ ქალაქში, სადაც არის ძალიან ბევრი საცობი ცენტრში. იფიქრე სამ შესაძლო გამოსავალზე პარტნიორთან ერთად. გამოსავლის, პრობლემის გადაჭრის შესათავაზებლად განსაზღვრე საკითხის ძლიერი და სუსტი მხარეები. გადაწყვიტე, რომელი იქნება ყველაზე იაფიანი ვარიანტი, ყველაზე ინოვაციური და ეკომეგობრული. მოახსენე შენი გადაწყვეტილება მეწყვილეს და განიხილეთ, რა იქნება ყველაზე საუკეთესო

გამოსავალი, რომელსაც გაუზიარებთ მთავრობას საცობების პრობლემის გადასაწყვეტად.

5. _____ - აღნიშნული დავალებები ახდენს სტუდენტების წახალისებას, რათა ისაუბრონ მეტი პირადი ცხოვრებისა და გამოცდილებების შესახებ.

მაგალითები: დახატე შენი ოჯახის ხე და გააზიარე იმავე ჯგუფში.

6. _____ - აღნიშნულ დავალებებს ხშირად ეწოდება პროექტი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით აქტივობებში. ზოგჯერ აღნიშნული დავალები აუდიტორიის გარე კვლევას გულისხმობს.

მაგალითი: დაგეგმე სადამო მეგობართან ერთად; პროექტი დაწერეთ ამ თემაზე: "როგორი ტიპის მუსიკა მოსწონთ ჩვენი კლასის სტუდენტებს?" შეხედეთ სურათს და დაწერე ისტორია. მოიფიქრე პერსონაჟების სახელი, მათი ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია და ადამიანებთან ურთიერთობა.

დაფუძნებულია შემდეგ წყაროზე: ვილისი, დ. და ვილისი, ჯ. 2007. „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.



სასწავლო მასალა 6: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის ეტაპები

მოდული 2, დავალება 4

წაიკითხე პდს გაკვეთილების სამივე საფეხური.

წიგნში „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ჩარჩო“ (1996) ჯეინ ვილისი განსაზღვრავს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დაგეგმვის მონახაზს. იგი გვთავაზობს შემდეგ სამ საფეხურს:

- **დავალებამდელი ეტაპი** - დავალებისთვის ამზადებს სტუდენტს; მოიცავს სურათების გამოკვლევას, ვიდეოკლიპების ყურებას, ტექსტზე დაკვირვებას, გონებრივ იერიშს, ენობრივ გააქტიურებას და ა.შ.
- **დავალებების ციკლის ეტაპი** - (დავალების მომზადება > დავალების განხორციელება > მოხსენება) - სტუდენტებს საკუთარი წვლილი შეაქვთ დავალებებში (მაგ., ანგარიშის დაგეგმვაში, როლურ თამაშებში და ა.შ.) და ესწრება/ასრულებს/აწარმოებს მათ (მაგ., პოსტერების შექმნა, პრეზენტირება, დებატებში მონაწილეობა და ა.შ.)
- **ენაზე აქცენტირება და უკუკავშირი** - ენის ფორმებზე ფოკუსირება

წაიკითხე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ეტაპები. დაფიქრდი, რა დავალებები შეგიძლია მოიცვა დავალების ეტაპზე და შეავსე ცხრილი.

დავალების წინარე ეტაპი და მომზადება	<p>მასწავლებელი იწყებს გაკვეთილის იმის აღნიშვნით, რომ მას ჰყავს კატა. ის აცნობს გაზეთიდან მოპოვებულ მოკლე ინფორმაციას და არქმევს სახელს: “კატის სიმამაცე”.</p> <p>მასწავლებელი წერს ახალ სიტყვას – <i>სიმამაცეს</i> - დაფაზე და აღნიშნული სიტყვის ლექსიკონისეულ განმარტებას: “სიმამაცე არის შთამბეჭდავი და რთული მოქმედება ან მიღწევა”. ის მნიშვნელობას გადმოსცემს შემდეგი წინადადებით:</p> <p><i>მაგ., მან მიიღო მედალი გმირული ქმედებისთვის. ამ ხიდის კონსტრუქცია იყო ინჟინერიის გმირული გამოვლინება.</i></p>
დავალების ეტაპი	დავალების მომზადება
	დავალების რეალიზაცია
	მოხსენება

<p>დავალების შემდგომი ეტაპი</p>	<p>ენაზე აქცენტირება</p> <p>სტუდენტები უსმენენ ორიგინალურ ისტორიას. მასწავლებელი ეუბნება მათ, რომ ჩაიხედონ ტრანსკრიპტში და ამოარჩიონ 6 ფრაზა შემდეგი სიტყვებიდან (მაგ., ის არის არაჩვეულებრივი! ეს სასაცილოა, სინამდვილეში სხვა დღე...“</p> <p><i>სტუდენტებმა უნდა მოიძიონ მსგავსებები ფრაზებსა და ფიქრს შორის, თუ როგორ შეძლონ კლასიფიკაცია 2 ან 3 შესაძლო ვარიანტში.</i></p> <p>სტუდენტი აკეთებს მოხსენებას აუდიტორიის წინაშე. ლექტორი სტუდენტის ყურადღების ამახვილებს ისეთი ფრაზების სტრუქტურაზე, რომლებიც შეიცავს სიტყვას „that“.</p>
	<p>უკუზვენება</p> <p>საკითხების შესრულების ასახვა – მაგ., იყო სასარგებლო? იყო სასიამოვნო?</p> <p>ენის გამოხატვა და შესაძლო შემდგომი წვლილი - შემდგომ მასალის გამოყენება ენისათვის, შეცდომის გამოსწორება, უკუკავშირი სტუდენტებისგან.</p>

მეხუთე დავალება: გაკვეთილის დაგეგმვის გამოცდილებები პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში

მიზნები:

- მონაწილეთა უნარების განვითარება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს მათი სწავლების სპეციფიკას.

მასალები /წყაროები:

სასწავლო მასალა 10 - გაკვეთილის გეგმის ფორმა (პირველი მოდულიდან)

მომზადება: -

დრო: 20 წუთი

პროცედურა:

1. მონაწილეები მუშაობენ ჯგუფებში და მოამზადებენ გაკვეთილის ჩონჩხს, რომელიც აერთიანებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს;
2. ტრენერი თითოეულ ჯგუფს სთხოვს, წარმოადგინონ თავიანთი იდეები და კომენტარები გაკვეთილის გეგმის დადებითი ასპექტებისა და იმ ასპექტების შესახებ, რომლებსაც შემდგომი გაუმჯობესება სჭირდება.

სხვადასხვა გზების შემდგომ ილუსტრირებისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის კლასებში ინტეგრირება, იხილეთ საინტერესო პრაქტიკის განყოფილება.

მეექვსე დავალება: აღმოჩენითი სწავლება

მიზნები:

- გააცნო მონაწილეებს დამახასიათებელი თვისებები/ნიშნები აღმოჩენითი სწავლების.

მასალები/წყაროები:

სასწავლო მასალა 7 – აღმოჩენაზე დამყარებული სწავლების შემთხვევა

სასწავლო მასალა 8 – აღმოჩენითი სწავლება

მომზადება:

სასწავლო მასალის ფოტოასლები 7 (თითო მასალა თითო მონაწილისთვის)

სასწავლო მასალის ფოტოასლები 8 (თითო მასალა თითო მონაწილისთვის)

დრო: 30 წუთი

პროცედურა:

1. დაიწყეთ პროცედურა მონაწილეებისთვის კითხვის დასმით: „რა შეგიძლია გამოიყენო კედელში არსებული ხვრელის ამოსავსებად და რატომ?“. მოიწვიეთ მონაწილეები, რათა შექმნან 5-კაციანი ჯგუფი და გონებრივი იერიშის შედეგად განსაზღვრონ შესაძლო იდეები (პრობლემის გადაჭრის გზები);
2. სთხოვეთ ჯგუფს აირჩიონ მომხსენებელი. არ გამოავლინოთ, რატომ დასვით ეს კითხვა. უთხარით მონაწილეებს, რომ მათ შეეძლება თავიანთი იდეების შედარება ინდოელი კაცის იდეებთან;
3. მიეცით მათ სასწავლო მასალა 7 და მოიწვიეთ ისინი, რათა წაიკითხონ ტექსტი;
4. მზადყოფნისას უთხარით მონაწილეებს გაუზიარონ ერთმანეთს, თუ რას ფიქრობენ ზემოთ ხსენებულ იდეებზე. ჰკითხეთ, სპეკულირების მიზნით, თუ როგორ ისწავლეს სტუდენტებმა კომპიუტერის გამოყენება. გამოიტანეთ საკვანძო სიტყვები (მაგ., *აღმოჩენა*), რათა წარმოდგენილი იყოს აღმოჩენითი სწავლების იდეა;
5. დაყავი მონაწილეები ორ დიდ ჯგუფად – ა და ბ. მიეცით სასწავლო მასალა 8 და სთხოვეთ მათ მუშაობა;
6. მას შემდეგ, რაც მონაწილეები შეავსებენ ცხრილს, სთხოვეთ, რომ დაწყვილდნენ (ერთი წევრი ა ჯგუფიდან და ერთი წევრი ბ ჯგუფიდან). მონაწილეები ადარებენ პასუხებს და ავსებენ გამოტოვებულ ან დაკლებულ ინფორმაციას ცხრილში.

7. მიიღეთ უკუკავშირი თითოეული ჯგუფიდან, სთხოვეთ კომენტარები და დახმარება სხვა ჯგუფებს.

პასუხების ნიმუშები:

კითხვები	პასუხები
ვის მიერაა შემოთავაზებული აღმოჩენითი სწავლება და როდის?	ჯერომ ბრუნერი
რომელი თეორიული ჩარჩო დგას აღმოჩენითი სწავლების უკან?	კონსტრუქტივისტული თეორია
რა არის სტუდენტების როლი?	აქტიური სტუდენტები, რომლებიც პრობლემის გადაჭრისას ეყრდნობიან წინარე ცოდნას და ამის საფუძველზე აგებენ ახალ ცოდნას.
რა არის ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გამოყენებულია ამ მეთოდში?	ხარაჩოებით სწავლება, მთავარი აღმოჩენა, სუფთა აღმოჩენა
რა ტიპის აღმოჩენითი სწავლება არსებობს?	მთავარი აღმოჩენა, სუფთა აღმოჩენა
რა გავლენას ახდენს სტუდენტებზე?	უნარები: პრობლემის იდენტიფიცირების უნარი, შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, ჰიპოთეზების შემუშავება და გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავება, ერთობლივი სწავლება. დამოკიდებულება: ცნობისმოყვარეობა, შემწყნარებლობა ორაზროვნების მიმართ, გონებაგახსნილობა, მოთმინება, ცნობიერების ამაღლება და ალტერნატიული შეხედულებების შეფასება.



სასწავლო მასალა 7: აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევა

მოდული 2, საკითხი 6

წაიკითხეთ ტექსტი და შეადარეთ თქვენს ვარაუდებს. რა ჩადო კაცმა კედლის ხვრელში და რატომ?

სუგატა მიტრას აქვს დოქტორის ხარისხი ფიზიკაში და ახალ დელიში („NIIT“) ხელმძღვანელობს კვლევას. აგრეთვე, იგი ხელმძღვანელობს სწრაფად მზარდ პროგრამულ და საგანმანათლებლო კომპანიას, რომლის გაყიდვებიც აჭარბებს 200 მილიონს და მისი კომპანიის საბაზრო ღირებულება წარმოადგენს 2 მილიარდ დოლარს. მიტრას მისწრაფება არის კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლება, კონკრეტულად, ინდოეთის ფენისთვის. მას მიაჩნია, რომ ბავშვებს, თუნდაც ძალიან ღარიბ ბავშვებს, მცირედი განათლებით შეუძლიათ სწრაფად ათვისება კომპიუტერის ელემენტარული საკითხების. საკვანძო მომენტი, რასაც ის ამტკიცებს, არის ის, რომ ლექტორებმა და სხვა ზრდასრულმა პირებმა ბავშვებს უნდა მისცენ თავისუფლება, რის საფუძველზეც მათი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა გამოავლენს თავს და შეუქმნის ნიადაგს თვითგანათლებისთვის. ის ამ კონცეფციას უწოდებს „მინიმალური ჩარევის კონცეფციას“.

თავისი იდეების შესამოწმებლად, მიტრამ 13 თვის წინ ჩაუშვა რაღაც, რასაც ის უწოდებს "კედელში არსებული ხვრელის ექსპერიმენტს." მან აიღო პერსონალური კომპიუტერი, რომელიც იყო დაკავშირებული მაღალი სიჩქარის მონაცემთა კავშირთან და ჩადგა ის ბეტონის კედელში „NIIT“-ის სათავო ოფისთან ახლოს, ნიუ დელის სამხრეთით. კედელი ყოფს კომპანიის მიწებს ნაგვისგან გაჟღენთილი ცარიელი მიწის ნაკვეთისგან, რომელსაც ღარიბი ხალხი საჯარო აბაზანად იყენებს. მიტრამ დატოვა კომპიუტერი ჩართული, რომელიც იყო დაკავშირებული ინტერნეტთან და ნებისმიერ გამვლელს მისცა კომპიუტერზე თამაშის ნება. ის თითოეულ აქტივობას მონიტორინგს უწევდა პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით და აკვირდებოდა ვიდეოკამერის საშუალებით ყველაზე ახლო მდებარე ხიდან.

მან აღმოაჩინა, რომ კომპიუტერის მომხმარებლები იყვნენ ბავშვები გეტოდან, დაახლოებით 6-დან 12 წლამდე. თან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ ბავშვების უმრავლესობას ჰქონდა დაბალი განათლება და ფლობდნენ ინგლისურს ცუდად. თუმცა, დღის განმავლობაში ბავშვებმა თავისით ისწავლეს

ხატვა კომპიუტერში და ინტერნეტში ქექვა. ბავშვებმა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც შეისწავლეს, რაც, მიტრას აზრით, გასაოცარია.

ის აზიარებს სხვა ექსპერიმენტსაც, რომელიც მან ჩაატარა: „*მე ვცადე სხვა ექსპერიმენტი. წავედი საშუალო კლასის სკოლაში და მე-9 კლასელი მოსწავლეები ავირჩიე, ორი გოგონა და ორი ჭაბუკი. დავუძახე მათი ფიზიკის მასწავლებელს და ვკითხე: "ამ ბავშვებისთვის მომავალი წლის ამ დროს რის სწავლებას აპირებ?" მან მითხრა, რომ სიბლანტის სწავლებას აპირებს. მე ვთხოვე მას, რომ ჩამოეწერა, დარგიდან გამომდინარე, ხუთი სავარაუდო კითხვა. დავუძახე ოთხივე მოსწავლეს და ვუთხარი: "მეგობრებო, აბა, შეხედეთ. მე მაქვს პატარა პრობლემა თქვენთვის." მათ წაიკითხეს კითხვები და თქვეს, რომ არ ესმოდათ პრობლემა, რომ ეს იყო ბერძნული მათთვის. ამიტომ მე ვთქვი: "აქ არის ტერმინალი და გაძლევთ ორ საათს პასუხის გასაცემად."*

მამინ ჩემთვის ჩვეული რამ გავაკეთე: დავხურე კარი და წავედი.

მათ ხუთივე კითხვას ორ საათში გასცეს პასუხი. ფიზიკის მასწავლებელმა შეამოწმა პასუხები და ისინი იყო სწორი. ეს თავისთავად არ ნიშნავს ბევრს, მაგრამ მე ვუთხარი მას: „დაელაპარაკეთ ბავშვებს და გაარკვიეთ, რა ისწავლეს საგნიდან“. ამის შემდეგ მან გაატარა ნახევარი საათი მოსწავლეებთან საუბარში. ის გამოვიდა და თქვა: "მათ ყველაფერი არ იციან ამ თემის შესახებ, რასაც ვასწავლი, მაგრამ მათ ჯოჯოხეთური სირთულის ათვისება უწყევთ და ამის შესახებ იციან ისეთი საკითხები, რომლებიც მე არ ვიცოდი."

<http://www.greenstar.org/butterflies/Hole-in-the-Wall.htm> (ნახვის დრო 10-03-2018)



ჯგუფი ა: წაიკითხე ტექსტი და შეავსე ცხრილი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. გაუცვალე შენი ინფორმაცია მეწყვილეს და შეავსე გამოტოვებული ადგილები პასუხებით.

აღმოჩენითი სწავლება არის აქტიური სწავლის მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ თეორიაზე. აღნიშნული თეორია იყო შემოთავაზებული ჯერომ ბრუნერის (1915 – 2016) მიერ, როცა ის 1960 და 1970 წლებში მუშაობდა აშშ-ს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მეცნიერების სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. ბრუნერს სჯეროდა, რომ რეალურია სწავლება, როცა “სტუდენტები ხდებიან პრობლემის გადამჭრელები” [კონკლინი და სტიქსი, 2014 გვ.179], რის შემდეგაც ისინი უკეთესად იმასხვრებენ ცნებებს, მოდელებს ან დამოუკიდებლად აღმოაჩენენ ახალ ცოდნას. აქედან გამომდინარე, მისი შეხედულებისამებრ მოსწავლეები უნდა დაეყრდნონ თავიანთ წინარე ცოდნას, რათა აღმოაჩინონ ახალი ინფორმაცია სამყაროს შესახებ, რომლითაც არიან გარშემორტყმული, ობიექტზე მანიპულირების, გარემოს შესწავლის და სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების გზების საფუძველზე.

ძირითადი კონცეფცია, რომელიც შემოთავაზებულია ბრუნერის მიერ (1978), არის ის, რომ აღმოჩენითი სწავლება არის დაკავშირებული ხარაჩოებით სწავლებაზე. ხარაჩოების ასაგებად ლექტორი მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში უჭერს მხარს, როცა მათ “მაღზე რთულ უნარებზე კონცენტრირება შეუძლიათ ... [ისინი არიან] მიღების, შეძენი პროცესში” [ბრუნერი, 1978 კრებულში: დორნერი, გობელი, კიკმეიერ რუსტი, მასუხი და ცვაიგი, 2016 გვ.194]. ლექტორების მხარდაჭერა გამოიხატება მინიშნებების ფორმით და/ან კარნახით, მაგრამ ლექტორი არ აძლევს სტუდენტებს მზა პასუხებს ან ინსტრუქციებს, თუ როგორ მოძებნონ პასუხები.

აღმოჩენითი სწავლების გზამკველივს არსებითი ეტაპები არის არც თუ ისე განსხვავებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ძირითად ეტაპებისგან. აღნიშნული საკითხების მსგავსების მიზეზი ისაა, რომ აღმოჩენითი სწავლება “არის ხშირად გამოყენებადი, როგორც „ტერმინი ქოლგა,“ რომელიც მიმართულია სწავლა სწავლების მეთოდისკენ. თავის მხრივ, ხსნებულ ეფუძნება კვლევა/ძიების, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ... მეთოდის(ების) ინსტრუქციას” [ფილიფსი, 2014 გვ.236].

აღმოჩენითი სწავლება არის არსებითი აქტივი სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდოლოგიაში, რადგან ეს ხელს უწყობს სტუდენტების უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა შესაძლებელი იყოს პრობლემის იდენტიფიცირება, რელევანტური ინფორმაციის მოძიება, ჰიპოთეზების ფორმულირება და გადაწყვეტის სტრატეგიების განვითარება, რომლებიც არის გამართლებული და ეფუძნება შესაბამის კომპეტენციებს. იქიდან გამომდინარე, რომ აღმოჩენითი სწავლება, ზოგადად, არის თანამშრომლობითი პროცესი, სტუდენტებს უვითარდებათ საკომუნიკაციო და ჯგუფში მუშაობის უნარები.

კითხვები	პასუხები
ვისი იდეა იყო აღმოჩენით სწავლება?	
რომელი თეორიული ჩარჩო დგას აღმოჩენით სწავლების მიღმა?	
რა არის სტუდენტების როლი?	
რომლებია მეთოდში გამოყენებული ძირითადი ცნებები?	
რა სახის აღმოჩენით სწავლებაა აქ?	
რა ეფექტს ახდენს აღნიშნული მეთოდი სტუდენტებზე?	



ჯგუფი ბ: წაიკითხე ტექსტი და შეავსე ცხრილი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. გაუცვალე შენი ინფორმაცია მეწყვილეს და შეავსე გამოტოვებული ადგილები პასუხებით.

აღმოჩენითი სწავლება არის აქტიური სწავლის მიდგომა, რომელიც დაფუძნებული კონსტრუქტივისტულ თეორიაზე. აღნიშნული თეორია იყო შემოთავაზებული ჯერომ ბრუნერის (1915 – 2016) მიერ, როცა ის 1960 და 1970 წლებში მუშაობდა აშშ-ს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მეცნიერების სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. ბრუნერს სჯეროდა, რომ რეალურია სწავლება, როცა “სტუდენტები ხდებიან პრობლემის გადამჭრელები” [კონკლინი და სტიქსი, 2014 გვ.179], რის შემდეგაც ისინი უკეთესად იმახსოვრებენ ცნებებს, მოდელებს ან დამოუკიდებლად აღმოაჩენენ ახალ ცოდნას. აქედან გამომდინარე, მისი შეხედულებისამებრ მოსწავლეები უნდა დაეყრდნონ თავიანთ წინარე ცოდნას, რათა აღმოაჩინონ ახალი ინფორმაცია სამყაროს შესახებ, რომლითაც არიან გარშემორტყმული, ობიექტზე მანიპულირების, გარემოს შესწავლის და სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების გზების საფუძველზე.

აღმოჩენით სწავლებაში ინტერაქცია სტუდენტსა და მენტორს შორის არის არსებითი ელემენტი. ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტებს მასალებითა და საკითხებით, რომლებიც ახდენს სტუდენტების ჩართვას კითხვების დასმის და ამ კითხვებზე პასუხების მოძიების პროცესში, პრინციპების გამომუშავებაში, პრობლემების გადაჭრაში. ხსენებულ პროცესში ხდება ახალი ცოდნის აღმოჩენა. სასწავლო მასალები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული, საჭიროებს გამოწვევას, “ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავებას, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს, რომ ორგანიზება გაუკეთოს განზოგადების გზით ცოდნის აგებას (ცოდნის სქემატურად აგების გზით) ... და [გავლენის მოხდენა] ... მიწოდება გარეგანი მოტივაციიდან შინაგან მოტივაციისკენ” [სილი, 2011, გვ.490].

ხარაჩოებით სწავლების დროს ზოგიერთი მკვლევარი (ტობინი და ფრეიზერი, 1990; შამპანი და ბუნსი, 1991) განასხვავებს აღმოჩენით სწავლებასა და აღმოჩენით სწავლების გაძლიერებას. ფაქტობრივად, მსგავსებებისა და განსხვავებების შესწავლისას სწავლების ორ ტიპს შორის (ვაიმარი, 2003; ჰოგანი, ნატასი და პრესლი, 1999) ძირითადი სათქმელია ის, რომ აღმოჩენითი სწავლების გაძლიერება არის მეტად პროდუქტიული, ვიდრე სუფთა აღმოჩენა იქამდე, სანამ სტუდენტები რჩებიან მეტად ფოკუსირებული საკითხებზე ლექტორის მეთაურობის ქვეშ და მუშაობა უფრო თანმიმდევრულად გადაჭრის შესაბამის პრობლემას.

აღმოჩენითი სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტი არის მოსწავლეთა დამოკიდებულების განვითარება, როგორცაა: ცნობისმოყვარეობა, განსხვავებული აზრის მიმართ ტოლერანტობა, გონებაგახსნილობა, მოთმინება, განსხვავებული აზრების დაფასება.

კითხვები	პასუხები
ვისი იდეა იყო აღმოჩენით სწავლება?	
რომელი თეორიული ჩარჩო დგას აღმოჩენით სწავლების მიღმა?	
რა არის სტუდენტების როლი?	
რომლებია მეთოდში გამოყენებული ძირითადი ცნებები?	
რა სახის აღმოჩენით სწავლებაა აქ?	
რა ეფექტს ახდენს აღნიშნული მეთოდი სტუდენტებზე?	

მეშვიდე საკითხი: მართული აღმოჩენითი სწავლების გაკვეთილის ეტაპები

მიზნები:

- უზრუნველყოს შესაძლებლობები მონაწილეებისთვის, რათა შეძლოს მზა სასწავლო გეგმის შეფასება;
- აღმოაჩინოს მართული გაკვეთილის დაგეგმვის საფეხურები და მათი მიზნები.

მასალები/წყაროები:

სასწავლო მასალა 9 – უსაფრთხოება ცურვაში

სასწავლო მასალა 10 – წინასწარ განსაზღვრული აღმოჩენითი სწავლების ეტაპები

მომზადება:

სასწავლო მასალების ფოტოასლები 9 (თითო მასალა თითო მონაწილისთვის)

სასწავლო მასალების ფოტოასლები 10 (თითო მასალა თითო მონაწილისთვის)

დრო: 25 წუთი

პროცედურა:

1. უთხარი მონაწილეებს, რომ ისინი იმუშავენ გაკვეთილის მზა გეგმასთან, რომელიც აერთიანებს აღმოჩენითი სწავლების გაძღვლას. მიეცი სასწავლო მასალა 9 და უთხარი მონაწილეებს, რომ გაეცნონ გაკვეთილის მზა გეგმის მასალებს;
2. მზადყოფნის შემთხვევაში, გაავრცელე სასწავლო მასალა 10 და მიეცი უფლება მონაწილეებს იმუშაონ, რათა დაასრულონ დავალება;
3. მზადყოფნის შემთხვევაში, უთხარი მონაწილეებს, რომ შედეგი წარმოადგინონ. მიეცი საშუალება მონაწილეებს, რომ დაამატონ იდეები დებატებისთვის. აჩვენე მათ 6.3 სექციის მე-3 ფიგურა, რათა შეადარონ ერთმანეთის პასუხები.



სასწავლო მასალა 9: უსაფრთხო ცურვა

მოდული 2, საკითხი 7

წაიკითხე გაკვეთილის გეგმა და ეცადე აღმოჩენილი სწავლების გაძლოლის საფეხურების იდენტიფიცირება.

მოდულის თემა: უსაფრთხო ცურვა და ყვინთვა

მენტორები: ჯოსეფ ტრინა, ევა ტრნოვა, მაზარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა)

1. სცენარი:

- წაიკითხეთ ამბავი და იფიქრეთ ამის შესახებ.

ვინ არის მართალი?

პეტრე მშობლებთან ერთად ველოსიპედით სასაფრთხოდ გაემართა. შუადღეს ისინი მდინარესთან მივიდნენ. ცხელოდა და პეტრე გაოფლიანებული იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის გაგრილდებოდა. მას სურდა დაუყოვნებლივ ცივ წყალში ჩახტომა. დედამისმა გააჩერა იგი და უთხრა, რომ უნდა დალოდებოდა ორგანიზმის გაგრილებას, რადგან სხვა შემთხვევაში შეიძლება დამხრჩვალყო კიდევ. პეტრეს გაეცინა და ფიქრობდა, რომ ეს იყო ცრურწმენა, რომელსაც მშობლები უყვებიან ხოლმე თავიანთ ბავშვებს, რადგან მათ აქვთ შიში, რომ ისინი გაცივდებიან. მაგრამ პეტრე გულადია და არ ეშინია ცივი წყლის.

მასწავლებლის შენიშვნები: სცენარი (ისტორია) არის გამოყენებული, რათა შეძლოს სტუდენტის მოტივირება და პრობლემური სიტუაციების სტიმულირება, სადაც სტუდენტი პასუხობს კითხვებს, რომლებიც მათ სურთ რომ გადაჭრან. სტუდენტმა უნდა წაიკითხოს ისტორია მშვიდად. ეს ისტორია ეხება სისხლძარღვთა შევიწროების პრობლემას, რომელიც გამოწვეულია სხეულის მკვეთრი გაგრილებით.

2. პრობლემები და კითხვები:

- *ყურადღებით გადაიკითხეთ ისტორია და ჩამოწერეთ კითხვები, რომლებიც თქვენ გეხებათ:*

- (1) _____
- (2) _____
- (3) _____
- (4) _____

მასწავლებლის შენიშვნები: ყველა სტუდენტმა ხელახლა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ტექსტი ზემოთ ხსენებული ისტორიის შესახებ და ამ ისტორიის კითხვისას წარმოქმნილი კითხვების სათანადოდ დაწერის სირთულე შეაფასოს.

➤ **თუ არ გაქვთ იდეები, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი კითხვები:**

- a) წყლის რა შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიკვდილის გამომწვევი?
- b) ადამიანის სხეულის რომელი ორგანოები შეიძლება დაზიანდეს ცურვის დროს და რატომ?
- c) რა სახის ცურვა და ყვინთვაა წყალში სარისკო?
- d) უსაფრთხო ცურვისა და ყვინთვის რომელ წესებს ვიყენებთ ჩვენ?

სტუდენტები კითხვებზე პასუხს ინდივიდუალურად სცენემ და ახდენენ ჰიპოტეზის ფორმულირებას.

1. საკითხები და ექსპერიმენტები

➤ დაგეგმე ექსპერიმენტი: განსაზღვრეთ აქტივობების ნუსხა, რომელიც დაგჭირდებათ გუნდში როლების განაწილებისთვის,

სტუდენტი შეძლებს შემდეგს:

- გაზომეთ და ჩაწერეთ საკლასო ოთახის ჰაერის ტემპერატურა;
- სფიგმომანომეტრის გამოყენებით გაზომეთ სისხლის წნევა მარცხენა მკლავზე. შედეგები ჩაწერეთ;
- მკლავზე გაუკეთეთ სარტყელი და წნევა გაზომეთ ხელახლა;
- გაზომეთ ცივი წყლის ტემპერატურა თქვენს მარჯვნივ მყოფი ჯგუფელის გასაგრილებლად;
- ცივი წყლით სავსე სათლში ჩადეთ მარჯვენა მკლავი და გაზომეთ მარცხენა მკლავის ტემპერატურა. კიდევ ერთხელ ჩაიწერეთ შედეგი;
- შეადარეთ შედეგები და შეაფასეთ სისხლძარღვების მდგომარეობა.

სტუდენტები ინიშნავენ გაზომვის შედეგებს ცხრილში.

N	სისხლის წნევის ცივი ტესტი		
1	ოთახის ჰაერის ტემპერატურა		მარცხენა მკლავის სისხლის წნევა
2	ცივი წყლის ტემპერატურა		მარცხენა მკლავის სისხლის წნევა მარჯვენა მკლავის ცივ წყალში ჩადების შემდეგ
3	ჰაერის და წყლის ტემპერატურების სხვაობა		სისხლის წნევის სხვაობები
4	გაზომვის და დაკვირვების შედეგები		

2. ახსნა-განმარტების ფორმულირება

- მოცემული ისტორიებისთვის ცხრილის მარცხენა სვეტში დაწერეთ თქვენი რჩევები და რეკომენდაციები.

	მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბებული ჩემი ახსნა-განმარტებები	განხილვის შედეგად მიღებული შესწორებები და დამატებები
1		
2		
3		
4		


3. დასკვნითი ეტაპი

სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ განმარტებებს და განიხილავენ მათ. განხილვების დროს სწორდება სტუდენტების დასკვნები.

მასწავლებლის შენიშვნა: გაკვეთილის დროს მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას და მასალების მიმწოდებლის როლს. იგი ასრულებს მრჩეველის და გზამკვლევის როლს.



გაკვეთილის ნიმუშზე დაყრდნობით, შეავსეთ აღმოჩენითი სწავლების გაძღოლის ეტაპები. შეეცადეთ აღწეროთ, თუ რას აკეთებს სტუდენტი თითოეულ ეტაპზე.



დავალება 8: აღმოჩენითი სწავლების გაკვეთილის დაგეგმვა

მიზანი:

- მონაწილეების სწავლების კონტექსტზე მორგებული აღმოჩენითი სწავლების გაკვეთილის დაგეგმვისთვის უნარების განვითარება

მასალები/ წყაროები

სასწავლო მასალა 10 - გაკვეთილის გეგმა (პირველი მოდულიდან)

მონაწილეობა

დრო: 20 წუთი

პროცედურა

მონაწილეები მუშაობენ ჯგუფურად და ამზადებენ გაკვეთილის გეგმას, რომელშიც ინტეგრირებულია საკითხზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი.

1. ტრენერი სთხოვს თითოეულ ჯგუფს წარმოადგინონ თავიანთი იდეა და გაკვეთილის გეგმის დადებითი ასპექტების შესახებ კომენტარები. ასევე იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც უნდა გაუმჯობესდეს მომავალში.

მიუთითეთ საინტერესო პრაქტიკული ნაწილი საკლასო გარემოში აღმოჩენითი სწავლების მეთოდის ინტეგრირების გზების შემდგომი ილუსტრირებისთვის.

დავალემა 9 : პროექტზე დაფუძნებული სწავლება

მიზნები:

- მონაწილეების ინფორმირება პროექტზე აგებული სწავლების მახასიათებლების შესახებ;
- კავშირის დამყარება პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას შორის;
- მონაწილეთა მგრძობელობის გაღვივება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის დაგეგმვის ძირითად ეტაპებთან მიმართებით.

მასალები/წყაროები:

სასწავლო მასალა 11a, 11b – პროექტზე დაფუძნებული სწავლება vs პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

სასწავლო მასალა 12 – წარმოდგენები პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით

სასწავლო მასალა 13 – პროექტზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის ეტაპები

მომზადება :

სასწავლო მასალა 11a, 11b, ფოტოასლები (თითო ყოველი მონაწილისათვის)

სასწავლო მასალა 12, ფოტოასლები (თითო ყოველი მონაწილისათვის)

სასწავლო მასალა 13, ფოტოასლები (თითო ყოველი მონაწილისათვის)

დრო: 40 წუთი

პროცედურა:

1. სესია იწყება იმით, რომ მონაწილეებს ვთხოვთ წარმოიდგინოს შემდეგი: სანამ მათ ეძინათ, დრო შეიცვალა და როცა გაიღვიძა, 2050 წელია. ვაგრძელებთ ისტორიას იმით, რომ მათ ვეუბნებით, ისინი მუშაობენ სარეკლამო კომპანიაში და დაევალიათ გააკეთონ კვლევა ახალ ნარკოტიკზე (წამალზე), რომელიც შეიქმნა და მომხმარებელს ცხოვრების გახანგრძლივებას ჰპირდება. მათ უნდა გამოიკვლიონ წამლის ინგრედიენტების, კონკურენტი კომპანიების ძველი პროდუქტი და ამ პროდუქტის უპირატესობები. სთხოვთ მონაწილეებს გაგიზიარონ, თუ რომელი უნარები დასჭირდებათ მათ მოცემული კვლევის ჩასატარებლად.
2. მოიწვიეთ მონაწილეები 4-კაციანი ჯგუფების შესაქმნელად და სთხოვთ მათ ანგარიშების გაკეთება. მთავარი უნარებია, რომლებიც უნდა

გამოიკვეთოს, კრიტიკული აზროვნება, კოლაბორაცია, კრეატიულობა და ინოვაცია. გამოიყენეთ ისინი იმისათვის, რომ დაამყაროთ კავშირი პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან იმის მითითებით, რომ თუ ისინი მონაწილეობას იღებდნენ მსგავს აქტივობებში უნივერსიტეტში, მაშინ მათთვის კვლევა არ უნდა იყოს პრობლემა.

3. უთხარით მონაწილეებს, რომ ისინი ნახავენ ვიდეოს, რომელიც მათ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ძირითად მახასიათებლებს გააცნობს. დასვით შემდეგი შეკითხვები:


- ხედავთ თუ არა რაიმე მსგავსებებს ან განსხვავებებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა და აქამდე განხილულ სხვა სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს შორის?
- რომელია ეს მეთოდები და რა მსგავსებები ან განსხვავებები აღმოაჩინეთ თქვენ?

4. სთხოვეთ მონაწილეებს ანგარიშის გაკეთება. სავარაუდოა, რომ მათ უნდა შეამჩნიონ მსგავსებები პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას შორის. მოუსმინეთ მათ იდეას, მიეცით საშუალება უკუკავშირზე თავიანთი აზრი დაამატონ ან კომენტარი გააკეთონ.

5. უთხარით მონაწილეებს, რომ თქვენ მისცემთ ტექსტს წასაკითხად, რათა შემოწმდეს, რამდენად სწორია მათი არგუმენტები და გარკვეული მოსაზრებებიც დაამატონ. მიაწოდეთ 10ა სასწავლო მასალა. როდესაც მონაწილეები მას წაიკითხავენ, მიაწოდეთ მათ 10ბ სასწავლო მასალა.

6. მონაწილეები მუშაობენ ინდივიდუალურად და თქვენ ამოწმებთ მათ პასუხებს მთელს ჯგუფთან ერთად პლენალურად.

პასუხი:



<https://www.pinterest.com/pin/338544096970216466/> (ნახვის დრო 08-03-2018)

7. სთხოვეთ მონაწილეებს, რომ გადახედონ თავიანთ შეხედულებებს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით. მიეცით სასწავლო მასალა 11 და 10 წუთი დრო.
8. ამ ეტაპზე პასუხებს ნუ შეამოწმებთ. უთხარით მონაწილეებს, რომ მათ მისცემთ სასწავლო მასალა 12-ს. მათ უნდა წაიკითხონ ის და გადახედონ თავიანთ შეხედულებებს.
9. როცა მზად იქნებიან, სთხოვეთ მონაწილეებს უკუკავშირი. პლენარულ განხილვაზე გააკეთეთ კომენტარები მათ შეხედულებებთან დაკავშირებით. ყველა გამონათქვამი უნდა იყოს მონიშნული პირველ სვეტში.



სასწავლო მასალა 11a: პროექტზე დაფუძნებული სწავლება vs. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

მოდული 2, დავალება 9

წაკითხეთ ტექსტი და ჩასვით ქვემოთ მოყვანილი ფიგურების შესაბამისი სათაურები.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მახასიათებლები (PBL) შეიძლება განისაზღვროს ლიტერატურის ფარგლებში, ერთმანეთის მსგავსი პედაგოგების მიდგომა განსხვავდება. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) დიდი გამოწვევაა, რადგან არსებობს თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი ურთიერთგადაფარვა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება აღწერილია როგორც სასწავლო, რომელშიც სტუდენტები თავდაპირველად განიცდიან პრობლემას (უფრო მეტად, ვიდრე პირველად ინფორმაციის მიწოდების ეტაპზე). მსჯელობის უნარები შემდგომში განვითარებულია და სწავლებას სჭირდება პერსონალის მხარდაჭერა. ამას მოჰყვება ინდივიდუალური შესწავლა და ფაზა, რომელშიც ცოდნა მიმართულია პრობლემასთან. აქ სტუდენტები იდენტიფიცირებას ახდენენ და ეძებენ ინფორმაციას, რომელიც სჭირდებათ უკვე არსებულ ცოდნასთან ერთად იმისათვის, რომ მოხდეს პრობლემის შესწავლა. შემდგომი განსხვავება ამ მიდგომებს შორის არის პროექტის მიდგომა არტეფაქტის ან პროდუქტის შექმნასთან მიმართებით. 2007 წელს სავინ ბადენი ამტკიცებდა, რომ ეს მიდგომები ფუნდამენტურად განსხვავებულად აგებულია პროექტზე აგებული სწავლებისაგან. სკოლის კონტექსტში ბარრონი (1998) განასხვავებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, როგორც გეგმის ან სტრატეგიის დამგეგმავს, პროექტზე დაფუძნებული სწავლებისაგან. ეს მოითხოვს გეგმის აღსრულებას, გეგმასა და როლური თამაშების სტრატეგიას უფრო მეტად, ვიდრე სიმულაციურ აქტივობებს.

ზოგი ავტორი ნათლად აღნიშნავს, რომ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში პრობლემა შესაძლებელია იყოს თეორიული და პრაქტიკული. მათ შორის:

- მასწავლებელთა, როგორც ზედამხედველების, როლები პრობლემაზე აგებულ სწავლებაში და ასევე მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის, როლი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში.
- მეტი ყურადღება დაეთმოს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში კადრების მიერ ფუნდამენტური ცოდნის უზრუნველყოფას, ვიდრე

პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში სტუდენტის მიმართულების შესწავლას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ხშირად არის მიჩნეული, როგორც წარმატებული პროექტზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი ელემენტი. აქ პრობლემა არის პროექტის ძირითადი განმსაზღვრელი და წარმმართველი. პრობლემის პროექტის ცენტრში მოქცევა მიიჩნევა საშუალებად, შეინარჩუნოს გამოძიების ღია და შემოქმედებითი ხასიათის დაცვა, რომელიც შეიძლება გამოირჩეოდეს პროექტების მართვის მყარი პროტოკოლით, რაც, ჯამში, მიზნად ისახავს საბოლოო პროდუქტის მიღწევას.

ჰარმერი, ნ.(2014). პროექტზე დაფუძნებული სწავლება
(ლიტერატურის მიმოხილვა), გვ. 5-7 (ონლაინ)


[https://www.plymouth.ac.uk/uploads/production/document/path/2/2733/Literature review Project-based learning.pdf](https://www.plymouth.ac.uk/uploads/production/document/path/2/2733/Literature%20review%20Project-based%20learning.pdf) (ნახვის დრო 03-03-2018)



სასწავლო მასალა 11b: პროექტზე დაფუძნებული სწავლება vs. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

მოდული 2, დავალება 9

შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ტერმინებით - პროექტზე დაფუძნებული სწავლება /პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.



წყარო: <https://www.pinterest.com/pin/338544096970216466/> (ნახვის დრო 08-03-2018)



სასწავლო მასალა 12: წარმოდგენები პროექტზე
დაფუძნებულ სწავლებაზე

მოდული 2, დავალება 9

ეთანხმები თუ არა მოცემულ დასკვნებს? მონიშნეთ (✓) სათანადო გრაფაში

Does the Project . . . ?			
FOCUS ON SIGNIFICANT CONTENT At its core, the project is focused on teaching students important knowledge and skills, derived from standards and key concepts at the heart of academic subjects.			
DEVELOP 21st CENTURY SKILLS Students build skills valuable for today's world, such as critical thinking/ problem solving, collaboration, and communication, which are taught and assessed.			
ENGAGE STUDENTS IN IN-DEPTH INQUIRY Students are engaged in a rigorous, extended process of asking questions, using resources, and developing answers.			
ORGANIZE TASKS AROUND A DRIVING QUESTION Project work is focused by an open-ended question that students explore or that captures the task they are completing.			
ESTABLISH A NEED TO KNOW Students see the need to gain knowledge, understand concepts, and apply skills in order to answer the Driving Question and create project products, beginning with an Entry Event that generates interest and curiosity.			
ENCOURAGE VOICE AND CHOICE Students are allowed to make some choices about the products to be created, how they work, and how they use their time, guided by the teacher and depending on age level and PBL experience.			
INCORPORATE REVISION AND REFLECTION The project includes processes for students to use feedback to consider additions and changes that lead to high-quality products, and think about what and how they are learning.			
INCLUDE A PUBLIC AUDIENCE Students present their work to other people, beyond their classmates and teacher.			

წყარო: http://www.bie.org/images/uploads/useful_stuff/Essential_Elements.pdf (ნახვის დრო 08-03-2018)



სასწავლო მასალა 13: პროექტზე დაფუძნებული სწავლების გაკვეთილის სტადიები

მოდული 2, დავალება 9

გამოიკვლიეთ PBL გაკვეთილის სტადიები. გადახედეთ თქვენს შეხედულებებს (სასწავლო მასალა 11) და შეიტანეთ ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში.

ამ ელემენტების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ლარმერის, მერგენდოლერისა და ბოსის მიერ (2015):

- 1) **1) ეტაპი 1: რთული პრობლემა ან კითხვა** - მნიშვნელოვანი პრობლემა ან შეკითხვა არის მოსწავლეების ყურადღების ცენტრში. მათ გადაწყვეტილი აქვთ გამოსავალი იპოვონ ან პასუხი გასცენ მას.
- 2) **2) ეტაპი 2: მდგრადი გამოკვლევა** - მოსწავლეები შეადგენენ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მათთვის პრობლემის მოსაგვარებლად ან შეკითხვის პასუხად. მათ იპოვეს შესაბამისი რესურსები და მოიძიეს ინფორმაცია.
- 3) **3) ეტაპი 3: ავთენტურობა** - პროექტი უკავშირდება იმ რეალურ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში დგებიან - მაგ., სათემო საბჭო, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი ქარხანა აყენებს ყველაზე მეტ ზიანს გარემოს მის რეგიონში; სამშენებლო კომპანია, რომელმაც მყარი ხიდის აგების გეგმა უნდა შეიმუშაოს მდინარეზე სეისმოლოგიურ რეგიონში. ზოგიერთი გამოწვევა სტუდენტებისათვის შეიძლება იყოს მათი პირადი ცხოვრების ან შემფოთების საკითხები.
- 4) **4) ეტაპი 4: სტუდენტური ხმა და არჩევანი** - პროექტის წარმატებით დაგეგმვა და დასრულება. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გარკვეული არჩევანი გააკეთონ თავიანთი პროექტის დიზაინსა და განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგ., კითხვების დასმა, მათ მიერ შერჩეული რესურსები, გუნდის სხვადასხვა წევრები და მათი პასუხისმგებლობები, შედეგების წარმოება).
- 5) **5) სცენა 5: ასახვა** - მოსწავლეებმა და მასწავლებელმა შეიძლება ასახონ პროექტის ზოგიერთ ასპექტზე მუშაობა პროექტის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ. ასახვა შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას (მაგ., სასწავლო პორტფოლიოები, შეფასების ფურცლები, დისკუსიები, გამოცემების პრეზენტაციები და მათი შექმნის პროცესი).

6) ეტაპი 6: კრიტიკა და გადასინჯვა - მოსწავლეები ერთმანეთს მუშაობის პროცესში კონსტრუქციულ შენიშვნებს აძლევენ და იღებენ. მსგავსი გამოხმაურება მოსწავლეებს ეხმარება პროექტის დაგეგმვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებაში მათი უნარების შერჩევასა და გამოყენებაში სხვადასხვა სასწავლო მასალიდან, გუნდურობისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებისათვის;

7) სცენა 7: საჯარო პროდუქტი - მოსწავლეები თავიანთ ჯგუფელებს წარუდგენენ პროექტის შედეგებს, მაგრამ მათ უნდა შეეძლოთ პროდუქტის წარმოდგენა უფრო ფართო აუდიტორიისათვის (მაგ., სკოლის ხელმძღვანელობა, მშობელი, ადგილობრივი სათემო საბჭო და ა.შ.).

ეს შვიდი ეტაპი უშუალოდ უკავშირდება სტუდენტების საკვანძო ცოდნასა და უნარებს, რადგან პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიზანია, ხელი შეუწყოს აქტიურ სტუდენტთა განვითარებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საკუთარ სწავლაზე.

მეათე დავალება: პროექტზე დაფუძნებული გაკვეთილის დაგეგმვა

მიზანი:

- მონაწილეებისთვის პროექტზე დაფუძნებული, შესაბამისი სასწავლო კონტექსტისთვის მორგებული გაკვეთილის დაგეგმვის უნარის განვითარება

მასალა/რესურსები:

სასწავლო მასალა 10 - გაკვეთილის გეგმის ფორმა (1-ლი მოდულიდან)

მომზადება: -

დრო: 20 წუთი

პროცესი:

1. მონაწილეები მუშაობენ ჯგუფებში და ამზადებენ გაკვეთილის გეგმას (ჩონჩხს), რომელიც უზრუნველყოფს დავალებებზე დაფუძნებული მეთოდის კლასში ინტეგრირებას.
2. ტრენერი სთხოვს თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინონ თავისი იდეები და კომენტარები გაკვეთილის გეგმის პოზიტიურ და იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

კლასში პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის ინტეგრირების გზების აღწერა უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საინტერესო პრაქტიკის სექციაში.

მეთერთმეტე დავალება: სასწავლო კონტაქტები

მიზანი:

- სტუდენტებისთვის სასწავლო კონტრაქტების მიზნების, თავისებურებების და სტრუქტურული ელემენტების გაცნობა

მასალა/რესურსები:

სასწავლო მასალა 10 – სასწავლო კონტრაქტები

სასწავლო მასალა 15 – სასწავლო კონტაქტების მაგალითები

მომზადება:

სასწავლო მასალა 14-ის ასლები (ერთი თითოეული მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 15-ის ასლები (ერთი თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 35 წუთი

პროცესი:

1. დაიწყეთ სესია მონაწილეებისთვის იმის შეხსენებით, რომ თითოეულ მათგანს დაუდია კონტრაქტი ცხოვრების განმავლობაში. შესთავაზეთ მათ გაგიზიარონ, რას ნიშნავს სასწავლო კონტრაქტი და რა შეიძლება იყოს მისი ძირითადი ელემენტები.
2. დაყავით მონაწილეები 5-წევრიან გუნდებად და სთხოვეთ იდეების მოფიქრება. ჯგუფებმა ასევე უნდა ჩამოაყალიბონ სასწავლო კონტრაქტის დეფინიცია.
3. სთხოვეთ მონაწილეებს გაგიზიარონ განხორციელებული სამუშაოს შედეგები. ამ დროს სხვა გუნდებს მიეცემათ საშუალება შეადარონ თავიანთი შედეგები.
4. დაარიგეთ სასწავლო მასალა 14 და სთხოვეთ მონაწილეებს ინდივიდუალურად გაეცნონ მას.
5. მას შემდეგ, რაც მზად იქნებიან, სთხოვეთ მონაწილეებს გადახედონ თავდაპირველად მათ მიერ წარმოდგენილ იდეებსა და შემოთავაზებებს.
6. სთხოვეთ მონაწილეებს გაგიზიარონ, რას შეცვლიდნენ თავდაპირველად წარმოდგენილ იდეებში და რატომ.
7. დაურიგეთ მონაწილეებს სასწავლო მასალა 15 და აუხსენით, რომ იგი მოიცავს სასწავლო კონტრაქტის მაგალითს. სთხოვეთ მონაწილეებს, დაიყონ 4-წევრიან გუნდებად და გააუმჯობესონ აღნიშნული კონტრაქტი.
8. ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ იდეებს სხვა მონაწილეების თანდასწრებით. სთხოვეთ მსმენელებს, გაგიზიარონ კომენტარები და

წინადადებები. გაამახვილეთ მონაწილეების ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სასწავლო კონტრაქტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის შესახებ (სასწავლო საფეხური, პროგრამა, სწავლების წლები, ფაკულტეტის ნომერი) და უნდა იყოს ხელმოწერილი როგორც ტუტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ასევე, ხაზი გაუსვით თითოეული დაგეგმილი აქტივობისთვის საბოლოო ვადის განსაზღვრისა და სტუდენტების შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების საჭიროებას.

სასწავლო კონტრაქტების ფორმების შესახებ უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საინტერესო პრაქტიკის სექციაში.



წაიკითხეთ ტექსტი და გადახედეთ თქვენს თავდაპირველ იდეებს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სასწავლო კონტრაქტი წარმოადგენს სტუდენტსა და მასწავლებელს შორის წერილობით შეთანხმებას. იგი მოიცავს ცალკეულ აქტივობებს, რომლებიც მასწავლებელმა კონკრეტული მიზნების მისაღწევად უნდა განახორციელოს. სასწავლო კონტრაქტების გამოყენება მომდინარეობს ზრდასრულთა განათლებისა და სწავლების შესახებ მალკოლმ შეპარდ ნოულსის (1913-1997) თეორიული შეხედულებებიდან, რომელთა მიხედვითაც ზრდასრულ მოსწავლეებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- 1) **ცოდნის მოთხოვნილება** - ზრდასრულ მოსწავლეებს სწავლის დაწყებამდე აქვთ მოთხოვნილება იცოდნენ, რატომ სწავლობენ კონკრეტულ საკითხს. სწავლის ბენეფიტების ცოდნა ზრდის მათ მოტივაციას, გააზრებულად დახარჯონ დრო და ძალისხმევა კონკრეტული საკითხის შესასწავლად.
- 2) **მოსწავლეების მიერ საკუთარი თავის ხედვა** - ზრდასრული მოსწავლეები, როგორც ჩამოყალიბებული ინდივიდები, საკუთარ თავს განიხილავენ პასუხისმგებლიან პიროვნებად, რომლებიც თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავენ თავიანთ ცხოვრებას.
- 3) **მოსწავლეების გამოცდილების როლი** - მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით წარსულში დაგროვილი გამოცდილება. ის გარემოება, რომ უმცროს კოლეგებთან შედარებით, ზრდასრულ მოსწავლეებს უფრო ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, შესაძლებლობას აძლევს მათ ჰქონდეთ უფრო ფართო ცოდნა და უნარები განსხვავებულ სფეროებში, რომლებიც სხვადასვა შეხვედრებსა თუ პრობლემის გადაწყვეტის პროცესებში მონაწილეობით დააგროვენ.
- 4) **მოსწავლეების მზაობა** - ზრდასრულ მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა აქვთ იმის თაობაზე, თუ რისი მიღწევა სურთ ცხოვრებაში და, აქედან გამომდინარე, მათი მზაობა პირდაპირ არის დაკავშირებული პიროვნული განვითარების მიზნებთან.
- 5) **სწავლების ორიენტირი** - მთავარი საკითხის ათვისება სწავლების არსებითი ასპექტია. თუმცა, ზრდასრული მოსწავლეები აღნიშნული საკითხების პრაქტიკული მხარეებით არიან დაინტერესებული, შესაბამისად, საკითხზე ორიენტირების ნაცვლად, ყურადღება გამოცდილების ასპექტზეა კონცენტრირებული.

6) **სწავლის მოტივაცია** - ზრდასრული მოსწავლეები მოტივირებული არიან ისწავლონ, ვინაიდან პიროვნების ზრდის პროცესში სწავლის მოტივაცია შინაგანი ფორმირების ნაწილი ხდება [ნოულსი, 1984 გვ.12].

აღნიშნულ მახასიათებლებზე დაყდნობით, მთავარი დასკვნა ისაა, რომ სტუდენტები დამოუკიდებელი მოსწავლეები არიან. ისინი პასუხს აგებენ თავიანთ პიროვნულ განვითარებაზე ისევე, როგორც საკუთარი საჭიროებების და ინტერესების შესაბამისად დაგროვილი ცოდნის მართვაზე. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სასწავლო კონტრაქტების გამოყენების საჭიროებას ყველა პროგრამასა თუ კურსზე. კლასში აღნიშნული მეთოდების გამოყენების ბენეფიტს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის მიცემული მოქნილობა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ შეთანხმდნენ მასწავლებელთან დავალებების სტრუქტურაზე, განსახორციელებელი სამუშაოს მოცულობასა და ხარისხზე, გამოსაყენებელ შეფასების კრიტერიუმებზე. შეთანხმების შესაძლებლობაზე ფოკუსირება არის სწორედ ის მიზეზი, რის გამოც სასწავლო კონტრაქტებს ასევე მოლაპარაკებულ სასწავლო შეთანხმებებს უწოდებენ [ანდერსონი, ბუდი და სემპსონი, 2014 გვ.3].

ანდერსონის, ბუდის და სემპსონის (2014) მიხედვით, მოლაპარაკებული სასწავლო შეთანხმებები იწყება სტუდენტებისა და მასწავლების როლების, პასუხისმგებლობებისა და მოლოდინების განხილვით. ტრადიციულად მოსწავლეებს კონკრეტული აქტივობების განხორციელებაში აქტიური როლი ენიჭებათ. მასწავლებელს შესაბამისად უფრო მრჩეველის როლი აქვს განსაზღვრული, გიდის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ეხმარება სტუდენტებს, მონიტორინგს უწევს მათ და აფასებს დასახული მიზნების მიღწევას ისევე, როგორც შედეგების შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობას.

სასწავლო კონტრაქტის შემუშავება და განხორციელება მოიცავს ოთხ ფაზას:

- *მომზადება* - აღნიშნულ ფაზაში მოსწავლემ უნდა მოიფიქროს, რისი სწავლა ან მიღწევა სურს კონკრეტული კურსის ან მისი ცალკეული მოდულის ფარგლებში. მან უნდა მოამზადოს სწავლების შედეგები, რომლებიც უკავშირდება მოდულის, კურსის, განთავსების ან კონკრეტული სასწავლო ღონისძიების შედეგებს. საკუთარი თავის შეფასებას ამ კონტექსტში შესაძლოა არსებითი დატვირთვა ჰქონდეს, ვინაიდან აღნიშნული საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სტუდენტის ცოდნა და უნარები, რაც შემდგომი განვითარების საჭიროების შეფასებაში დაგვეხმარება.

- *მოლაპარაკება* – ამ ეტაპზე სტუდენტი და მასწავლებელი თანხმდებიან სასწავლო კონტრაქტის შინაარსზე, ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასებაზე ისევე, როგორც სასწავლო პროცესსა და საბოლოო პროდუქტზე.
- *მხარდაჭერა* - მას შემდეგ, რაც სასწავლო კონტრაქტი იწყებს მუშაობას, მასწავლებელი უწევს მხარდაჭერას სტუდენტს არსებული რესურსებით, რჩევებით ან მითითებებით.
- *შეფასება* -

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ და მასწავლებელმა ითანამშრომლონ სასწავლო კონტრაქტის პირობების შეთანხმებისას. აქტივობების წარმატებულად დაგეგმვისა და შესრულებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ასევე ორმხრივი პატივისცემის არსებობა. შეთანხმების პირობების მოლაპარაკების პროცესში მოსწავლისთვის კონტრაქტის შედგენის თავისუფლების მინიჭება მეტ მნიშვნელობას სძენს კონტრაქტს, ვინაიდან მოსწავლე მაქსიმალურად არის ჩართული პროცესში და მოტივირებულია წარმატებით დაასრულოს კურსი.

წარმატებული სასწავლო კონტრაქტის არსებითი მახასიათებლები მოცემულია პირველ ცხრილში.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კონტრაქტებს განსხვავებული ფორმატი აქვს, სასარგებლო იქნება რამდენიმე სტრუქტურული პარამეტრის განსაზღვრა. როგორც წესი, სასწავლო კონტრაქტი შემდეგი სექციებისგან შედგება:

- **მიზანი** - ფორმულირება, თუ რა სურს მოსწავლეს. ზოგადად აღნიშნული წარმოადგენს მიზანს, რომელსაც მოსწავლე თავის თავს უსაზღვრავს. მიზანი უნდა პასუხობდეს მოსწავლის საჭიროებებს, მაგრამ ასევე უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ან კურსის მიზნებსა და ფარლებს. სამუშაო ადგილის კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია, როდის გადადის სწავლება პრაქტიკულ ელემენტზე კონკრეტულ ორგანიზაციაში.
- **სტრატეგიები და რესურსები (რომლებიც მიზნის მისაღწევად არის საჭირო)** - აღნიშნული მოიცავს მასალებსა და რესურსებს, რომელთა შესწავლაც ესაჭიროებათ მოსწავლეებს; ადამიანებს, რომლებთან შეხვედრაც მათ მოუწევთ; კვლევას, რომელიც უნდა განახორციელონ; ადგილები, სადაც მოხვედრა მოუწევთ და ა.შ.
- **სასწავლო გეგმა** - დასახული მიზნების შესასრულებლად საჭირო აქტივობები და მათი განხორციელების ვადები.

- **მტკიცებულება** - დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების პროდუქტი (მაგ., ანგარიში, გამოკითხვა, ესე და ა.შ.) ან შეძენილი უნარების დემონსტრირება.
- **შეფასების კრიტერიუმები** – კრიტერიუმები, რომლებიც შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად იქნება გამოყენებული.
- **დასრულების თარიღი.**

აღნიშნული სექციები სავალდებულო კომპონენტებს არ წარმოადგენს. თუმცა, არსებობს მოლოდინი, რომ კონტრაქტი ხელმოწერილი იქნება სტუდენტისა და მასწავლებლის მიერ იმისთვის, რომ ორივე მხარეს დაეკისროს ვალდებულება გამოიჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა სასწავლო პროცესისა და მისი ზედამხედველობის წარმატების უზრუნველსაყოფად. წარმატებული სასწავლო კონტრაქტის ძირითადი მახასიათებლები შეჯამებულია სქემაში:



სქემა 1. სასწავლო კონტრაქტის ძირითადი მახასიათებლები

სასწავლო კონტრაქტები განსხვავდება ერთმანეთისგან თავისი შინაარსითა და ფორმატით. თუმცა აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი სტრუქტურული პარამეტრი. ძირითადად, **სასწავლო კონტრაქტი** შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- **მიზანი** - რისი მიღწევა სურს სტუდენტს/მოსწავლეს. ძირითადად, სტუდენტი მიზანს საკუთარ თავს თავად განუსაზღვრავს. მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს სტუდენტის საჭიროებებთან და ასევე უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის თუ პროგრამის მიზნებსა და ჩარჩოს. მიზნები შესაბამისი უნდა იყოს სამუშაო გარემოსთან მსგავსი გამოცდილების გათვალისწინებით.

- **სტრატეგია და რესურსები** - დასახული მიზნების განხორციელებისთვის სტუდენტმა რა მასალები უნდა მოიძიოს და შეისწავლოს, ვის უნდა შეხვდეს, რა კვლევა ჩაატაროს, რომელ დაწესებულებებში უნდა განახორციელოს ვიზიტი და ა.შ.
- **სამოქმედო გეგმა** - აქტივობები და ვადები (დედლაინები) მიზნების მისაღწევად.
- **შედეგების დადასტურება** - რა სახით მოხდება მიზნების მისაღწევად და ახალი უნარების გამომუშავებისთვის შესრულებილი აქტივობების შედეგების წარმოჩენა და შეძენილი უნარების დემონსტრირება (რეპორტი, კვლევა, ესე...).
- **შეფასების კრიტერიუმები** - რა კრიტერიუმებით შეფასდება შესრულებული სამუშაო.
- **დასრულების ვადა**

სასწავლო კონტრაქტის შესადგენად არ არის სავალდებულო გათვალისწინებულ იქნეს ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი. მთავარია, კონტრაქტი ხელმოწერილ იყოს როგორც სტუდენტის, ასევე მისი ტუტორის მიერ. ასე რომ, სასწავლო კონტრაქტს ნამდვილი კონტრაქტის სახე აქვს და ავალდებულებს ორივე მხარეს პირნათლად შესრულდეს ვალდებულებები - წარმატებით განხორციელდეს როგორც სწავლის პროცესი, ასევე - მისი მეთვალყურეობა.

განიხილე სასწავლო კონტრაქტის მაგალითი. შეცვლიდი რაიმეს? რას შეცვლიდი? შეარჩიე ერთ-ერთი სასწავლო კონტრაქტი და გააუმჯობესე>

სტუდენტის სახელი და გვარი: სუზან გეითსი

საკითხები, რომლებიც მოითხოვს სრულყოფას: წილადების გამრავლება, წილადების გაყოფა.

თავი 6: წილადები

გვერდები: 34-36; 42-44

მასალის სრულყოფის გზები:

- კომპიუტერული თამაშების შერჩევა წილადების გამრავლება-გაყოფაზე;
- სასწავლო ცენტრისთვის მასალების მომზადება წილადებზე;
- გაკვეთილების ჩატარება წილადებთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომელთა სრულყოფაც დავსახეთ სტუდენტის შესასრულებელ ამოცანად;
- სახელმძღვანელოს მომზადება წილადებზე.

კონტრაქტის პირობები:

- მოსწავლემ უნდა დაიცადოს, ვიდრე მასწავლებელი დაასრულებს გაკვეთილს და შემდეგ სთხოვოს დახმარება;
- მოსწავლემ არ უნდა შეუშალოს ხელის სხვა მოსწავლეებს პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში;
- მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ინტერნეტი დახმარებისთვის;
- მოსწავლემ უნდა შეასრულოს კონტრაქტში მოცემული დავალებები.

ხელმოწერები:

6.3. მოდული 3 - შეფასება

ლოგიკური დასაბუთება:

მოდული აქცენტს აკეთებს შეფასების მნიშვნელობაზე სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში და ტრენინგის მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას შეფასების სხვადასხვა ტიპების შესახებ. მოდული ასევე გვამღევეს ინფორმაციას სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში გამოყენებულ სხვადასხვა მეთოდებსა და მექანიზმებზე, ეხმარება ტრენინგის მონაწილეებს გაიღრმავონ ცოდნა და განავითარონ საკუთარი უნარები ამ მექანიზმების საკუთარ სასწავლო კურსებში გამოყენებისთვის.

მოდულის მიზანია:

- აამაღლოს ცნობადობა და მოახდინოს ცოდნის სისტემატიზაცია შეფასების ტიპებისა და პრინციპების შესახებ;
- განავითაროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდების შესაბამისობის დადგენის უნარები;
- განავითაროს თვითშეფასების როლი სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პროცესში.

შედეგები:

მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გაცნობიერებული ექნებათ:

- შეფასების მნიშვნელობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესში;
- მნიშვნელოვანია სწავლების შედეგების შეფასება და არა ცოდნის დაზეპირება;
- შეფასების სხვადასხვა ტიპების შეფასება-გაანალიზება.

დავალეა ერთი: შეფასების შესახებ არსებული შეხედულებები სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში

მიზანი:

- მივცეთ მონაწილეებს შესაძლებლობა, შეისწავლონ არსებული მოსაზრებები შეფასებების შესახებ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში.

მასალები/რესურსები:

სასწავლო მასალა 1 - მოსაზრებები შეფასებების შესახებ სტუდენტზე
ორიენტირებულ სასწავლო გარემოში
სასწავლო მასალა 2 - შეფასების ტიპები

მომზადება:

სასწავლო მასალა 1-ის ფოტოასლები (თითოეული მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 2-ის ფოტოასლები (თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 20-25 წუთი

პროცედურა:

1. დაიწყე ტრენინგს მასწავლებლით. სთხოვე მონაწილეებს დახედონ სურათს და შემოგვთავაზონ შესაძლო პასუხი ცარიელ წრეში ჩასაწერად.



ნახატი 1: მე ვასწავლე ძაღლ სთრაიფს სტვენა.

ნახატი 2: არ მესმის მისი სტვენა.

ნახატი 3: ?

<http://assessmentandlearning.weebly.com/differentiation/funny-but-true> (ნახვის დრო: 01-02-2018)

2. გამოავლინეთ შესაძლო პასუხები და შემდეგ აჩვენეთ სურათის ორიგინალი.



ნახატი 1: მე ვასწავლე ძაღლ სთრაიფს სტვენა.

ნახატი 2: არ მესმის მისი სტვენა.

ნახატი 3: მე გითხარი, რომ ვასწავლე ძაღლს სტვენა. მე არ მითქვამს, რომ მან ისწავლა.

ხაზი გაუსვით, რომ მიმდინარე სესიის დროს აქცენტი გაკეთდება შეფასების სისტემაზე.

3. დაურიგეთ სასწავლო მასალა 1 მონაწილეებს და სთხოვეთ შეავსონ ინდივიდუალურად.
4. სთხოვეთ მონაწილეებს გაგიზიარონ თავიანთი მოსაზრებები წყვილებში. განუმარტეთ, რომ უნდა დაასაბუთონ საკუთარი პასუხები.
5. მონაწილეები წარმოადგენენ საკუთარ დასკვნებს პლენარულ რეჟიმში. მიეცით დისკუსიის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება.

პასუხების ნიმუში:

დიახ - 1, 2, 3, 5, 7, 8, 9


არა - 4,6

6. დაურიგეთ მონაწილეებს სასწავლო მასალა 2. სთხოვეთ იმუშაონ ინდივიდუალურად.
7. პროცესი წარმართეთ ისე, მონაწილეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფორმატული შეფასება უფრო ეფექტურია, ვიდრე შემაჯამებელი. ასევე აღნიშნეთ, რომ შეფასება შეიძლება იყოს არაფორმალურიც.
8. ყურადღება გაამახვილეთ შეფასების პროცესში ბალანსის დაცვის მნიშვნელობაზე.
9. *ფორმატული შეფასებები არის მიმდინარე, ყოველწუთიერი, ყოველდღიური შეფასება განხორციელებული სასწავლო კურსის წარმმართველის მიერ. მისი მიზანია, გამოავლინოს თითოეული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც ლექტორს დაეხმარება ლექციების დაგეგმვის პროცესში, ხოლო სტუდენტს - საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვაში, შესრულებული სამუშაოს რევიზიაში, თვითშეფასების უნარების გამომუშავებაში. შუალედური და შემაჯამებელი შეფასებები ფორმალური პროცესია სტუდენტის მიღწევების შესაფასებლად სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შუალედური შეფასებების ძირითადი მიზანია, მიაწოდოს ინფორმაცია განათლების პოლიტიკის განმახორციელებლებს, რომელთაც ევალება ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმებსა და კურიკულუმებში. შემაჯამებელი შეფასების (რომელიც, უმეტესად სტანდარტიზებულია და სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ხორციელდება, იქნება ეს სემესტრის თუ სასწავლო წლის დასასრული) დანიშნულებაა მოახდინოს სტუდენტის სწავლის პროცესის ან სასწავლო სისტემის კატეგორიზება, რაც დაეხმარება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს სტუდენტის მოსწრებასთან, ხარისხის მინიჭებასა და სხვა ტიპის საკითხებთან გადაწყვეტილებების მიღებაში.*

https://studentsatthecenterhub.org/wp-content/uploads/2015/10/Exec_AndradeHuffBrooke_032312.pdf (ნახვის

დრო: 10-03-2018)

სასწავლო მასალა 1: დამკვიდრებული მოსაზრებები შეფასების შესახებ სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში

განცხადება	SA 	A 	NS 	D 	SD 
1) სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება - მოითხოვს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასებას, ნორმების გამოყენებას. ჰოლისტიკური და განსხვავებული მიდგომების, მათ შორის, თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების გამოყენებას.					
2) სტუდენტზე ორიენტირებული შეფასებისას ისინი შეიძლება დასაჩუქრდნენ სწავლის ბოლოს, რათა შეძლონ საკუთარი საჭიროებების აღმოჩენა და განვითარების სფეროების იდენტიფიცირება ისე, რომ ეს არ ჩათვალონ ხარვეზად.					
3) საფიქრებელია, რომ თანატოლთა, ერთობლივი და თვითშეფასების მიდგომები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენი ისწავლეს სტუდენტებმა.					
4) შეფასება სტუდენტზე ორიენტირებულ კლასში ფოკუსს აკეთებს იმაზე, რომ მასწავლებლებს დაეხმაროს, გაუგონ სტუდენტებს, გაკვეთილები მათ საჭიროებებს მოარგონ და არა მხოლოდ შეფასების სისტემას.					
5) შეფასება არის დასკვნა, რომელიც კეთდება გაცხადებული მიზნების და შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების კონტექსტში შეთანხმებული მტკიცებულების ფორმების საფუძველზე.					
6) შეფასების შედეგები მხოლოდ გამოიყენება მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ.					
7) შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მრავალგანზომილებიან მტკიცებულებას, მაგ., სტატიკურ და დინამიკურ სიტუაციებს; მცირე დავალებებსა და გმელვადიან პროექტებს; სხვადასხვა პირობებს; ფორმატიულ და შემაჯამებელ მონაცემებს; სხვადასხვა სტუდენტს, როგორც შემსრულებელს.					
8) სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება აქტიურად რთავს ახალგაზრდებს საკუთარი სწავლის რეგულირებაში;					

9) შეფასება არის მტკიცებულებაზე და არა გრნობებზე დაფუძნებული დასკვნა. რაც არ უნდა იყოს წინათგრძნობა სტუდენტის შესაძლებლობების შესახებ, გვჭირდება მტკიცებულება.					
--	--	--	--	--	--

გამოყენებული ლიტერატურა: რეინალდ მაკდონალდი, მაგი სავინ-ბადენი, შეფასებების ჰაიდლანინი პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში. **LTSN Generic Centre**. 2003. გვ.5-6.

<https://www.heacademy.ac.uk/knowledge-hub/briefing-assessment-problem-based-learning> (ნახვის დრო:11-01-2018)

წაიკითხე შეფასების ტიპები. რომელი (ან რომლები) უნდა იქნეს გამოყენებული სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში?

შეფასება შესაძლოა ჩატარდეს მრავალრიცხოვანი მეთოდებით:

1. ფორმალური და არაფორმალური შეფასება

ფორმალური შეფასების დროს ტესტირებას ატარებს გარე ორგანო (მაგალითად, განათლების სამინისტრო ან სხვა უწყება) ან თავად საგანმანათლებლო დაწესებულება, როდესაც ტესტირების მიზანია მიღებული შედეგების მიხედვით მოსწავლის/სტუდენტის გარკვეულ საფეხურზე დარეგისტრირება (მაგალითად, განვსაზღვროთ მოსწავლის ცოდნა და უნარები, რათა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელ კლასში დავსვათ.). **არაფორმალურ** შეფასებას ახდენს მასწავლებელი/ლექტორი, რათა დააკვირდეს და შეაფასოს მოსწავლის/სტუდენტის ყოველდღიური პროგრესი და მოსწავლის/სტუდენტის საჭიროებებისა და მიხედვით შეიტანოს ცვლილებები სასწავლო პროცესში. არაფორმალური შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ზეპირი გამოცდის, ტესტირების ან თვითშეფასების ფორმით.

2. მიმდინარე და ფინალური შეფასებები

მიმდინარე შეფასებები ტარდება რეგულარული ინტერვალით სასწავლო სემესტრის/სასწავლო წლის განმავლობაში. მისი შედეგები მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური შედეგების შესახებ მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად (მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს შეკითხვები აწმყო განუსაზღვრელი დროის გამოყენებით, მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ მოკლე თხზულება თავიანთი ოჯახის შესახებ და ა.შ.). **ფინალური** შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს და მისი მიზანია შეაფასოს, რამდენად იქნა მიღწეული სასწავლო კურსის მიზნები.

3. ფორმატიული და შემაჯამებელი შეფასება

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, შეფასება შესაძლებელია იყოს ფორმატიული ან შემაჯამებელი. **ფორმატიული** შეფასება გამოიყენება სტუდენტის მიღწევების გასავითარებლად. სტუდენტი ასევე იღებს უკუკავშირს თავისი სწავლის პროცესის შესახებ. ფორმატიული შეფასება გულისხმობს პრობლემების იდენტიფიკაციას და გვთავაზობს მათი დაძლევის გზებს. ამ ტიპის შეფასება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტის სწავლის პროცესს და შეიტანოს ცვლილებები საკუთარ ინსტრუქციებში სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ასამაღლებლად.

შემაჯამებელი შეფასება ეხმარება მასწავლებელს, რომ შეაფასოს სტუდენტის სწავლა და აქტივობა კონკრეტულ დროში (მაგალითად, ყოველი სასწავლო თემის ბოლოს), რათა განსაზღვროს, ნასწავლი მასალა რამდენად დაამახსოვრდა სტუდენტს.

დავალეზა 2: სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება

მიზანი:

- ტრენინგის მონაწილეებს მივაწოდოთ სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების ალტერნატიული მაგალითები.

მასალები / რესურსები:

სასწავლო მასალა 3 - სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება (1)

სასწავლო მასალა 4 - სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება (2)

სასწავლო მასალა 5 - მაგალითები

მომზადება:

სასწავლო მასალა 3-ის ფოტოასლები (თითოეული მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 4-ის ფოტოასლები (თითოეული მონაწილისთვის)

სასწავლო მასალა 5-ის ფოტოასლები (თითოეული მონაწილისთვის)

დრო: 40 წუთი

1. დაურიგეთ მონაწილეებს სასწავლო მასალა 3. სთხოვეთ იმუშაონ ინდივიდუალურად.
2. განიხილეთ პასუხები ჯგუფში. თუ საჭიროდ ჩათვლით, განუმარტეთ შეფასების სხვადასხვა ფორმები.

პასუხები:

1. ჯგუფური პრეზენტაცია
 2. ინდივიდუალური პრეზენტაცია
 3. სამნაწილიანი პრეზენტაცია
 4. პორტფოლიო
 5. თვითშეფასება, თანატოლების შეფასება
 6. ონლაინჟურნალი
 7. ფასილიტატორის/ტუტორის შეფასება
 8. რეპორტი
 9. კომბინირებული ტექსტი
3. ხაზი გაუსვით, რომ, შეფასების ჩამოთვლილი ფორმების გამოყენების გარდა, მნიშვნელოვანია შეფასების მექანიზმების მახასიათებლებზე დაფიქრება. დაარიგეთ სასწავლო მასალა 4 და სთხოვეთ, იმუშაონ ინდივიდუალურად.

4. დავალების დასრულების შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს, შეადარონ თავიანთი პასუხები წყვილებში და განუმარტონ ერთმანეთს, რატომ შეარჩიეს ესა თუ ის პასუხი.
5. ჩაატარეთ უკუკავშირი პლენარულ რეჟიმში.

შეფასების ფორმების მახასიათებლები

STUDENT-CENTERED QUALITIES OF SELECT ASSESSMENT PROCESSES

	INDIVIDUALIZED	FOCUSED ON LEARNING AND GROWTH	MOTIVATING	STUDENT SELF-REGULATION	INFORMATIVE TO A VARIETY OF AUDIENCES
FORMATIVE					
Self-assessment	●	●	●	●	
Peer assessment	●	●	●	●	●
Portfolios	●	●	●	●	●
Tests		●	●	●	●
INTERIM					
Criterion-referenced tests		●			●
SUMMATIVE					
Exhibitions	●	●	●	●	●
Tests based on learning progression		●			●
Diagnostic items		●			●
Large-scale tests					●

https://studentsatthecenterhub.org/wp-content/uploads/2015/10/Exec_AndradeHuffBrooke_032312.pdf

(ნახვის დრო: 10-03-2018)

6. განუმარტეთ მონაწილეებს, რომ არსებობს შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მაგალითები. სთხოვეთ მათ, განიხილონ მაგალითები და გააკეთონ კომენტარი, საკუთარი კურსების წარმართვის პროცესში რომელი მიაჩნიათ შესაფერისად.
7. შეაჯამე ძირითადი დასკვნები და განმარტე, რომ სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების დანერგვას სჭირდება დრო და გულისხმობს გარკვეულ ექსპერიმენტებსაც იმის დასადგენად, რომელი მეთოდი მუშაობს კარგად და რომელია შეუსაბამო სხვადასხვა კონტექსტში.

სასწავლო მასალა 3: სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება

მოდული 3, დავალება 2

წაიკითხე სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების ფორმების განმარტება. შეავსე გამოტოვებული ადგილები შეფასების მოცემული ფორმებით

ინდივიდუალური პრეზენტაცია	თვითშეფასება	ფასილიტატორის/ტუტორის შეფასება
სამნაწილიანი შეფასება რეპორტი	ჯგუფური პრეზენტაცია	პორტფოლიო
ექსპერტული შეფასება	კომბინირებული ტექსტი	ონლაინჟურნალი

(1) _____

სთხოვეთ სტუდენტებს წარმოადგინონ დავალება ზეპირი ან წერილობითი ფორმით გუნდური მუშაობის პრინციპით. დააზუსტეთ, რა კრიტერიუმებით შეფასდება, მაგალითად, შინაარსი, პროცესი, პრეზენტაციის ტექნიკა თუ ყველა ჩამოთვლილის კომბინაცია.

(2) _____

სტუდენტებს მოეთხოვებათ ჩატარებული კვლევის შედეგების ძირითადი თეზისები წარმოადგინონ. კვლევა ჩატარებული უნდა იყოს პრობლემის სრულად გადასაწყვეტად ან პრობლემის დაძლევის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, ან აღმოჩენითი სწავლის პროცესში, ან პროექტის დასასრულებლად. თუ სტუდენტები წარმოადგენენ მხოლოდ საკუთარი კვლევის კომპონენტს, კავშირი პრობლემასთან ან პროექტთან ნაკლებად გასაგები იქნება. შეჯამება უნდა მოხდეს დიდ ჯგუფებში.

(3) _____

ეს შეფასება სამკომპონენტია.

- ა. სტუდენტების ჯგუფი წარმოადგენს ანგარიშს და შეფასდება ქულით.
- ბ. სტუდენტი ინდივიდუალურად წარმოადგენს სამუშაოს იმ ნაწილს, რომელიც თავად გამოიკვლია.
- გ. სტუდენტი ინდივიდუალურად წერს ანგარიშს ჯგუფში ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

ჩამოთვლილი სამივე კომპონენტის შეჯამების საფუძველზე თითოეული სტუდენტი ფასდება ინდივიდუალურად საბოლოო ქულით. ამგვარი შეფასების უპირატესობა ის არის, რომ სტუდენტი, რომელმაც ნაკლები იშრომა ჯგუფში, არ აღმოჩნდება პრივილეგირებულ მდგომარეობაში. თითოეული სტუდენტი ინდივიდუალურად მოიპოვებს საბოლოო ქულის ორ მესამედს. სტუდენტების უმეტესობა შეფასების ამგვარ სისტემას სამართლიანად მიიჩნევს.

(4) _____

ამ ტიპის დავალება რთულია შესაფასებლად და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით კარგ მენეჯმენტს მოითხოვს ლექტორისგან. პორტფოლიოს მეთოდი გამოყენებულია ბევრ ისეთ კურიკულუმში, რომელშიც სტუდენტი ეუფლება კონკრეტულ პროფესიას. თუმცა, ბოლო პერიოდში ვრცელი პორტფოლიო იცვლება ნაკლები მოცულობის ვერსიით, რომელშიც უკეთ არის წარმოჩენილი კრიტიკული აზროვნება. ყურადღება უნდა გამახვილდეს ზუსტი კრიტერიუმების შემუშავებაზე მთლიანი სურათის უკეთ წარმოსაჩენად.

(5) _____

ამ ტიპის შეფასება სტუდენტს სამუალებას აძლევს უკეთ გააანალიზოს, რა იცის და რა არ იცის; კიდევ რისი ცოდნა სჭირდება კონკრეტული დავალების შესასრულებლად.

(6) _____

ექსპერტული შეფასება რომ უკეთ წარმართოს, სტუდენტს უნდა მივაწოდოთ შეფასების ზუსტი წესები. ამ ტიპის შეფასება აქცენტს აკეთებს თანამშრომლობით კომპონენტზე სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში.

(7) _____

სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომს ყოველ კვირაში და იღებს ქულას სემესტრის დასასრულს. შეფასებისთვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია სწავლისადმი გულწრფელი დამოკიდებულება და ღიაობა.

(8) _____

ამ ტიპის შეფასების მიმართ ხშირია დისკუსია. თუ ჯგუფის ფასილიტატორი ამავე დროს შემფასებელია, შესაძლოა მან ზეგავლენა მოახდინოს პროცესის დინამიკაზე.

(9) _____

წერიტი კომუნიკაცია ის მნიშვნელოვანი უნარია, რომელსაც სტუდენტი უნდა დაეუფლოს. სავალდებულო წერიტი დავალებები სტუდენტს ამ უნარის განვითარების საშუალებას მისცემს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ წერიტი დავალება მოკლეა (სიტყვების რაოდენობის ლიმიტით) და ხორციელდება სწავლების ბოლო წელს. სტუდენტი ეჩვევა ლაკონიური კრიტიკული ნაშრომის შედგენას.

(10) _____

ეს არის საშუალება სტუდენტმა თავისი ნაშრომი წარმოადგინოს წერილობითი ფორმით. სტუდენტები წერენ დავალებას რამდენიმე კვირის განმავლობაში. ნაშრომის კომპონენტები ყველა სტუდენტისთვის ერთნაირია, თუმცა თითოეულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს თავისებურად. მაგალითად, კომენტარი ლექციაზე, პირადი მოხსენება, წიგნის განხილვა. ამ ტიპის შეფასება კარგად შეესაბამება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს, რადგან აქცენტი კეთდება კრიტიკულ ანალიზსა და თვითანალიზზე.

გამოყენებული ლიტერატურა: რეინალდ მაკდონალდი, მაგი სავინ-ბადენი, შეფასებების ჰაიდლაინი პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში. LTSN Generic Centre. 2003. გვ.5-6.
<https://www.heacademy.ac.uk/knowledge-hub/briefing-assessment-problem-based-learning>(ნახვის დრო: 11-01-2018)

სასწავლო მასალა 4: სტუდენტზე ორიენტირებული შეფასება (2)

მოდული 3, დავალება 2

გაეცანი ცხრილს. დაფიქრდი შეფასების ტიპებისა და შეფასების მექანიზმების მახასიათებლებზე. მონიშნე (✓) შესაბამისი სვეტი.

STUDENT-CENTERED QUALITIES OF SELECT ASSESSMENT PROCESSES

	INDIVIDUALIZED	FOCUSED ON LEARNING AND GROWTH	MOTIVATING	STUDENT SELF-REGULATION	INFORMATIVE TO A VARIETY OF AUDIENCES
FORMATIVE					
Self-assessment					
Peer assessment					
Portfolios					
Tests					
INTERIM					
Criterion-referenced tests					
SUMMATIVE					
Exhibitions					
Tests based on learning progression					
Diagnostic items					
Large-scale tests					

https://studentsatthecenterhub.org/wp-content/uploads/2015/10/Exec_AndradeHuffBrooke_032312.pdf

(ნახვის დრო:10-03-2018)

წაიკითხე მაგალითები. შემოგვთავაზე შესაძლო შეფასება, რომელიც შესაფერისი იქნება შენი სასწავლო კურსისთვის. აქცენტი გააკეთე სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე.

1) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება/სამართალი

(მასალა მოწოდებულია ჟინა ჰეფერანის მიერ, ოქლენდის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი)

ოქლენდის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამაზე ფინალური ნაშრომის თემაა „კონტრაქტის საკითხები ბიზნესში“. ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით. სტუდენტს წარედგინება ახალი გეგმა ყოველი ერთი ან ორი კვირის ინტერვალით. მუშაობა მიმდინარეობს პატარა ჯგუფებში: კვლევითი კითხვის ჩამოყალიბება, საკითხების ანალიზი, კვლევის ჩატარება, კონკრეტული სიტუაციის განხილვისთვის აუცილებელი სამართლებრივი საკითხების შესწავლა, კანონების მისადაგება ფაქტებთან გადაწყვეტილებების მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი სწავლების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტის სწავლის პროცესიდან მოწყვეტის გარეშე.

შეფასება ხდება ფინალურ გამოცდაზე. თითოეულ ჯგუფს მოეთხოვება შეარჩიოს ყოველკვირეული დავალებებიდან 4 დავალება და წარმოადგინოს კვლევითი შედეგების პორტფოლიო. ასევე მოამზადოს პრეზენტაცია, რომელშიც წარმოაჩენს პრობლემის არსს და პრობლემის დამლევსთვის შერჩეულ კანონმდებლობას. შეფასების მიზანია, შეფასდეს თავად პროცესი (კრედიტის მინიჭებით). შეფასების დროს ასევე ყურადღება ექცევა, როგორ მოახერხა სტუდენტების ჯგუფმა სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა.

ჯგუფები წარმოადგენენ თავის თავდაპირველ კვლევით კითხვებს, სახეცვლილ კვლევით კითხვებს, შეგროვებულ შემთხვევებს (ე.წ. ქეისებს) თანდართული შენიშვნებით, ჯგუფურ დისკუსიებში განხილულ იდეებს. ამ უკანასკნელ კომპონენტს ჯგუფების უმეტესობა წარმოადგენს ონლაინ პლატფორმაში, რომელშიც თითოეულ ჯგუფს თავისი ინდივიდუალური სივრცე აქვს. ბოლოს, ჯგუფები წარმოადგენენ პროცესის თვითშეფასებას. ჯგუფებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ თავიანთი შედეგები თითოეულ პრობლემასთან მიმართებით საერთო დისკუსიის გამართვამდე, რათა დავრწმუნდეთ, რომ თითოეული ჯგუფი ჩართულია პროცესში და საკითხში გასარკვევად არ იყენებს საერთო დისკუსიას. სხვაობა თავდაპირველ შედეგებსა და საბოლოო შედეგებს შორის გვაძლევს დამატებით მასალას ფინალური შეფასებისთვის. ჯგუფის მიერ მიღებული ქულები შესაძლოა გადანაწილდეს (შეთანხმებული კრიტერიუმებით) ჯგუფის წევრებზე, რათა უკეთ ავსახოთ თითოეული სტუდენტის წვლილი ჯგუფურ მუშაობაში. ფინალური შეფასება ინდივიდუალურია. საკითხები წინასწარ არის ცნობილი და ჯგუფებს ეძლევა საშუალება ერთად იმუშაონ საკითხის შესწავლაზე. გამოცდა ორეტაპიანია. სტუდენტებს მოეთხოვებათ დაწერონ ინდივიდუალური პასუხი.

ამგვარი მეთოდით სწავლება პირველად განხორციელდა და მალე შეფასდება, რამდენად იქნა მიღწეული მიზნები. თუმცა, ტიტუტორი კმაყოფილია შედეგებით,

წარმოდგენილი ნაშრომების რაოდენობით ხარისხით და ონლაინპლატფორმაზე გამართული ცხარე დისკუსიით, რომლის მოსმენის საშუალებაც მას ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა: რეინალდ მაკდონალდი, მაგი სავინ-ზადენი, შეფასებების გაიდლაინი პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში. **LTSN Generic Centre**. 2003. გვ.5-6. <https://www.heacademy.ac.uk/knowledge-hub/briefing-assessment-problem-based-learning> (ნახვის დრო:11-01-2018)

2) დავალებაზე დაფუძნებული სწავლება/ინგლისური ენა

დავალება: სტუდენტები აგროვებენ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე, რისთვისაც ელექტრონული ფოსტით უკავშირდებიან სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს. ისინი შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებენ ჯგუფურ პრეზენტაციებს.

(i) შეფასება

დავალების მიცემით ფასდება სტუდენტის შემდეგი უნარები:

- ინფორმაციის მისაღებად გრამატიკულად სწორად შეადგინოს შეკითხვები;
- მოახდინოს საკუთარი დაწერილი ტექსტების რევიზია ანალიზისა და სხვებთან საუბრის საფუძველზე, დააზუსტოს და განავითაროს იდეები;
- დაგეგმოს და წარმოადგინოს ჯგუფური პრეზენტაცია;
- განიხილოს საკითხები ზეპირი და წერილობითი ფორმით, ჩამოაყალიბოს მოსაზრებები და იმსჯელოს მასზე.

დავალება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ სასწავლო მიზნებს:

- ზეპირი და წერილობითი ფორმით დაამყაროს კომუნიკაცია, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ფორმალური და არაფორმალური შეტყობინების სახით; მიიღოს და მიაწოდოს ინფორმაცია რეალურ და სიმულირებულ სიტუაციაში;
- მიაწოდოს ან მოიპოვოს, შეარჩიოს, დაამუშავოს და წარმოადგინოს ინფორმაცია ნაცნობ თუ ნაკლებად ნაცნობ თემებზე;
- შეძლოს ვრცელი ინფორმაციის გამოყენება და ინტერპრეტაცია სხვადასხვა აქტივობებით, როგორცაა: აღწერა, კლასიფიცირება, შედარება, განმარტება, პროგნოზის გაკეთება, თეზისების შემუშავება, შეჯამება, დასკვნების გაკეთება;
- მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განიხილოს პრობლემასთან დაკავშირებული ფაქტორები, გადაჭრას პრობლემები და განმარტოს გადაწყვეტილებები;
- საკუთარი ანალიზისა და სხვებთან გასაუბრების საფუძველზე, დააზუსტოს და განავითაროს იდეები, მოახდინოს საკუთარი წერითი ნაშრომის რევიზია;
- გააცნობიეროს ინგლისური ენის გამოყენების სხვაობები და თავისებურებები ფორმალურ და არაფორმალურ კონტექსტში. გააცნობიეროს, რომ ტექსტები განსხვავებულად არის შედგენილი სხვადასხვა კონტექსტში. გამოიყენოს ეს გამოცდილება სწავლის პროცესში და ენის გამოყენების შემთხვევაში.

(ii) კავშირი კურიკულუმთან

ინგლისური ენის სილაბუსში ხაზგასმულია პროექტზე მუშაობის მნიშვნელობა სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. მათ შორის, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარისა და ტრანსფერული უნარების გასაუმჯობესებლად. პროექტზე მუშაობა მოიცავს კითხვის, წერის, მოსმენის და საუბრის ელემენტებს. ის ასევე წარმოშობს სტუდენტისთვის აუცილებლობას ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დასამყარებლად.

(iii) რჩევები დავალებაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებისთვის

მნიშვნელოვანია ლექტორმა დაამყაროს კავშირი სხვა სასწავლო დაწესებულებებთან მანამდე, სანამ სტუდენტებს დაურიგებს დავალების ფურცლებს. წინასწარი კომუნიკაცია იძლევა გარანტიას, რომ სტუდენტების ჯგუფი მიიღებს მოთხოვნილ პასუხებს შეკითხვებზე. თითოეული ჯგუფი აგროვებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას და წარმოადგენს პრეზენტაციის სახით მთელი აუდიტორიის წინაშე. მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს თითოეული ჯგუფის მიერ შედგენილი კითხვარი და საჭიროების შემთხვევაში მისცეს რჩევები. პროექტის დასასრულებლად საჭიროა მინიმუმ 4 გაკვეთილი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი დრო კითხვარის შესადგენად, ინფორმაციის დასამუშავებლად, პრეზენტაციის მოსამზადებლად.

შემოთავაზებული უკუკავშირის მექანიზმი

პროექტის შეფასებისას ძირითადი აქცენტი კეთდება მის პრეზენტაციაზე. ამიტომაც, უკუკავშირიც ამ კომპონენტზე უნდა იყოს ორიენტირებული. სტუდენტების ჯგუფების დიალოგის პროცესი სხვა დაწესებულების სტუდენტებთან ასევე მოითხოვს უკუკავშირს. ამ შემთხვევაში ინდიკატორი უნდა იყოს კითხვების/კითხვარის შესაბამისობა. ქვემოთ მოყვანილი უკუკავშირის ანკეტა (ვერსია ა) არის ზოგადი და შედგენილია საილუსტრაციოდ, თუ რა შესაძლო კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ზეპირი პრეზენტაცია. ვერსია ბ წარმოადგენს ნიმუშს, როგორ შეიძლება უკუკავშირის ანკეტა გამარტივდეს და ადაპტირდეს ჯგუფის დონის და შეფასების ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად.

უკუკავშირის ანკეტა

საუბარი: მოკლე მოხსენებები და ზეპირი პრეზენტაციები (ვერსია ა - ზოგადი)

გახაზეთ შესაბამისი პუნქტი, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და ჩაწერეთ კომენტარები ბოლოში.

	საჭიროებს გაუმჯობესებას	დამაკმაყოფილებელი	წარმატებული
შინაარსი			
• საკმარისი ინფორმაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• გასაგები იდეები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• რელევანტური იდეები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

• საინტერესო/ორიგინალური იდეები			
ორგანიზაცია/მოწესრიგებულობა			
• შესავალი			
❖ დააინტერესა აუდიტორია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ გამოხატულია პრეზენტაციის მთავარი მიზნები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ გადმოცემულია პრეზენტაციის გეგმა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• ძირითადი ნაწილი			
❖ მთავარი არგუმენტები მხარდაჭერილია შესაბამისი მაგალითებით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ იდეები ლოგიკურადაა განვითარებული	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• დასკვნა			
❖ კიდევ ერთხელ გამოხატულია პრეზენტაციის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ შეჯამებულია მთავარი არგუმენტები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ დამხმარე მოწყობილობები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
❖ კონექტორების კარგი გამოყენება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
კომუნიკაციის სტრატეგიები			
• გამოხატავს თავდაჯერებულობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• გამოხატავს აუდიტორიის ფლობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• იყენებს ჟესტებს და აკეთებს სწორ პაუზებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• ჩანაწერებს იყენებს ეფექტიანად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ჟანრი და დავალების მოთხოვნები			
• შესაბამისი ხანგრძლივობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• სტუდენტის გამოსვლა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გამოთქმა და ენის ფლობა			
• საკმარისად ხმამაღალი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• არც ძალიან სწრაფი/ნელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• სწორი გამოთქმა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
• სწორი ინტონაცია და მახვილი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ენა და სტილი			
• შესაბამისი სიტყვების გამოყენებასხვადასხვა გამონათქვამებილექსიკის ფართო სექტორიფორმალურობის ხარისხი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გრამატიკა			
• სწორი ენობრივი ფორმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვიზუალური მხარე			
	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

<ul style="list-style-type: none"> • გასაგები • რელევანტური • ეფექტიანად გამოყენებული 	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
--	--	--	--

კომენტარი	შეფასება

უკუკავშირის ფორმა

საუბარი: მოკლე ანგარიში და ორალური პრეზენტაცია (B ვერსია - ადაპტირებული)

	საჭიროებს გაუმჯობესებას	დამაკმაყოფილებელი	წარმატებული
შინაარსი და მოწესრიგებულობა <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის რელევანტურობა • შინაარსის ორგანიზებულობა • ადვილია მიყოლა 	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>
კომუნიკაციის სტრატეგიები <ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს თავდაჯერებულობას • აუდიტორიის ფლობა • ეფექტიანად იყენებს ჩანაწერებს 	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>

გამოთქმა და ენის ფლოზა <ul style="list-style-type: none"> • საკმარისად ხმამაღალი • არც ძალიან ნელი/სწრაფი • გასაგები გამოთქმა 	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input type="checkbox"/>

კომენტარი	შეფასება

7. საინტერესო მაგალითები

ცვეტელინა ჰარაკჩიისკა

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი შეიცავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ მაგალითებს სხვადასხვა უსდ-ებიდან, რომლებიც წარმოდგენილი იქნა STAR პროექტის ფარგლებში. ეს მაგალითები წარმოადგენს რეკომენდაციებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების იმპლემენტაციისთვის სხვადასხვა სასწავლო კურსებში და სტიმულს აძლევს ლექტორებს, რომელთაც სურვილი აქვთ შეცვალონ სწავლების პროცესი და გახადონ ის სტუდენტზე ორიენტირებული.

7.1. უმაღლესი განათლების ცვალებადი კონტექსტი

ბოლო ათწლეულში ევროკავშირის უსდ-ების სწავლა-სწავლების პროცესში განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი საგანმანათლებლო პრაქტიკის შექმნა, ახალი შესაძლებლობებისა და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც უკეთ ერგება ახალი თაობის ტექნოლოგიურ მოთხოვნილებებს, საზოგადოებების სოციალურ დაკვეთას, შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პარადიგმის ცვლილებამ და მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების შეცვლამ სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე განაპირობა ახალი მიდგომების დანერგვა. ეს სტუდენტს მეტ საშუალებას აძლევს აქტიურად იყოს ჩართული

სასწავლო პროცესში, გამოიყენოს თანამშრომლობითი მეთოდები, ჩაერთოს პრობლემების გადაწყვეტაში და დააკავშიროს თეორიული ცოდნა პრაქტიკულ უნარებთან.

სწავლა-სწავლების პროცესში 21-ე საუკუნეში მიმდინარე ტრანსფორმაცია შედეგია საგანმანათლებლო სივრცეში ოთხი ფუნდამენტური პრინციპის დამკვიდრების: ვისწავლოთ, რათა ვიცოდეთ; ვისწავლოთ, რათა გავაკეთოთ; ვისწავლოთ, რათა ვიარსებოთ და ვისწავლოთ, რათა ვიცხოვროთ ერთად.



გრაფიკი 1. განათლების ოთხი საყრდენი

თანამედროვე განათლების ეს ოთხი საყრდენი ახლებურ ფორმას სძენს სწავლა-სწავლების პროცესს; აქცენტს აკეთებს პრიორიტეტებზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესის ტრანსფორმაციის პროცესში და გვთავაზობს სასწავლო კურსების განხორციელების ახალ მოდელებს.

- აფართოებს განათლებაზე წვდომას და ზრდის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. უსდ-ების მიმართ ჩნდება მოთხოვნა, შემოგვთავაზოს მოქნილი მექანიზმები განათლების მისაღებად (სააუდიტორიო, დისტანციური თუ შერეული ფორმატის), რათა მოსახერხებელი გახდეს სწავლა სხვადასხვა კატეგორიის მსმენელისთვის ადგილობრივ, სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო დონეზე. ამგვარი მიდგომა გულისხმობს ისეთი ახალი მეთოდების დანერგვას, რომლებიც სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებზეა მორგებული.

- სასწავლო პროცესში დაინერგოს სასწავლო კურსების და პროგრამების ფართო სპექტრი, რომელიც მორგებული იქნება სტუდენტის, საზოგადოების, შრომითი ბაზრის მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებთან.
- შემოგვთავაზოს სწავლა-სწავლების დინამიკური პრაქტიკა, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტის აქტიური თანამონაწილეობა. პერსონიზებული მიდგომების დანერგვა საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ მივუსადაგოთ სწავლება სტუდენტის მოთხოვნილებებს, არამედ შევქმნათ სტუდენტზე დაფუძნებული გარემო, რაც საშუალებას მოგვცემს სტუდენტი გახდეს ცოდნის არა მხოლოდ პასიური მიმღები, არამედ ცოდნის შემქმნელი.
- უსდ-მ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს ტრანსფერული კომპეტენციების შექმნაში. ეს პროცესი გულისხმობს დამსაქმებელთან კოორდინაციით შექმნილ სასწავლო კურიკულუმებსა და სასწავლო კურსებში განახლებადი სასწავლო მასალებისა და მეთოდების ინტეგრირებას.

როგორ უნდა შეძლოს უსდ-ებმა დასახული პრიორიტეტული მიზნების განხორციელება? როგორ უნდა განავითაროს სტუდენტის კრეატიულობა, სამეწარმეო უნარები, კომპიუტერული უნარები, სოციალური, სამოქალაქო, ენობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციები, კრიტიკული აზროვნება? ამ კონტექსტში რას შეიძლება ვუწოდოთ „კარგი“ სწავლება ან „საუკეთესო პედაგოგიური საქმიანობა?“

7.2. საუკეთესო თუ საინტერესო მაგალითი?

დღეს საგანმანათლებლო ტექსტებსა და დოკუმენტებში ხშირად იყენებენ ტერმინს „საუკეთესო მაგალითი.“ უმეტესად ეს მაგალითები მოცემულია ბიზნესის, მედიცინის და ზუსტი მეცნიერებების დარგებიდან. შეუძლებელია ზუსტი განმარტება, თუ რა არის „საუკეთესო მაგალითი.“ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შესაძლო ინტერპრეტაციები:

- სამუშაო მეთოდი ან სამუშაო მეთოდების კომპლექსი, რომელიც ოფიციალურად დაშვებულია და მიიჩნევა საუკეთესოდ კონკრეტულ ბიზნესსა თუ ინდუსტრიაში გამოსაყენებლად. როგორც წესი, აღწერილია დეტალურად და გაწერილია ფორმალურ დოკუმენტებში (კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონი).
- მეთოდი ან ტექნიკა, რომელმაც აჩვენა უპირატესი შედეგები სხვა მეთოდებთან შედარებით და მიიჩნევა სტანდარტად (ბიზნესის ონლაინლექსიკონი).
- არსებული სისტემის გაუმჯობესება (ბრაგი, 2013:1).

- შესაფერისი მეთოდების შერჩევა და სრული მასშტაბით გამოყენება თვალსაჩინო შედეგების მისაღებად პედაგოგიურ პროცესში (უში, 2003: 1).
- პრაქტიკა, რომელმაც მოგვცა თვალსაჩინო შედეგები კონკრეტულ სიტუაციაში და შესაძლებელია მისი ადაპტირება სხვა სიტუაციაშიც. (ოდელი და გრეისონი, 2007:13).

რადგანაც ტერმინს მრავალი და განსხვავებული დეფინიცია აქვს, შესაბამისი კონტექსტიდან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარს ამბობს ამ ტერმინის გამოყენებაზე (მათ შორის: დრუერი, მაკკორმაკი და მერი, 2013; რეი, ბერტა და კონი 2009; სიმონი 2011). მთავარი არგუმენტია, რომ ნებისმიერი მაგალითი (მათ შორის, საგანმანათლებლო მაგალითებიც) დაკავშირებულია კონტექსტთან და მასზე გავლენას ახდენს მრავალრიცხოვანი ცვლადები. მაგალითად, სტუდენტის სწავლის სტილი, გამოყენებული სასწავლო მეთოდები, ინსტიტუციური პოლიტიკა და/ან სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკა, წინარე სწავლების მეთოდები და ა.შ. გარდა ამისა, რაც მუშაობს კარგად ერთ საგანმანათლებლო კონტექსტში, შესაძლოა არ იმუშავოს სხვაგან.

STAR პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას ორი პარტნიორი ქვეყნის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს) უსდ-ებში ევროკავშირის პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებში (რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნის ამაღლებას და უნარების გამომუშავებას). პროექტის კონსორციუმმა შეაგროვა და გამოაქვეყნა ასეთი საგანმანათლებლო მაგალითები საილუსტრაციოდ. რადგანაც ჩვენი მიზანია გავამრავალფეროვნოთ მაგალითები და გავაუმჯობესოთ სწავლება ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით. საუკეთესო მაგალითების თავმოყრა გაგვიადვილებს ამ პროცესს. თუმცა, თითოეულ პარტნიორს შეუძლია აღნიშნული ჩათვალოს არა „საუკეთესო მაგალითებად,“ არამედ „საინტერესო მაგალითებად,“ რადგანაც თითოეულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელი მაგალითები მიაჩნია შესაფერისად დასაწერად ინსტიტუციური და სახელმწიფო რეგულაციების გათვალისწინებით.

7.3. რას გულისხმობს საინტერესო მაგალითები?

შეგროვებული საინტერესო მაგალითები უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებულ პრინციპებს და გამოხატავდეს STAR პროექტის კონსორციუმის წევრების

ღირებულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს საინტერესო მაგალითები.

საინტერესო მაგალითების ძირითადი მახასიათებლები გულისხმობს ისეთ მაგალითებს, რომლებიც:

- მოიცავს აქტიურ, ექსპერიმენტულ, პრობლემაზე დაფუძნებულ, სასწავლო პროცესისთვის პრაქტიკულ ნიმუშებს;
- საშუალებას აძლევს სტუდენტებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან აუდიტორიაში და მის მიღმა მოცემული დავალების შესრულების პროცესში;
- ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტის ავტონომიურობას, გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას, საკუთარი სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობის აღებას;
- უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების განსხვავებულ მიდგომას სწავლის პროცესისადმი, კოგნიტურ უნარებსა და კულტურულ თავისებურებებს;
- მასწავლებელი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ხელმძღვანელი, ფასილიტატორი და არა როგორც ცოდნის მიღების მთავარი წყარო;
- სტუდენტები ჩართული უნდა იყვნენ ისეთ აქტივობებში, რომლებიც გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებას, კრეატიულობას, კომპიუტერულ და/ან მეწარმეობის უნარებს;
- საშუალებას უნდა იძლეოდეს განავითაროს როგორც დარგობრივი, ასევე სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები.

ჩამოთვლილი ძირითადი მახასიათებლები ხელს უწყობს ეფექტური და პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტი იკავებს ცენტრალურ ადგილს და პატივს სცემენ შემდეგ პრინციპებს:

- არჩევანი - სტუდენტი არ არის პასიური შემსწავლელი. ის აქტიური ინდივიდია, რომელიც აკეთებს არჩევანს, იღებს გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებლობას საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგებზე. სტუდენტი განიხილება როგორც ახალგაზრდა პიროვნება, რომელსაც აქვს პოტენციური კრეატიულად გადაწყვიტოს პრობლემა, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, მიღწევები და იყოს აქტიური მოქალაქე.
- პასუხისმგებლობა - სტუდენტი იღებს პასუხისმგებლობას იმ აქტივობების შედეგებზე, რომლებსაც თავად შეარჩევს, იმ დავალებებზე, რომელთა შესრულებასაც გადაწყვეტს, იმ მიზნებზე, რომლებსაც დაისახავს, საკუთარი ნაშრომის თვითშეფასებასა და სხვების ნაშრომის კრიტიკულ შეფასებაზე.

- გამოხატვა - რა სახით შეუძლიათ ახალგაზრდებს გაგვიზიარონ საკუთარი იდეები, შეგრძნებები, ფიქრები, შეხედულებები და შექმნილი ცოდნა (მაგ., პოსტერები, შესრულებული პროექტი, თხზულება, თეატრალური წარმოდგენა, მხატვრობა და ა.შ.).
- საზოგადოება - თანამშრომლობა და ერთობლივი ნაშრომი არის თანამედროვე სწავლა-სწავლების პარადიგმის მთავარი პრინციპი. სტუდენტებმა თანამშრომლობის საფუძველზე უნდა შექმნან ერთობლივი პროდუქტი. მათ უნდა შეძლონ იდეების გაცვლა, განსხვავებული მსოფლმხედველობის მიღება, პასუხისმგებლობის განაწილება მუშაობის პროცესში და მიღებული შედეგების მიმართ, მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა ინტერაქციულ მოდელებში, გამოიყენონ ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების სხვადასხვა წყაროები.
- მრავალფეროვნება - თანამედროვე ახალგაზრდებს მოეთხოვებათ ფლობდნენ აუცილებელ უნარებსა და კომპეტენციებს, ღიად გამოხატონ საკუთარი იდენტობა და გახდნენ ჰეტეროგენული საზოგადოებების სრულფასოვანი წევრები.
- ტექნოლოგიები - თანამედროვე სტუდენტის მოთხოვნილებაა კომპიუტერული ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება სწავლების პროცესსა და სასწავლო მასალებთან მიმართებით.

(გამოყენებული ლიტერატურა: დანიელსი და ბიზარი, 2005)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, STAR პროექტის გუნდი შემდეგნაირად აყალიბებს საინტერესო მაგალითის დეფინიციას:

საინტერესო პრაქტიკა - სწავლების მაგალითები, რომლებიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის უსდ სასწავლო კურსებსა და კურიკულუმებში იმპლემენტაციის ილუსტრირებას. სწავლების პრაქტიკული მაგალითები წარმოადგენს საფუძველს უსდ-ის ადმინისტრაციისთვის გააუმჯობესოს გარემო და დანერგოს ახალი მიდგომები საჭიროებების, მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

7.4. პროექტის ფარგლებში შეგროვებული საინტერესო პრაქტიკის მაგალითები

7. 4.1. საინტერესო პრაქტიკის მაგალითები პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში

წარმომდგენი: მარტა მოტელსონი
 პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტი: კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კოლეჯი (დანია)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების საინტერესო პრაქტიკის მაგალითი N 1

ნაწილი ა. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკის შესახებ	
საინტერესო პრაქტიკის სათაური	საველე მეთოდი
განხორციელდა მოდულში	მასწავლებლის სატრენინგო პროგრამა სასწავლო კურსი: მშობლიური ენა, კომუნიკაცია და ლიტერატურა მოდული: პროზა
სასწავლო კურსის ტიპი	სააუდიტორიო კურსი
უნივერსიტეტი	კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კოლეჯი
მონაწილე პედაგოგთა ჯგუფი	დანიური ენა, ლიტერატურა და კომუნიკაცია

ნაწილი ბ. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტების ასაკობრივი ჯგუფი</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input checked="" type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>საგანმანათლებლო დონე</p> <p><input type="checkbox"/> მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსი</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ბაკალავრიატი</p> <p><input type="checkbox"/> მაგისტრატურა</p> <p><input type="checkbox"/> დოქტურანტურა</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)</p>
---------------	--

ნაწილი გ. აუცილებელი უნარები კურსის გასავლელად	
ზოგადი უნარები და კომპეტენციები	<p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე</p> <p><input type="checkbox"/> კომპიუტერული უნარები</p> <p><input type="checkbox"/> სწავლის უნარი</p> <p><input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> სამეწარმეო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> კულტურული კონტექსტი და ინტერკულტურული კომუნიკაცია</p>
დარგობრივი უნარები	<p><input checked="" type="checkbox"/> ენა და ლიტერატურა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> დიდაქტიკა და ლიტერატურის სწავლების უნარები</p>

ნაწილი დ. კონკრეტული ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკის შესახებ	
მოდულის თემა	ლიტერატურის სწავლება
ხანგრძლივობა:	4 გაკვეთილი

<p>მოდულის მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტს განუვითაროს დაგეგმვის, დანერგვისა და შეფასების უნარები ლიტერატურის სწავლებაში სავსე კითხვის მეთოდის გამოყენებისას; • განავითაროს სტუდენტის უნარი, ჩართონ გაკვეთილის გეგმაში ღია ცის ქვეშ ლოკაცია.
<p>მიზნები და შედეგები</p>	<p>მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გააცნობიეროს სწავლების ფორმა, რომელშიც, აუდიტორიის გარდა, გამოყენებულია სხვა ლოკაციაც. • დაგეგმოს და განახორციელოს სწავლება, რომელშიც შერწყმულია ტექსტი და ლოკაცია.
<p>ძირითადი უნარები</p>	<p>ექსპერიმენტის უნარი, გადაწყვეტილებების მიღების უნარი, კვლევის უნარი, პროფესიის სწავლა/სწავლების უნარები</p>
<p>გამოყენებული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება</p> <p><input type="checkbox"/> აღმოჩენითი სწავლება</p> <p><input type="checkbox"/> დავალებაზე დაფუძნებული სწავლება</p> <p><input type="checkbox"/> ჯგუფური, თვითგეგმიური და პროექტზე დაფუძნებული სწავლება</p> <p><input type="checkbox"/> ექსპერიმენტზე დაფუძნებული სწავლება</p> <p><input type="checkbox"/> ექსპერტული შეფასება და სასწავლო კონტრაქტი</p>
<p>გამოყენებული მასალები/ტექნიკა/დამატებითი მასალა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჯასპერ ვუნ სანგი: კოპიერნი (რომანი, 2011) • ონლაინ პლატფორმა Padlet და ტელეფონი • ღია ცის ქვეშ ლოკაცია
<p>ინტერკურიკულუმი</p>	<p>PADLET.COM</p>
<p>წინასწარი დავალება</p>	<ul style="list-style-type: none"> • წაიკითხეთ რომანი; • დარეგისტრირდით და შექმენით საკუთარი ანგარიში PADLET.COM-ზე, შექმენით QR კოდი (ინსტრუქცია იხ. padlet.com.)

შესაძლო სირთულეები და გადაწყვეტილება	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტს სჭირდება წვდომა Padlet პლატფორმაზე. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სმარტფონები. • QR კოდის სკანირება აუცილებელია. სტუდენტების უმეტესობას აქვს ეს პარამეტრი ტელეფონში. სტუდენტს, რომელსაც არ აქვს სმარტფონი, შეუძლია იმუშაოს სხვა სტუდენტთან ერთად. • შესაძლოა ხელი შეგიშალოთ ამინდმა. დაგეგმეთ გაკვეთილი შესაფერის ამინდში.
--------------------------------------	--

საინტერესო პრაქტიკის იმპლემენტაციის გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურა	მიზანი (მიზნები)	ინტერაქციის მოდელები
1.	ყინულის გაღობის ტექნიკა	დისკუსია ჯგუფში რომანისა და საველე კითხვის მეთოდის შესახებ	<ul style="list-style-type: none"> • რომანის გააზრება • საველე კითხვის მეთოდის გააზრება 	მეთოდისა და რომანის პრეზენტაცია, ჯგუფური დისკუსია
2.	მოთხოვნები	სტუდენტების ჯგუფებს განაწილებული აქვთ რომანის სხვადასხვა ნაწილები. მათი ამოცანაა დაგეგმონ სასწავლო აქტივობა შერჩეულ ლოკაციაზე. Padlet პლატფორმა გამოყენებულ უნდა იქნეს ჯგუფის მიერ დაგეგმილი აქტივობის	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლობა ისეთი აქტივობის დასაგეგმად, რომელიც მოიცავს ტექსტს და ადგილს. 	

		დროს. თითოეული აქტივობა უნდა გაგრძელდეს 15 წუთი.		
3.	განხორციელება	თითოეული ჯგუფი ახორციელებს თავის დაგეგმილ აქტივობას შერჩეულ ლოკაციაზე. დანარჩენი სტუდენტები მათი სამიზნე ჯგუფის ფუნქციას ასრულებენ.	<ul style="list-style-type: none"> განავითაროს სტუდენტის უნარები, დაგეგმოს ისეთი აქტივობა, რომელიც უნდა განხორციელდეს გარკვეულ ლოკაციაზე Padlet პლატფორმის გამოყენებით. განავითაროს სტუდენტის უნარი, აქტივობაში ჩართოს და უხელმძღვანელოს სხვა სტუდენტებს. 	ჯგუფი ასწავლის დანარჩენ სტუდენტებს
4.	დასკვნები	შედეგების შეჯამება და შეფასება. აქტივობის რა ნაწილი იყო კარგად შესრულებული?	<ul style="list-style-type: none"> განავითაროს სტუდენტის უნარები, გააანალიზოს სწავლებისა და სწავლის შედეგები შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით. 	შეჯამება და დისკუსია აუდიტორიაში



მოდულის ეტაპების აღწერა

მოდულის მიზანია, სტუდენტებმა განავითარონ თავიანთი უნარები, დაგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ სასწავლო აქტივობები წერილობით და

მოახდინონ კლასგარეშე აქტივობების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მათ უნდა წაიკითხონ თხზულება დაკვირვებით, შეარჩიონ რელევანტური იდეები გაკვეთილისთვის და განახორციელონ პრაქტიკაში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საკლასო დისკუსია თხზულების შესახებ და ლოკაციაზე მისი განხორციელების სირთულეების განხილვა. ნაკლებად დახელოვნებული ჯგუფებისთვის მოტივაციის მიმცემი იქნება ის, რომ მოუსმინონ სხვა სტუდენტების მსჯელობას. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებმა გაითავისონ Padlet პლატფორმის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შესავალი და წარმოადგინოს მაგალითები Padlet პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე მკაფიოდ განმარტოს, როგორ მოხდება შეფასება.

სტუდენტების აქტივობისათვის მომზადებისას საკმარისად დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ მათ შეძლონ და იპოვონ ნოველის შესაბამისი ნაწილები. მათ უნდა იმუშაონ და აღმოაჩინონ მნიშვნელოვანი ნაწილი მოცემული სექციიდან და სავლელ გამოცდილებას შეუსაბამონ. ამ ფაზაში სტუდენტებს მნიშვნელოვანი დახმარება ესაჭიროებათ, რათა გამოგონილი ტექსტი ხელშესახებ და კოგნიტურ გამოცდილებად გადააქციონ.

სტუდენტების სასწავლო აქტივობების განხორციელებისას, სწორედ ისინი არიან ცენტრალური ფიგურები. ადგილების თანმიმდევრობა უნდა ემთხვეოდეს ნოველაში აღწერილს, რათა მოხდეს გამოცდილებისა და თავდაპირველი წაკითხულის თანხვედრა. Padlet გამოდის წერითი სავარჯიშოების, სურათებისა და საკითხავების ინიციატივით. მასწავლებელი ინიშნავს დროს, რათა მოხდეს 15-წუთიანი ლიმიტის დაცვა პრეზენტაციებს შორის და შეინარჩუნოს საკმარისი დრო გადასაადგილებლად.

შეფასებას საუკეთესო შედეგი აქვს პრეზენტაციების შემდეგ საკლასო დისკუსიისას. რომელი აქტივობები იყო უკეთესი ტექსტისა და აგილმდებარეობის თანხვედრაში მოსაყვანად? Padlet შეიძლება იყოს ნაჩვენები კიდევ ერთხელ, რათა შეახსენოს მონაწილეებს გამოცდილების შესახებ.

მოდულში გამოყენებული რესურსები

http://www.videnomlaesning.dk/media/2017/20_pernille-damm-monsted-pjedsted.pdf

<https://padlet.com>

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების საინტერესო პრაქტიკის მაგალითი N 2

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე

საინტერესო პრაქტიკის სახელწოდება	სტუდენტთა მიერ ერთმანეთისთვის უკუკავშირის ორგანიზება
მოდული	მასწავლებელთა მომზადების პროგრამა კურსი: მათემატიკის სწავლება დაწყებით სკოლაში მოდული 1
კურსის სახეობა	პირისპირი
უნივერსიტეტი	კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კოლეჯი
მონაწილე	მათემატიკის გუნდი

ნაწილი B. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი: <input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input checked="" type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების საფეხური: <input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური) <input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი) <input type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა) <input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა) <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დაასახელეთ)</p>
----------------------	---

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები

გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე <input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე <input checked="" type="checkbox"/> მათემატიკური კომპეტენციები, კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში <input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები <input type="checkbox"/> სწავლის სწავლა <input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები <input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები <input type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია
---	---

საგნისთვის დამახასიათებელი	<input checked="" type="checkbox"/> მათემატიკის დიდაქტიკა <input checked="" type="checkbox"/> უკუკავშირი თანატოლებისთვის
საგნისთვის დამახასიათებელი უნარები	<input checked="" type="checkbox"/> პრობლემის გადაჭრის უნარები <input checked="" type="checkbox"/> მოდელირების უნარები <input checked="" type="checkbox"/> სიმბოლოთა გამოყენების უნარები <input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაციის უნარები <input checked="" type="checkbox"/> სასწავლო მასალის ცოდნა <input checked="" type="checkbox"/> გონივრული აზროვნების უნარები <input checked="" type="checkbox"/> რეპრეზენტაციის უნარები

ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია

მოდულის თემა	როგორ არის წარმოდგენილი მათემატიკური უნარები მათემატიკის სწავლებაში
ხანგრძლივობა	8 გაკვეთილი
მოდულის მიზნები	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება მათემატიკურ დიდაქტიკაში; • სტუდენტთა უნარების წახალისება სასწავლო ჯგუფებში თანამშრომლობისთვის; • სტუდენტთა უნარების განვითარება თანატოლთათვის კონსტრუქციული უკუკავშირისთვის.
მიზნები (შედეგები)	მოდულის ბოლოს სტუდენტი შეძლებს: <ul style="list-style-type: none"> • გაიგოს მათემატიკის დიდაქტიკის საკითხები და პრობლემები; • აჩვენოს გამოცდილება თანამშრომლობისას; • აჩვენოს გამოცდილება რთულ თემებზე უკუკავშირისა და წარდგენის;
ძირითადი უნარები	<ul style="list-style-type: none"> • დიდაქტიკური უნარები • თანამშრომლობითი უნარები • უკუკავშირის უნარები

<p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა ☒ • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა ☐ • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა ☐ • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა ☐ • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა ☐ • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები ☐
<p>მასალები/ დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სახელმძღვანელო წიგნების მასალები; • მათემატიკის სასწავლო პრაქტიკული მასალა; • მათემატიკის სხვა სასწავლო მასალები.
<p>კურიკულუმებს შორის კავშირი</p>	<p>-</p>
<p>მომზადება</p>	<ul style="list-style-type: none"> • სილაბუსიდან საჭირო თემების არჩევა; • განსავითარებელი მათემატიკური უნარების თანმიმდევრობის შემუშავება; • როტაციის გეგმის შედგენა; • პრეზენტაციისა და უკუკავშირის სპეციფიკა.
<p>შესაძლო პრობლემები და მათი მოგვარების გზები</p>	<ul style="list-style-type: none"> • თუკი სტუდენტები სათანადოდ ვერ იგებენ მათი პრეზენტაციის მოთხოვნებს, მათ შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი დახმარება და რჩევები მასწავლებლისგან დაგეგმვის პროცესში; • თუკი სტუდენტები ვერ შეძლებენ კვალიფიციურ უკუკავშირს, როდესაც ჯგუფები აძლევენ უკუკავშირს, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, რომ საჭიროების შემთხვევაში იყოს აქტიური დამატებითი მასალის მიწოდებაში, რათა უზრუნველყოს ისეთი უკუკავშირი, რომელიც სათანადოდ შეეხება ყველა საკითხს.

საინტერესო პრაქტიკის მოდულის განხორციელების გეგმა

N	ფაზა/დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
1.	გამოწვევის ფაზა	მასწავლებელი წარმოადგენს საკითხების ცხრილს და თითოეულ ჯგუფს აძლევს თითო საკითხს. წარმოადგენს და განიხილავს პრეზენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომელზეც თითოეული ჯგუფი იქნება პასუხისმგებელი.	გააცნოს სტუდენტებს გეგმა და დარწმუნდეს, რომ ჯგუფები გაიგებენ დავალებას.	<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელი • პრეზენტაცია • მაგალითები • დისკუსიები კლასში • სავარჯიშოები
2.	ჯგუფური მუშაობა	სტუდენტები ამზადებენ საცდელ გაკვეთილს, რომელზეც მათ გამოუმუშავებენ მათემატიკურ უნარს.	უზრუნველყოს შესაძლებლობები სტუდენტებისთვის, რათა მათ აკონტროლონ, თუ როგორ შეიძლება მათემატიკური უნარის ტრანსფორმირება აქტივობებში, პრობლემებში, მაგალითებსა და სავარჯიშოებში, როდესაც გაკვეთილის თემა დაგეგმილია დაწყებითი კლასის სწავლებისთვის.	ჯგუფში მუშაობა მასწავლებლის დახმარებით
3.	გეგმის მიხედვით შედგენილი პრეზენტაციები	თითოეული წარმდგენი ჯგუფისთვის გამოყოფილია სხვა ჯგუფი უკუკავშირისთვის.	<ul style="list-style-type: none"> • წარმდგენი ჯგუფი სწავლობს თავიანთი მომზადებიდან და სწავლებიდან; • უკუკავშირის ჯგუფი უკეთ იცნობს 	პრეზენტაცია და უკუკავშირი

			შესაფასებელ სამ სფეროს.	
4.	შეჯამება	მთლიანი საკითხის კლასზე დაფუძნებული შეფასება	მეტასწავლების უზრუნველყოფისთვის, სტუდენტებს სჭირდებათ დისკუსიასა და რეფლექსიაში ჩართვა თავიანთ სასწავლო შედეგთან დაკავშირებით მოცემულ თავში.	შეფასების სხვადასხვა მეთოდი შესაძლოა დაიდოს სამუშაოდ. ჩვენ ვიყენებდით პატარა ჯგუფის დისკუსიებს საერთო კრიტერიუმების გამოყენებით, რომელსაც მოჰყვება კლასში გამართული დისკუსიები.

მოდულის საფეხურების აღწერა

ჩვენ გვყავდა 7 სასწავლო ჯგუფი და, შესაბამისად, ავირჩიეთ შემდეგი 7 უნარი:

1. პრობლემის გადაჭრის უნარები;
2. მოდელირების უნარები;
3. სიმბოლოთა გამოყენების უნარები;
4. კომუნიკაციის უნარები;
5. სასწავლო მასალის ცოდნა;
6. გონივრული აზროვნების უნარები;
7. რეპრეზენტაციის უნარები.

როდესაც პირველმა ჯგუფი გააკეთა პრეზენტაცია, მეორე ჯგუფმა მათ მისცა უკუკავშირი, მეორე ჯგუფმა მიიღო უკუკავშირი მესამე ჯგუფისგან და ა.შ.

უკუკავშირი, სავარაუდოდ, მოიცავს სამ სფეროს.

1. საცდელ გაკვეთილში მოცემული მათემატიკური უნარის აღწერა:
 - არის მათემატიკური უნარი ნათლად წარმოდგენილი გაკვეთილში?
 - უნარი დაკავშირებულია თუ არა სათანადოდ საშუალო სკოლის მათემატიკის საგანთან?
 - გათვალისწინებულია თუ არა საშუალო სკოლის სილაბუსში მოცემული შესაბამისი მიზნები?

2. საცდელი გაკვეთილი:

- სწავლებისა და სწავლის აქტივობები ასახავს უნარებს?
- არის თუ არა გაკვეთილი შერჩეული საფეხურის შესაბამისი?
- არის თუ არა აქტივობები კარგად წარმოდგენილი და სტრუქტურირებული?
- ჩანდა თუ არა უნარი ამოქმედებული გაკვეთილზე?
- გაკვეთილი შეჯამებულია სათანადოდ?

3. პრეზენტაცია, როგორც ერთი მთლიანი:

- არის პრეზენტაცია თანმიმდევრული?
- თქვენ, როგორც მონაწილე, გაეცანით თუ არა უნარს?
- პრეზენტაციის წარმდგენმა ჯგუფმა მისცა თუ არა კარგი რჩევა ჯგუფს შემდეგი პრეზენტაციისთვის?

რის მიღწევას ვცდილობთ ამ თავში?

სტუდენტებს შეუძლიათ:

- მათემატიკური უნარების დახასიათება და მათი დაკავშირება დაწყებით სკოლაში მათემატიკის სწავლებასთან;
- დაგეგმონ და განახორციელონ სწავლების აქტივობები დაწყებითი სკოლის მათემატიკისთვის, რომელიც მოიცავს მოცემულ უნარს;
- წარმოადგინონ მათემატიკის დიდაქტიკური თემები და აქტივობები თავინთი თანატოლებისთვის;
- მისცენ უკუკავშირი მახასიათებლებთან, აქტივობებსა და პრეზენტაციასთან დაკავშირებით დამახასიათებელი კრიტერიუმების გამოყენებით.

რატომ ავირჩიეთ ეს მეთოდი?

მეთოდი უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა მისცეს და მიიღოს უკუკავშირი.

მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს ჯგუფებისთვის რელევანტური დავალებების მიცემას.

პოტენციურად ეს მეთოდი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა მიიღოს პრაქტიკა:

- ცენტრალური დიდაქტიკური თემების პრეზენტაციაზე;
- სწავლებისა და სწავლის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ უნარებს;

- თეორიასა (სპეციფიკური უნარები) და პრაქტიკას (აქტივობები) შორის კავშირის განხილვაზე;
- უკუკავშირის შესრულებაზე ზუსტი კრიტერიუმების საფუძველზე.

7. 4.2. საინტერესო პრაქტიკის მაგალითები დავალებაზე დაფუძნებულ სწავლებაში

მომზადა: | ტერეზა პესოა
 პროექტის პარტნიორი | კოიმბრას უნივერსიტეტი (პორტუგალია)
 უნივერსიტეტი:

საინტერესო პრაქტიკის მაგალითი დავალებაზე დაფუძნებულ სწავლებაზე N1

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე	
საინტერესო პრაქტიკის სახელწოდება	შემთხვევაზე (ე.წ. ქეისზე) დაფუძნებული სწავლა
მოდული	რეფლექტური თეორიები და პრაქტიკები განათლებაში
კურსის სახეობა	პირისპირი
უნივერსიტეტი	კოიმბრას უნივერსიტეტი
მონაწილე პედაგოგთა გუნდი	ტერეზა პესოა

ნაწილი B. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input checked="" type="checkbox"/> 35 – 44 <input checked="" type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების საფეხური:</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დაასახელოთ)</p>
---------------	--

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები

გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე</p> <p><input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> სწავლის სწავლა</p> <p><input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია</p>
----------------------------------	--

ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია

მოდულის თემები	<p>განათლება, სწავლება და სწავლა - ზოგადი ჩარჩო</p> <ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელთა რეფლექტური განათლება - კონცეპციები და პრაქტიკები; • სწავლა, როგორც ცოდნის აგების პროცესი; • სტრატეგიები რეფლექტური სწავლებისთვის; • შემთხვევების (ქეისების), ამბებისა და ნარატივების აგება; • პორტფოლიოები, ავტობიოგრაფიები, ბლოგები, ჟურნალები, ქეისები
----------------	--

ხანგრძლივობა:	ერთი სემესტრი 30 საათი
მოდულის მიზნები	სასწავლო პროგრამის ეს თავი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ის კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა სწავლების პროცესის შემუშავებისთვის, განვითარებისა და შეფასებისთვის. ეს კი განხორციელდება პრაქტიკაზე და პრაქტიკის შესახებ რეფლექსიით, რომელიც დაკავშირებულია სკოლის ცხოვრებასთან.
მიზნები (შედეგები)	<p>მოდულის ბოლოს სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეფლექტური და ნარატიული მოდელების სპეციფიკური მახასიათებლების დადგენას; • რეფლექტური სტრატეგიების გამოყენებას; • რეფლექტურ სტრატეგიებზე დაფუძნებული გაკვეთილის შემუშავებას.
ძირითადი უნარები	<p>ფიქრის სწავლა</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის კრიტიკული კითხვა; • კრიტიკული აზროვნება; • ანალიტიკური უნარები.

<p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • დავალებაზე/ქეისზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>
--	--

მასალები/დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა	შემთხვევის (ქეისის) ანალიზი გამოიყენება მაშინ, როდესაც ის არის გამიზნული იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს კონტექსტური პრობლემების გააზრებასა და ანალიზს რეალურ ან სიმულაციურ სიტუაციებში. მას შეუძლია ინტეგრირება ინდივიდუალური სწავლისა და შემთხვევის კოლაბორაციული ანალიზის, ისევე როგორც მასწავლებლის დაკვირვების ქვეშ მიღებული ცოდნის გაზიარება.
კურიკულუმებს შორის კავშირი	აქტიური მეთოდები
მომზადება	<ul style="list-style-type: none"> • ქეისების წიგნი • თემატური ქეისები
შესაძლო პრობლემები და მათი მოგვარების გზები	<ul style="list-style-type: none"> • ჩვეულებრივ, კლასში ქეისებით მუშაობა მიღებულია, როდესაც გარემოება ამას ხელს უწყობს.

საინტერესო პრაქტიკის მოდულის განხორციელების გეგმა

No	ეტაპი/ დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
1.	გამოწვევის ფაზა	მასწავლებელი ხსნის, თუ რა არის ქეისი და საუბრობს მათი პედაგოგიური გამოყენების მნიშვნელობაზე. ნიმუშად მოჰყავს ეგზიუპერის „პატარა უფლისწულიდან“ მელიის შემთხვევა.	<ul style="list-style-type: none"> • ახალი თემის შემოღება 	მასწავლებელი-სტუდენტები

2.	მეორე ეტაპი	მასწავლებელი ირჩევს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ქეისს	<ul style="list-style-type: none"> სტუდენტებს გააცნოს კონტექსტური სწავლა 	მასწავლებელი-სტუდენტები
3.	მესამე ეტაპი	მასწავლებელი ქმნის შესაძლებლობას ინდივიდუალური სწავლისთვის	<ul style="list-style-type: none"> კითხვის უნარების განვითარება და ფიქრის სწავლა 	სტუდენტი
4.	მეოთხე ეტაპი	გუნდური მუშაობა - შესაძლებელია მოეწყოს ქეისის ჯგუფური ანალიზის (4-6 საგანი) ორგანიზება და დაგეგმვა.	<ul style="list-style-type: none"> განავითაროს სტუდენტთა უნარები ქეისების კრიტიკული ანალიზისთვის. 	სტუდენტი-სტუდენტები
5.	მეხუთე ეტაპი	მეთვალყურეობის ქვეშ განხორციელებული ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> ყურადღებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება 	სტუდენტი-სტუდენტი
6.	მეექვსე ეტაპი	წერილობითი რეზიუმეები	<ul style="list-style-type: none"> სინთეზირების უნარების განვითარება 	სტუდენტი-სტუდენტი

მოდულის საფეხურების აღწერა

შემთხვევის ანალიზი გამოიყენება, რათა ხელი შეუწყოს გააზრებასა და ანალიზს, კონტექსტური პრობლემების რეალურ და სიმულაციურ სიტუაციებში. *მას შეუძლია ინტეგრირება ინდივიდუალური სწავლისა და შემთხვევის კოლაბორაციული ანალიზის, ისევე როგორც მასწავლებლის დაკვირვების ქვეშ მიღებული ცოდნის გაზიარება.*

1 - გამოწვევის ფაზა - მასწავლებელი ხსნის, თუ რა არის შემთხვევა (ქეისი) და საუბრობს მათი პედაგოგიური გამოყენების მნიშვნელობაზე. ნიმუშად მოჰყავს ეგზიუპერის „პატარა უფლისწულიდან“ მელიის შემთხვევა. მასწავლებელი თემას აანალიზებს ფილოსოფიის, ლიტერატურის, მშობლიური ენისა და სხვადასხვა მეცნიერებების გათვალისწინებით.

2 - მასწავლებელი ირჩევს მნიშვნელოვან შემთხვევას (ეს არის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია შესასწავლ საგანთან).

- 3 - მასწავლებელი ქმნის შესაძლებლობას ინდივიდუალური სწავლისთვის;
- 4 - **გუნდური მუშაობა** - შესაძლებელია შემთხვევის (ქეისის) ჯგუფური ანალიზის (4-6 საგანი) ორგანიზება და დაგეგმვა. სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა როლი: მკითხველი, შუამავალი, რეპორტიორი.
- 5 - ეს კოლაბორაციული სწავლა შესაძლოა მიმდინარეობდეს ამ მიზნით შექმნილი დოკუმენტების გამოყენებით.
- 6 - შესრულებული საქმის წერილობითი რეზიუმეები;
- 7 - საბოლოოდ, მასწავლებელი და თანატოლები ერთად აზიარებენ და განიხილავენ რეფლექსიას.
- 8 - საბოლოო ანგარიში უნდა შემუშავდეს შემთხვევაზე სხვადასხვა კომენტარებით.

გაიგეთ უფრო მეტი: <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042814014633>

მოდულში გამოყენებული მასალა

- Beattie, M. (2000). Narratives of professional learning: Becoming a teacher and learning to teach. *Journal of Educational Inquiry*, 1 (2), 1-23.
- Colbert, J.A.; DESBERG, P., & TRIMBLE, K. (Eds) (1996). *The case for education: Contemporary approaches for using case methods*. Boston: Allyn and Bacon
- Fauske, J. R. (2000). Linguistic and instructional precision in teaching with cases and problems *The Journal of Cases in Educational Leadership*, 3 (2), 1-7 (<http://www.ucea.org/cases/V3-Iss2/precision.pdf>)
- Flynn, A., & Klein J. (2001). The influence of discussion groups in a case-based learning environment. *Educational Technology Research & Development*, 49 (3) გვ.71-86
- Harvard Kennedy School Teaching with Cases *Teaching* <https://case.hks.harvard.edu/teaching-with-cases/>
- Herreid, C.F. (1997a). What is a case? Bringing to science education the established teaching tool of law and medicine. ნახვის დრო ივნისი 28, 2012 from <http://sciencecases.lib.buffalo.edu/cs/pdfs/What%20is%20a%20Case-XXVII-2.pdf>.
- Herreid, C.F. (1997b). What makes a good case? Some basic rules of good storytelling help teachers generate excitement in class. ნახვის დრო: ივნისი 28, 2012 from <http://sciencecases.lib.buffalo.edu/cs/pdfs/What%20Makes%20a%20Good%20Case-XXVII-3.pdf>.
- Hoag, A., Brickley, D., & Cawley, J. (2001). Media management education and the case method. *Journalism and Mass Communication Educator*, 55 (4), გვ. 49-59.

Lombardi, M.M. (2007). Authentic learning for the 21st century: An overview. In Diana G. Oblinger (Ed.). *Educause learning initiative*. ნახვის დრო on December 4, 2007 from <http://www.educause.edu/ir/library/pdf/ELI3009.pdf>.

McNair, M.P. (1954). (Ed.) *The case method at the Harvard business school*. New York: McGraw-Hill.

Shulman, L. S. (1992). "Toward a pedagogy of cases." In J. H. Shulman (Ed.), *Case methods in teacher education*. New York: Teachers College Press. (<http://blogs.shu.edu/marsh/files/Chapter%25201.pdf>)

დავალებაზე დაფუძნებული სწავლების საინტერესო პრაქტიკის მაგალითი N2

მომზადდა:

ცვეტელინა ჰარაქისკა

პროექტის პარტნიორი
უნივერსიტეტი:

რუსეს ანგელ კანჩევის უნივერსიტეტი
(ბულგარეთი)

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე

საინტერესო პრაქტიკის სახელწოდება	დავალებაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება სტუდენტთათვის ინტერკულტურული კომპეტენციების სწავლებისას
მოდული	ინტერკულტურული კომპეტენცია და ინტერკულტურული განათლება
კურსის სახეობა	პირისპირი
უნივერსიტეტი	რუსეს უნივერსიტეტი
მონაწილე პედაგოგთა გუნდი	ცვეტელინა ჰარაქისკა

ნაწილი B. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი</p> <p><input type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების საფეხური:</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დაასახელოთ):</p>
---------------	---

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები	
გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე</p> <p><input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სწავლის სწავლა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია</p>

საგნისთვის
დამახასიათებელი
უნარები და
კომპეტენციები

- **ცოდნა:**
 - დეკლარაციული და პროცედურული ცოდნა;
 - კულტურისთვის დამახასიათებელი ცოდნა - კულტურის შესახებ არსებული ძირითადი ინფორმაციის ანალიზი (მაგალითად, ღირებულებები, რწმენა-წარმოდგენები, პრაქტიკა, კომუნიკაციის სტილი და ა.შ.).
- **კულტურული ცნობიერება;**
- **შესაძლებლობა, რომ**
 - შეაფასო კრიტიკულად საკუთარი და სამიზნე კულტურა მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და პერსპექტივების გამოყენებით;
 - იმოქმედო ახალი ცოდნით და შეიძინო ახალი ცოდნა კულტურაზე;
 - წარმოიდგინო საკუთარი თავი სხვების ადგილას.

საგნისთვის დამახასიათებელი უნარები:

- უნარი, რომ შეადარო, შეუპირისპირო და ჩამოაყალიბო კავშირები საკუთარ და სამიზნე კულტურის ფენომენსა და პრაქტიკებს შორის;
- უნარი, რომ გამოიყენო ადეკვატური დისკურსის სტრატეგიები სხვა კულტურის წევრებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის;
- უნარი, რომ იმოქმედო, როგორც მედიატორმა საკუთარ და სამიზნე კულტურას შორის და მოახდინო კონფლიქტებისას შესაძლო გაუგებრობების პრევენცია;

დამოკიდებულებები:

- გულღიაობა;
- ტოლერანტობა;
- პატივისცემა განსხვავებულისადმი.

ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია

<p>მოდულის თემები</p>	<p>გონიერი ხელმძღვანელი</p>
<p>ხანგრძლივობა</p>	<p>120 წუთი (3 თანმიმდევრული გაკვეთილი, თითოეული 45 წუთი)</p>
<p>მოდულის მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაზარდოს სტუდენტთა ცნობიერება ენის მნიშვნელობაზე ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში; • ჩამოაყალიბოს კავშირი ძალაუფლებასა და დისკურსს შორის ინტერკულტურული კომუნიკაციისას; • განავითაროს სტუდენტთა უნარი ტექსტის კრიტიკული კითხვისა და თარგმნის, ინტერპრეტირების.
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოს სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოიცნონ, თუ როგორ არის სოციალური ძალაუფლება და დომინანტობა ასახული ენაში; • დაადგინონ, როგორ ახდენს გავლენას ენაზე სტერეოტიპები და სხვების წინასწარი მოსაზრებები, განსხვავებულობა და მიჰყავს სირთულეებამდე ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში; • წაიკითხონ კრიტიკულად ტექსტები და გააანალიზონ ის ენა, რომელიც გამოიყენება, როგორც დამხმარე ან ხელისშემშლელი საშუალება ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში.
<p>ძირითადი უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტების კრიტიკული კითხვა; • კრიტიკული აზროვნება; • ანალიტიკური უნარები; • ჯგუფში მუშაობის უნარები • დამოუკიდებელი სწავლის უნარები; • თვითშეფასება და თანატოლთა მუშაობის შეფასება.

<p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>
<p>მასალები/ დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჰოლიდი, კულმანი და ჰაიდი (2016). <i>ინტერკულტურული კომუნიკაცია: მაღალი დონის რესურსების წიგნი სტუდენტთათვის.</i> ტეილორი და ფრენსისი– მაგალითი A2.3.1. გავიგოთ ხელმძღვანელი, გვ. 34-35. • სასწავლო მასალა 1 – გონიერი ხელმძღვანელი; • სასწავლო მასალა 2 – ჯერემის ქცევისა და ჯაბუს რეაქციების მაჩვენებელი ცხრილი; • სასწავლო მასალა 3 – ჯერემის ენისა და ჯაბუს გრძნობების მაჩვენებელი ცხრილი (შესაძლებელია ფლიფჩარტის გამოყენება).
<p>კურიკულუმებს შორის კავშირი</p>	<p>ინგლისურის სწავლების მეთოდები</p>
<p>მომზადება</p>	<ul style="list-style-type: none"> • თითოეული სტუდენტისთვის სასწავლო მასალა 1-ის ასლების დამზადება - ჯამში 16 ფოტოასლები; • სასწავლო მასალა 2-ის ასლების დამზადება- ჯამში 8, წყვილში მუშაობისთვის; • სასწავლო მასალა 2-ის ამოჭრა, რათა სტუდენტებს აქტივობის სხვადასხვა ნაწილი ჰქონდეთ - 1 სტუდენტ A-სთვის და ერთი სტუდენტ B-სთვის; • სასწავლო მასალა 3-ის ფოტოასლების დამზადება A3 ფორმატის ქაღალდზე - 2 ფოტოასლები (თითოეული ჯგუფისთვის ერთი).

შესაძლო პრობლემები და მათი მოგვარების გზები	<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელს ავიწყდება სასწავლო მასალები - მასწავლებელი იყენებს პროექტორს და წარმოადგენს სასწავლო მასალა 1-ს. მასწავლებელი ხაზავს სასწავლო მასალა 2-ის ცხრილს დაფაზე, მაგრამ წერს მხოლოდ მაგალითებს ჯერემის ქცევის; მასწავლებელი წერს დავალებას სასწავლო მასალა 3-დან დაფაზე. • რამდენიმე სტუდენტი არ ესწრება გაკვეთილს - მასწავლებელი ცვლის ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობას შესაბამისად.
---	--

საინტერესო პრაქტიკის გაკვეთილის განხორციელების გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
დავალების წინა ეტაპი				
1.	<p>გამოწვევის ფაზა</p> <p>- 15 წთ.</p>	<p>მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები „გონიერი ხელმძღვანელის“ მახასიათებლებზე. სტუდენტები ქმნიან 4 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფს და განიხილავენ ამ მახასიათებლებს. თითოეულ ჯგუფს უწევს „გონებრივი რუკის“ შევსება. როდესაც ჯგუფები მზად არიან, ჯგუფის სპიკერი წარუდგენს სხვა ჯგუფებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახალი თემის წარდგენა; • სტუდენტთა ინტერესის გაზრდა ახალი გაკვეთილისადმი; • გონებრივი იერიშის გამოყენებით გონიერი ხელმძღვანელისთვის საჭირო მახასიათებლების დასახელება. 	<p>მასწავლებელი-სტუდენტები</p> <p>სტუდენტი-სტუდენტები</p>

დავალების ეტაპი

2.	<p>დისკუსია (1)</p> <p>- 15 წთ</p>	<p>მასწავლებელი სტუდენტებს აძლევს ფრაზებს და სიტყვებს, რომლებიც მათ შეუძლიათ იპოვონ ტექსტში სათაურით „გონიერი ხელმძღვანელი.“ სტუდენტები განიხილავენ თავიანთ მოსაზრებებს და შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ზოგიერთ მათგანს, გაუზიარონ თავიანთი აზრები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოხდეს ამ ისტორიაში.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეინარჩუნოს სტუდენტთა ინტერესი გაკვეთილის მიმართ; • განავითაროს სტუდენტთა პროგნოზირების უნარები წინასწარ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. 	<p>მასწავლებელი-სტუდენტები</p> <p>სტუდენტი-სტუდენტი</p>
3.	<p>ამბის მომზადება</p> <p>-20 წთ.</p>	<p>იქმნება 4 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფები. მასწავლებელი სთხოვს მათ, დაწერონ ჯაბუ და ჯერემის ამბავი სათაურით „გონიერი ხელმძღვანელი“.</p>	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს სტუდენტთა წერითი უნარები ინგლისურში; • განავითაროს სტუდენტთა ანალიტიკური უნარები; • განავითაროს სტუდენტთა იდეები ჯერემი და ჯაბუს ურთიერთობაზე. 	<p>სტუდენტი-სტუდენტები</p>
4.	<p>ამბის გაზიარება (მოხსენება)</p> <p>- 15 წთ.</p>	<p>მოხალისე უკითხავს ჯგუფის მიერ დაწერილ ამბავს კლასს. მასწავლებელი ეკითხება</p>	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს დეტალური მოსმენის უნარი; • განავითაროს ტექსტის კრიტიკული ანალიზის უნარი. 	<p>მასწავლებელი-სტუდენტები</p> <p>სტუდენტი-სტუდენტები</p>

		<p>სტუდენტებს, არის თუ არა მათ მიერ დაწერილი ამბავი იგივე. მასწავლებელი სთხოვს სხვა ჯგუფის სტუდენტებს, რომ დაასახელონ, თუ რითი განსხვავდება მათი დაწერილი.</p>		
5.	<p>დისკუსია (2) - 20 წთ.</p>	<p>მასწავლებელი ამლევს სტუდენტებს ამბის ორიგინალ ტექსტს. სტუდენტები კითხულობენ მას და ადარებენ თავიანთ დაწერილ ამბავს.</p> <p>მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, გადმოსცენ თავიანთი გრძნობები ტექსტის გარშემო. სტუდენტებს უწევთ თავიანთი იდეების გაზიარება. მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს უპასუხონ რამდენიმე კითხვას ტექსტიდან.</p> <p>მასწავლებელი ყოფს</p>	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს ტექსტის კრიტიკული ანალიზის უნარი; • სტუდენტთა ყურადღება მიმართოს ძალაუფლების დემონსტრირებაზე ენაში; • მიმართოს სტუდენტთა ყურადღება სტერეოტიპების როლზე ინტერკულტურული კომუნიკაციისას. 	<p>მასწავლებელი-სტუდენტები</p> <p>სტუდენტი-სტუდენტი</p>

		სტუდენტებს წყვილებად. აძლევს მათ სასწავლო მასალა 2-ს. სტუდენტებს უწევთ ჯერემის ქცევისა და ჯაბუს რეაქციის მაგალითების პოვნა ტექსტში.		
დავალების შემდგომი ეტაპი				
6.	ტექსტის ანალიზი და მიმოხილვა - 20 წთ.	მასწავლებელი მიმართავს სტუდენტთა ყურადღებას იმ ენაზე, რომელიც გამოყენებულია ჯერემის მიერ ჯაბუსთან კომუნიკაციისას. მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს ფლიფჩარტს. სტუდენტები ავსებენ სიტყვებს ჯერემი და ჯაბუს რეაქციაზე მათდამი. ორი ჯგუფი წარმოადგენს ფლიფჩარტს და განიხილავს მათ პასუხებს. მასწავლებელი წარმოადგენს იდეას „მცდარი გაზიარების“ და „კულტურული ენის“.	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარები ტექსტში გამოყენებულ ენაზე; • ინტენსიური გახადოს კავშირი ენასა და ძალაუფლებას შორის დისკურსის დროს; • გაზარდოს სტუდენტთა ცნობიერება ენის როლზე, როგორც საშუალებაზე დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციისას. 	მასწავლებელი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტები
7.	შეჯამება - 5 წთ.	მასწავლებელი აჯამებს	• მთავარი სასწავლო საკითხების შეჯამება.	მასწავლებელი-სტუდენტები

	<p>დისკუსიას და მთავარ სასწავლო საკითხებს.</p> <p>მასწავლებელი აყალიბებს დავალებას შემდეგი გაკვეთილისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> • კომენტარის გაკეთება სტუდენტთა საქმიანობაზე • დავალების მიცემა შემდეგი გაკვეთილისთვის • გაუგებარი საკითხების ახსნა 	
--	--	---	--

გაკვეთილის ეტაპების აღწერა

დავალების წინა ეტაპი

1. გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი იწყებს გაკვეთილს სტუდენტებისთვის იმის თქმით, რომ ისინი გააგრძელებენ მუშაობას წინა კვირის თემაზე - ინტერკულტურული კომუნიკაცია, მაგრამ დაამატებენ სხვა პერსპექტივებს - ინტერკულტურული კომუნიკაცია კლასში. რადგან მასწავლებლები და მათი სტუდენტები არიან დისკურსის მთავარი მონაწილეები საკლასო ოთახში, მასწავლებელი ეუბნება სტუდენტებს, რომ ისინი აქცენტს გააკეთებენ იმ კავშირსა და ენაზე, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის, რომელთანაც ისინი მუშაობენ.

მასწავლებელი უხსნის სტუდენტებს, რომ ისინი იმუშავებენ ტექსტის გამოყენებით, რომელსაც ეწოდება „გონიერი ხელმძღვანელი.“ ის სთხოვს სტუდენტებს, რომ შექმნან 4 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები იმ თვისებებზე, რომლებიც გონიერ ხელმძღვანელს სჭირდება, როდესაც ის მუშაობს სტუდენტებთან (მათ შორის, სტუდენტები განსხვავებული კულტურული წარმომავლობით).

თითოეული ჯგუფი ავსებს გონებრივ რუკას. სანამ ისინი მუშაობენ, მასწავლებელი აკვირდება მათ და აძლევს მინიშნებებს თვისებებზე, თუკი საჭიროა. მაგალითად, ცოდნა, პიროვნულობა, უნარები, კომპეტენციები, კლასში გამოყენებული ენა, კომუნიკაცია სტუდენტებთან და ა.შ. როდესაც ჯგუფი მზად არის, სპიკერი წარმოადგენს თავის იდეებს სხვა ჯგუფების წინაშე

და თანხმდებიან იმ თვისებებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეს გონიერ ხელმძღვანელს.

შენიშვნა: გამოწვევის ფაზა შეესაბამება დავალების წინა პერიოდის ეტაპს დავალებაზე დაფუძნებულ მიდგომაში, როცა მასწავლებელი წარმოადგენს თემას და აძლევს ინსტრუქციებს სტუდენტებს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ სჭირდებათ დავალებების შესასრულებლად დავალების შესრულების ეტაპზე.

დავალების შესრულების ეტაპი

2. დისკუსია

მასწავლებელი სტუდენტებისთვის დაფაზე წერს შემდეგ ფრაზებს და სიტყვებს ტექსტიდან: *ტომი, სირთულე, რომელიც თან სდევს ადამიანებს სხვა კულტურიდან, ერთადერთი საერთაშორისო სტუდენტი, იგებს მის კულტურას, საუბრობს ნელა, სამეცნიერო განათლების სამწლიან პროექტში ჩართული, მეგობრული, სამხრეთ აფრიკა, მისი ტომი, დაეხმარო მას კონცეფციის გაგებაში, სირთულეები ერთმანეთთან შეჯიბრებისას.* მასწავლებელი უხსნის სტუდენტებს, რომ ეს ფრაზები შესაძლოა იპოვონ ტექსტში „გონიერი ხელმძღვანელი,“ მაგრამ არ შეხვდებით ამ წყობით. ის, აგრეთვე, ეუბნება მთავარი პერსონაჟების სახელებს - ჯაბუ და ჯერემი.

სტუდენტები მუშაობენ წყვილებში და განიხილავენ იდეებს. მასწავლებელი სთხოვს ზოგიერთ მათგანს, რომ გააზიარონ თავიანთი იდეები, თუ რა შეიძლება მომხდარიყო ამ ისტორიაში. დაიმახსოვრეთ, რომ სტუდენტებს არ უნდა უთხრათ, მათი მიგნებები სწორია თუ არასწორი!

3. ამბის მომზადება

მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, რომ შექმნან 4 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფები. ეს ჯგუფები არის განსხვავებული, რადგან მისი წევრი სტუდენტები არ არიან გამოწვევის ფაზაზე შექმნილი ჯგუფების იგივე წევრები. სტუდენტებმა უნდა დაწერონ ისტორია სათაურით: „გონიერი ხელმძღვანელი.“ მათ უნდა გამოიყენონ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ფრაზები.

4. ისტორიის გაზიარება (მოხსენება)

როდესაც ჯგუფები მზად არიან, მოხალისე ერთ-ერთი ჯგუფიდან კითხულობს თავისი ჯგუფის მიერ შექმნილ ისტორიას. სხვა ჯგუფები უსმენენ და ადარებენ თავიანთ ისტორიებს. მასწავლებელი ეკითხება სტუდენტებს, არის თუ არა მათი

ისტორიები მსგავსი. თუკი ისინი განსხვავებულია, სტუდენტებმა უნდა თქვან, რითი განსხვავდება მათი ისტორიები.

5. წაკითხულის გააზრება და საუბარი

მასწავლებელი აძლევს სტუდენტებს სასწავლო მასალ 1-ს, რომელშიც მოცემულია ორიგინალი ტექსტი მოთხრობისა „გონიერი ხელმძღვანელი.“ სტუდენტები კითხულობენ მას ინდივიდუალურად და ადარებენ თავიანთ ისტორიებს. როდესაც სტუდენტები მზად არიან, მასწავლებელი სთხოვს მათ მოუყვენ, თუ რას გრძნობენ ტექსტთან მიმართებით. სტუდენტები აზიარებენ თავიანთ აზრებს. მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

- (1) *რა ხდება ჯაბუსა და ჯერემის შორის? რატომ?*
- (2) *როგორ ქმნის ჯერემი ჯაბუს გამოსახულებას? აქვს თუ არა ჯერემის ჯაბუს კულტურის წინასწარი გააზრება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯერემიზე, რათა აღიქვას ჯაბუ?*

შესაძლო პასუხები კითხვებზე

პასუხი პირველ კითხვაზე:

მოთხრობის დასაწყისშივე ნათლად ჩანს, რომ სირთულეა ჯაბუსა და ჯერემის შორის კომუნიკაციაში. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ჯაბუს სიბრაზე მოთხრობის დასაწყისშივე, როცა ჯერემი ამბობს, რომ მან იცის ჯაბუს „კონტექსტი“ ძალიან კარგად. მაგრამ სინამდვილეში მან არაფერი იცის მის ცხოვრებაზე, ოჯახსა და წარსულზე. ჯაბუს გაღიზიანება და უკმაყოფილება ჯერემისთან კომუნიკაციისას კიდევ უფრო იზრდება, როდესაც ჯერემი ელაპარაკება მას ნელა, რადგან ფიქრობს, რომ ჯაბუს შესაძლოა ჰქონდეს სირთულეები ინგლისურის გაგებისას. თუმცა, ეს არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას. ჯერემის კადნიერი ფიქრი, რომ ჯაბუ ვერ შეძლებს შეეჯიბროს თეთრკანიან სტუდენტებს, არის მორიგი ფაქტორი, რომელიც იწვევს ზიზღს ჯაბუში და აკარგვინებს ჯერემისთან კომუნიკაციის სურვილს. თემები, რომლებსაც ისინი განიხილავენ ჯაბუს მიერ დავალებების წარმოდგენის შემდეგ, არ აღმჯობესებს კომუნიკაციის ხარისხს. ეს პრობლემები კიდევ უფრო რთულდება. ჯერემის მიერ წამოწეულია თემები. ჯაბუს თქმით, ის არასდროს გამოიყენებს ამ თემებს სასაუბროდ გერმანელ სტუდენტთან, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. ის, აგრეთვე, დარწმუნებულია, რომ ჯერემი არასდროს ჰკითხავს გერმანელ სტუდენტს, არის თუ არა ის „ისევ კონტაქტში მის ტომთან“.

პასუხი მეორე კითხვაზე:

ჯერემი ჯაბუს აღიქვამს მასზე შექმნილი წინასწარი წარმოდგენით და არა იმით, რასაც ის აკვირდება. მისი წინასწარი წარმოდგენა ჯაბუზე არის შედეგი იმ წარმოდგენების, რომლებიც მას შეექმნა სამხრეთ აფრიკაში ყოფნისას და, აგრეთვე, იმ გამოცდილების, რომელიც მან მოაგროვა განათლების სამწლიან სამეცნიერო პროექტზე მუშაობისას საშუალო სკოლებში. ჯერემის მცდარი აზრით, ყველა შავკანიან ადამიანს, რომლებიც არიან წარმოშობით სამხრეთ აფრიკიდან, აქვთ ერთი და იგივე მახასიათებლები - მათ აქვთ სირთულეები ინგლისურის გაგებისას. ისინი არიან იმ საზოგადოებიდან და კულტურიდან, რომელიც არის ნაკლებად განვითარებული და მათ აქვთ პრობლემები სხვა ადამიანებთან შეჯიბრებისას (განსაკუთრებით, თეთრკანიან ადამიანებთან). ჯერემის წარმოდგენა ჯაბუზე სტერეოტიპულია, რადგან ყველა შავკანიანი ადამიანის მიმართ შექმნილი წარმოდგენა (მათ შორის ჯაბუს მიმართ) ხელს უშლის მას, რომ გაიცნოს ახალგაზრდა ქალი. ის ცდილობს ჯაბუ შეუსაბამოს იმ ჩარჩოს, რომელიც მას უკვე აქვს ჩამოყალიბებული შავკანიან აფრიკელ ხალხზე და ეს არ აძლევს მას იმაზე ფიქრის საშუალებასაც კი, რომ ჯაბუ შესაძლოა იყოს განსხვავებული მისი წინასწარ ჩამოყალიბებული კონცეპტუალიზაციისგან.

(პასუხები დაფუძნებულია შემდეგი წყაროების ანალიზზე: ჰოლიდეი, კულმანი და ჰაიდი (2016). *ინტერკულტურული კომუნიკაცია: მაღალი დონის რესურსების წიგნი სტუდენტთათვის*. ტეილორი და ფრენსისი - მაგალითი A2.3.1. გავიგოთ ხელმძღვანელი, გვ. 35-36.)

მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, იმუშავონ წყვილებში. მათ უწევთ კითხვებზე პასუხების პოვნა.

(1) *რამდენად ჰპოვებს გამოხატვას ჯერემის ქცევაში ჯაბუზე შექმნილი წარმოდგენა? ამის შედეგად რას გრძნობს ჯაბუ?*

სტუდენტებმა უნდა იპოვონ მაგალითები ტექსტში, რომელიც გვიჩვენებს ჯერემის ქცევას და ჯაბუს რეაქციას. სტუდენტები ავსებენ სასწავლო მასალა 2-ს. სტუდენტები ადარებენ თავიანთ პასუხებს წყვილებში. მოხალისეები წარუდგენენ პასუხებს კლასს. საჭიროების შემთხვევაში, მოკლე დისკუსიები იმართება და ხსნიან, თუ რატომ გამოიყენება კონკრეტული წინადადებები ცხრილში.

შენიშვნა: ზემოთ აღწერილი დავალებები ეხმარება დავალების ეტაპის განვითარებას, სადაც მასწავლებლის როლი არის ძირითადად ფასილიტატორის და მეთვალყურის იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მუშაობენ დამოუკიდებლად და ასრულებენ დადგენილ დავალებებს.

დავალების შემდგომი საფეხური

6. ტექსტის ანალიზი და მიმოხილვა

მასწავლებელი სვამს ახალ კითხვას - მხოლოდ ჯერემის ქცევამია შესაძლებელი ვიპოვოთ მაგალითები ჯერემის მიერ ჯაბუზე არსებული წარმოდგენის? სტუდენტები პასუხობენ კითხვას ზეპირად.

კითხვაზე შესაძლო პასუხები: მაგალითი ჯერემის მიერ ჯაბუზე არსებული წარმოდგენის შესაძლოა აღმოჩნდეს აგრეთვე იმ ენაში, რომელსაც ჯერემი იყენებს მასთან კომუნიკაციისთვის.

მასწავლებელი ყოფს კლასს ორ ჯგუფად და აძლევს მათ ფლიფჩარტს ან სასწავლო მასალ 3-ს დაბეჭდილს A3 ფორმატის ქაღალდზე, რომელზეც მათ უნდა დაწერონ ძირითადი სიტყვები და ფრაზები ტექსტიდან (ჯერემის მიერ ნათქვამი) და ჯაბუს მიერ გამოხატული რეაქციიდან.

სასწავლო მასალა 3-ში წარმოდგენილი ფლიფჩარტის შევსების შესაძლო გზები

<i>ძირითადი სიტყვები და ფრაზები</i>	<i>როგორ გრძნობს ჯაბუ თავს?</i>
<ul style="list-style-type: none"> • იცის „მისი კონტექსტი;“ • „უცხო“ კონცეფციები მისთვის; • „როგორი იყოს ის, თავისი ისტორიით?“ 	<ul style="list-style-type: none"> • სხვა სტუდენტებისგან განსხვავებული, განსაკუთრებული ცუდი კუთხით; • უფრო ჩამოქვეითებული, ვიდრე სხვა სტუდენტები.
<ul style="list-style-type: none"> • „უცრად მოუწია შეჯიბრი ყველა სფეროში,“ თუმცა ჯერემი გაოცებული იყო, რომ ჯაბუმ შეძლო ამ ყველაფრის გაკეთება;“ • „კეთილი“ სახე; • „საკვები,“ „რიტუალები,“ „ქორწინების პრაქტიკა“ და „ცერემონიები“ მის „კულტურაში;“ • „მისი ტომი;“ • „აქვს სირთულე ვადებთან დაკავშირებით, რომელიც არის რაღაც ღრმა მის კულტურაში?“ 	<ul style="list-style-type: none"> • არ შეუძლია შეჯიბრი სხვებთან, განსაკუთრებით თეთრკანიან სტუდენტებთან; • ის მოდის ნაკლებად განვითარებული კულტურიდან; <p style="text-align: center;">} გრძნობს თავს ჩამოქვეითებულად.</p>

ორი ჯგუფი წარმოადგენს თავის ფლიფჩარტებს და კომენტარებს ინფორმაციაზე, რომელიც მათ შეავსეს ჩამოყალიბებული კითხვების მიხედვით.

სტუდენტთა პასუხების განხილვისას მასწავლებელი წარმოადგენს „არასწორი გაზიარების“ იდეას.

„არასწორი გაზიარების“ წარმოდგენის შესაძლო გზა:

ჩვენ დავასკვნით, რომ ჯერემი ჯაბუს კულტურაზე ფიქრობს როგორც დაქვეითებულზე, თავის კულტურასთან შედარებით. დაქვეითებულად მოეპყრო სხვებს მათთან კომუნიკაციისას. ეს მიიჩნევა „არასწორ გაზიარებად.“ მოთხრობაში ჯერემი გვიჩვენებს „არასწორ ინტერესს“ ჯაბუსადმი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერემი „არის, სავარაუდოდ, მართალი და გულწრფელი გაზიარების სურვილში; ის აზიარებს ჯაბუსზე იმ წარმოდგენას, რომელიც მან ააგო მაშინ, როცა ნამდვილი ჯაბუ არსებობს ძალიან განსხვავებულ სამყაროში.

რა ამჟღავნებს ჯერემის შეცდომას? ჯაბუს დაკვირვებით, თუკი ის იქნებოდა გერმანელი, ჯერემი არ მიუთითებდა „ქორწინების პრაქტიკაზე, ცერემონიებსა და ტომებზე.“ გერმანული საზოგადოება უნდა იყოს კომპლექსური, მისი საზოგადოების მსგავსად, ჯერემის უნდა ჰქონოდა შერჩეული სასაუბრო თემები, რადგან მათ აქვთ ზოგიერთი ეგზოტიკური ღირებულება, რომლებიც ჯაბუსთვის ნიშნავს გარკვეულწილად ჩამორჩენილობას. ამ ტიპის სხვაგვარობა არის ხშირად რთული აღსაწერად. ჯერემის შესაძლოა ასევე თანაბრად ჰქონოდა კულტურული წარმოდგენები გერმანულ საზოგადოებაზე და ეს ნამდვილად იჩენდა თავს გერმანელ სტუდენტთან საუბრისას - თემები დაკავშირებული ორგანიზებულობას ან მილიტარისტულობასთან. ჯერემის ძირითადი სიტყვა სასაუბრო თემის არჩევისას არის „ტომი.“ მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი შესაძლოა იყოს საერთო გამოყენების, როდესაც ის ეხება სოციალურ დაჯგუფებას, შესაძლოა, თვით ჯაბუს მიერ გამოყენების დროსაც, ჯერემის მიერ მისი გამოყენებისას ის ჟღერს, როგორც „პრიმიტიული,“ სახელმწიფო ორგანიზების არმქონე და „განუვითარებელი.“ „მაშასადამე,“ ‘ქორწინების პრაქტიკები, ცერემონიები და რიტუალები „გახდება“ პრიმიტიული. ამგვარად, ჯაბუ არის „გატომებული“ ჯერემის მიერ.

(ჰოლიდეი, კულმანი და ჰაიდი (2016). *ინტერკულტურული კომუნიკაცია: მაღალი დონის რესურსების წიგნი სტუდენტთათვის*. ტეილორი და ფრენსისი – მაგალითი A2.3.1. გავიგოთ ხელმძღვანელი, გვ. 36-37.)

მასწავლებელი ავიწროვებს ანალიზის მასშტაბს სხვა კითხვის დასმით - ხვდება თუ არა ჯერემი თავისი ენის ძალას? სთხოვს სტუდენტებს, რომ უპასუხონ მის კითხვას არგუმენტებით.

შესაძლო პასუხი კითხვაზე: *ჯერემი ვერ ხვდება ეფექტს იმ ენისას, რომელსაც იყენებს. მან რომ იცოდეს, ის სათანადოდ ვერ აფასებს ჯაბუს თვისებებს ან რომ ის თავს აგრძნობინებს მას დაქვეითებულად და პრიმიტიულად სხვა სტუდენტებთან შედარებით, შესაძლოა არ გამოიყენოს ეს ენა. მას არ უნდა ეკითხა ჯაბუსთვის მის ტომზე, რიტუალებსა და ცერემონიებზე; მას ისიც კი არ უნდა ეთქვა, რომ ჯაბუს ექნებოდა პრობლემები სხვებთან შეჯიბრებისას და რომ დავალების დაგვიანებით ჩაბარება არის პროდუქტი „მისი კულტურის“. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჯაბუ ხვდება ჯერემის რასისტულ დამოკიდებულებას, ჯერემის ინტერესი მისადმი სინამდვილეში არის ინტერესი მისი კულტურისადმი. ამიტომაც, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერემის დამოკიდებულება ჯაბუსადმი და მისი კულტურის სათანადოდ ვერ შეფასება არის არსებითად კულტურისტული. ჯერემის დომინანტური საუბარი დაფუძნებულია სტერეოტიპულ მცდარ წარმოდგენებზე.*

როდესაც ვეხებით ენის ძალას სხვებთან კომუნიკაციისას, აუცილებელია აღინიშნოს „პოლიტიკურად სწორი ენის“ გამოყენება, ანუ ისეთი ენის გამოყენება, რომელიც არ არის დისკრიმინაციული, მარგინალიზებული, დამცინავი ან სათანადოდ ვერ აფასებს ჯგუფს ადამიანებისას სხვა ჯგუფთან მიმართებით.

7. შეჯამება

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და სთხოვს სტუდენტებს გააკეთონ დასკვნები აქტივობების საფუძველზე. სტუდენტების დასახმარებლად მასწავლებელმა შესაძლოა დასვას შემდეგი კითხვები - რა არის დასკვნა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ჯაბუსა და ჯერემის ამბის საფუძველზე?

სავარაუდო პასუხები: მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმ ენას, რომელსაც ვიყენებთ სხვებთან კომუნიკაციისას, რადგან ენას აქვს ძალა, რომ კულტურული გახადოს სხვა „დაქვეითებული“. სწორედ ენის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომ მფარველობდე სხვებს და კომუნიკაციისას სხვა მონაწილეს აგრძნობინო თავი პრიმიტიულად.

მასწავლებელი იძლევა საშინაო დავალებას - სტუდენტებმა უნდა მოიფიქრონ სიტუაცია, რომელშიც ისინი იქნებოდნენ ჯაბუს ადგილას ყოფნისას და აღწერონ ეს წერილობითი ფორმით.

გაკვეთილებზე გამოყენებული მასალა

სასწავლო მასალა 1

გონიერი ხელმძღვანელი

ჯერემი იყო უნივერსიტეტის ლექტორი. ის ძალიან კმაყოფილი დარჩა, როდესაც გაიგო, რომ გახდებოდა ჯაბუს ხელმძღვანელი. ჯაბუ იყო სტუდენტი ქვეყნიდან, რომელშიც ის ბევჯერ ყოფილა რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩართული იყო სამწლიან საგანმანათლებლო პროექტში საშუალო სკოლებში. ის ფიქრობდა, რომ სხვა კოლეგებზე უკეთესად იცნობდა იმ ადგილს, საიდანაც ჯაბუ იყო წარმოშობით. ჯერემი თვლიდა, რომ ის იქნებოდა ნამდვილად საუკეთესო ადამიანი, რომელიც დაეხმარებოდა მას კვლევის პროექტის შესრულებაში. მას, აგრეთვე, წაკითხული ჰქონდა მცირედი ინფორმაცია კულტურულ სხვაობაზე, რომელმაც დააინტერესა ის დიდად.

ჯაბუ პირველად შეხვდა ჯერემის გაკვეთილზე, როდესაც ის აცნობდა სტუდენტებს სამეცნიერო კვლევას. ჯაბუ იყო ერთადერთი „საერთაშორისო“ სტუდენტი კლასში და გაბრაზდა, როდესაც ჯერემიმ მისი წარდგენისას ყველა სტუდენტს აუწყა, რომ ის იცნობდა მის „კონტექსტს“ ძალიან კარგად. ჯაბუმ არ იცოდა, თუ რა აღიზიანებდა მას - ჯერემის ხმის ტონი, თითქოს ის საუბრობდა ადამიანზე, რომელსაც ჰქონდა დაბროკოლება, - თუ მისი ხმის სიჩქარე, თითქოს ის ვერ იგებდა ჩვეულებრივ ინგლისურს, - თუ ის, რომ გამოყოფილი იყო სხვა დანარჩენი სტუდენტებისგან, როგორც სპეციალური ყურადღების საჭიროების მქონე სტუდენტი. ან შესაძლოა ეს იყო ჯერემის მცდელობა, რომ გაეგო ჯაბუსთვის და გამოეხატა მისადმი მხარდაჭერა. რა შეიძლება სცოდნოდა ჯერემის ჯაბუსა და მის წარმომავლობაზე? რა მისცემდა მას ამის უფლებას? მისი უახლოესი მეგობრებიც კი არ მიიჩნევენ, რომ ისინი მას იცნობენ იმდენად კარგად, შეუძლიათ ელაპარაკონ ამგვარად, გარდა დედამისისა. ყველა გოგონამ იცის ეს ამბავი!

პირველივე გაკვეთილზე დაინახა ჯაბუმ, რომ ჯერემი ნამდვილად ცდილობდა მაქსიმუმის გაკეთებას, მაგრამ ის ისევ ინარჩუნებდა ხმის დაბალ ტონს. ის არ ყვიროდა სხვა ადამიანების მსგავსად, რომლებიც ამას აკეთებენ მაშინ, როდესაც ადამიანები ვერ იგებენ რაღაცას. შემდეგ ჯერემიმ აუხსნას ჯაბუს, რომ მას ესმოდა „მისი კულტურის“ და ის შეძლებდა დახმარებოდა ვადების დაცვასა და „კონცეფციების გაგებაში“, რომელიც მისთვის შესაძლოა

ყოფილიყო „უცხო“. მან ისიც კი უთხრა, რომ იცოდა, თუ როგორი იყო „უცრად შეჯიბრში მონაწილეობა ყველა სფეროში“, მისი ისტორიის გათვალისწინებით. ჯაბუმ ვერც კი გაიგო თავიდან, რას გულისხმობდა ჯერემი. შემდეგ ის მიხვდა, რომ ჯერემის ჰქონდა არათავაზიანი გამბედაობა იმისი, რომ ეფიქრა, თითქოს ჯაბუს შესაძლოა ჰქონოდა სირთულე „მისი კულტურის“ ადამიანებთან ურთიერთობის გაგრძელების.

ეს გახდა მათი შეხვედრების წესი. როდესაც ჯაბუ აჩვენებდა მას დავალებას, ჯერემი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მან ძალიან კარგად შეასრულა ეს, თუმცა ის იყო გაცეხული, რომ შეძლო ამის გაკეთება. შემდეგ იყო ბევრი არაფორმალური „მეგობრული“ საუბარი, რომელშიც ის მუდამ საუბრობდა „კეთილი“ სახით „საკვებზე“, „რიტუალებზე“, „ქორწინების პრაქტიკებსა“ და „ცერემონიებზე“ მის კულტურაში; ერთხელ ჯერემიმ ისიც კი ჰკითხა ჯაბუს: იყო თუ არა ის „ამ დრომდე თავის ტომთან კონტაქტში“? ჯერემი აგრეთვე ხელმძღვანელობდა გერმანელ სტუდენტს; ჯაბუ დარწმუნებული იყო, რომ ჯერემი არასდროს ჰკითხავდა მას „საკვებზე“, „რიტუალებზე“, „ქორწინების პრაქტიკაზე“, „ცერემონიებსა“ და „ტომებზე“.

ერთ დღეს ჯაბუმ გადაწყვიტა კიდევ თავი მიენებებინა ყველაფრისთვის და წასულიყო სახლში. ჯერემის ოფისისკენ გაემურა დერეფნის გავლით. ჯერემი იდგა დერეფანში და ესაუბრებოდა თავის კოლეგას. ჯერემის არ უნახავს ჯაბუ; ის ამბობდა: „დიახ, მას ჰქონდა პრობლემები ვადებთან დაკავშირებით; მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის მისი კულტურიდან, არა?“ ჯაბუმ დანამდვილებით იცოდა, რომ მას არ ჰქონდა ნებისმიერ სხვა სტუდენტზე უფრო მეტი სირთულე; რომც ჰქონოდა, რა კავშირი უნდა ჰქონდა ამას მის „კულტურასთან?“ ერთ-ერთი უელსელი სტუდენტი ყოველთვის არღვევდა ვადებს, მაგრამ არავინ თვლიდა, რომ ეს იყო „უელსური კულტურა“.

წყარო: ჰოლიდეი, კულმანი და ჰაიდი (2016). *ინტერკულტურული კომუნიკაცია: მაღალი დონის რესურსების წიგნი სტუდენტთათვის*. ტეილორი და ფრენსისი – მაგალითი A2.3.1. გავიგოთ ხელმძღვანელი, გვ. 34-35)

სასწავლო მასალა 2

დავალეზა: ტექსტში იპოვეთ მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებს ჯერემის ქცევას და ჯაბუს რეაქციას მასზე. ჩაწერეთ ისინი ცხრილში. შეადარეთ თქვენი პასუხები პარტნიორის პასუხებს.

სტუდენტი A.

<p>ჯერემი ფიქრობს, რომ ის იგებს ყველაფერს და ერთვება ყველაფერში რადგან:</p>	<p>ჯაბუ თავს გრძნობს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, განსხვავებულად და რასიზმის მსხვერპლად, რადგან:</p>
<p>1. ის აჩვენებს, რომ იგებს მის კულტურულ გარემოებებს და სპეციალურ საჭიროებებს.</p>	
<p>2.</p>	<p>ის გადააქცევს მას განსაკუთრებულ კულტურულ შემთხვევად. ჯერემი გულისხმობს დაქვეითებულობას „მისი კულტურის“. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ის შეიძლება იყოს სხვების მსგავსი.</p>
<p>3. ის საუბრობს ნელა და ყურადღებით.</p>	
<p>4. ის გამოხატავს ინტერესს მისი კულტურისადმი. ჯერემი ეკითხება საკვებზე, ქორწინების პრაქტიკაზე, რიტუალებსა და „მის ტომზე“ კი.</p>	
<p>5.</p>	<p>ჯერემი იყენებს ენას, რომელიც ამტკიცებს ჯაბუს დაქვეითებულობას.</p>

სტუდენტი B

<p>ჯერემი ფიქრობს, რომ ის იგებს ყველაფერს და ერთგვება ყველაფერში, რადგან:</p>	<p>ჯაბუ თავს გრძნობს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, განსხვავებულად და რასიზმის მსხვერპლად, რადგან:</p>
<p>1.</p>	<p>მას არ სურს, რომ ვინმემ ის გადააქციოს „განსაკუთრებულად“, რომელიც, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს მის გაგებას. ჯერემის არ აქვს უფლება მიიჩნიოს, რომ ჯაბუს აქვს განსაკუთრებული საჭიროებები. ჯერემი ეპყრობა ჯაბუს, როგორც დაქვეითებულს, რადგან ვერ იგებს, თუ როგორ არის ჯაბუ. ჯაბუ თავს გრძნობს დაპყრობილად.</p>
<p>2. ის ხსნის ჯაბუს შეცდომებს ლოგიკურად „მის კულტურასთან“ კავშირით.</p>	
<p>3.</p>	<p>სანამ ჯერემი შეხვდება ჯაბუს, ის ვარაუდობს, რომ ჯაბუს ექნება გაგების სირთულეები. ის ეპყრობა მას, როგორც შებოჭილს.</p>
<p>4.</p>	<p>ჯერემი ზედმეტ აქცენტს აკეთებს მისი კულტურის ეგზოტიკურ ასპექტებზე, რომელიც გულისხმობს ჩამორჩენილობას. ჯაბუ ფიქრობს, რომ ჯერემი არ გამოიყენებდა იმავე თემებს იმ გერმანელ სტუდენტთან სასაუბროდ, რომელსაც ის ხელმძღვანელობს.</p>
<p>5. ჯერემი ახსენებს კულტურულ კონცეფციებს, რომელსაც ჯაბუ ვერ გაიგებს.</p>	

შენიშვნა: სტუდენტები წყვილებში იღებენ ცხრილის სხვადასხვა ვერსიას. წყვილებში მუშაობისას ისინი ასრულებენ აქტივობას, რომელშიც ავსებენ ინფორმაციას და ადარებენ თავიანთ პასუხებს.

დავალება: იპოვეთ და ჩაწერეთ ძირითადი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც გვიჩვენებს ჯერემის მიერ ჯაბუზე შემქნილ წარმოსახვას. რა არის ჯაბუს რეაქცია მის სიტყვებზე? როგორ გრძნობს ის თავს ამ სიტუაციაში?

<i>ძირითადი სიტყვები და ფრაზები</i>	<i>რას გრძნობს ჯაბუ?</i>

დავალებაზე დაფუძნებული სწავლების საინტერესო პრაქტიკის მაგალითი N 3

<p>მომზადა პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტი</p>	<p>სურონგ ლი ლიაონინგის მეცნიერებისა და ინჟინერიის ინსტიტუტი (ჩინეთი)</p>
--	---

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე

<i>საინტერესო პრაქტიკის სახელწოდება</i>	„სამპუნქტიანი“ პედაგოგიური მეთოდები
<i>კურსის სახელწოდება</i>	ინტენსიური კითხვა
<i>კურსის ტიპი</i>	პირისპირი
<i>უნივერსიტეტი</i>	ლიაონინგის მეცნიერებისა და ინჟინერიის ინსტიტუტი
<i>მონაწილე პედაგოგთა გუნდი</i>	სურონგ ლი, ინგქსინ ჩენგ, იუ შენ, ლუ დაი, ჰაინან ფენგ

ნაწილი B. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების საფეხური</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)</p>
---------------	--

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები	
გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე</p> <p><input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სწავლის სწავლა</p> <p><input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია</p>
საგნისთვის დამახასიათებელი კომპეტენციები და უნარები	<p><input checked="" type="checkbox"/> სათანადოდ თავისუფალი ენობრივი არტიკულაცია</p> <p><input checked="" type="checkbox"/> თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარი</p>

ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია	
გაკვეთილის თემა	კოლეჯში გატარებული წლები
ხანგრძლივობა	100 წთ.

<p>მოდულის მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური, სექსუალური, კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება კოლეჯში გატარებული წლების განმავლობაში; • ძირითადი ენობრივი საკითხების შეგროვება;
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოსთვის სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზუსტად გაიგონ თავიანთი იმჟამინდელი მდგომარეობა კოლეჯში გატარებულ წლებში; • ჩამოაყალიბონ კულტურული ცნობიერება სხვადასხვა ენობრივ წარმომავლობაზე; • ჩასწვდნენ ძირითადი გამოთქმების მნიშვნელობას.
<p>ძირითადი უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური აზროვნება; • გუნდური მუშაობის უნარი; • თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გაცნობიერება; • თვითრეფლექსიის უნარი;
<p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>
<p>მასალები/დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მულტიმედიური დახმარება; • სასწავლო მასალები; • მობილური აპლიკაციები;
<p>კურიკულუმებს შორის კავშირი</p>	<p>კომპიუტერული უნარები და ჰუმანიტარული საგნების კურსები</p>

მომზადება	<ul style="list-style-type: none"> • თემისთვის გამოსადეგი მასალის მომზადება ქალაქში და ტელეფონებში; რეფლექტური კითხვების მომზადება გაკვეთილამდე; კლასში საჭირო პროცედურების შემუშავება და შემდეგ სიფრთხილის ზომების მიღება.
შესაძლო პრობლემები და მათი მოგვარების გზები	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებს სჭირდებათ მასწავლებლის მეთვალყურეობა, რათა ზუსტად განსაზღვრონ ზოგიერთი დეტალი და დამაბნეველი საკითხები; • ფსიქოლოგიური ფაქტორები და სტუდენტთა პიროვნული მახასიათებლები.

საინტერესო პრაქტიკის გაკვეთილის განხორციელების გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
1.	გამოწვევის ფაზა	თემასთან დაკავშირებული მსგავსი გამოცდილების ჩამოთვლა	<ul style="list-style-type: none"> • ინტერესის გაზრდა 	მასწავლებელი -სტუდენტები
2.	შესავალი	რეფლექტური კითხვები	<ul style="list-style-type: none"> • მზადება თემისთვის 	მასწავლებელი -სტუდენტები
3.	მართვა	თემის მეთვალყურეობა	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების მიზნების ჩამოყალიბება გაკვეთილის დაწყებამდე 	მასწავლებელი -სტუდენტები
4.	ჯგუფური მუშაობა	სასწავლო მასალები	<ul style="list-style-type: none"> • თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობის აღძვრა სწავლისადმი 	სტუდენტი-სტუდენტები
5.	ინტერაქცია	უკუკავშირის შეგროვება	<ul style="list-style-type: none"> • შესწორება, მიმართულების მიცემა, შეფასება 	მასწავლებელი -სტუდენტები
6.	შეჯამება	გაკვეთილის შემდგომი დავალებები	<ul style="list-style-type: none"> • მიმოხილვა. თვითრეფლექსია და თანატოლთა რეფლექსია. 	სტუდენტი-სტუდენტი

გაკვეთილების ეტაპების აღწერა

სამპუნქტიანი პედაგოგიური მეთოდი უფრო მეტ აქცენტს აკეთებს სამ ასპექტზე:

- **პირველი**, ზუსტი და გასაგები ლექციები;
- **მეორე**, მეტი პრაქტიკული გამოცდილება სტუდენტებს შორის კლასში;
- **მესამე**, უფრო ნაყოფიერი ინტერაქცია სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

მაშასადამე, მასწავლებლებს მოეთხოვებათ უფრო მეტი ფიქრი, კითხვა და მომზადება გაკვეთილამდე, გათვალისწინება მოსწავლეთა რეალური საჭიროებების, რომლებიც მუდმივად იცვლება და დროის ფაქტორის გათვალისწინება. ამის შემდეგ კლასში ყველა პროცედურა არის ჩამოყალიბებული საჭიროებების შესაბამისად და სასწავლო მიზნების მისაღწევად.

მასწავლებლებს, მაშასადამე, უნდა ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ოსტატობა და ზოგადი მოსაზრება კლასში. გაკვეთილის საწყის ეტაპზე ყველა მასალა, დაბეჭდილი ან მობილური აპლიკაციები, ეძლევათ ჯგუფებს (ჩვეულებრივ 3-7 მოსწავლე). ეს ჯგუფები შექმნილია მასწავლებლის მიერ, მათი სწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ეს მასალა ეხმარება მოსწავლეებს, რომ გაარკვიონ გაკვეთილის მიზნები. ჯგუფური მუშაობისას მასწავლებლები არიან დამკვირვებლები, რომლებიც აფასებენ ეფექტურობას და ვალიდურობას თითოეულ ჯგუფში; მასწავლებლები მოდიფიცირებას გაუკეთებენ გაკვეთილის ეტაპებს. სანამ გაკვეთილი დამთავრდება, დავალება უნაწილდება თითოეულ ჯგუფს, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ გადმოსცენ შინაარსი და იფიქროს მასზე თითოეულმა დამოუკიდებლად და აგრეთვე თანატოლებთან ერთად.

დავალბაზე დაფუძნებული სწავლების საინტერესო პრაქტიკი მაგალითი N 4

მომზადა:

პროექტის პარტნიორი
უნივერსიტეტი

შუჯიე ქუ

ლინგნან ნორმალ უნივერსიტეტი (ჩინეთი)

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე

საინტერესო პრაქტიკის სახელწოდება	დავალეზაზე დაფუძნებული სწავლის განხორციელება ამერიკულ ლიტერატურაში
კურსის სახელწოდება	ამერიკული ლიტერატურა უფროსებისთვის ინგლისური განათლების დეპარტამენტში
კურსის ტიპი	პირისპირი
უნივერსიტეტი	ლინგნან ნორმალ უნივერსიტეტი
მონაწილე პედაგოგთა გუნდი	ლიუ ლიპინგ

ნაწილი B. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების საფეხური:</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)</p>
---------------	--

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები

გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე</p> <p><input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სწავლის სწავლა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები</p> <p><input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები</p> <p><input checked="" type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია</p>
----------------------------------	---

<p>საგნისთვის დამახასიათებელი კომპეტენციები და უნარები</p>	<p>საგნისთვის დამახასიათებელი კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცოდნა: <ul style="list-style-type: none"> – ფაქტობრივი და ლიტერატურული ცოდნა; – კულტურისთვის დამახასიათებელი ცოდნა - ავტორებისა და მათი შედეგების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაანალიზება (მაგალითად, დახასიათება, შინაარსი, თემა და ა.შ) • ლიტერატურული ცნობიერება • შესაძლებლობა რომ: <ul style="list-style-type: none"> – კრიტიკულად შეაფასოს ლიტერატურული ნამუშევრების თემა, წერის სტილი; – იმოქმედოს ახალი ცოდნით და შეიძინოს ამერიკული ლიტერატურის ახალი ცოდნა; – გამოხატოს სხვებთან საკუთარი მოსაზრება თავისუფლად ინგლისურ ენაზე. <p>საგნისთვის დამახასიათებელი უნარები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარი, რომ მოახდინოს სპეციფიკური ისტორიული და პოლიტიკური წარსულის ასოცირება წერილობით ნაშრომთან; • უნარი, რომ თარგმნოს და შეაფასოს სამიზნე ამერიკელი მწერალი და მისი ნამუშევრები. <p>დამოკიდებულებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გულღიაობა; • ტოლერანტობა; • განსხვავებულობის პატივისცემა.
--	--

<p>ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია</p>	
<p>გაკვეთილის თემა</p>	<p>ბიძია თომას ქოხი</p>
<p>ხანგრძლივობა:</p>	<p>90 წთ. (2 თანმიმდევრული გაკვეთილი. თითოეული 45 წუთი)</p>

<p>გაკვეთილების მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტები გაეცნობიან ისტორიულ წარსულს (აგრარულ სამხრეთს და ინდუსტრიულ ჩრდილოეთს, მონობას და თავისუფლებას), ჰარიეტ ბიჩერ სტოუს ცხოვრებას და ლიტერატურულ კარიერას; • სტუდენტები კრიტიკულად თარგმნიან ბიძია თომას ქოხს: თემები; • სტუდენტებს განუვითარდებათ შერჩეული ნაწყვეტის კრიტიკული კითხვის უნარები, აგრეთვე, გამოყენებული ენის თარგმნისა და შეფასების უნარები.
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოსთვის სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაიგონ, ლიტერატურა რამდენად ასახავს სოციალურ რეალობას; • გაიგონ, როგორ გავლენას ახდენს ავტორის პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება მის შემოქმედებასა და მახასიათებლებზე; • კრიტიკულად წაიკითხონ ტექსტები და გააანალიზონ მასში გამოყენებული ენა, როგორც სამუალება ენაში გაწაფვის.
<p>ძირითადი უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტის კრიტიკული კითხვა; • კრიტიკული აზროვნება; • ანალიტიკური უნარები; • უნარები ჯგუფში მუშაობისთვის; • დამოუკიდებელი სწავლის უნარები; • თვითშეფასება და თანატოლთა მუშაობის შეფასება.
<p>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>

მასალები/დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა	<ul style="list-style-type: none"> ვაირენი (2013). ამერიკული ლიტერატურის ისტორია და ანთოლოგია. ჰარიეტ ბიჩერ სტოუ: ბიმა თომას ქოხი, გვ. 20-39.
კურიკულუმებს შორის კავშირი	ინგლისურის სწავლების მეთოდები
მომზადება	<ul style="list-style-type: none"> სწავლების პროცედურების ორგანიზება თემების მომზადება დისკუსიისთვის
შესაძლო პრობლემები და მათი მოგვარების გზები	<ul style="list-style-type: none"> სტუდენტებს შესაძლოა დაავიწყდეთ მიმოხილვა - მიეცით მათ 3-5 წუთი კლასში, რომ წაიკითხონ და გაცვალონ მოსაზრებები ჯგუფში, რათა მოიპოვონ შემდგომი გააზრებისთვის საჭირო წინასწარი ინფორმაცია.

საინტერესო პრაქტიკის გაკვეთილის განხორციელების გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
დავალების წინა ეტაპი				
1.	გამოწვევის ფაზა - 10 წთ.	მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, წაიკითხონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია და განიხილონ ჯგუფებში (4 მოსწავლისგან შემდგარი) ისტორიული წარსული და ინფორმაცია ჰარიეტ ბიჩერ სტოუზე. სტუდენტები	<ul style="list-style-type: none"> წარმოადგინოს ახალი თემა გაზარდოს სტუდენტთა ინტერესი გაკვეთილისადმი; მოამზადოს სტუდენტები შემდგომი გააზრებისა და დისკუსიისთვის; 	მასწავლებელი- სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტები

		მთელს კლასს უზიარებენ დროსა და ავტორზე გაგებულ ინფორმაციას.		
დავალების ეტაპი				
2.	დისკუსია (1) - 20 წუთი	მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, რომ მოამზადონ <i>ბიძია თომას ჯობის</i> შინაარსი; სტუდენტებს სთავაზობენ განიხილონ ინგლისურად და შეეცადონ, რომ წარმოადგინონ მთლიანი ისტორია და გადმოსცენ შინაარსი.	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებმა არ უნდა დაკარგონ ინტერესი გაკვეთილის მიმართ; • განავითარონ სტუდენტთა მიერ ინგლისურად აზრის გამოხატვის უნარები. 	მასწავლებელი- სტუდენტები სტუდენტი- სტუდენტი
3.	დემონსტრირება - 10 წთ.	ყოველ კვირას 6 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებს უწევთ კლასში როლების გათამაშება. (წინასწარ მიცემული დავალება). ახალი სემესტრის დასაწყისში, მასწავლებელი ავალებს სტუდენტებს აირჩიონ ამერიკული ლიტერატურის ისტორია, რომელიც არ არის მოცემული სახელმძღვანელოში და გაითამაშონ ეს ისტორია.	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს სტუდენტთა საუბრის უნარები ინგლისურ ენაში; • სტუდენტთა ჰორიზონტის გაფართოება უფრო მეტი ამერიკული ნაშრომის გაცნობით; • განავითაროს სტუდენტთა დრამატული უნარები. 	სტუდენტი- სტუდენტები

4.	ამბის შეფასება - 15 წთ.	მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, წაიკითხონ ნაწყვეტები სახელმძღვანელოდან დაასახელონ ის ნაწილი, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებენ. მათ უნდა გაამართლონ თავიანთი არჩევანი.	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს ტექსტის კრიტიკული ანალიზის უნარები; • განავითაროს სტუდენტთა ინგლისურად კითხვის უნარები. 	მასწავლებელი- სტუდენტები სტუდენტი- სტუდენტები
5.	თემის განხილვა - 15 წთ.	სტუდენტები ცვლიან ჯგუფის წევრებს და უცვლიან ერთმანეთს იდეებს თემის შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს ტექსტის კრიტიკული ანალიზის უნარები. 	მასწავლებელი- სტუდენტები სტუდენტი- სტუდენტი
დავალების შემდგომი ეტაპი				
6.	წერიტი სტილის ანალიზი - 10 წთ.	სტუდენტებს მოეთხოვებათ აქცენტი გააკეთონ ტექსტის ენაზე და გაიაზრონ ავტორის წერის სტილი.	<ul style="list-style-type: none"> • განავითაროს ტექსტებში გამოყენებული ენის ანალიზის და თარგმნის უნარები; • განავითაროს სტუდენტთა ინგლისურ ენაზე კითხვის უნარები. 	მასწავლებელი- სტუდენტები სტუდენტი- სტუდენტები
7.	შეჯამება - 10 წთ.	მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და მთავარ სასწავლო პუნქტებს. მასწავლებელი აყალიბებს დავალებას შემდეგი გაკვეთილისთვის.	<ul style="list-style-type: none"> • მთავარი სასწავლო პუნქტების შეჯამება; • სტუდენტთა შესრულებაზე კომენტარების გაკეთება; • დავალების მიცემა შემდეგი გაკვეთილისთვის; 	მასწავლებელი- სტუდენტები

			• გაუგებარი საკითხების გარკვევა.	
--	--	--	----------------------------------	--

გაკვეთილის ეტაპების აღწერა

დავალების წინა ეტაპი

1. გამოწვევის ფაზა

მასწავლებელი იწყებს გაკვეთილს წინა კვირას განხილული თემის მიმოხილვით და სტუდენტებს წარუდგენს ახალ თემას. ამ პროცესის ფარგლებში სტუდენტები უზიარებენ ერთმანეთს გასულ სესიაზე მიღებულ ცოდნას. ახალ თემასთან დაკავშირებით კი, თუკი რამდენიმე სტუდენტს არ აქვს ტექსტი წინასწარ წაკითხული, მათ მიეცემათ გარკვეული დრო, რომ იმუშავონ სახელმძღვანელოსთან და შემდეგ განიხილონ 4 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში, თუ რა იციან მათ ამ პერიოდსა და ავტორზე.

შენიშვნა: გამოწვევის ფაზა შეესაბამება დავალების წინა ეტაპს დავალბაზე დაფუძნებულ მიდგომაში, რომელშიც მასწავლებელი წარმოადგენს თემას და აძლევს სტუდენტებს ინსტრუქციებს იმაზე, თუ რისი გაკეთება მოუწევთ მათ, რათა შეასრულონ დავალბები დავალბების შესრულების ეტაპზე.

დავალების ეტაპი

2. დისკუსია

სამიზნე მოთხრობა არის „*ბიძია თომას ქობი*“. ასე რომ, დისკუსიის დროს სტუდენტებმა უნდა შეიმუშავონ ნოველის შინაარსი 4 სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფებში. დეტალური ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი, რადგან დისკუსიის შემდეგ ზოგიერთ მათგანს, სავარაუდოდ, მოუწევს გადმოსცეს, თუ რა ხდება ნოველაში.

3. დემონსტრირება

ყოველ კვირა 6 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი კლასის წინაშე მართავს წარმოდგენას. წარმოდგენა უნდა ეფუძნებოდეს ამერიკულ მოთხრობას და ეს მოთხრობა არ უნდა იყოს სახელმძღვანელოში მოცემული. იმედია, რომ ამგვარად სტუდენტთა ჰორიზონტი გაფართოვდება. ამ პროცედურამ შესაძლოა კლასში ატმოსფერო გამოაცოცხლოს.

4. ამბის შეფასება

ამ ნაწილში მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, რომ აქცენტი გააკეთონ სახელმძღვანელოში მოცემულ ორიგინალ ტექსტზე, რათა წაიკითხონ სიტყვები, წინადადებები და მოსაზრებები. კითხვის დროს მათ უნდა აღმოაჩინონ ის ნაწილი, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებენ. ამის შემდეგ კი რამდენიმე სტუდენტმა უნდა გაუზიაროს მთელს კლასს ეს ნაწილი და დაასაბუთოს არჩევანი.

5. თემის განხილვა

მასწავლებელი ამბობს, რომ *ბიძია თომას ქობი* არის მონობის საწინააღმდეგო მოთხრობა და ამით სტუდენტები მიჰყავს დისკუსიამდე. გარდა ამ თემისა, სხვა რა თემატური საკითხებია განხილული.

6. წერითი სტილის განხილვა

წინა დავალებების შემდეგ სტუდენტებს უკვე აქვთ უფრო სრული წარმოდგენა ამ ამბის. ამ ეტაპზე მათ შეუძლიათ იმუშავონ მოთხრობის წერის სტილზე. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად შესაძლებელი ტექსტიდან ციტატების მოყვანა.

შენიშვნა: ზემოთ აღწერილი დავალებები ემსახურება დავალების ეტაპის განვითარებას, რომელშიც მასწავლებლის როლი არის ძირითადად სტუდენტთა ფასილიტატორის და მეთვალყურის. ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული დავალებების შესასრულებლად.

7. გაკვეთილის მიმოხილვა

სესიის ბოლოს მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს შეაჯამონ, თუ რა გაიგეს მათ დისკუსიებიდან და შეფასებებიდან. უფრო სპეციფიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად მასწავლებელმა შესაძლოა დასვას შემდეგი კითხვები: „მთავარი პერსონაჟის, ელაიზას, რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?“ „ექვგარეშეა, რომ ბიძია თომასთვის ეს ისტორია ტრაგიკულია. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მისი სიკვდილი?“

გაკვეთილებზე გამოყენებული მასალები

ბიჩერ სტოუ (1852). *ბიძია თომას ქობი* [ინტერნეტი] – თავი VII. დედის პრობლემა – <https://www.saylor.org/site/wp-content/uploads/2011/11/SAYLOR-ENGL405-7.3-UNCLETOM.pdf> [ნახვის დრო 12-06-2018]

7. 4.3. საინტერესო პრაქტიკის მაგალითი აღმოჩენაზე დაფუძნებულ სწავლაში

მოამზადა: დანა ზამეჩნიკოვა, ივანა მაროვა
 პროექტის პარტნიორი მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა)
 უნივერსიტეტი:

საინტერესო პრაქტიკის მაგალითი აღმოჩენაზე დაფუძნებულ სწავლაში N 1

ნაწილი A. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკის შესახებ	
საინტერესო პრაქტიკის სათაური	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლება (IBSE)
კურსი/პროგრამა	მაგისტრატურა
კურსის ტიპი	პირისპირი
უნივერსიტეტი	მასარიკის უნივერსიტეტი, ბრნო
მონაწილე პედაგოგთა გუნდი	RNDr.ევა ტრნოვა, დოქტორი

ნაწილი B.სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ასაკი:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მათემატიკური კომპეტენციები და კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში</p> <p>განათლების საფეხური:</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმადლესი განათლების მოკლევადიანი საფეხური) <input type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრიატი) <input checked="" type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრატურა) <input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორანტურა) <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დაასახელოთ)</p>
---------------	---

ნაწილი C. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები

გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე <input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენებზე <input checked="" type="checkbox"/> ციფრული კომპეტენციები <input type="checkbox"/> სწავლის სწავლა <input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები <input type="checkbox"/> მეწარმეობრივი კომპეტენციები <input type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია</p>
----------------------------------	---

ნაწილი D. საინტერესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია

მოდულის სახელწოდება	<p>კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდული - ინოვაციური სწავლება/სწავლის სტრატეგია სამეცნიერო განათლებაში</p>
ხანგრძლივობა	360 წთ. (3 გაკვეთილი. თითოეული 45 წუთი)

<p>მოდულის მიზნები</p>	<p>1) გაზარდოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა ინტერესი მეცნიერებისადმი სასწავლო გეგმის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით; ექსპერიმენტის უნარები; • სტუდენტზე ორიენტირებული აქცენტები სამეცნიერო პრობლემის გადაჭრისას და გადაწყვეტილების მიღებისას;
<p>მოდულის მიზნები</p>	<p>2) განავითაროს სტუდენტთა უნარები კვლევის საკითხის განსასაზღვრად;</p> <p>3) განავითაროს სტუდენტთა ანალიტიკური უნარები კვლევის საკითხის განსასაზღვრად;</p> <p>4) ხელი შეუწყოს ინოვაციურ მეთოდებში პროფესიული უნარების განვითარებას;</p>
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოსთვის სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩამოაყალიბონ კვლევის საკითხები; • გადაჭრან ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემა; • შეიმუშავონ და შეასრულონ ექსპერიმენტი; • განახორციელონ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მიდგომა თავიანთი სწავლების პრაქტიკაში;
<p>ძირითადი უნარები</p>	<p>ექსპერიმენტული უნარები, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უნარები, გამოკითხვის შესრულების უნარები, სწავლების/სწავლის უნარები.</p>
<p>სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>

მასალები/დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა	მინის ბოთლი, ვაკუუმის სიმულაციის სპეციალური მოწყობილობა, დაბეჭდილი მასალები.
კურიკულუმებს შორის კავშირი	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულების კავშირი ქიმიასთან, ფიზიკასა და ბიოლოგიასთან.
მომზადება	მასალების ბეჭდვა. მინა და სპეციალური მოწყობილობების მომზადება
შესაძლო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	<i>მასალების და სპეციალური მოწყობილობების მომზადების ვერ შეძლება, კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების პრინციპების ვერ გაგება.</i>

საინტერესო პრაქტიკის მოდულის განხორციელების გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურა	მიზანი/მიზნები	ინტერაქცია
A	თეორიული ნაწილი	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების თეორიის წარდგენა სტუდენტებისთვის.	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების პრინციპების გაგება.	მასწავლებელი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტები
B	სავარჯიშოების ნაწილი	სტუდენტები ეტაპობრივად ახორციელებენ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულს (1-6) და ცდიან კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების სხვადასხვა დონეს.	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულის მომზადებისთვის კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების პრინციპების და პროცედურების გაგება.	სტუდენტი-სტუდენტები

1	გამოწვევის ფაზა	სტუდენტები კითხულობენ მოთხრობას და განიხილავენ პრობლემას.	პრობლემის გადაჭრის მოტივაცია	მასწავლებელი-სტუდენტები (მთლიანი კლასი)
2	კითხვის ჩამოყალიბება	სტუდენტების აყალიბებენ კვლევის კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია საკვლევ პრობლემასთან.	გააუმჯობესოს კვლევის უნარები - კვლევის საკითხის ფორმულირება	სტუდენტი სტუდენტი-სტუდენტები
3	ექსპერიმენტული მუშაობა	სტუდენტები შეიმუშავენ და ასრულებენ ექსპერიმენტებს და აკეთებენ დასკვნებს. ისინი ცდილობენ, რომ იპოვონ პასუხები კვლევის კითხვებზე.	ექსპერიმენტების და არგუმენტირების უნარების განვითარება; გადაწყვეტილების მიღება	სტუდენტი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტი
4	პრეზენტაცია და შედეგების დაცვა	სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ შედეგებს და იცავენ მათ.	პრეზენტაციის უნარების და არგუმენტირების განვითარება	მასწავლებელი-სტუდენტები
5	დისკუსია	სტუდენტებს უწევთ გადაწყვეტილების მიღება, პროცედურის და შედეგების არგუმენტებით განმტკიცება.	კვლევის კითხვაზე პასუხის ფორმულირება	მასწავლებელი-სტუდენტები
6	შეფასება	სტუდენტები ასრულებენ თვითშეფასებას და თანატოლთა შეფასებას.	საკუთარი და თანაკლასელთა ნაშრომების შეფასება	მასწავლებელი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტი
C	სტუდენტთა კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო	სტუდენტები ქმნიან საკუთარ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების თეორიის	სტუდენტი

	განათლების მოდულის შექმნა	განათლების მოდულს.	გამოყენება პრაქტიკაში	
D	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულის პრაქტიკაში განხორციელება	სტუდენტები ახორციელებენ თავიანთ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულს პარტნიორ სკოლებში სწავლება/სწავლისას.	კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მოდულის პრაქტიკაში გამოყენება და ვერიფიკაცია	სტუდენტი სტუდენტი-სტუდენტი

მოდულში გამოყენებული მასალა

უსაფრთხოების დაცვა ცურვისა და ყვინთვის დროს

(მოდული)

მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი: ჯოზეფ ტერნა, ევა ტერნოვა (მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა)

მასწავლებლის გზამკვლევი

1) სცენარი

➤ წაიკითხეთ მოთხრობები და გაიაზრეთ:

აღნიშნული მოთხრობა გამოყენებულია სტუდენტებში მოტივაციის ასამაღლებლად და პრობლემური სიტუაციის წასახალისებლად. სტუდენტები სვამენ კითხვებს, რომლებზეც სურთ პასუხის გაცემა. მათ უნდა წაიკითხონ მოცემული მოთხრობა სიმშვიდეში.

პირველ მოთხრობაში მოცემულია პრობლემა ვაზოკონსტრუქციის შესახებ (სისხლძარღვების შევიწროვების პროცესის აღმნიშვნელი), რომელიც გამოწვეულია სხეულის ტემპერატურის მკვეთრი დაცემით.

ვინ არის მართალი?

პიტერი წავიდა ველოსიპედით სასეირნოდ თავის მშობლებთან ერთად. შუადღეს ისინი მიადგნენ მდინარეს. ძალიან ცხელოდა, პიტერი ოფლში იწურებოდა და ერთი სული ჰქონდა გაგრილებულიყო. მას უნდოდა მაშინვე ჩამხტარიყო ცივ წყალში, მაგრამ დედამისმა შეაჩერა და უთხრა, რომ ცოტახანს მოეცადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლებოდა დამხრჩვალყო. პიტერს გაეცინა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს იყო ცრუ რწმენა, რომელსაც მშობლები შვილებს ეუბნებოდნენ. მათ უბრალოდ ეშინოდათ, რომ შვილები გაცივდებოდნენ. თვითონ ფიქრობდა, რომ ძლიერი იყო და არ ეშინოდა ცივი წყლის.

მეორე მოთხრობაში მოცემულია პრობლემა, რომელიც ეხება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას ჩაყვინთვის დროს.

სიკვდილი ჩაყვინთვის დროს

ახალია ამბები სატელევიზიო მაუწყებლობიდან: გუშინ ცნობილი მომღერალი დ. ნ. ტრაგიკულად დაიღუპა წყალქვეშა ყვინთვის დროს 3-ს სანაპირო კურორტზე. ადგილობრივმა პოლიციამ განაცხადა, რომ გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ცნობილი გახდება სასამართლოს მხრიდან აუტოფსიის ჩატარების შემდეგ. უფროსმა ინსტრუქტორმა ლ. თ.-მ უპასუხა ჩვენს კითხვებს, თუ რას შეეძლო გამოეწვია ეს ტრაგედია ყვინთვის დროს. ეს შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო პატარა ტრავმით, როგორცაა. მაგალითად, შუა ყურის აპკის გასკდომა. დეტალები ცნობილი გახდება მომდევნო გადაცემაში.

2) პრობლემები და კითხვები:

- ხელახლა წაიკითხეთ მოცემული ტექსტები და ჩამოწერეთ კითხვები:

სტუდენტებმა ხელახლა ყურადღებით გადაიკითხეს მოცემული ტექსტი და ჩამოწერეს ის კითხვები, რომლებიც გაუჩნდათ ტექსტის წაკითხვის დროს.

1.....
2.....
3.....
4.....
5.....

სტუდენტები ჩამოწერენ კითხვებს მოცემულ ცხრილში.

- თუ თქვენ არ გაქვთ იდეები, აირჩიეთ ქვემოთ მოცემული კითხვებიდან: სტუდენტებს, რომლებიც ვერ აყალიბებენ კითხვებს ტექსტის ირგვლივ, შეუძლიათ აირჩიონ ისინი შედგენილი კითხვებიდან. კითხვები მოიცავს ორივე მოთხრობაში მოცემულ ძირითად პრობლემას.

მოდულის ბოლოს ეს კითხვები ზოგადად იქნება განხილული სტუდენტების კითხვებთან ერთად.

➤ შემდეგი ექსპერიმენტი დაგვეხმარება პასუხის გაცემაში:

- ა)რა თვისების მატარებელ წყალს შეუძლია გამოიწვიოს ჯანმრთელობის პრობლემები და სიკვდილიც კი?
- ბ)ადამიანის სხეულის რომელი ორგანო შეიძლება დაზიანდეს ცურვისა და ყვინთის დროს და რატომ?
- გ)ცურვისა და ყვინთვის რომელი სახეობა არის რისკის შემცველი?
- დ)რომელი წესები უნდა დავიცვათ ცურვისა და ყვინთვის დროს?

აქ წარმოდგენილი იქნება ექსპერიმენტების მთელი სერია:

ცდები შერჩეულია და მოწყობილია ისე, რომ შედეგი ეხმარება სტუდენტებს თავიანთ კითხვებს პასუხი გასცენ. არსებობს სამოდელო ცდა, როდესაც სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ, მაგ., ჰაერისა და წყლის ფენომენის ანალოგიები (ცდა 2-4). ეს არის მეორე და მესამე დონის კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების გამოყენება, რომელშიც სტუდენტი კვლევის (ექსპერიმენტის) გამოყენებით ეძებს პასუხებს მოცემულ ან საკუთარ კითხვებზე.

3) ამოცანა და ცდა:

ცდა 1: წნევის გაზომვა

გაზომეთ და ჩაწერეთ ოთახში ჰაერის ტემპერატურა


სფიგნომომეტრის მეშვეობით, გაზომეთ მარცხენა მკლავის სისხლის წნევა და ჩაწერეთ მონაცემები.

გაიკეთეთ წნევის გასაზომი მანჟეტი მეორე მკლავზე და გაზომეთ ხელახლა.



გაზომეთ იმ ცივი წყლის ტემპერატურა, რომელიც მომზადებულია მარჯვენა მკლავის გასაგრძელებლად.

ჩადეთ მარჯვენა მკლავი ცივი წყლით სავსე სათლში. გაზომეთ მარცხენა მკლავის წნევა და ისევ ჩაიწერეთ შედეგი.



შეადარეთ შედეგები და შეაფასეთ თქვენი სისხლძარღვების მდგომარეობა.

ცდა საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიგოს, თუ როგორ არის დამოკიდებული ადამიანს წნევა სხეულის გაგრილებაზე - ამ შემთხვევაში მკლავი. ჩვენ ვიყენებთ ბარომეტრს (უმჯობესია ციფრული) და ცივი წყლით სავსე კონტეინერს. ცდა უსაფრთხოა, ის შიძლება ჩატარდეს რისკის გარეშე. ჩვენ ვიყენებთ თერმომეტრს, რათა გავზომოთ ოთახის და ცივი წყლის ტემპერატურა.

ექსპერიმენტის შედეგი და მნიშვნელობა:

- სიცივე გამოწვეულია სისხლძარღვების ვაზოკონსტრიქციით და ორგანიზმში შემცირებული სისხლის მიმოქცევით - თავიდან კანი და კუნთის კაპილარები დაზიანებულია. თუ ჩვენ ვიმყოფებით ცივ გარემოში, სისხლძარღვები ვიწროვდება ნაკლებად მნიშვნელოვან ქსოვილებში, განსაკუთრებით - ზედაპირულ ქსოვილებში, როგორცაა: კანი და კუნთები. სისხლი არ გრილდება და ვერ აგრილებს სხეულის შიდა ტემპერატურას.
- ზედაპირული სისხლძარღვების ვაზოკონსტრუქცია ზრდის არტერიულ წნევას. ცვლილება დამოკიდებულია სისხლძარღვების მდგომარეობაზე, მათ რეაქტიულობაზე. თუ ტემპერატურის ცვლილება სწრაფია, განსაკუთრებით ჭარბწონიანი ადამიანის შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს წნევის სწრაფი აჩევა და სხეულის კოლაფსი, რომელმაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი.

სამუშაო ფურცელი	წნევის გაზომვის ტესტი			
1.	ოთახის ტემპერატურა	1.	ოთახის ტემპერატურა	1.
2.	ცივი წყლის ტემპერატურა	2.	ცივი წყლის ტემპერატურა	2.
3.	წყლისა და ჰაერის ტემპერატურას	3.	წყლისა და ჰაერის ტემპერატურას	3.

	შორის განსხვავება		შორის განსხვავება	
4.	გაზომვის და დაკვირვების შედეგები	4.		

სტუდენტები ადარებენ გამოკვლევის (დაკვირვება და ექსპერიმენტი) შედეგებს სწორი სამეცნიერო ინტერპრეტაციით.

ცდა 2: მოდელირება - მაღალი წყლის წნევის დროს შიდა ყურის აპკის გასკდომა.
ცდისთვის ძირითადი დამხმარე საშუალება არის პლასტმასის ბოთლი განიერი ყელით.



ბოთლის თავსახური არის გახვრეტილი და საბურავის სარქველი არის



ჩახრახნილი შიგნით.

ექსპერიმენტის დროს პლასტმასის ბოთლში ჭარბი წნევა წარმოიქმნება ხელით შეკუმშვით ან პატარა ველოსიპედის საბურავის გასაბერი სატუმბით.



ექსპერიმენტისთვის საჭირო ნივთების მოძიება არ არის რთული და უმჯობესი იქნება მათი წინასწარ მომზადება. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია გამოვიყენოთ დამცავი სათვალე ან სახის დამცავი ნილაბი. პლასტმასის ბოთლი არის შექმნილი ისე, რომ გაუძლოს მაღალ წნევას. მიუხედავად ამისა, სტუდენტებს ბევრჯერ შეკუმშვის უფლებას არ ვაძლევთ. უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად მჭიდროდ არის ბოთლი დახურული და რამდენად უსაფრთხოა ექსპერიმენტისთვის.

ჩვენ ვდებთ ინდივიდუალურ ინსტრუმენტებს პლასტმასის ბოთლებში, რომლებსაც ქვემოთ აღვწერთ.



დახურეთ ტუბის თავი რეზინის მემბრანით (გასაბერი ბუშტი) და დაამაგრეთ რეზინის სახვევით.

შეაერთეთ ველოსიპედის გასაბერი სატუმბი თავსახურს და გაბერეთ, თქვენ წარმოქმნით ჭარბ წნევას ბოთლში.



- წნევის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მემბრანა იღუნება ტუბში.



- მემბრანის დეფორმაცია იზრდება წნევის მატებასთან ერთად.



- ჩაანაცვლეთ რეზინის მემბრანა თხელი პლასტმასის მემბრანით.
- წნევის ზემოქმედების შედეგად ეს მემბრანაც დეფორმირდება ტუბში.



თუ ჭარბი წნევა ბოთლში არის საკმარისად მაღალი, პლასტმასის მემბრანა სკდება.



რეზინის და პლასტმასის მემბრანა არის შიდა ყურის აპკის სიმულაცია ცურვის, აბაზანის მიღების ან ყვინთვის დროს. წყალი ყურში (გარე სასმენი მილი) აწვება ყურის აპკს, მსგავსად ჰაერისა, რომელიც აწვება მემბრანას ექსპერიმენტის დროს. ამ წნევის შედეგად დეფორმირდება ყურის აპკი და მაღალი წნევის დროს სკდება.

ექსპერიმენტის შედეგი და მნიშვნელობა:

ჭარბი წნევის ძალით გამოწვეული დეფორმაციის ეფექტი ნაჩვენებია მემბრანის გასკდომით ტუბში (მილი), რომელიც დამზადებულია პლასტმასის პარკებისგან. პლასტმასის მემბრანა სიმულაციური მოდელირებაა ყურის აპკის მოქმედებისა.

სტუდენტები ადარებენ თავიანთი გამოკვლევის (დაკვირვება და ექსპერიმენტი) შედეგებს სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციით.

- ცდა 3: ფილტვების შეკუმშვა
- გაბერეთ რეზინის ბუშტი პლასტმასის ბოთლში.



- ველოსიპედის სატუმბით ბოთლში წნევის გაზრდა იწვევს ბუშტის მოცულობის შემცირებას.



- ბოთლის გახსნის შემდეგ ბუშტი ისევ იბერება.



- | |
|--|
| <ul style="list-style-type: none">• ექსპერიმენტის შედეგი და მნიშვნელობა: |
|--|

- ჭარბი წნევის ძალით გამოწვეული დეფორმირება არის ნაჩვენები გაბერილი რეზინის ბუმბის მოცულობის შეცვლით.
- წყლის ქვეშ ჩაყვინთვისას ჭარბი წნევა ამცირებს ფილტვების მოცულობას. ჩვენ შეგვიძლია ვისუნთქოთ სპონტანურად მხოლოდ ერთი მეტრის სიღრმეში წყლის ზედაპირის ქვეშ. ყვინთვის დროს ჰაერი ჩატუმბული უნდა იყოს ჩვენს ფილტვებში წნევის გამოყენებით. ათი მეტრის სიღრმეში ფილტვების მოცულობა მცირდება ნახევრამდე. თუ მყვინთავი სწრაფად ამოვა წყლის ზედაპირზე, მისი ფილტვები სასიკვდილოდ დაზიანდება.

სტუდენტები ადარებენ თავიანთი გამოკვლევის (დაკვირვება და ექსპერიმენტი) შედეგებს სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციით.

ცდა 4: ჰაერის ნაკადის მიწოდების შეწყვეტა სისხლში

- წყალი ჰერმეტიკულ (წნევის ქვეშ მყოფი) ბოთლში ნაკლებად აწოდებს ჰაერს, ვიდრე ჩვეულებრივი ატმოსფერული წნევის დროს.



- ბოთლის გახსნის შემდეგ ჰაერის ბუმბუკები იწყებს გამოყოფას.



- ამის შემდეგ შედარებით დიდი ზომის ბუმბუკები იწყებს გამოყოფას.



ექსპერიმენტის შედეგი და მნიშვნელობა:
პლასტმასის ბოთლში ჰაერი ირევა წყალში ჭარბი წნევის ზემოქმედების შედეგად. ჰაერი (აზოტი) ირევა სისხლში ჩაყვინთვის დროს. სისხლძარღვის ემბოლია არის სიკვდილის ხშირი მიზეზი წყლიდან სწრაფი ამოსვლის შემთხვევაში. ყველაზე დიდი საშიშროება არის ბაროტრავმა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების სხვადასხვა ხარისხის დაზიანება და სიკვდილიც კი. ბაროტრავმა გამოწვეულია სხეულის წნევის ცვლილებით, რომელიც ვლინდება ჭარბი წნევის დროს და ზედაპირზე სწრაფი გამოჩენის დროს, წნევის მოულოდნელი დავარდნით. სისხლძარღვების გაფართოების გამო წნევა იცვლება, სისხლის აირები თავისუფლდება და სისხლი ქაფდება.

სტუდენტები ადარებენ თავიანთი გამოკვლევის (დაკვირვება და ექსპერიმენტი) შედეგებს სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციით.

გადაწყვეტილების მიღება
კითხვაზე პასუხის გაცემა:

მოკლედ გაეცით პასუხები კითხვებს, რომლებიც გაგიჩნდათ გამოკითხვის დაწყებამდე.

- 1.....
პასუხი:
- 2.....
პასუხი:
- 3.....
პასუხი:

4.....

პასუხი:

5.....

პასუხი:

ა) რა თვისების მატარებელ წყალს შეუძლია გამოიწვიოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სიკვდილიც კი?

პასუხი:

ბ) ადამიანის სხეულის რომელი ორგანო შეიძლება დაზიანდეს ცურვისა და ყვინთვის დროს და რატომ?

პასუხი:

გ) ცურვისა და ყვინთვის რომელი სახეობა არის რისკის შემცველი?

პასუხი:

დ) რომელ წესებს ვიცავთ ცურვის და ყვინთვის დროს?

პასუხი:

სტუდენტები ინდივიდუალურად წერენ პასუხებს კითხვებზე გამოკითხვის დაწყებამდე.

ტექსტების შეჯამება და რეკომენდაციები:

- ცხრილის მარცხენა სვეტში ჩამოწერეთ თქვენი წინადადებები და რეკომენდაციები. განიხილეთ თქვენი აზრები სტუდენტებთან და მასწავლებლებთან. კორექტირების და რაიმეს დამატების შემთხვევაში ჩაწერეთ მარჯვენა სვეტში.

სამუშაო ფურცელი: ვინ არის მართალი?		
	ჩემი აზრი:	კორექტირება და შეჯამება დისკუსიის შემდეგ:
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

სამუშაო ფურცელი: სიკვდილი ყვინთვის დროს		
	ჩემი აზრი:	კორექტირება და შეჯამება დისკუსიის შემდეგ:
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

საკუთარ გამოკვლევაზე დაყრდნობით, სტუდენტები წინასწარ ავსებენ მარცხენა მხარეს მოცემულ სამუშაო ფურცლებს (ცხრილებს). დისკუსიის დროს სტუდენტების დასკვნები არის მკაფიო.

კომენტარები და რეკომენდაციები:

მოდულის განხორციელებამდე მასწავლებელმა უნდა მიიღოს უფრო მეტი ინფორმაცია ყვინთვაზე. ყვინთვა ხდება სულ უფრო და უფრო პოპულარული. არსებობს სახელმძღვანელო მყვინთავებისთვის, რომელშიც მოცემულია, მაგალითად, ცხრილები. ისინი უჩვენებს დროს, რომელიც საჭიროა წყლიდან უსაფრთხო ამოსვლისთვის. უსაფრთხო ყვინთვის პრინციპები ან პირველი სამედიცინო დახმარება და ასე შემდეგ. მასწავლებლები (და სტუდენტები) იპოვიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას ამ სახელმძღვანელოებში. დაინტერესების შეთხვევაში, შესაძლებელია დაიგეგმოს დისკუსია ინსტრუქტორთან.

აღმოჩენით სწავლებაზე საინტერესო პრაქტიკის მაგალითი N2

ნაწილი ა. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე

<i>საინტერესო პრაქტიკის სათაური</i>	აღმოჩენით სწავლება
<i>დანერგვა კურსში/პროგრამაში</i>	მაგისტრის ხარისხი
<i>კურსის ტიპი</i>	პირისპირ
<i>უნივერსიტეტი</i>	მასარიკის უნივერსიტეტი, ბრნო
<i>პედაგოგიური ჯგუფი</i>	RNDR. ევა ტერნოვა, დოქტორი.

ნაწილი ბ. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ჯგუფი ასაკის მიხედვით</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>განათლების დონე</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი კურსები)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრის ხარისხი)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრის ხარისხი)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორის ხარისხი)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა(დააკონკრეტეთ):</p>
---------------	--

ნაწილი გ. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები	
გამჭოლი უნარები და კომპეტენციები	<p><input checked="" type="checkbox"/> მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია</p> <p><input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენაზე</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მათემატიკური კომპეტენცია, კომპეტენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ციფრული კომპეტენცია</p> <p><input type="checkbox"/> სწავლის სწავლა</p> <p><input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია</p> <p><input type="checkbox"/> სამეწარმეო კომპეტენცია</p> <p><input type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კომპეტენცია</p>

ნაწილი დ. კონკრეტული ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე	
მოდულის სათაური	მეცნიერული აღმოჩენებით სწავლება - ინოვაციური სწავლება/სწავლის სტრატეგიები სამეცნიერო განათლებაში
ხანგრძლივობა	360 წუთი (3 გაკვეთილი. თითოეული 45 წუთი.)

<p>მოდულის მიზანი</p>	<p>გაიზარდოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტის ინტერესი მეცნიერების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ყოველდღიურ გეგმასთან; • სტუდენტების ექსპერიმენტული უნარები; • სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხაზგასმა მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტის ან გადაწყვეტილების მიღებისას; • საკვლევი კითხვის განსაზღვრის უნარი; • სტუდენტების ანალიტიკური უნარი საკვლევი კითხვის განსაზღვრაში.
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოს სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩამოაყალიბონ საკვლევი კითხვა; • გადაჭრან ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემა; • შექმნან და წარმოადგინონ ექსპერიმენტი; • დანერგონ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო განათლების მიდგომა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისას.
<p>ძირითადი უნარები</p>	<p>ექსპერიმენტული უნარები; გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უნარები; კვლევის ჩატარების უნარი; სწავლება/სწავლის უნარი.</p>
<p>სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა <input checked="" type="checkbox"/> • დავალებაზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input type="checkbox"/>
<p>მასალა/დამხმარე საშუალება/აღჭურვილობა</p>	<p>ქიმიური ლაბორატორია, მასალები ინსტრუქციების მიხედვით, მინერალები</p>
<p>კურიკულუმებს შორის კავშირი</p>	<p>მეცნიერული აღმოჩენებით სწავლების კავშირი ფიზიკასთან, ქიმიასა და ბიოლოგიასთან</p>

მომზადება	ექსპერიმენტისთვის მასალის ამობეჭდვა ინსტრუქციის მიხედვით
შესაძლო პრობლემები და გადაჭრის გზები	მასალის მომზადების უნარის არ ქონა, გაურკვეველობა აღმოჩენით სწავლების პრინციპებში

საუკეთესო პრაქტიკის მოდულის დანერგვის გეგმა

N	ეტაპი/დრო	პროცედურები	მიზანი	ინტერაქციის ნიმუში
A	თეორიული ნაწილი	მეცნიერული აღმოჩენებით სწავლების წარდგენა სტუდენტებისთვის.	მეცნიერული აღმოჩენებით სწავლების პრინციპების დაუფლება	მასწავლებელი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტები
B	გამოყენება, განხორციელება	სტუდენტები ახორციელებენ მეცნიერული აღმოჩენებით სწავლებას ნაბიჯ-ნაბიჯ (1-6).	აღმოჩენით სწავლების პრინციპების დაუფლება და პროცედურების მიხედვით მაგალითის მომზადება	სტუდენტი-სტუდენტები
1	გამოწვევის ფაზა	სტუდენტები კითხულობენ ტექსტს და განიხილავენ პრობლემებს.	პრობლემის გადაჭრის მოტივაცია	მასწავლებელი-სტუდენტები
2	კითხვების შედგენა	სტუდენტები ავსებენ საკვლევ კითხვარს, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ პრობლემასთან	კვლევის უნარების განვითარება - საკვლევ კითხვების ფორმულირება	სტუდენტი-სტუდენტი-სტუდენტები
3	ექსპერიმენტული სამუშაო	სტუდენტები ატარებენ და წარმოადგენენ ცდებს, გამოაქვთ დასკვნა და ცდილობენ პასუხი	განავითარონ ექსპერიმენტული უნარები, არგუმენტაციისა და	სტუდენტი-სტუდენტები სტუდენტი-სტუდენტი

		გაცენ საკვლევ კითხვებს.	გადაწყვეტილების მიღების უნარი.	
4	შედეგების პრეზენტაცია და დაცვა	სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ შედეგებს და იცავენ მას	განავითარონ პრეზენტაციის და არგუმენტაციის უნარი.	მასწავლებელი- სტუდენტები
5	დისკუსია	სტუდენტებმა უნდა შეძლონ გადაწყვეტილების მიღება, არგუმენტირებულად გადმოსცენ პროცედურები და შედეგები.	პრობლემურ კითხვებზე პასუხების ფორმულირება	მასწავლებელი- სტუდენტები
6	შეფასება	სტუდენტები აკეთებენ თვითშეფასებას და თანატოლთა შეფასებას.	საკუთარი და თანატოლთა ნამუშევრების შეფასება	მასწავლებელი- სტუდენტები- სტუდენტი

მოდულში გამოყენებული მასალა

ნახშირბადი- სიცოცხლის ბუნება

ინსტრუქცია: მეცნიერება (განსაკუთრებით ქიმია და ბიოლოგია)

კლასი: V – IX

რეზიუმე

ამ მოდულის არსი შემდეგია: დაანახოს სტუდენტებს, რომ ნახშირბადი არის ადამიანის ორგანიზმის ჩამოყალიბების ფუნდამენტური ნაწილი. სტუდენტები შეისწავლიან ნახშირბადის არსებობას ორგანულ მასალებში მარტივი ექსპერიმენტების გამოყენებით. სტუდენტები გაეცნობიან ორგანული ნაერთების შემადგენლობას. ისინი ეძებენ კავშირს ნახშირბადის, ქვანახშირის, ხის და ქვებში დამწვარ კერძს შორის.

მათ გამოაქვთ დასკვნები ნახშირბადის მნიშვნელობის შესახებ. შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების გამოყენება არა მხოლოდ ნახშირბადის, არამედ წყალბადისა და ჟანგბადის წარმოშობის შესახებ ორგანულ მასალაში.

მასწავლებელი მეგზური:

1) მოთხრობა:

ტექსტი გამოიყენება სტუდენტებში მოტივაციის ასამაღლებლად და პრობლემური სიტუაციის სტიმულირებისთვის. ამ დროს სტუდენტები სვამენ კითხვებს, რომლებზეც სურთ პასუხის გაცემა. სტუდენტი კითხულობს მოთხრობას მშვიდ გარემოში.

➤ წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი:

1 350 მილიონი წლის წინ

თბილა, შესაძლოა ცხელა და ჰაერში ნესტის სუნი იგრძნობა. რატომაც არა? ჩვენ ვართ ჭაობში, ირგვლივ უზარმაზარი ლიკოპოდებია. ხეები დიდია. ისინი 20 მეტრამდე გაზრდილა, ზოგი კი ალბათ 10 მეტრზე მეტია. ხის გარშემოწერილობა ერთ მეტრზე მეტია. გიგანტური ნემსიყლაპიები დაფრინავენ ხეებს შორის. იქ რომ ვინმე ყოფილიყო, იფიქრებდა, რომ თვითმფრინავმა ჩაიქროლა და შეეშინებოდა. ამ ნემსიყლაპიას ფრთების სიგანე დაახლოებით 75 სანტიმეტრია და სხეულის სიგრძე დაახლოებით 250 სანტიმეტრი. მაგრამ დრო არ არის ნემსიყლაპიების საყურებლად. უეცრად ქარი ამოვარდა და წამოშალა ღრუბლები. ქუსს და ცა ღრუბლებით იფარება. თავსხმა წვიმაა. ქარი ქრის. თითქოს ქარიშხალია. ხეები წყალში ცვივა და ჭაობში იძირება. უეცრად კი ქარი ჩადგა ისე სწრაფად, როგორც ამოვარდა.

20 წლის წინ ქალაქ ოსტრავასთან ახლოს ქვანახშირით ცნობილ რეგიონში

ქვანახშირის მადაროელები მუშაობენ ღრმა მადაროში. ისინი ამტვრევენ პატარა და დიდ ნატეხებს კლდიდან. მოულოდნელად მათ მოანგრიეს ნატეხი, რომელზეც ლამაზად იყო აღბეჭდილი ფოთოლი. საიდან მოვიდა ეს? ეს ჯუჯების სასწაულია?



<http://cs.wikipedia.org/wiki/Soubor:Neuropteris.JPG>

გუმინ ჩვენს სამზარეულოში

ისე ვგრძნობ თავს, თითქოს რაღაც გემრიელს ვჭამდე. რა მოვამზადო? იქნებ კაკაოს მომზადება მინდა? ვასხამ ცოტა რძეს ქვაბში და ვაცხელებ ელექტრო ღუმელზე. რეკავს ზარი. ვინ რეკავს? აჰა, ევა. როგორ ხარ? ჩვენ ვაგრძელებთ ლაპარაკს. უცებ დამწვრის სუნი მცემს. ვკიდებ ყურმილს და გავრბივარ სამზარეულოში! რა არეულობაა. როცა დედა დაბრუნდება სახლში, ის გამკიცხავს. ყველაფერი სწრაფად უნდა დავალაგო!

2) პრობლემები და კითხვები:

➤ ხელახლა წაიკითხეთ მოცემული ტექსტები და ჩამოწერეთ კითხვები:

სტუდენტებმა ხელახლა ყურადღებით გადაიკითხეს მოცემული ტექსტი და ჩამოწერეს ის კითხვები, რომლებიც გაუჩნდათ ტექსტის წაკითხვის დროს.

1.....
2.....
3.....
4.....
5.....

სტუდენტები ჩამოწერენ კითხვებს ცხრილში.

➤ თუ თქვენ არ გაქვთ იდეები, აირჩიეთ ქვემოთ მოცემული კითხვებიდან:

სტუდენტებს, რომლებიც ვერ აყალიბებენ კითხვებს ტექსტის ირგვლივ, შეუძლიათ აირჩიონ შედგენილი კითხვებიდან. ისინი მოიცავს ორივე მოთხრობაში მოცემულ ძირითად პრობლემას.

ა) შესაძლებელია თუ არა იპოვოთ ნახშირის ნატეხი, რომელზეც ფოთოლია აღბეჭდილი? რომელმა ბუნებრივმა პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ეს პირველ სურათზე?
ბ) რას ნიშნავდა ქვაბის გამოჩენა ნოველაში „გუშინ სამზარეულოში?“ რძემ როგორ იცვალა ფერი? რა იყო ამ ცვლილების მიზეზი?
გ) აღწერილი ექსპერიმენტები შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, როგორც მტკიცებულება ნახშირის არსებობისა ორგანულ ქსოვილებში?
დ) როგორ შეიძლება დავამტკიცოთ ჟანგბადის არსებობა ორგანულ ნივთიერებებში? ჟანგბადის შემცველ რომელ მარტივ ნაერთს შეუძლია დაგვებმაროს ამის დამტკიცებაში?

განხილულ კითხვებს პასუხი გაეცემა მოდულის დასასრულს და მოხდება სტუდენტების კითხვებთან მათი დაკავშირება.

3) ამოცანები და ექსპერიმენტი:

შემდეგი ექსპერიმენტი დაგეგმარებათ კითხვებზე პასუხის გაცემაში:

ექსპერიმენტების სერია წარმოდგენლია სტუდენტების მიერ აღმოჩენილი კანონებით. ექსპერიმენტი შერჩეულია და მოწყობილია ისე, რომ შედეგი ეხმარება სტუდენტებს კითხვებზე პასუხის გაცემაში. ეს არის სამოდულო ექსპერიმენტი, რომელიც ხელს უწყობს თეორიული მასალის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ეს არის მეცნიერული აღმოჩენით სწავლების გამოყენება, სადაც სტუდენტები კვლევას (ექსპერიმენტს) იყენებენ მოცემულ ან თავიანთ საკუთარ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

❖ ცდა 1: ნახშირბადის, ჟანგბადის და წყალბადის არსებობის დადასტურება პარაფინსა და სხვა ქიმიკატებში: მენზურა, პეტრის ჯამი, კირიანი წყალი, პარაფინის ცვილის სანთელი, ბრტყელტუჩა

პროცედურები:

- ▶ მოათავსეთ ანთებული სანთელი მენზურაში;
- ▶ ერთი წუთის შემდეგ დაახურეთ პეტრის ჯამი მენზურას;
- ▶ სანთლის ჩაქრობის შემდეგ შეამოწმეთ მენზურის გვერდები;
- ▶ მოაშორეთ სანთელი, ჩაასხით კირიანი წყალი მენზურაში, დაახურეთ და შეანჯღრიეთ.
- ▶ ჩამოწერეთ დაკვირვების დროს გამოვლენილი ცვლილებები, ახსენით და თუ შესაძლებელია, გადაუღეთ ფოტო.

სამუშაო ფურცელი	ნახშირბადის, ჟანგბადის და წყალბადის არსებობა პარაფინში
ქიმიური ნივთიერებები	
ქიმიური ხელსაწყოები	
დაკვირვება: 1. აღწერეთ, რა მოხდა მენზურაში, როდესაც მას დაახურეთ პეტრის ჯამი. 2. აღწერეთ კირიანი წყლის მდგომარეობა მენზურაში ჩასხმამდე და ჩასხმის შემდეგ ნივთიერებებთან წვის შედეგად. 3. რომელი ნივთიერება გამოვლინდა ამ რეაქციით?	
შედეგი: ეს რეაქცია საშუალებას გავძლევს დავინახოთ გარკვეული ელემენტების არსებობა პარაფინში.	

❖ ცდა 2 : ნახშირბადის არსებობა ხეში
ხელსაწყოები და ქიმიური ნივთიერებები: 2 სატესტო ტუბი, შეერთებული ხვრელით, შუშის ტუბი, ხის ნათალი და ნახერხი, კირიანი წყალი, გამათბობელი, ლაბორატორიული სტენდი, $\text{CuSO}_4 \cdot 0.5 \text{H}_2\text{O}$, ტამპონი

პროცედურები:

- ▶ ტუბის ორი მესამედი აავსეთ ნახერხით და დახურეთ ის შუშის ტუბით;
- ▶ სქემის მიხედვით ააწყვეთ აპარატი და ფრთხილად დაასხით კირიანი წყალი მეორე სატესტო ტუბში;
- ▶ გააცხელეთ ნივთიერებათა ნარევი და დააკვირდით ორივე ტუბში ცვლილებებს;
- ▶ ტუბის კედლებზე გაჩნდა სითხის წვეთები ნალექებით. ნელა გაწმინდეთ კედლები ბამბის ტამპონით, რომლის ზედაპირი დაფარულია CuSO_4 ით;
- ▶ ჩამოწერეთ ცვლილებები და განმარტეთ, თუ შესაძლებელია გადაიღეთ ფოტო.

სამუშაო ფურცელი	ნახშირბადის აღმოჩენა ხეში
-----------------	---------------------------

<i>ქიმიური ნივთიერებები</i>	
<i>ქიმიური ხელსაწყოები</i>	
<p>დაკვირვება:</p> <p>1. აღწერეთ მყარი ნივთიერების მდგომარეობა გაცხელებისას.</p> <p>2. აღწერეთ ცვლილება მეორე ტესტში კირიანი წყლის დასხმის შედეგად. რომელი ნივთიერების აღმოჩენას შევძლებთ ამ რეაქციის საშუალებით?</p> <p>3. აღწერეთ $CuSO_4$ ის მდგომარეობა რეაქციამდე და წყალთან რეაქციის შემდეგ.</p> <p>4. რომელი ნივთიერების არსებობას ვამტკიცებთ ამ რეაქციით?</p>	
<p>დასკვნა:</p> <p>ეს ექსპერიმენტი გვიჩვენებს გარკვეული ელემენტების არსებობას მშრალ ხეში. რომელი ელემენტებია ეს?</p>	

❖ ცდა 3: ორგანულ ნივთიერებებში ნახშირბადის არსებობა

ქიმიური ხელსაწყოები და ნივთიერებები: სანთელი, შაქარი, ფქვილი, პლასტმასი (ფინჯანი), ქიმიური ბრტყელტუჩა, ფაიფურის ჯამი, ასანთი, 3 ტუბი, გამათბობელი, შტატივი

პროცედურა:

- ▶ აიღეთ ფაიფური ბრტყელტუჩათი და სანთლის ალზე გაატარეთ;
- ▶ სანთლის ალიდან მოშორების შემდეგ დააკვირდით ზედაპირზე ცვლილებას;
- ▶ დააყარეთ შაქარი, ფქვილი და პლასტმასის ნაჭერი (მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავსახურს დააფარებთ);
- ▶ დაამაგრეთ ტუბები შტატივზე და გააცხელეთ ცეცხლზე;
- ▶ დააკვირდით ცვლილებებს თითოეულ ტუბში.

<i>სამუშაო ფურცელი</i>	ნახშირბადის არსებობა ორანულ ნივთიერებებში
<i>ქიმიური ნივთიერებები</i>	
<i>ქიმიური ხელსაწყოები</i>	
<p>დაკვირვება</p> <p>1. რა ცვლილება განიცადა ფაიფურმა ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდეგ? რომელი ელემენტისთვისაა ეს ფერი დამახასიათებელი?</p> <p>2. ახსენით, რა მტკიცდება ამ რეაქციით?</p> <p>3. აღწერეთ ნივთიერებების მდგომარეობა ტუბებში გაცხელებამდე და გაცხელების შემდეგ.</p> <p>4. რომელი ელემენტის არსებობა მტკიცდება ამ ცვლილებით?</p>	
<p>დასკვნა:</p> <p>ეს ექსპერიმენტი ამტკიცებს ერთი ელემენტის არსებობას ორგანულ ნივთიერებებში. რომელი ელემენტია ეს?</p>	

4) გადაწყვეტილების მიღება:

სტუდენტები ინდივიდუალურად ჩამოწერენ კითხვებზე პასუხებს კვლევის დაწყებამდე.

უპასუხეთ კითხვებს:

- მოკლედ გაეცით პასუხი კითხვებს კვლევის დაწყებამდე.

1..... პასუხი:

2..... პასუხი:

3..... პასუხი:

4..... პასუხი:

5..... პასუხი:

(ა) შესაძლებელია თუ არა იპოვოთ ქვანახშირის ნაჭერზე ფოტოლი? რომელ ბუნებრივ მოვლენას შუძლია გამოიწვიოს ეს პირველ სურათზე?

პასუხი:

(ბ) რა იყო ქვების გამოჩენა მოთხრობაში „გუმინ.....“? როგორ იცვალა ფერი რძემ? რა იყო ცვლილების მიზეზი?

პასუხი:

(გ) შესაძლებელია თუ არა მივიჩნიოთ აღნიშნული ექსპერიმენტები, როგორც მტკიცებულება ნახშირბადის არსებობისა ორგანულ ნივთიერებებში?

პასუხი:

(დ) შესაძლებელია თუ არა მივიჩნიოთ აღნიშნული ექსპერიმენტები, როგორც მტკიცებულება ნახშირბადის არსებობისა ორგანულ ნივთიერებებში?

პასუხი:

დასკვნები და რეკომენდაციები:

- ცხრილის მარცხენა სვეტში ჩამოწერეთ წინადადებები და რეკომენდაციები. განიხილეთ თანატოლებთან და მასწავლებლებთან ერთად. შესწორებები და დამატებები ჩამოწერეთ მარჯვენა სვეტში.

სამუშაო ფურცელი: 1350 მილიონი წლის წინ		
	ჩემი აზრი:	კორექტირება და დამატებითი მასალის შეტანა დისკუსიის შემდეგ
1.		
2.		
3.		
4.		
5		

სამუშაო ფურცელი: 20 წლის წინ ქვანახშირის რეგიონში ქალაქ ოსტრავასთან ახლოს		
	ჩემი აზრი:	კორექტირება და დამატებითი მასალის შეტანა დისკუსიის შემდეგ

1.		
2.		
3.		
4.		
5		

სამუშაო ფურცელი: გუშინ ჩვენს სამზარეულოში		
	ჩემი აზრი:	კორექტირება და დამატებითი მასალის შეტანა დისკუსიის შემდეგ
1.		
2.		
3.		
4.		
5		

თავდაპირველად სტუდენტები ავსებენ თავიანთ სამუშაო ფურცლებს, საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით, ცხრილის მარცხენა სვეტში. სტუდენტების დასკვნები ნათელი და გამოსწორებულია დისკუსიის განმავლობაში.

5) კომენტარები და რეკომენდაციები:

დავალებების აღწერა:

სტუდენტები მუშაობენ ჯგუფებში. თავდაპირველად სტუდენტები იმეორებენ თავიანთ ცოდნას ფოტოსინთეზზე. ეს ამოცანა შეიძლება შეტანილ იქნეს, როგორც საშინაო დავალება. სტუდენტები თავიანთ აღმოჩენებს ადარებენ ჯგუფებში, შემდეგ აკეთებენ მარტივ პრეზენტაციას, პოსტერს. მასწავლებლის ხელმძღვანელობით სტუდენტები დაყოფენ ფოტოსინთეზში არსებულ ნივთიერებებს ორგანულ და არაორგანულ ნაერთებად. ისინი ეცნობიან ძირითად მახასიათებლებს ორგანულ ნაერთებში არსებულ ელემენტებსა და ნარევებზე. გონებრივი იერიშის საშუალებით სტუდენტები ასახელებენ ელემენტის თვისებებს და მარტივ ნაერთებს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რაც ეხმარება მათ მოიფიქრონ მარტივი ექსპერიმენტი, რათა დაამტკიცონ ორგანულ ნაერთებში სხვადასხვა ელემენტის არსებობა.

საფეხური 1: ფოტოსინთეზი

სტუდენტები მუშაობენ სამ-ხუთ კაციან ჯგუფებში. ისინი განიხილავენ ფოტოსინთეზში მონაწილე ნივთიერებებს - რეაგირებადი ნივთიერება და პროდუქტი. მასწავლებლის უფლებაა, მისცემს თუ არა მოსწავლეებს სახელმძღვანელოს ან კომპიუტერის გამოყენების საშუალებას. სკოლის

აღჭურვილობიდან გამომდინარე, მოსწავლეების შესაძლებლობების და მასწავლებლის არჩევანის გათვალისწინებით, თითოეული ჯგუფი ქმნის შედეგს (პოსტერები, კომპიუტერით პრეზენტაცია). ეს სამუშაო შეიძლება შეტანილ იქნეს, როგორც საშინაო დავალება.

შედეგი შეიცავს:

- ქიმიური ფორმულის წერას;
- ნივთიერებების ჩამოთვლას;
- ორგანული და არაორგანული ნივთიერებების დაყოფას;
- ქიმიური ელემენტების ზოგადი მიმოხილვას, რომლებიც ქმნიან ინდივიდუალურ მოლეკულებს და მათ ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ თვისებას.

საფეხური 2: სტუდენტები წარმოადგენენ წინა სამუშაოს კლასის წინაშე.

საფეხური 3 გონებრივი იერიში:

სტუდენტები ისევ მუშაობენ იმავე ჯგუფებში. მასწავლებლის ხელმძღვანელობით სტუდენტები წარმოადგენენ ანგარიშს ქიმიური ელემენტების ყველა თვისებაზე თავიანთ შედეგებში. ისინი შეისწავლიან CO₂ და H₂O-ს მარტივი ნაერთების თვისებებს. სტუდენტები სთავაზობენ მარტივ რეაქციებს, რათა დაამტკიცონ ორივე ელემენტისა და ნაერთის არსებობა.

საფეხური 4 - მტკიცებულება:

სტუდენტები წარმოადგენენ უკვე მომზადებულ მარტივ ექსპერიმენტებს, რომლებიც გამოავლენს ცალკეული ელემენტების არსებობას გავრცელებულ ორგანულ ნივთიერებებში - ხე, პარაფინი და ასე შემდეგ.

გაფრთხილება!

სტუდენტები იცავენ ლაბორატორიის წესებს და უსაფრთხეების ყველა ზომას, რომლებიც მოცემულია ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

რეკომენდაცია:

❖ **ცდა 1**

- ზოგჯერ სტუდენტები არ აცლიან სანთელს საკმარისად დაიწვას და ამიტომაც კირიანი წყალიც არ იმღვრევა;
- ახალი კირიანი წყლის მომზადება.

❖ **ცდა 2**

- წარმოადგინეთ ხელსაწყოების სრული ნაკრები;
- ნახერხის რაოდენობა სინჯარაში არის სინჯარის სიმაღლის ორი მესამედი;

- აუხსენით სტუდენტებს, რომ ექსპერიმენტი მთავრდება მაშინ, როდესაც კირინაი წყალი აიძვრება და სინჯარის კედელზე გამოჩნდება საკმაოდ დიდი წყლის წვეთები;
- $\text{CuSO}_4 \cdot 5 \text{H}_2\text{O}$ უნდა იყოს კარგად გამომშრალი.

❖ ცდა 3

- განმარტეთ, რომ ცდა დასრულდება სინჯარაში პირველივე შესამჩნევი ცვლილების შემთხვევაში. სხვა დროს ის გამოსცემს უსიამოვნო სუნს;
- ექსპერიმენტის ჩატარება თაბაშირით, აუცილებელია მხოლოდ სპეციალური დამცავი ნიღბით.

საფეხური 5 - ექსპერიმენტის შეფასება, დაკვირვების შემდეგ განმარტების მიცემა.

- პროტოკოლის შედგენისას თანამშრომლობის წესები უნდა იქნეს აღნიშნული;
- აუცილებელია მასწავლებელი იყოს „გზამკვლევი“ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების დროს, რათა დაეხმაროს და გაუსწოროს მათ;
- აუცილებელია განიხილოს და შემდეგ გაუსწოროს სტუდენტებს შედეგები. ზოგჯერ საჭიროა შინაარსის ხელახლა ახსნა;
- აუცილებელია აიხსნას, თუ რა არის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი. ზოგჯერ სტუდენტებს ყურადღება გადააქვთ მეორეხარისხოვან საგნებზე, რადგანაც ისინი ვერ აცნობიერებენ ინდივიდუალური ინფორმაციის მნიშვნელობას.

კითხვები

კითხვები, რომლებიც შემუშავებულია როგორც საბოლოო შემაჯამებელი, სტუდენტებს მიიყვანს „მეცნიერული შეჯამებისკენ“ და ჰიპოთეზისკენ იმაზე, თუ რის განხილვას შეძლებენ ისინი ადეკვატურ დონეზე.

თავიანთ ექსპერიმენტზე დაყრდნობით, სტუდენტები აკეთებენ დასკვნებს ელემენტებზე ექსპერიმენტის ჩატარებით. სტუდენტები ასრულებენ თვითშეფასებას.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს შესაძლო პასუხების ჩამონათვალს კითხვებზე, რომლებიც გამიზნული იყო, რათა შეგვემოწმებინა სტუდენტების კვლევის უნარები და გაიგებდნენ თუ არა ისინი არსს ჩატარებული ექსპერიმენტების.

1.	შესაძლებელია თუ არა ნახშირის ნატეხზე ფოთლის ანაბეჭდის ნახვა? რომელი ბუნებრივი პროცესი იწვევს მსგავს მოვლენას პირველ სურათზე?	დიახ, ეს არის შედეგი ბუნებრივი პროცესისა-კარბონიზაცია (მშრალი გამოხდა).
2.	რა იყო ქვაბის გამოჩენა მოთხრობაში „გუმინ.....“? როგორ იცვალა ფერი რძემ? რა იყო ცვლილების მიზეზი?	ქვაბმა ფერი იცვალა ყავისფერიდან შავისკენ. ეს ცვლილება გამოწვეული იყო რძის დამწვრობით. ნახშირბადი რძეში შემცირდა ელემენტის დონეზე.
3.	შესაძლებელია თუ არა მივიჩნიოთ აღნიშნული ექსპერიმენტები, როგორც მტკიცებულება ნახშირბადის არსებობისა ორგანულ ნივთიერებებში?	დიახ, შესაძლებელია ნახშირბადი იყოს ნაერთის შემადგენელი ნაწილი, რომლისგანაც ის გამოცალკევდა.
4.	შესაძლებელია თუ არა მივიჩნიოთ აღნიშნული ექსპერიმენტები, როგორც მტკიცებულება ნახშირბადის არსებობისა ორგანულ ნივთიერებებში?	დიახ, შესაძლებელია ნახშირბადი იყოს ნაერთის შემადგენელი ნაწილი, რომლისგანაც ის გამოცალკევდა.
5.	როგორ შეიძლება დავამტკიცოთ ჟანგბადის არსებობა ორგანულ ნივთიერებებში? ჟანგბადის შემცველ რომელ მარტივ ნაერთს შეუძლია დაგვეხმაროს ამის დამტკიცებაში?	წყლის წარმოქმნა არის მტკიცებულება ნივთიერებაში ჟანგბადის არსებობის.

საბოლოო შეჯამება

- რომელი ელემენტები იყო წარმოდგენილი აღნიშნულ ნივთიერებებში?
- მოცემული ელემენტებიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?
- ქიმის რომელი დარგი შეისწავლის ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა ხის ნაფოტი, ცვილი, პლასტმასი და სხვა, რომლებშიც ნახშირბადი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი?

შესაძლო განსახილველი საკითხები:

- ფოტოსინთეზის მნიშვნელობა ორგანული ნაერთების ჩამოყალიბებაში;
- ორგანული ნაერთების ზოგადი თვისებები;
- განსხვავება ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს შორის.

7. 4.4. საინტერესო პრაქტიკის მაგალითი პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას

მომზადებულია: | ჯინგუი იანგ
 პროექტის პარტნიორი | შანხაის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტი(ჩინეთი)
 უნივერსიტეტი

ნაწილი ა. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე	
საუკეთესო პრაქტიკის სათაური	სტუდენტთა მონაცემთა ბაზის შექმნა და გამოყენება
კურსი/პროგრამა	პრაქტიკული აქტივობა
კურსის ტიპი	პირისპირი
უნივერსიტეტი	შანხაის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
მონაწილე პედაგოგთა ჯგუფი	იანგ ჯინჰუი, ჯი მინ, ჩენ ჟუმინ, ლი იან, დუ ვანჰი

ნაწილი ბ.სამიზნე ჯგუფი	
სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ჯგუფი ასაკის მიხედვით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64</p> <p><input type="checkbox"/> 65+</p> <p>ცოდნის დონე:</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი კურსები)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრის ხარისხი)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრის ხარისხი)</p> <p><input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორის ხარისხი)</p> <p><input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ,დააკონკრეტეთ):</p>

ნაწილი გ. კურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ძირითადი უნარები

<p>გამჭოლი უნარები და კომპეტენციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია <input type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენაზე <input checked="" type="checkbox"/> მათემატიკური კომპეტენცია და კომპეტენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში <input checked="" type="checkbox"/> ციფრული კომპეტენცია <input type="checkbox"/> სწავლის სწავლა <input type="checkbox"/> სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია <input type="checkbox"/> სამეწარმეო კომპეტენცია <input type="checkbox"/> კულტურული ცნობიერება და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კომპეტენცია
<p>საგნობრივი კომპეტენციები და უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის უნარი <input checked="" type="checkbox"/> თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარი

ნაწილი დ. კონკრეტული ინფორმაცია საუკეთესო პრაქტიკაზე

<p>მოდულის თემა</p>	<p>სტუდენტთა მონაცემთა ბაზის შექმნა და გამოყენება</p>
<p>ხანგრძლივობა</p>	<p>135 წუთი</p>
<p>მოდულის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული ზოგადი თეორიის შესწავლა; • სტუდენტთა უნარების განვითარება მონაცემთა ბაზის შექმნის, ამოქმედებისა და შენარჩუნებისთვის; • გააცნოს სტუდენტებს მონაცემთა ბაზის მართვის მინიმუმ ერთი სისტემა.
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოს სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • შექმნან მონაცემთა ბაზა მოთხოვნების შესაბამისად; • გამოიყენონ 2008 წლის SQL სერვერი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად; • მონაცემთა ბაზის მანიპულირება SQL ენის გამოყენებით.

ძირითადი უნარები	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური აზროვნება; • გუნდური მუშაობის უნარი; • პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტა; • პრაქტიკული დავალების შესრულების შესაძლებლობა.
სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება <input type="checkbox"/> • აღმოჩენით სწავლება <input type="checkbox"/> • დავალებაზე ორიენტირებული სწავლება <input type="checkbox"/> • პატარა ჯგუფებში თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლება <input type="checkbox"/> • პროექტზე დაფუძნებული სწავლება <input checked="" type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლება <input type="checkbox"/> • <input type="checkbox"/> თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები
მასალა / დამხმარე საშუალებები/ აღჭურვილობა	<ul style="list-style-type: none"> • მულტიმედიური მხარდაჭერა; • სასწავლო მასალა; • კომპიუტერი, რომელიც დაინსტალირებულია 2008
კურიკულუმებს შორის კავშირი	პროგრამული უნარები და ინფორმაციული მენეჯმენტის სისტემის კურსები
მომზადება	მოამზადეთ პროექტის მოთხოვნები და ინტეგრირებული ერთეულები ქაღალდზე. დააჯგუფეთ და ჩამოაყალიბეთ კლასის პროცედურები. გაითვალისწინეთ საფრთხეები.
შესაძლო პრობლემები და გადაჭრის გზები	<p>1) მასწავლებლის მეთვალყურეობის საჭიროება, რათა განსაზღვროს ზოგიერთი დეტალური და დამაბნეველი საკითხი;</p> <p>2) ჯგუფებს შორის კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია პიროვნული მახასიათებლით ან განსხვავებული აზრით.</p>

საონტერესო პრაქტიკის მოდულის დანერგვის გეგმა

o	ფაზა/დრო	პროცედურა	მიზანი	ინტერაქციის ტიპი
---	----------	-----------	--------	------------------

1	გამოწვევის ფაზა	პროექტის მოთხოვნების გაცნობა	ინტერესის გამოწვევა	მასწავლებელი-სტუდენტები
2	შესავალი	პროექტთან დაკავშირებული ცოდნის გააქტიურება	პროექტისთვის მზადება	მასწავლებელი-სტუდენტები
3	გონებრივი იერიში	გონებრივი იერიში	სტუდენტებს მივცეთ საშუალება გამოხატონ საკუთარი აზრი ჯგუფებში	სტუდენტი-სტუდენტები
4	ჯგუფური მუშაობა	სტუდენტთა მონაცემთა ბაზის შექმნა და გამოყენება	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	სტუდენტი-სტუდენტები
5	ინტერაქცია	ჯგუფის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია	მიეცით საშუალება სტუდენტებმა ისწავლონ ერთმანეთისგან, გაუსწორონ და შეაფასონ.	სტუდენტი-სტუდენტები
6	შეჯამება	საკლასო დავალების შემდეგ	განხილვა და თვითრეფლექსია	სტუდენტი

მოდულის ეტაპების აღწერა

სამპუნქტიანი პედაგოგიური მეთოდი ფოკუსირებას აკეთებს სამ ასპექტზე:

1. ზუსტი და გასაგები ლექციები;
2. უფრო მეტი პრაქტიკული დავალება კლასში.
3. უფრო პროდუქტიული ინტერაქცია სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

მაშასადამე, მასწავლებლებს მოეთხოვებათ უფრო მეტი ფიქრი, კითხვა და მომზადება გაკვეთილამდე, გათვალისწინება მოსწავლეთა რეალური საჭიროებების, რომლებიც მუდმივად იცვლება და დროის ფაქტორის

გათვალისწინება. ამის შემდეგ კლასში ყველა პროცედურა ჩამოყალიბებული საჭიროებების შესაბამისად და სასწავლო მიზნების მისაღწევად.

მასწავლებლებს, მამასადაამე, უნდა ჰქონდეთ ყოვლისმომცველი ოსტატობა და ზოგადი მოსაზრება კლასში. გაკვეთილის საწყის ეტაპზე ყველა მასალა, დაბეჭდილი ან მობილური აპლიკაციები, ეძლევათ ჯგუფებს (ჩვეულებრივ 3-7 მოსწავლე). ეს ჯგუფები შექმნილია მასწავლებლის მიერ მათი სწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ეს მასალა ეხმარება მოსწავლეებს, რომ გაარკვიონ გაკვეთილის მიზნები. ჯგუფური მუშაობისას მასწავლებლები არიან დამკვირვებლები, რომლებიც აფასებენ ეფექტურობას და ვალიდურობას თითოეულ ჯგუფში; მასწავლებლები მოდიფიცირებას გაუკეთებენ გაკვეთილის ეტაპებს. სანამ გაკვეთილი დამთავრდება, დავალება უნაწილდება თითოეულ ჯგუფს. ჯგუფები შექმნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა გადმოსცენ შინაარსი და იფიქროს მასზე თითოეულმა დამოუკიდებლად, აგრეთვე, თანატოლებთან ერთად.

სტუდენტთა მონაცემთა ბაზის შექმნა და გამოყენება მიზანი:

1. მონაცემთა ბაზის შექმნა მოთხოვნების შესაბამისად;
2. 2008 წლის SQL სერვერის გამოყენება მონაცემთა ბაზის შესაქმნელად;
3. SQL ენის გამოყენება მონაცემების მანიპულაციისთვის;
4. ჯგუფური მუშაობა;
5. სასწავლო პროცესში თვითშეფასება და ჯგუფის შეფასება.

პროცედურა:

1. თეორიული ცოდნის მიმოხილვა;
2. გონებრივი იერიში;
3. გუნდური მუშაობა - მონაცემთა ბაზის შექმნა და გაცნობა;
4. პრეზენტაცია;
5. თვითრეფლექსია.

სწავლების მეთოდი

პირდაპირი+გონებრივი იერიში+ჯგუფური მუშაობა

სწავლების ხელშემწყობი საშუალება

მულტიმედია+კომპიუტერები

პროექტის მოთხოვნები:

1. თითოეული ჯგუფი ქმნის შესაბამის მონაცემთა ბაზას სტუდენტთა საინფორმაციო სისტემისთვის;
2. პროექტი მოიცავს მოთხოვნების ანალიზს, კონცეპტუალურ მოდელს, ლოგიკურ მოდელს და მონაცემთა ბაზის დანერგვას;
3. მოთხოვნების ანალიზი მოიცავს ფუნქციური დიზაინის აღწერას, მონაცემთა ბაზის დიზაინს, საორგანიზაციო გრაფიკს;
4. კონცეპტუალური დიზაინი მოიცავს ადგილობრივ და გლობალურ ER დიაგრამას;
5. ლოგიკური მოდელი შეიცავს ER დიაგრამაზე დაფუძნებულ რაციონალურ სქემას;
6. 2008 წლის SQL სერვერში შემუშავებული მონაცემთა ბაზის გაცნობა და სატესტო მონაცემების მოთავსება;
7. მონაცემთა ბაზის მანიპულირებისთვის 15 SQL კითხვარის შევსება;
8. ანგარიშის წარდგენა, რომელიც აღწერს შემუშავებისა და გაცნობის მთლიან ფაზებს;
9. ჯგუფის მიერ მომზადებული პრეზენტაციის წარდგენა კლასის წინაშე.

პროექტის შემდგომი განხილვა:

1. რა არის პროექტის ყველაზე რთული და ყველაზე მარტივი ნაწილი?
2. როგორია თქვენი როლი გუნდში? რა არის შენი წვლილი?
3. აუცილებელია თუ არა ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემების გადანაწილება?
4. ანგარიშში მოცემული რომელი ნაწილი შეიძლება გაუმჯობესდეს?

დამატებითი საკითხავი მასალა:

SQL სერვერი:

Microsoft SQL სერვერი არის მონაცემთა ბაზების მართვის რელაციური სისტემა, ან RDBMS, რომელიც უზრუნველყოფს ტრანზაქციების გადამუშავების ფართო სპექტრს, ბიზნესანალიზს და ანალიტიკურ აპლიკაციებს კორპორატიულ IT გარემოში. Oracle მონაცემთა ბაზა და IBM's DB2 თან ერთად, ის არის ერთ-ერთი ლიდერი მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიების ბაზარზე.

SQL სერვერის თავდაპირველი კოდი შეიქმნა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ყოფილი Sybase Inc ის მიერ, რომელსაც ახლა ფლობს SAP-ი. Sybase-მა თავდაპირველად შექმნა პროგრამული უზრუნველყოფა, რათა ემართა Unix-ის სისტემა და მინიკომპიუტერის პლატფორმები. Microsoft და Ashton-Tate Corp, რომელიც შემდგომში გახდა პერსონალური კომპიუტერების მონაცემთა ბაზების წამყვანი მიმწოდებელი, გაერთიანდნენ, რათა შეექმნათ Microsoft SQL

სერვერის პირველი ვერსია, რომელიც შეიქმნა OS/2-ის ოპერაციული სისტემისთვის და გამოვიდა 1989 წელს.

ამის შემდეგ Ashton-Tate ჩამოსცილდა მათ, მაგრამ Microsoft და Sybase-მა გააგრძელეს თანამშრომლობა 1994 წლამდე, როდესაც Microsoft-მა SQL სერვერის სრული დეველოპმენტი და მარკეტინგი შეიძინა საკუთარი ოპერაციული სისტემებისთვის. ერთი წლით ადრე Sybase-თან ურთიერთობის შემდეგ გამოჩნდა, რომ Microsoft-მა ხელმისაწვდომი გახადა პროგრამული უზრუნველყოფა ახალ გამოშვებულ Windows NT-ის საშუალებით, 16-ბიტისანი OS/2-ის კოდის მოდიფიცირების შემდეგ, რათა შეექმნათ 32-ბიტისანი სისტემა დამატებითი მახასიათებლებით. ის ფოკუსირებული იყო Windows-ის კოდის განვითარებაზე. 1996 წელს Sybase-მა თავის ვერსიას უწოდა ადაპტირებული სერვერის კომპანია და Microsoft-ს დაუტოვა სახელწოდება SQL სერვერი.

მონაცემთა ბაზების მართვის სხვა რელაციური სისტემების ტექნოლოგიების მსგავსად, SQL სერვერი თავიდანვე შეიქმნა სტრიქონებად მოცემული ცხრილების სახით. ის აკავშირებს ერთმანეთთან მიმართებით მყოფ მონაცემთა ელემენტებს სხვადასხვა ცხრილში. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში მონაცემების არგანთავსებას ბევრ სხვადასხვა ადგილას. ეს რაციონალური მოდელი, აგრეთვე, უზრუნველყოფს მონაცემების მიმართებით მთლიანობას და მთლიანობის სხვა შეზღუდვებს, რათა შენარჩუნდეს მონაცემთა ბაზის სიზუსტე.

Microsoft SQL Server-ის ძირითადი კომპონენტია SQL სერვერის მონაცემთა ბაზის სისტემა, რომელიც აკონტროლებს მონაცემების შენახვას, დამუშავებას და უსაფრთხოებას. მასში შედის რელაციური სისტემა, რომელიც ამუშავებს ბრძანებებს და შეკითხვებს, აგრეთვე, მონაცემთა შენახვის სისტემა, რომელიც მართავს მონაცემთა ბაზების ფაილებს, ცხრილებს, გვერდებს, ინდექსებს, მონაცემთა ბუფერებსა და ოპერაციებს. შენახული პროცედურები, ტრიგერები, წარმოდგენები და მონაცემთა ბაზის სხვა ობიექტები ასევე შეიქმნა და მუშაობს მონაცემთა ბაზის მოწყობილობით.

მონაცემთა ბაზის სისტემა არის SQL სერვერის საოპერაციო სისტემა ან SQLOS; იგი ახორციელებს ქვედა დონის ფუნქციებს, როგორცაა: მეხსიერების და I/O მენეჯმენტი, სამუშაოს დაგეგმვა და მონაცემების ჩაკეტვა, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუთავსებელი განახლებები. ქსელის ინტერფეისის შრე მდებარეობს მონაცემთა ბაზის მოწყობილობის ზემოთ და იყენებს Microsoft-ის ცხრილის მონაცემების ნაკადის პროტოკოლს, რათა ხელი შეუწყოს მონაცემთა ბაზის სერვერებთან მოთხოვნისა და რეაგირების ინტერაქციას. მომხმარებლის დონეზე SQL სერვერის DBAs და დეველოპერები წერენ T-SQL განცხადებებს, რათა შეიმუშავონ და შეცვალონ მონაცემთა ბაზის სტრუქტურები, მოახდინონ

მონაცემების მანიპულირება, უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვა და მხარდაჭერილ იქნას მონაცემთა ბაზები, მათ შორის - სხვა ამოცანები.

Microsoft- მა SQL სერვერში გააერთიანა მონაცემთა მართვა, ბიზნესანალიზი (BI) და ანალიტიკური ინსტრუმენტები. გარდა R სერვისისა და ამჟამად მანქანის სასწავლო სერვისები ტექნოლოგიისა, რომელიც პირველად გამოჩნდა SQL სერვერში 2016 წელს, მონაცემთა ანალიზის შეთავაზებები მოიცავს SQL სერვერის ანალიზის სერვისები. ეს არის ანალიტიკური სისტემა, რომელიც ამუშავებს მონაცემებს ბიზნესანალიზისთვის, მონაცემთა ვიზუალიზაციის აპლიკაციები და SQL სერვერის ანგარიშების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესანალიზის ანგარიშების შექმნას და გადაცემას.

მონაცემთა მართვის მხრივ, Microsoft SQL სერვერი მოიცავს SQL სერვერის ინტეგრაციის სერვისები, SQL სერვერის მონაცემთა ხარისხის სერვისები და SQL სერვერის სამაგისტრო მონაცემების სერვისები.

Microsoft გვთავაზობს SQL სერვერის ოთხ ძირითად გამოცემას, რომლებიც უზრუნველყოფს სერვისების სხვადასხვა დონეს. ორი უფასოდაა ხელმისაწვდომი: სრული მახასიათებლების მქონე დეველოპერი მონაცემთა ბაზის განსავითარებლად, შესამოწმებლად და გამოხასიახტავად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს 10 გიგაბაიტამდე მეხსიერების მქონე ბაზების სამართავად. უფრო დიდი აპლიკაციებისთვის Microsoft ყიდის კომპანიას, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც სტანდარტებისა და გამოხატვის ნაწილი.

თუმცა, როდესაც SQL სერვერის 2016 სერვისის პაკეტი 1 (SP1) გამოვიდა 2016 წლის ბოლოს, Microsoft-მა ზოგიერთი ფუნქცია, რომელიც ადრე შეზღუდული იყო, ხელმისაწვდომი გახდა კომპანიისთვის, როგორც სტანდარტებისა და გამოხატვის ნაწილი. მასში შედიოდა In-Memory OLTP, PolyBase, სვეტების ინდექსები, მონაცემების შეზღუდვა და მონაცემების შეყვანის შესაძლებლობების შეცვლა, ისევე, როგორც უსაფრთხოების რამდენიმე მახასიათებელი. გარდა ამისა, კომპანიამ განახორციელა თანმიმდევრული პროგრამირების მოდელი სხვადასხვა გამოცემების SQL სერვერის 2016 SP1-ში, რამაც უფრო ადვილი გახდა აპლიკაციების გადიდება.

მოთხოვნების სტრუქტურირებული ენა

SQL არის აბრევიატურა მოთხოვნების სტრუქტურირებული ენის რელაციური მონაცემთა ბაზებისთვის. როგორც სათაური მიუთითებს, ეს არის მხოლოდ საქმიანობის დამწყებისთვის ან ვინც ელოდება საქმიანობის დაწყებას

აპლიკაციების პროგრამირების ნაწილში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს სტატია არის სახელმძღვანელო ხასიათის დამწყებებისთვის, რომელმაც არაფერი იცის SQL სერვერზე. ეს სტატია არის იმისთვის, ვინც ცოტა რამ უკვე იცის SQL სერვერზე და სურს, რომ გაიუმჯობესოს ცოდნა.

პირველი, SQL არის პირველადი საშუალება ინფორმაციის დასათვალიერებლად რელაციურ მონაცემთა ბაზაში. SQL გაძლევთ დახვეწილ ინსტრუმენტებს შესაჯამებლად, კონსოლიდაციისთვის და მონაცემების გამოსათვლელად. ცხრილების გამოყენებით შესაძლებელია მონაცემთა კომბინირება მრავალი ცხრილიდან სხვადასხვა გზით. სათანადოდ შემუშავებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით, SQL-ს შეუძლია პრაქტიკულად უპასუხოს მონაცემების შესახებ ნებისმიერ შეკითხვას. მეორე, SQL უზრუნველყოფს ბრძანებების შესრულებას მონაცემების მანიპულაციისთვის რელაციურ მონაცემთა ბაზაში. ჩანაწერები შეიძლება განახლდეს და დაემატოს ან წაიშალოს ცხრილიდან. პროცედურული პროგრამირების ენა, როგორცაა BASIC, შეიძლება მოითხოვდეს რამდენიმე კოდის რამდენიმე სტრიქონს, რათა განახლდეს ჩანაწერი მონაცემთა ბაზის ცხრილში. გარდა ამისა, საპროცედურო პროგრამულ ენებზე უნდა გამოვიყენოთ გარკვეული განმეორების სტრუქტურა, რომ ეს პროცესი განმეორდეს ყოველი ჩანაწერის დროს. SQL მუშაობს ყველა ჩანაწერზე ერთდროულად. SQL არის ჰაიკუ პროგრამისტებისთვის. ხშირად ათეულობით სიტყვას ან ნაკლებს შეუძლია წაშალოს ან შეცვალოს ათასობით ჩანაწერი. საბოლოო ჯამში, SQL არის მონაცემთა განმარტების სრული ენა. მონაცემთა ბაზა შეიძლება შეიქმნას ყველა ცხრილთან, ველთან, პირველად გასაღებსა და კავშირებთან ერთად. ამას დაამატეთ ჩანაწერები ბრძანებებით და თქვენ გექნებათ სრული მონაცემთა ბაზა და პროგრამული კოდით გამოსახული მონაცემები. SQL-ის სწავლის წინაპირობაა დისკრეტული მათემატიკის ცოდნა (თეორია, კავშირები და ფუნქციები). მიუხედავად იმისა, რომ არ არის აუცილებელი ისწავლო ყველა თეორემა და დამტკიცება დისკრეტულ მათემატიკაში, შენ უნა იცოდე ძირითადი ცნებები სიმრავლეებზე, რაციონალურ რიცხვებსა და ფუნქციებზე. ეს დაგეხმარებათ მარტივად ისწავლოთ SQL სერვერის მოთხოვნები და მისი საფუძვლები. თუ გსურთ უფრო მეტი გაიგოთ RDBMS-ზე, თქვენ აგრეთვე უნდა ისწავლოთ დიაგრამის თეორია. მიუხედავად იმისა, რომ შევეცადე თავიდან ამეცილებინა SQL სერვერის სპეციფიკური თემები ამ სტატიაში, დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი თემა პირდაპირ SQL სერვერს ეხება, როგორცაა SQL კომპანიის მენეჯერი.

7. 4.5. კონტრაქტის მაგალითის საინტერესო პრაქტიკა

წარმოდგენილია: დანა ზამეცნიკოვა, ივანა მაროვა
 პროექტის პარტნიორი მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა)
 უნივერსიტეტის მიერ:

ნაწილი ა. ზოგადი ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე	
საინტერესო პრაქტიკის სათაური	სასწავლო შეთანხმებები
კურსი	უნარშეზღუდულობის შესწავლა
კურსის ტიპი	პირისპირ/დისტანციური სწავლება
უნივერსიტეტი	მასარიკის უნივერსიტეტი
პედაგოგთა ჯგუფი	ივანა მაროვა, დოქტორი ჰელენა ვადუროვა, დოქტორი

ნაწილი ბ. სამიზნე ჯგუფი	
სამიზნე ჯგუფი	<p>სტუდენტთა ჯგუფი ასაკის მიხედვით: <input checked="" type="checkbox"/> 18 – 24 <input checked="" type="checkbox"/> 25 – 34 <input type="checkbox"/> 35 – 44 <input type="checkbox"/> 45 – 54 <input type="checkbox"/> 55 – 64 <input type="checkbox"/> 65+</p> <p>ცოდნის დონე: <input type="checkbox"/> ISCED 5 (უმაღლესი განათლების მოკლევადიანი კურსები) <input checked="" type="checkbox"/> ISCED 6 (ბაკალავრის ხარისხი) <input checked="" type="checkbox"/> ISCED 7 (მაგისტრის ხარისხი) <input type="checkbox"/> ISCED 8 (დოქტორის ხარისხი) <input type="checkbox"/> სხვა (დააკონკრეტეთ):</p>

ნაწილი გ. მონაწილეთათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები

<p>გამჭოლი უნარები და კომპეტენციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია <input checked="" type="checkbox"/> კომუნიკაცია უცხო ენაზე <input type="checkbox"/> მათემატიკური კომპეტენცია და კომპეტენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში <input type="checkbox"/> ციფრული კომპეტენცია <input type="checkbox"/> სწავლების სწავლა <input checked="" type="checkbox"/> სოციალური და საოქალაქო კომპეტენცია <input type="checkbox"/> სამეწარმეო კომპეტენცია <input checked="" type="checkbox"/> კულტურული ცნობიერების ამაღლების და ინტერაქტიული კომპეტენცია
--	--

<p>ნაწილი დ. კონკრეტული ინფორმაცია საინტერესო პრაქტიკაზე</p>	
<p>მოდულის თემა</p>	<p>უნარშეზღუდულობის შესწავლის შესავალი</p>
<p>ხანგრძლივობა:</p>	<p>180 წუთი</p>
<p>მოდულის მიზნები</p>	<p>უნარშეზღუდულობის შესწავლის შესავალი არის კურსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. სტუდენტები გაეცნობიან უნარშეზღუდულობის შესწავლის თეორიის შესავალს და უნარშეზღუდული ადამიანისადმი საზოგადოების დამოკიდებულების განვითარებას.</p>

	<p>კურსის საერთო მიზანია, სტუდენტთა ცოდნის გაზრდა უნარშეზღუდულობის შესწავლის სფეროში; მშობლიურ და უცხო ენაზე კომუნიკაციის და პრობლემის გადაჭრის უნარის გაზრდა. უფრო მეტიც, სტუდენტებისთვის საკუთარი და სხვისი მოსაზრებების გათვალისწინება და მათი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა: პატივისცემა, ტოლერანტობა და თანაგრძნობა.</p> <p>ამ თავის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს უნარშეზღუდულობის შესწავლის საფუძვლები და საშუალებას მისცეს მათ გამოხატონ თავიანთი გრძნობები, რომლებიც ინდივიდუალურია უნარშეზღუდულებთან მიმართებით. ამ თავის გაზომვადი მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სასწავლო შეთანხმებაში, არის შემდეგი: უნარშეზღუდულობის საკუთარი/ჯგუფური განმარტება, მოცემული სტატიის ანალიზი; ჯგუფური გონებრივი რუკა შეზღუდულ შესაძლებლობაზე.</p>
<p>მიზნები (შედეგები)</p>	<p>მოდულის ბოლოს სტუდენტები შეძლებენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრონ უნარშეზღუდულობის შესწავლის საფუძვლები და ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ჩართულობასთან; • გაარკვიონ შეზღუდვები სიმულაციური უნარშეზღუდულობით; • გაიგონ უნარშეზღუდულობის ზოგადი ასპექტები და საზოგადოების დამოკიდებულება ამის მიმართ; • გამოხატონ საკუთარი აზრი აღნიშნულ საკითხზე.

ძირითადი უნარები	<ul style="list-style-type: none"> • საკომუნიკაციო უნარები; • გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უნარები; • სოციალური უნარები; • პროფესიული სწავლება/სწავლის უნარები.
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება <input type="checkbox"/> • აღმოჩენით სწავლება <input type="checkbox"/> • დავალებაზე ორიენტირებული სწავლება <input type="checkbox"/> • პატარა ჯგუფი, თვითინსტრუქტირებადი და პროექტზე დაფუძნებული სწავლა <input type="checkbox"/> • პროექტზე დაფუძნებული სწავლება <input type="checkbox"/> • ექსპერიმენტული და რეფლექტური სწავლა <input type="checkbox"/> • თანატოლთა შეფასება და სასწავლო კონტრაქტები <input checked="" type="checkbox"/>
მასალა/სასწავლო საშუალებები/აღჭურვილობა	<ul style="list-style-type: none"> • მკითხველები, რომლებსაც აქვთ თეორიული ცოდნა აღნიშნულ თემაზე; • ბარათები, რომლებზეც მოცემულია შერჩეული სირთულეების აღწერა; • გასასვლელი ბარათები, შერჩეული ტერმინების აღწერით; • პოსტრები, ფერადი ჭიკარტები.
კურიკულუმებს შორის კავშირი	სოციალური მეცნიერებები

<p>მომზადება</p>	<ul style="list-style-type: none"> პირველ რიგში, სასწავლო შეთანხმების მიზნების და გაზომვადი ინდიკატორების დადგენა; შეფასების წესების განსაზღვრა. <p>გაკვეთილისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> გაკვეთილისთვის დავალებად მიცემული საკითხავის ლინკის გაგზავნა სტუდენტებისთვის; მეხსიერების ბარათები, რომლებზეც მოცემულია ის სირთულეები, რომლებისთვისაც უნდა მოემზადონ; შერჩეული კვლევითი სტატიები სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოსთვის;
<p>შესაძლო პრობლემები და გადაჭრის გზები</p>	<p>სასწავლო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> სასწავლო შეთანხმება ეფუძნება თანამშრომლობას, შეთანხმებას მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. მოცემული ამოცანები უზრუნველყოფილია სათანადო რესურსებით.

საინტერესო პრაქტიკის მოდულის განხორციელების გეგმა

No	საფეხური/ დრო	პროცედურა	მიზანი (ები)	ინტერაქცია
0	კლასის წინარე ცოდნა	სასწავლო შეთანხმების განვითარება	კურსის დაწყებამდე სტუდენტებს ეძლევათ კურსის მოთხოვნები და შეფასების პირობები. მოსწავლეებს სთხოვენ, გამოხატონ თავიანთი აზრი სასწავლო შეთანხმებაზე და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ უკუკავშირი.	სტუდენტი მასწავლებელთან ერთად
1	გამოწვევის ფაზა 10 წუთი	უნარშეზღუდ	მოსწავლეები განიხილავენ გაკვეთილის თემას და გამოხატავენ თავიანთ აზრს.	სტუდენტი

		ულობა – რას ნიშნავს ეს?	მოსწავლეებს წარმოადგინონ განმარტებები და წყვილებში.	სთხოვენ საკუთარი განიხილონ	სტუდენტი-სტუდენტი
2	საკლასო დისკუსია/ 15 წუთი	უნარშეზღუდულობის განმარტება	სტუდენტებს წარმოადგინონ/დაიცვან თავიანთი ჯგუფში	სთხოვენ განმარტებები	მაწავლებელი-სტუდენტები (ჯგუფური მუშაობა)
3	სიმულაცია /5 წუთი	უნარშეზღუდულობის სიმულაცია	სტუდენტები არიან 5-კაციანი რომლებშიც თითოეული ერთ ბარათს. მასზე მოცემულია სირთულეები, გათამაშებაც სტუდენტებს.	დაყოფილები ჯგუფებში, რომლის უწევთ	სტუდენტი (ინდივიდუალური სამუშაო)
4	პრობლემის გადაჭრა/ 20 წუთი	პრობლემის გადაჭრი, რომელიც დაკავშირებულია უნარშეზღუდულობის სიმულაციასთან	სტუდენტები თავიანთი ცდილობენ უნარშეზღუდულობისადმი პატივისცემით. სტუდენტები თავიანთ გრძნობებს.	გაერთიანდებიან ხელებით და გააკეთონ წრე მათი უნარშეზღუდულობისადმი პატივისცემით. ამის შემდეგ გამოხატავენ	სტუდენტი-სტუდენტები (ჯგუფური აქტივობა)
5	თეორიული ნაწილი / 20 წუთი	უნარშეზღუდულობა სწავლისას	სტუდენტებს აძლევენ უნარშეზღუდულობის თეორიული ნაწილის შესახებ.	წყვილებში საკითხავ მასალას	სტუდენტი-სტუდენტი (წყვილში მუშაობა)
6	თეორიების შედარება	უნარშეზღუდულობა საერთაშორისო სწავლებისას	სტუდენტებს წაკითხული რომელიც დავალებად მიცემული.	სთხოვენ შეადარონ მეორე სტატიას, დავალებად იყო	სტუდენტი-სტუდენტი (წყვილებში მუშაობა)
7	პრაქტიკული ნაწილი 30 წუთი	უნარშეზღუდულობა-გონებრივი რუკა	გონებრივი მთავარი უნარშეზღუდულობა პრეზენტაციის გაკეთება. სამი წყვილი ერთ ჯგუფად და ანალიზზე დაყრდნობით, გონებრივ რუკას.	რუკის შექმნა თემით და	სტუდენტი-სტუდენტები (ჯგუფური მუშაობა)

8	დისკუსია /30 წუთი	გონებრივი რუკის პრეზენტაცია ჯგუფებში	ჯგუფების მიერ გონებრივი რუკის პრეზენტაციის გაკეთება კლასში	მასწავლებელი-სტუდენტები (საკლასო მუშაობა)
9	შეფასება /15 წუთი	სტუდენტები აკეთებენ თვითშეფასებას და თანატოლთა შეფასებას	შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და კლასელების ნამუშევარი.	მასწავლებელი-სტუდენტები (საკლასო სამუშაო) სტუდენტი-სტუდენტი(წყვილში მუშაობა)
10	შემაჯამებელი აქტივობა / 15 წთ	გასასვლელი ბარათები	სტუდენტები იღებენ ბარათს, რომელზეც მოცემულია ტერმინი და უნდა განმარტონ.	მასწავლებელი-სტუდენტები(საკლასო სამუშაო)

მოდულში გამოყენებული მასალა

სასწავლო კონტრაქტი

სტუდენტი: ალექს სენდი

სფერო: განათლება სპეცსაჭიროების მქონე პირთათვის

ფოკუსი: უნარშეზღუდულობის შესწავლა

ხელმძღვანელი: ელაიზა მურ

დრო: გაზაფხული 2015

კურსის აღწერა

კურსის, *უნარშეზღუდულობის შესწავლის შესავალი*, მიზანია, დაანახოს უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება და განიხილოს ეს უფრო ფართო ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში. ვინ არის სინამდვილეში ადამიანი, რომელიც უნარშეზღუდულია? როგორ მოქმედებს სტერეოტიპები და წინასწარი შექმნილი შეხედულება ჩვენს აზროვნებაზე? რა ახდენს გავლენას უნარშეზღუდული ადამიანების ჩართულობაზე

საზოგადოებაში? რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოების უმრავლესობას და რა აყალიბებს ამ დამოკიდებულებებს?

სასწავლო შედეგები

კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- განსაზღვროს და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით აღწეროს უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული კონცეფციები, როგორცაა: კატეგორია, ჩვეულებრივობა, განსხვავებულობა, იდენტობა და სტერეოტიპები;
- გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება განსხვავებულობაზე სამოქალაქო და პროფესიულ ცხოვრებაში;
- დაახასიათოს საზოგადოების მიდგომის განვითარება უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ, მათ შორის - თანამედროვე კონცეფციები;
- განსაზღვრეთ, თუ როგორ აყალიბებს მიმდინარე ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა საზოგადოების დამოკიდებულებას უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ;
- გამოხატოს უნარშეზღუდულ ადამიანებზე მედიის მიერ შექმნილი წარმოდგენის გავლენა მათ სოციალურ ჩართულობასა და საზოგადოების უმეტესი ნაწილის დამოკიდებულებაზე.

სილაბუსი

კურსი სთავაზობს ძირითად ტერმინოლოგიას (ნორმა და ჩვეულებრივობა, სტერეოტიპები, განსხვავებულობა), უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებების მიმოხილვას და მასთან დაკავშირებულ მოდელებს (სოციალური და ინდივიდუალური მოდელი). ის ფოკუსირებას აკეთებს საზოგადოების და უნარშეზღუდული ადამიანების ურთიერთობების განვითარების ისტორიაზე, საერთაშორისო კონვენციებსა და სტანდარტებზე, რომლებიც დაკავშირებულია უნარშეზღუდული ადამიანების უფლებების დაცვასთან. ის გამოხატავს უნარშეზღუდული ადამიანის იდენტობისა და სოციალური ჩართულობის შესაძლებლობების განვითარებას მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ კურსი იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტი გაეცნოს უნარშეზღუდულ ადამიანებზე მედიის მიერ შექმნილ წარმოდგენას, რომელიც აყალიბებს საზოგადოების დამოკიდებულებას.

ცხრილი

კურსის აღწერა	დავალებები
<p>გაკვეთილი 1</p> <p>1 თებერვალი (180 წუთი)</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარშეზღუდულობის შესწავლის შესავალი • სტერეოტიპები - სიბრალოლი, აბლეიზმი, ჩვეულებრივობა განსხვავებულობის წინააღმდეგ • საერთაშორისო პერსპექტივები <p>გაკვეთილი 2</p> <p>15 მარტი (120 წუთი)</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარშეზღუდულობის მოდელები • უნარშეზღუდულობის სოციალური და სამედიცინო მოდელი <p>გაკვეთილი 3</p> <p>3 აპრილი (120 წუთი)</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარშეზღუდულობის ისტორია და პოლიტიკა • საერთაშორისო კონვენციები და კანონმდებლობა 	<p>კითხვა პირველი გაკვეთილის წინ</p> <p>კითხვა მეორე გაკვეთილის წინ</p> <p>კითხვა მეოთხე გაკვეთილის წინ</p>

<p>გაკვეთილი 4 24 აპრილი (120 წუთი)</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარშეზღუდულობის მიმართ დამოკიდებულება • საზოგადოების მიდგომა <p>გაკვეთილი 5 5 ივნისი (180 წუთი)</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარშეზღუდულობის მედიაპრეზენტაცია • თხრობა და მედია • როკ ჯგუფი 	<p>კითხვა მეხუთე გაკვეთილის წინ</p>
---	---

კურსის დავალებები

ქვემოთ მოცემულია კურსის დავალებები:

	თემა	ფორმატი
<p>გაკვეთილი 1</p>	<p>ტიჩკოვსკი (2002). შეზღუდული შესაძლებლობების კვლევა: ძველი და ახალი</p>	<p>სტატიის მიმოხილვა</p>
<p>გაკვეთილი 2</p>	<p>რისი (2017). შეზღუდული შესაძლებლობების მოდელები და მწვავე და ღრმა სწავლების სირთულეების კატეგორიზაცია ბავშვებში: ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული განათლების მეთოდების ინფორმირება</p>	<p>სტატიის მიმოხილვა</p>
<p>გაკვეთილი 4</p>	<p>უოლფი (1996). ჩვეულებრივი ადამიანები - რატომ არ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ასე განსხვავებულები/</p>	<p>სტატიის მიმოხილვა</p>

გაკვეთილი 5	კუნჰა და პინტო (2014). შეზღუდული შესაძლებლობების მედიაში წარმოდგენა: ბეჭდვითი მედიის სიგრძითი კვლევა	სტატის მიმოხილვა
----------------	---	------------------

კურსის შეფასება

საბოლოო შეფასება დამოკიდებული იქნება შემდეგ კრიტერიუმზე:

	მოთხოვნები	პროცენტი
1.	სტატის მიმოხილვა	40 %
2.	დასწრება	40 %
3.	აქტიური ჩართვა გაკვეთილზე	20 %

სასწავლო კონტრაქტი

სტუდენტის სახელი
ხელმძღვანელის სახელი

ვადასტურებ, რომ თანდართული დოკუმენტი არის კურსის შესაბამისი სწავლის კონტრაქტი.

ხელმოწერა (სტუდენტი)

თარიღი.....

ხელმოწერა (ხელმძღვანელი)

თარიღი.....

1. გამოყენებული მასალა

- [1] Andersen, T. (2008). *The Theory and Practice of Online Learning*. Athabasca University Press
- [2] Anderson, G., Boud, D. and Sampson, J. (2014). *Learning Contracts: A Practical Guide*. Routledge.
- [3] Bender, W. (2012). *Project-Based Learning: Differentiating Instruction for the 21st Century*. Corwin Press.
- [4] Blumberg, P. (2012). *Developing Learner-Centred Teaching: A Practical Guide for Faculty*. John Wiley & Sons.
- [5] Boak, G. (1998). *A Complete Guide to Learning Contracts*. Gower Publishing.
- [6] Bologna Follow-Up Group. (2014). ECTS Users' Guide 2015 (Draft Version), [online]. Available at:
<http://bologna-yerevan2015.ehea.info/files/ECTS%20Users%20Guide%202015.pdf>
[ნახვის დრო 10 დეკ. 2017].
- [7] Borzillo, S. (2007). *Communities of Practice to Effectively Manage Best Practice*. Springer Science & Business Media.
- [8] Boud, D. and Feletti, G. (1997). Changing problem-based learning [Introduction]. In: D. Boud and G. Feletti, eds., *The Challenge of Problem-Based Learning*, 2nd ed. London: Kogan Page, გვ. 1-14.
- [9] Brag, S. M. (2013). *Accounting Best Practices*. John Wiley & Sons.
- [10] Bray, B. and McClaskey, K. (2016). *How to Personalize Learning: A Practical Guide for Getting Started and Going Deeper*. Corwin Press.
- [11] Brown, H. D. (2007). *Principles of Language Learning and Teaching*, 5th ed. White Plains, New York: Pearson Education.
- [12] campaign-for-learning.org.uk (2017). *What is learning to learn?* [online]. Available at:
<http://www.campaign-for-learning.org.uk/projects/L2L/What%20is/What%20is%20L2L.htm>
[ნახვის დრო 28 დეკ. 2017].
- [13] Carter, R. and Nunan, D. (2001). *The Cambridge Guide to Teaching English to Speakers of Other Languages*. Cambridge University Press.
- [14] Chang, T.-W. and Kinshuk, R. H. (2017). *Authentic Learning through Advances in Technologies*. Springer.
- [15] Champagne, A. B. and Bunce, D. M. (1991). Learning-theory-based science teaching. In: S. M. Glynn, R. H. Yeane and B. K. Britton. eds. (1991). *The Psychology of Learning Science*. Hillsdale, NJ: Erlbaum, გვ. 21-41.
- [16] Crookes G. (1986). Task clarification: a cross-disciplinary review. *Technical Report No 4*, Honolulu: Center for Second Language Classroom Research, Social Science Research Institute, University of Hawaii.
- [17] Daniels, H. and Bizar, M. (2005). *Teaching the Best Practice Way: Methods that Matter, K-12*. Stenhouse Publishers.

- [18] Dörner, R., Göbel, S., Kickmeier-Rust, M., Masuch, M. and Zweig, K. (2016). *Entertainment Computing and Serious Games* (International GI-Dagstuhl Seminar 15283, Dagstuhl Castle, Germany, July 5-10, 2015, Revised Selected Papers), Springer.
- [19] Duch, B. J., Groh, S. E. and Allen, D. E. (Eds.). (2001). *The Power of Problem-Based Learning*. Sterling, VA: Stylus.
- [20] Education Council. (2006). *Recommendation of the European Parliament and the Council of 18 December 2006 on Key Competencies for Lifelong Learning*. Brussels: Official Journal of the European Union, 30.12.2006. [online]. Available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32006H0962>
[ნახვის დრო 13 დეკ. 2017]
- [21] Eliis, G. and Brewster, J. (2014). *Tell it Again! The Storytelling Handbook for Primary English Language Teachers*. 3rd ed. British Council. [online]. Available at: https://ucc.dk/sites/default/files/d467_storytelling_handbook_final_web.pdf
[ნახვის დრო 12 თებ. 2018].
- [22] Ellis, R. (2003). *Task-based Language Learning and Teaching*. Oxford: Oxford University Press.
- [23] Januszewski, A. (2008). *Educational Technology: a Definition with Commentary*. ABC-CLIO.
- [24] Jobs for the Future and the Council of Chief State School Officers. (2015). *Educator Competencies for Personalized, Learner-Centered Teaching*. Boston, MA: Jobs for the Future. [online]. Available at: https://studentsatthecenterhub.org/wp-content/uploads/2015/12/EducatorCompetencies_081015.pdf
[ნახვის დრო 12 დეკ. 2017].
- [25] Jurković, V. (ed.) (2005). *Guide to Problem-Based Learning PBL within the Context of ESP*. Ljubljana: Slovene Association of LSP Teachers. [online]. Available at: http://www.sdutsj.edus.si/SDUTSJ_Guide_%20to_%20PBL.pdf
[ნახვის დრო 10 დეკ. 2017].
- [26] Hogan, K., Nastasi, B. K. and Pressley, M. (1999). Discourse Patterns and Collaborative Scientific Reasoning In Peer and Teacher-Guided Discussions. *Cognition and Instruction*, 17, გვ. 379-432.
- [27] Huba, M. E. and Freed, J. E. (2000). *Learner-centred Assessment on College Campuses: Shifting the Focus from Teaching to Learning*. Allyn and Bacon.
- [28] Knowles, M. (1984). *Andragogy in Action*. San Francisco: Jossey-Bass.
- [29] Knowles, M. S., Holton, E. F. and Swanson, R. A. (2012). *The Adult Learner*. Routledge.
- [30] Larmer, J., Mergendoller, J. R. and Boss, S. (2015). *Setting the Standard for Project Based Learning*, Buck Institute for Education.
- [31] Long, M. (1985). *A Role for Instruction in Second Language Acquisition*. Clevedon Avon: Multilingual Matters.

- [32] McCulloch, G. and David, D. (2013). *The Routledge International Encyclopaedia of Education*, Routledge.
- [33] National Education Association. (2012). *Preparing the 21st century students for a global society: An educator's guide to the "four Cs"*. [pdf]. Washington, DC: Available at: <http://www.nea.org/assets/docs/A-Guide-to-Four-Cs.pdf> [ნახვის დრო 10 იან. 2018].
- [34] National Research Council of the National Academies (2001). *Assessing 21st Century Skills: Summary of a Workshop*, Washington DC: The National Academic Press.
- [35] Nunan, D. (1989). *Designing Tasks for the Communicative Classroom*. Cambridge: Cambridge University Press.
- [36] Phillips, D. C. (2014). *Encyclopaedia of Educational Theory and Philosophy*, SAGE Publications.
- [37] Prabhu, N.S. (1987). *Second Language Pedagogy*. Oxford: Oxford University Press.
- [38] Rhem, J. (1995). Deep/Surface Approaches to Learning: An Introduction. *The National Teaching and Learning Forum*, 5 (1), გვ. 1–5.
- [39] Ryan, R. M. and Deci, E. L. (2000). Self-Determination Theory and The Facilitation of Intrinsic Motivation, Social Development, and Well-Being". *American Psychologist*, 55, გვ. 68-78.
- [40] Seel, N. M. (2011). *Encyclopedia of the Sciences of Learning*, Springer Sciences and Business Media.
- [41] Sternberg, R. J. and Spear-Swerling, L. (1996). *Teaching for Thinking (Psychology in the Classroom)*. American Psychological Association.
- [42] Tobin, K. and Fraser, B. (1990). What Does It Mean to be an Exemplary Science Teacher?. *Journal of Research in Science Teaching*, 27, გვ. 3-25.
- [43] unesco. org. (2017). *The four pillars of learning*. [online]. Available at: <http://www.unesco.org/new/en/education/networks/global-networks/aspnet/about-us/strategy/the-four-pillars-of-learning/> [ნახვის დრო 28 ოქტ. 2017].
- [44] Ushi, F. (2003). *Language Learning Online: Towards Best Practice*. CRC Press.
- [45] van Berkel, H. J. M. (2010). *Lessons from Problem Based Learning*. Oxford University Press.
- [46] Weimer, M. (2002). *Learner-Centered Teaching: Five Key Changes to Practice*. 1st ed. San Francisco: Jossey Bass.
- [47] Weimer, M. (2013). *Learner-Centered Teaching: Five Key Changes to Practice*. 2nd ed. John Wiley & Sons.
- [48] Weimer, I. B. (2003). *Handbook of Psychology, Educational Psychology*. John Wiley & Sons.
- [49] Willis, J. (1996). *A Framework for Task-Based Learning*. Longman Handbooks for Language Teachers.
- [50] Yilmaz, K. (2009). Democracy through learner-centered education: a Turkish perspective. *Journal Review of Education*, 55 (1), გვ. 21-37.

[51] Zimmerman, B. L. and Schunk, D. H. (2013). *Self-Regulated Learning and Academic Achievement: Theoretical Perspectives*. Routledge.

2. ტერმინთა განმარტება

ტერმინი	განმარტება	წყარო
აქტიური სწავლა	საკლასო მიდგომა, რომელშიც მოსწავლეები არიან აქტიურები სწავლის პროცესში ცოდნის აგებით და გააზრებით მასწავებლის მიერ მიწოდებული სასწავლო შესაძლებლობების საპასუხოდ.	http://www.cambridgeinternational.org/images/271174-active-learning.pdf
თანამშრომლობითი სწავლა	ჯგუფი, რომელიც მუშაობს ერთად საერთო შედეგებისთვის, როგორცაა პროექტის გუნდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ჯგუფის შემთხვევის ანალიზი, სიმულაციები ან თამაშები, თანატოლთა მენტორობა, თანამშრომლობითი სამეცნიერო კვლევა და თანამშრომლობითი სადისკუსიო ჯგუფები.	https://www.igi-global.com/chapter/cr-eating-collaboration-in-global-online-learning/111826
კონსტრუქტივიზმი	სწავლის ფართო ორიენტაცია, რომელშიც ადამიანები საკუთარი გამოცდილებით აგებენ ცოდნას და არ ეყრდნობიან და არ ეძებენ უკვე დამოუკიდებლად არსებულ გამოცდილებას; მოსწავლეები არიან აქტიურები - სწავლება მიმდინარეობს დისკუსიით, თანამშრომლობით, ექსპერიმენტული აქტივობებით, იდეებისა და მოქმედებების ჩართვით.	https://www.igi-global.com/chapter/cr-eating-collaboration-in-global-online-learning/111826
ციფრული კომუნიკაცია	ასევე იწოდება, როგორც კომუნიკაცია ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით. არსებობს სხვადასხვა სახის კომუნიკაცია, მაგალითად, სინქრონული (რეალური დროის კომუნიკაცია, მაგალითად, სკაიპი, ბლუთუზი ან ვიდეოჩატის გამოყენებით) და ასინქრონული (მაგალითად, ელექტრონული ფოსტა, ფორუმი	https://ec.europa.eu/jrc/en/digcomp/digital-competence-framework

	შეტყობინებების გასაგზავნად, მოკლე ტექსტური შეტყობინება)	
ციფრული შინაარსი	ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, რომელიც არსებობს ციფრული მონაცემების სახით და გადაქცეულია ტექნიკის საშუალებით ხელმისაწვდომ ფორმატში. ის შეიძლება შეიქმნას, განიხილოს, გაიგზავნოს, მოდიფიცირდეს და შეინახოს კომპიუტერების და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მაგალითად, ინტერნეტის მეშვეობით. შინაარსი შესაძლებელი იყოს უფასო ან არ იყოს. ციფრული შინაარსის მაგალითებია: ვებგვერდები, სოციალური მედია, მონაცემები და მონაცემთა ბაზები, ციფრული აუდიო-სისტემა, როგორცაა მკ 3, ელექტრონული წიგნები, ციფრული გამოსახულებები, ციფრული ვიდეო, ვიდეოთამაშები, კომპიუტერული პროგრამები და პროგრამული უზრუნველყოფა.	https://ec.europa.eu/jrc/en/digcomp/digital-competence-framework
აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლა	გამოკითხვაზე დაფუძნებული მეთოდი. ის საუკეთესოა სტუდენტთათვის ფაქტების აღმოსაჩენად.	https://www.learning-theories.com/discover-y-learning-bruner.html
სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა	სწავლების მიდგომა, რომელიც უფრო მეტ აქცენტს აკეთებს სტუდენტსა და მის განვითარებაზე, ვიდრე შინაარსის გადმოცემაზე; ის აბალანსებს სწავლებას და სწავლას, მიმართულია იმისკენ, რომ სტუდენტი აქტიურად ჩართოს საკუთარი ცოდნის აგებაში. სწავლაზე პასუხისმგებელს ხდის სტუდენტს.	https://www.igi-global.com/chapter/creating-collaboration-in-global-online-learning/111826
პრობლემის მოგვარება	ადამიანის შესაძლებლობა, რომ ჩაერთოს შემეცნებით პროცესში, რათა გაიგოს ან გადაჭრას პრობლემური სიტუაციები, როცა გადაჭრის მეთოდი არ არის გარკვეული. ეს გულისხმობს სურვილს, რომ ჩაერთო მსგავს სიტუაციებში, რათა მიაღწიო ადამიანის, როგორც	(OECD, 2014)

	კონსტრუქციული და რეფლექტური მოქალაქის, პოტენციალს.	
პროექტზე დაფუძნებული სწავლა	სწავლების მეთოდი, რომელშიც სტუდენტები იღებენ ცოდნას და უნარებს უფრო მეტი დროის განმავლობაში მუშაობით, რათა გამოიკვლიონ და უპასუხონ ავთენტურ და რთულ კითხვებს, პრობლემასა და გამოწვევას.	https://www.bie.org/about/what_pbl
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა	სასწავლო გარემოში სტუდენტთა ხარისხობრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ემსახურება მათი ავტონომიის და კრიტიკული უნარის გაძლიერებას შედეგზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით.	ბოლონიის შემდგომი ჯგუფი, 2014, გვ. 6
დავალებაზე დაფუძნებული სწავლა	ცენტრალური დავალება განისაზღვრება იმით, თუ რა მოხდება, როდესაც სტუდენტი დაასრულებს დავალებას. გაკვეთილი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - დავალების წინა ეტაპი, დავალება (დაგეგმვა, ანგარიში, ანალიზი), პრაქტიკა.	https://www.teachingenglish.org.uk/article/a-task-based-approach

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო

სასწავლო სახელმძღვანელო უნივერსიტეტის პერსონალისთვის

რედაქტირებულია ცვეტლანა ჰარაკჩისკას მიერ

ეს პუბლიკაცია წარმოადგენს პროგრამის „მდგრადი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - მაღალი საფეხურის რესურსები საქართველოსა და ჩინეთისთვის (STAR)” შედეგს. პროექტისა, რომელმაც შეკრიბა აკადემიური პერსონალი რამდენიმე ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან (ჩეხეთის რესპუბლიკა, ბულგარეთი, დანია და პორტუგალია) და ორი პარტნიორი ქვეყნიდან - საქართველოდან და ჩინეთის რესპუბლიკიდან. სწორედ ეს ორი სახელმწიფო ორიენტირებული იყო აქტიური სწავლისა და სწავლების დანერგვაზე საკუთარი უმაღლესი განათლების სისტემაში.

პუბლიკაციის რესურსების პირველადი სამიზნე ჯგუფია უმაღლესი განათლების ინსტიტუციების აკადემიური პერსონალი, რომლებიც იმუშავენ რომ დანერგონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები და ამავდროულად ხელს შეუწყობენ ისეთი ახალგაზრდების განვითარებას, რომლებიც საჭიროებენ საჭირო ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რათა შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება სამუშაო ბაზარსა და თანამედროვე ჰეტეროგენულ საზოგადოებაში.

საბოლოოდ, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგს:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიული ნაწილი;
- სამი სატრენინგო მოდული, რომლებიც აქტიური სწავლების თეორიას, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდების ხელშესახებ გამოცდილებასა და სტუდენტზე ორიენტირებული გაკვეთილის შეფასების პროცედურებს აერთიანებს;

- საინტერესო გამოცდილების ნაკრები, რომელიც ნათლად დაგვანახებს შერჩეული სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას პროექტ STAR-ის კონსორციუმის ინსტიტუტების სასწავლო კონტექსტში.

დამატებითი ინფორმაცია პროექტის „მდგრადი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - მაღალი საფეხურის რესურსები საქართველოსა და ჩინეთისთვის (STAR) შესახებ <http://star.ped.muni.cz/>

პროექტის კოორდინატორი: დანა ზამეცნიკოვა, მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა) zamecnikova@ped.muni.cz

ISBN:

დაბეჭდილია: